UN JOINT PROGRAMME
FOR GENDER EQUALITY

სპეციალური ნომერი

საპროკურორო საქმიანობა და დანაშაულის პრევენცია

ქალების მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

2025

სპეციალური ნომერი

#3

საპროკურორო საქმიანობა და დანაშაულის პრევენცია

ქალების მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა

საქართველოს გენერალური პროკურატურისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა 2024 წელს გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისათვის“ ფარგლებში საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ. პუბლიკაცია მომზადდა შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. მისი შინაარსი წარმოადგენს ავტორების პასუხისმგებლობას და შესაძლოა, არ ასახავდეს შვედეთისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ხედვას.

ISSN - 2960-995X

თბილისი, 2025 წელი

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე – მორის შალიკაშვილი, სამართლის დოქტორი (ჰამბურგი, გერმანია), თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

ამირან გულუაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე

მირიან მეგრელიშვილი – საქართველოს გენერალური პროკურატურის პროფესიული განვითარების ცენტრის (სამმართველო) უფროსი

ლონდა ბიჭიკაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ია ჩხეიძე – საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სტრატეგიული განვითარების სამმართველოს უფროსი პროკურორი

ირაკლი მინაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, დაზვერვის სამსახურში, თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის პროკურორი

ირინა აქუბარდია – სამართლის დოქტორი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

გიორგი თუმანიშვილი – სამართლის დოქტორი (ბერლინი, გერმანია), თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

უშანგი (უჩა) ბახტაძე – სამართლის დოქტორი (თსუ), სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პროფესორი, ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერების მაგისტრი

შალვა საღირაშვილი – გრაიფსვალდის (გერმანია) უნივერსიტეტის დოქტორანტი

სპეციალური ნომრის რედაქტორი - სალომე შენგელია, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსი

ჟურნალის ელ. ფოსტა – scientific.journal@pog.gov.ge ელექტრონული ფოსტის მისამართი სტატიების ავტორებთან და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციისთვის.

სარჩევი

ამირან გულუაშვილი 7
საქართველოს გენერალური პროკურორის
მოადგილის მისალმება

სალომე შენგელია 9
„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის
პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს
კონვენციის“ გავლენა და ქალთა მიმართ გენდერული და
ოჯახში ძალადობის ეროვნული პრევენციული მექანიზმი

ქრისტინე მორგოშია 33
ქალთა მკვლელობის გენდერული ბუნება და
კრიმინოლოგიური ასპექტები

თამარ ზაქუტაშვილი 59
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]
მუხლის გამოყენების ტენდენცია შეუწყნარებლობით
მოტივირებულ ოჯახურ დანაშაულებში

მირიან მეგრელიშვილი 80
ადევნების კვალიფიკაცია ქართულ
სისხლის სამართალში

გრიგოლი კაპანაძე 109
სისხლის სამართლის პოლიტიკა ოჯახური დანაშაულების
სისხლის სამართლის საქმეებზე, მტკიცებულებების მოპოვების,
სასამართლოში გამოკვლევისა და გამამტყუნებელი განაჩენის
დადგენასთან დაკავშირებული გამოწვევები

გიორგი ცეცხლაძე 127
ბრალდების მტკიცების ტვირთის პრობლემა ოჯახური
დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე
(სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)

რუსუდან ლაბაძე / ლაშა გამყრელიძე 151
სექსუალური შევიწროების სამართლებრივი რეგულირება

ანა კაპანაძე / შორენა გვილავა 173
გენდერული შეუწყნარებლობის მოტივის
გამოვლენისა და დადგენის სირთულე გამოძიების
ეტაპზე და სასამართლოში

მარიამ წულაია / გიორგი მექვაბიძე 195
სოციალური ბარიერები ქალთა მართლმსაჯულებისადმი
ხელმისაწვდომობის პროცესში

გვანცა ტაბატაძე 219
საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა „ქალთა მიმართ
ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის
შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციასთან

ამირან გულუაშვილი
საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე

საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის მისალმება

საქართველოში, უკანასკნელი წლების განმავლობაში, მნიშვნელოვანი ინსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის გამოწვევების დასაძლევად.

საქართველოს პროკურატურამ 2014 წლიდან დაიწყო ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გარდამტეხი ცვლილებებისა და რეფორმების განხორციელება, რაც ერთი მხრივ, მოძალადეების მიმართ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებას, ხოლო მეორე მხრივ, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვას მოიცავდა. 2014 წლიდან დღემდე, 10 წლის მანძილზე მიღწეული პროგრესი ხელშესახებია და საქართველოს წარმატება საერთაშორისო შეფასებებსა თუ ანგარიშებშიც აისახა.

ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სპეციალიზებული პროკურორების უწყვეტი განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების და მენტორინგის პროგრამის ფარგლებში, გაჩნდა იდეა, სპეციალიზებულ პროკურორებს ემუშავათ სამეცნიერო სტატიებზე ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის საკითხებზე.

„საპროკურორო საქმიანობისა და დანაშაულის პრევენციის“ სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის მიზანია პლატფორმის შექმნა, სადაც პრაქტიკოსი პროკურორები შეეცდებიან გაანალიზონ სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, დააიდენტიფიცირონ კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში არსებული გამოწვევები და იმსჯელონ გამოწვევების დაძლევის ეფექტიან საშუალებებზე.

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის სპეციალურ ნომერში გამოქვეყნებული სტატიები დაინტერესებულ პირებს დაეხმარება განსხვავებულად დაინახონ ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახური დანაშაულის არსი, სპეციფიკა, პროკურატურის მიერ განხორციელებული რეფორმების მნიშვნელობა და მსხვერპლზე ორიენტირებული პოლიტიკის გავლენა ქალებზე.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო გაეროს ქალთა ორგანიზაციას (UN Women) ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიმართულებით გაწეული ძალისხმევისთვის, საქართველოს პროკურატურასთან უწყვეტი, ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის და ჟურნალის სპეციალური ნომრის მხარდაჭერისთვის.

მადლობა სტატიის ავტორებს, რომლებმაც დატვირთული საპროკურორო საქმიანობის პარალელურად, გამონახეს დრო სამეცნიერო სტატიების დასაწერად და რა თქმა უნდა, მადლობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს.

გისურვებთ წარმატებებს!

ამირან გულუაშვილი
საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე

2

სალომე შენგელია

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის“ გავლენა და ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის ეროვნული პრევენციული მექანიზმი

1. შესავალი

ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა არის ქალებსა და კაცებს შორის არსებული ძალთა უთანასწორობის, სტერეოტიპული აღქმების მიზეზი და შედეგი, რაც იწვევს ქალთა დაქვემდებარებულ მდგომარეობას საჯარო და კერძო სფეროში. გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია, ან ძალადობას, რომელიც არათანაზომიერად უარყოფით გავლენას ახდენს ქალებზე.

საქართველო ყველა იმ ძირითადი კონვენციის მონაწილე მხარეს წარმოადგენს, რომელიც ადგენს გენდერული უთანასწორობისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპებს. ჯერ კიდევ 1994 წელს საქართველო მიუერთდა გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) კონვენციას. გარდა ამისა, 2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს კონვენციას „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (შემდგომში: სტამბოლის კონვენცია), ხოლო რატიფიკაცია 2017 წელს განხორციელდა.

სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებას საქართველოში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები მოჰყვა. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროში მოექცა გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისა და მსხვერპლთა დაცვის საკითხები. შესაბამისად, კანონის მოქმედების სფერომ მოიცვა არამარტო ოჯახის ფარგლები, არამედ, გენდერული ნიშნით ქალის მიმართ გამოვლენილი ძალადობა ოჯახის ფარგლებს გარეთაც, როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ცხოვრებაში.[1]

საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების ჰარმონიზების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილებები. 2017 წელს ფუნდამენტურად განახლდა საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. კანონის მიზნებს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმების შექმნა, მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შემუშავება და ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია წარმოადგენს.

ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია დისკრიმინაციასთან ბრძოლის, ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიმართულებით. ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნული სტრატეგია ხელს უწყობს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებას და ითვალისწინებს ქალთა საჭიროებებს.[2] ეროვნული სტრატეგიის ძირითადი მიზნებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დისკრიმინაციის აღმოფხვრა, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთა.

1 ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=24 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

2 ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5757268?publication=0 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024)

სტრატეგიული მიზნების მიღწევა შესაძლებელია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების, მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და პრევენციული მექანიზმების გაძლიერებით, ასევე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრულია დანაშაულის პრევენციის მექანიზმის გაძლიერება, გამოძიების ხარისხის გაუმჯობესება და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა. ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს პროკურატურის სისტემის შემდგომ გაძლიერებას, რომელიც დამოუკიდებლად განახორციელებს ეფექტიან სისხლისსამართლებრივ დევნას.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის თანახმად, პროკურატურა კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას დანაშაულის გამოვლენის, გამოძიების, გახსნის, აღკვეთისა და თავიდან აცილების, დანაშაულის პრევენციის, კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესების, დანაშაულის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის მიზნით. პროკურატურის ამოცანა სწორედ დანაშაულის პრევენციაა.

ადამიანის უფლებათა დაცვის 2020-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის საფუძველზე, საქართველომ სამი სამოქმედო გეგმა მიიღო. კერძოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმა,[3] „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის (UNSC-R 13/25) 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა,[4] ასევე, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას მოიცავს.[5]

3 ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/6053557?publication=0 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024)

4 ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5598617?publication=0 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024)

5 ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5597108?publication=0 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024)

ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის მე-3 პრიორიტეტით განსაზღვრულია საქართველოს პროკურატურის მიერ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის აღმოფხვრის მიზნით.[6]

ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, საქართველოს პროკურატურამ 2014 წლიდან დღემდე, 10 წლის მანძილზე, მნიშვნელოვანი რეფორმები და ღონისძიებები განახორციელა. პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 2017 წლიდან, მას შემდეგ რაც საქართველომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს ე.წ. ,,სტამბოლის კონვენციის“ რატიფიცირება მოახდინა.

სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებით საქართველომ ვალდებულება აიღო განახორციელოს ყველა საჭირო საკანონმდებლო და სამართლებრივი რეფორმა. სახელმწიფო დონეზე შეიმუშაოს ქმედითი, კომპლექსური და კოორდინირებული პოლიტიკა, კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთისთვის და სისტემური პასუხი გასცეს ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას.

2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციით გათვალისწინებული პრევენციული მექანიზმი

2.1 ზოგადი ვალდებულებები

სტამბოლის კონვენცია ყველაზე სიღრმისეული საერთაშორისო ხელშეკრულებაა ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ. კონვენციის ყოვლისმომცველი დებულებები მოიცავს პრევენციული და დამცავი ზომების ფართო სპექტრს, ასევე არაერთ

6 ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/6053557?publication=0 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024)

ვალდებულებას, რომლებიც ადამიანის უფლებების ამგვარ მძიმე დარღვევებზე ადეკვატურ სისხლისსამართლებრივ რეაგირებას უზრუნველყოფს. აღნიშნული ინსტრუმენტი განსაზღვრავს ახალ მიმართულებას, ვინაიდან ითვალისწინებს ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევ ძირეულ მიზეზებზე (როგორიცაა გენდერული სტერეოტიპები, ქალებისთვის ზიანის მომტანი ტრადიციები და გენდერული უთანასწორობის ზოგადი გამოვლინებები) რეაგირების ვალდებულებასაც.[7]

ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია გმობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ყველა ფორმას, აღიარებს, რომ ქალებსა და კაცებს შორის, როგორც სამართლებრივი, ისე, ფაქტობრივი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა არის ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი. აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ისტორიულად ქალებსა და კაცებს შორის ძალთა უთანასწორობის გამოვლენა, რამაც მიგვიყვანა კაცების მხრიდან ქალების მიმართ დისკრიმინაციამდე და მათზე დომინირებამდე და ხელი შეუშალა ქალების სრული თანასწორუფლებიანობის განხორციელებას. სტამბოლის კონვენცია აღიარებს, ქალთა მიმართ ძალადობის, როგორც გენდერული ნიშნით განხორციელებული ძალადობის სტრუქტურულ ბუნებას. ქალთა მიმართ ძალადობა არის ერთ-ერთი ის მთავარი სოციალური მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ქალები იძულებულნი არიან, დაიკავონ კაცებთან შედარებით დაქვემდებარებული მდგომარეობა.

სტამბოლის კონვენციის მე-3 თავი მთლიანად ეძღვნება პრევენციას. კერძოდ, ზოგად ვალდებულებებთან ერთად, რომლებსაც კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს აკისრებს, ყურადღება გამახვილებულია საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიებისა და პროგრამების მნიშვნელობაზე. ასევე, ადამიანის უფლებათა დამცველ და თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობაზე,

7 GREVIO's (Baseline) Evaluation Report on legislative and other measures giving effect to the provisions of the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence (Istanbul Convention) GEORGIA, Council of Europe, Published on 22 November 2022. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://rm.coe.int/grevio-report-on-georgia-2022/1680a917aa p. 9 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

რათა ამაღლდეს ფართო საზოგადოების ცნობიერებისა და გაგების დონე ძალადობის ყველა ფორმის სხვადასხვა გამოვლინებისა და ძალადობის პრევენციის აუცილებლობის მიმართულებით.[8]

სტამბოლის კონვენციის მე-12 მუხლი განმარტავს მხარე სახელმწიფოთა ზოგად ვალდებულებებს, აღმოფხვრან ცრურწმენები და სტერეოტიპები, რომლებიც ხელს უწყობს დისკრიმინაციას და ქალთა მიმართ ძალადობას. პრევენცია უნდა მოიცავდეს საკანონმდებლო და სხვა ზომებს, ხოლო ეს ზომები უნდა რეაგირებდეს არსებულ უთანასწორობებზე და ასახავდეს ინტერსექციურ მიდგომას, განსაკუთრებით მოწყვლადი მსხვერპლების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, როგორებიც არიან შშმ ქალები, ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, ლტოლვილი და მიგრანტი ქალები. მხარეებმა, ასევე, უნდა წაახალისონ კაცებისა და ბიჭების აქტიური ჩართულობა და კონტრიბუცია ძალადობის პრევენციაში. ე.წ. „ღირსების“ მოტივით არ შეიძლება გამართლდეს ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულები. მხარეები, აგრეთვე, ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ ქალების გაძლიერებას. პრევენციის სფეროში, ძირითადი მოთხოვნაა გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის გამოყენება.

2.2 საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიები

სტამბოლის კონვენციის მე-13 მუხლი ეხება ცნობიერების ამაღლების აუცილებლობას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ყველა ფორმის შესახებ, ძალადობის გამანადგურებელ ხასიათსა და მსხვერპლთა ცხოვრებაზე ზეგავლენას. ცნობიერების ამაღლება, ძალადობის მიმართ ნულოვან ტოლერანტობაზე დაფუძნებული მიდგომის ხელშეწყობის მიზნით, უნდა მოიცავდეს, როგორც საზოგადოების ინფორმირებას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ, ასევე საზოგადოებისა და მსხვერპლების ინფორმირებას მათი სამართლებრივი უფლებების, დაცვისა და ხელმისაწვდომი მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

8 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 11.05.2011. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

საქართველოს პროკურატურა ბოლო წლებია აქტიურად არის ჩართული საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო კამპანიებში. კერძოდ, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი გლობალური კამპანიის ფარგლებში, 2022-2023 წლებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს პროკურატურაში 50-მდე ღონისძიება განხორციელდა. მათ შორის, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე ადგილობრივი საბჭოს სხდომები გაიმართა საქართველოს 11 ქალაქში. ადგილობრივი საბჭოები საქართველოს ყველა რეგიონში ფუნქციონირებს და რეგიონულ დონეზე პროკურატურის მიერ შექმნილ საკოორდინაციო ორგანოს წარმოადგენს.

ასევე, საქართველოს პროკურატურა, ხუთი წელია მონაწილეობს ევროპის საბჭოს ცნობიერების ამაღლების კამპანიაში „მე ვირჩევ თანასწორობას“. 2022-2023 წლებში, კამპანიის ფარგლებში პროკურორებმა საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტთან არაერთი შეხვედრა ჩაატარეს. შეხვედრების მიზანს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების, ასევე ადრეული ქორწინებისა და ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს.

გარდა აღნიშნულისა, პროკურატურა ყოველწლიურად ატარებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს. 2022-2023 წლებში, შრომითი ექსპლუატაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, კერძო კომპანიებში დასაქმებულ პირებთან შეხვედრები ჩატარდა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტრეფიკინგის მსხვერპლ ქალთა დაცვაზე ორიენტირებული მიდგომებისა და მხარდაჭერის საკითხებს.

2022 წელს საქართველოს პროკურატურაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) წინააღმდეგ მასშტაბური საინფორმაციო კამპანია „არა ფემიციდს“ დაიწყო. ფემიციდის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის მიზანი

ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფემიციდის დანაშაულების პრევენციაა.[9]

კამპანიამ მთელი საქართველო მოიცვა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სპეციალიზებული პროკურორები და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ქალაქებსა და სოფლებში შეხვდნენ მოსახლეობას. შეხვედრები გაიმართა საბავშვო ბაგა-ბაღების წარმომადგენლებთან, მანდატურებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან. პროკურორები და კოორდინატორები ესტუმრნენ ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებში მყოფ მსხვერპლებს, შეხვდნენ შშმ პირებს და შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებს, სოციალურ მუშაკებს, სამედიცინო სფეროსა და სხვადასხვა პროფესიული წრის წარმომადგენლებს. ასევე, კოორდინირებული თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით ჩატარდა მულტიუწყებრივი სამუშაო შეხვედრები. ფემიციდის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, საერთო ჯამში 250-მდე ღონისძიება გაიმართა.

საქართველოს პროკურატურამ ითანამშრომლა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებასთან, სადაც ექიმებთან და სამედიცინო პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა. საქართველოს 7 ქალაქში სპეციალიზებულმა პროკურორებმა ჩაატარეს 19 საჯარო ლექცია სხვადასხვა უნივერსიტეტისა და პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სტუდენტებთან.

სკოლებში მოსწავლეებსა და მანდატურებთან ჩატარდა 76 საინფორმაციო შეხვედრა. სპეციალიზებულმა პროკურორებმა 6 საინფორმაციო შეხვედრა გამართეს თბილისის ყველა ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორებთან. შეხვედრებს საერთო ჯამში 190 კოორდინატორი და 60 პედაგოგი დაესწრო.

საინფორმაციო კამპანიების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები მიზნად ისახავდა საზოგადოებაში დამკვიდრებული ცრურწმენებისა და

9 საქართველოს პროკურატურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, 79. ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpuP9BJo.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

სტერეოტიპების აღმოფხვრას. მოსახლეობასთან შეხვედრებისას, ასევე სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემების ფორმატში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის გამომწვევი მიზეზებისა და გენდერული სტერეოტიპების განხილვას. ხაზი გაესვა სწორი საზოგადოებრივი დამოკიდებულების მნიშვნელობას, რამდენადაც არსებული გენდერული როლები და სტერეოტიპები წარმოადგენს მთავარ გამოწვევას და უმძიმეს გავლენას ახდენს მსხვერპლთა ცნობიერებასა და საკუთარი უფლებების დაცვისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა არასრულწლოვნების ცნობიერების ამაღლებასა და მათთვის გენდერული თანასწორობის, არაძალადობრივი ქცევისა და სტერეოტიპების შესახებ ინფორმაციის არაფორმალური გზით მიწოდების საკითხზე. სწორედ ამ მიზნით, ფემიციდის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში ჩატარდა არტ-ნამუშევრების კონკურსი „არა ფემიციდს“. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს შესაძლებლობა ჰქონდათ წარედგინათ არტ ნამუშევრები ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ფემიციდის თემაზე (ნახატი, ქანდაკება, ფოტოსურათი და სხვა კომპოზიცია). მთელი საქართველოს მასშტაბით, კონკურსში 75-მა ავტორმა მიიღო მონაწილეობა. ნიშანდობლივია, რომ კახეთიდან ყველაზე მეტი საკონკურსო ნამუშევარი გამოიგზავნა. ბოლო წლების მონაცემებით, მოსახლეობის რაოდენობასთან გაანგარიშებით, ფემიციდის მაღალი მაჩვენებლით კახეთის რეგიონი გამოირჩეოდა. ამასთან, გამარჯვებული ნამუშევრების არასრულწლოვანი ავტორები, ძირითადად სწორედ ამავე რეგიონს წარმოადგენდნენ.

2.3 განათლება, სპეციალისტების პროფესიული მომზადება

სტამბოლის კონვენციის მე-14 მუხლი ხაზს უსვამს განათლების სასიცოცხლო მნიშვნელობას ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის უზრუნველყოფის პროცესში. სასწავლო პროგრამა უნდა მოიცავდეს მასალას გენდერული თანასწორობის, გენდერული ნიშნით ძალადობის, კონფლიქტის არაძალადობრივი გზით გადაჭრისა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლების შესახებ. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა საჭირო

ზომა ისეთი საკითხების შესახებ პედაგოგიური მასალის ოფიციალურ სასწავლო პროგრამებში და განათლების ყველა დონეზე ჩასართავად, როგორიცაა, ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობა, არასტერეოტიპული გენდერული როლები, ურთიერთპატივისცემა, პიროვნებათშორის ურთიერთობებში კონფლიქტების ძალადობის გარეშე მოგვარება, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება. სასწავლო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს მსმენელთა მზარდი განვითარების შესაძლებლობებს.

კონვენციის მე-15 მუხლით კი გათვალისწინებულია მსხვერპლებთან ან მოძალადეებთან მომუშავე სპეციალისტების პროფესიული მომზადების ვალდებულება, რათა მათ შეძლონ ძალადობის იდენტიფიცირება, ეფექტიანი რეაგირება და უზრუნველყონ სათანადო გადამისამართება, კოორდინირებული უწყებათაშორისი თანამშრომლობის საფუძველზე. პროფესიული მომზადება ყურადღებას უნდა ამახვილებდეს მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომებსა და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებაზე.

ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის აღკვეთა საჭიროებს დროულ, კომპლექსურ და კომპეტენტურ მიდგომას. აღნიშნული მიდგომის განხორციელება შესაძლებელია, მხოლოდ მაღალკვალიფიციური და გენდერულად მგრძნობიარე პროფესიონალების ჩართულობით. ბოლო წლების მანძილზე, საქართველოს პროკურატურაში უწყვეტად მიმდინარეობს პროკურორთა გადამზადება, რათა მათ უზრუნველყონ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისას კომპლექსური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მიდგომების გამოყენება.

საქართველოს პროკურატურაში დანერგილია ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისა და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სპეციალიზაციის სასწავლო კურსები. 2022-2024 წლებში, ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის, ასევე გენდერული თანასწორობის შესახებ ჩატარდა 55 ტრენინგი, გადამზადებულია საქართველოს პროკურატურის 920 თანამშრომელი.

2.4 მსხვერპლის უსაფრთხოება და მხარდაჭერა

სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა შექმნას ან მხარი დაუჭიროს პრევენციულ და სარეაბილიტაციო პროგრამებს. ერთი მხრივ, ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებს ასწავლოს არაძალადობრივი ქცევა ინტერპერსონალურ ურთიერთობებში, რათა გამოირიცხოს ხელახალი ვიქტიმიზაცია და შეიცვალოს ძალადობრივი ქცევის მოდელი, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფომ უნდა შექმნას ან მხარი დაუჭიროს სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს განმეორებითი ძალადობის პრევენციას. აღნიშნული პროგრამები აუცილებელია დაეფუძნოს მსხვერპლთა უფლებას, იცხოვრონ ძალადობისგან თავისუფალ გარემოში, ამოსავალი წერტილი მსხვერპლის უსაფრთხოებაა.

ფემიციდის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში უზრუნველყოფილია საზოგადოების ინფორმირება ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ, ასევე, მსხვერპლთა ინფორმირება სამართლებრივი უფლებების დაცვისა და ხელმისაწვდომი მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრების გარდა, სპეციალიზებული პროკურორები და პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები საქართველოს 5 ქალაქში ესტუმრნენ ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებს და შეხვდნენ ძალადობა გამოვლილ მსხვერპლ ქალებს. შეხვედრებზე პროკურატურის წარმომადგენლებმა, ბენეფიციარებს ინფორმაცია მიაწოდეს მსხვერპლის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლთათვის სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან, როგორც საჯარო, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით, მულტისექტორული სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეიქმნა სპეციალური პლატფორმა, სადაც მსხვერპლთათვის სერვისების მიმწოდებელი ყველა ორგანიზაციისა და სერვისების შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია

განთავსდა. აღნიშნული პლატფორმა სპეციალიზებულ პროკურორებს, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებს შესაძლებლობას აძლევს, ძალადობის მსხვერპლი ქალები, მაქსიმალურად სწრაფად გადაამისამართონ თავშესაფრებსა თუ კრიზისულ ცენტრებში.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან საინფორმაციო შეხვედრებზე, სპეციალიზებულმა პროკურორებმა სოციალურ მუშაკებთან ძალადობის შედეგად დაზარალებულების, მათ შორის, არასრულწლოვნების დაცვის, მხარდაჭერისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროცესი განიხილეს.

ფემიციდის წინააღმდეგ კამპანიების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ინტერსექციურ მიდგომაზე და ისეთი მოწყვლადი ჯგუფების ინფორმატიულობის ამაღლებაზე, როგორებიც არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და შშმ თემის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, შშმ ქალებთან, შშმ არასრულწლოვანებთან და მათ მშობლებთან, ასევე შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრები გამართეს.

ასევე, საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან. პროკურორები შეხვდნენ ეთნიკური უმცირესობით დასახლებული სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის მოსახლეობას.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იძულებით ქორწინებასა და ე.წ. „ღირსების“ სახელით ჩადენილ დანაშაულებზე. ხაზი გაესვა ქალისა და კაცის ქცევის სოციალურ და კულტურულ მოდელებში ცვლილებების დანერგვის საჭიროებას, რათა აღმოიფხვრას ის ცრურწმენები, ადათწესები, ტრადიციები და ყველა სხვა მავნე პრაქტიკა, რომლებიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას ან ქალისა და კაცის როლის სტერეოტიპულ წარმოდგენებს. მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია მხარდამჭერ სერვისებზე, პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურის შესახებ.

2.5 საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლი პრევენციაში

სტამბოლის კონვენციის მე-17 მუხლი მოუწოდებს სახელმწიფოებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და მათი დამოუკიდებლობის სათანადო დაცვით, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, ჩამოაყალიბონ ძირითადი პრინციპები და თვითრეგულირების სტანდარტები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით.

მედიის როლი საზოგადოების ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი და საგულისხმოა. განსაკუთრებით, როდესაც საკითხი ისეთი მგრძნობიარე თემის გაშუქებას ეხება, როგორიც ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა და ფემიციდია. გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ჟურნალისტებისთვის შეიმუშავა სახელმძღვანელო ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის შემთხვევების ეთიკურად გაშუქების შესახებ.[10] სახელმძღვანელო ამომწურავად ფარავს გენდერული ძალადობის ეთიკურად გაშუქების საკითხს და ჟურნალისტებს მოუწოდებს მაქსიმალურად პროფესიონალურად და ფრთხილად მიუდგნენ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის თემაზე სიუჟეტების მომზადებას, ინფორმაციის გავრცელებას, რეპორტაჟების სწორად დაგეგმვასა და ვიზუალური მასალის გამოყენებას.

დანაშაულის პრევენციის მიმართულებით განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ მნიშვნელოვანია მედია სიფრთხილით მოეკიდოს მსხვერპლი ქალების პირადი ცხოვრების ამსახველი დეტალების, ფოტო-ვიდეო მასალის გასაჯაროებას, სტერეოტიპული და დისკრიმინაციული შეხედულებების გახმოვანებას, შეფასებებსა და დანაშაულის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევას, რომელიც ხშირ შემთხვევაში მსხვერპლი ქალების პირად ცხოვრებას უკავშირდება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ რეპორტაჟი არ შეიცავდეს ძალადობის ამსახველ კადრებს, შემთხვევის ადგილზე

10 Slobodanca D., Media coverage of gender- based violence Handbook, UN Women, 2017 https://eca.unwomen.org/en/digital-library/publications/2017/09/media-coverage-of-gender-based-violence---handbook-and-training-of-trainers. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

აღმოჩენილ სისხლის კვალს ან დანაშაულის ჩადენის ხერხის შესახებ დეტალურ ინფორმაციას (ცეცხლის წაკიდება, ცივი იარაღით თუ ცეცხლსასროლი იარაღით მკვლელობა და ა.შ.). ამ ინფორმაციის დეტალურად გავრცელებამ შესაძლოა გამოიწვიოს ახალი დანაშაულის პროვოცირება და მოძალადეებისთვის ერთგვარ ნეგატიურ მაგალითადაც იქცეს.

ასევე, სახელმძღვანელო ჟურნალისტებს მოუწოდებს აქცენტი გააკეთონ არა ფემიციდის ან ძალადობის კონკრეტულ ფაქტზე, არამედ განაზოგადონ თითოეული შემთხვევა და ზოგადად ისაუბრონ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაზე, სახელმწიფოში არსებულ სერვისებსა და მსხვერპლთა დაცვის პროგრამებზე. ასევე, ჟურნალისტებმა თავი უნდა შეიკავონ ფაქტების შეფასებისა და დასკვნების გამოტანისგან, რამაც შეიძლება მსხვერპლების ან მათი ოჯახის წევრების (განსაკუთრებით არასრულწლოვნების) მეორეული ვიქტიმიზაცია გამოიწვიოს.

აღნიშნულ სახელმძღვანელო მითითებაში ასევე მოცემულია სასამართლოს, სამართალდამცავი ორგანოების-პოლიციის, პროკურატურის პრეს-ცენტრების მნიშვნელოვანი როლი ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით. აღნიშნულია, რომ უწყებები საზოგადოებას პროაქტიულად უნდა აწვდიდნენ ინფორმაციას ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებზე, საკანონმდებლო ცვლილებებსა თუ სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიებზე, ასევე, მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებსა და სერვისებზე. [11]

ასევე, მნიშვნელოვანია გამოქვეყნდეს ძალადობის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. უწყებებმა ყოველწლიურად უნდა გამოაქვეყნონ სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგები, ვინაიდან უწყების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია მედიისთვის არის სანდო წყარო რეპორტაჟების მომზადების პროცესში, ხოლო თუ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე უწევს უწყებას კომენტარის გაკეთება, მიზანშეწონილია საბაზისო ინფორმაცია საზოგადოებას მიეწოდოს პრეს-კონფერენციის ან ბრიფინგის სახით.

11 Slobodanca D., Media coverage of gender- based violence Handbook, UN Women, 2017, 15, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://eca.unwomen.org/en/digital-library/publications/2017/09/media-coverage-of-gender-based-violence---handbook-and-training-of-trainers (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

სახელმძღვანელოში ხაზგასმულია, რომ ინფორმაციის გაშუქების პროცესში, უწყებამ თავი უნდა შეიკავოს ე.წ. ფორმალური ენის გამოყენებისგან, შეეცადოს გაამარტივოს იურიდიული ტერმინოლოგია და ინფორმაცია საზოგადოებისთვის მაქსიმალურად გასაგები ენით გადმოსცეს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მედიის როლს - თუ როგორ შეიძლება ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქებამ პოზიტიური როლი შეასრულოს ძალადობის პრევენციის მიმართულებით. კერძოდ, ჟურნალისტებმა აქცენტები უნდა გააკეთონ მოძალადის დასჯაზე, სასამართლოს მიერ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენებზე, მძიმე სასჯელების შეფარდებასა და სახელმწიფოს მკაცრ პოლიტიკაზე. ასევე, საზოგადოებას მიაწოდონ უწყებებისგან გამოთხოვილი სანდო ინფორმაცია, სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგაც და სიუჟეტში წარადგინონ პროფესიონალების მოსაზრებები ძალადობის გამომწვევი მიზეზების შესახებ.[12]

საინფორმაციო მედიის მიერ სენსიტიური ინფორმაციის გაშუქების პროცესში მედია უნდა მოქმედებდეს ფრთხილად და პროფესიონალურად. მედია არავითარ შემთხვევაში არ უნდა ამართლებდეს მოძალადეს, თუნდაც ირიბად და ადანაშაულებდეს მსხვერპლს. არამედ მაქსიმალურად მომართოს საზოგადოების ყურადღება ქალთა მიმართ ძალადობის თემის სიმწვავესთან დაკავშირებით. მაგალითად, რეპორტაჟის ბოლოს მსხვერპლებს მისცეს რჩევები, თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ ქალები გენდერულ ძალადობას, ხელი შეუწყონ ქალთა ცნობიერების ამაღლებას, რათა მსხვერპლმა ქალებმა ხმა ამოიღონ და დაარღვიონ დუმილი. კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მედიამ მაქსიმალურად შეიკავოს თავი გენდერული და მავნე სტერეოტიპების გავრცელებისგან.[13]

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ USAID-თანერთობლივი თანამშრომლობით შეიმუშავა ეთიკურად გაშუქების სახელმძღვანელო მედიისთვის, რომელიც გენდერული საკითხების გაშუქებას ეხმიანება. კერძოდ, აღნიშნულია, რომ მედიამ არათუ ხელი არ უნდა შეუწყოს გენდერული სტერეოტიპების გამყარებას, არამედ პირიქით - ებრძოლოს მას.

12 იქვე.

13 Femicide and the Media: Do reporting practices normalize gender-based violence https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Issues/Women/SR/Femicide/2020/Academic/lady-smith-university-of-california.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

ფემიციდი ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი ფორმაა. ეს არის ქალების მკვლელობა გენდერული ნიშნით. მოძალადეთა უმეტესობა ყოფილი ან ახლანდელი პარტნიორია. ფემიციდის გაშუქებისას ისე, როგორც ძალადობის სხვა ფორმებზე ყურადღების გამახვილებისას, მედიამ არ უნდა დაიწყოს იმის გარკვევა, რა დააშავა ქალმა და რატომ მოკლეს ის. მნიშვნელოვანია არა მიზეზი, არამედ მკვლელობის ფაქტი. აუცილებელია მედიამ გააშუქოს ფემიციდის გამოძიებისა და სასამართლო პროცესის საბოლოო შედეგი. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, როგორ ისჯება დამნაშავე და რამდენად ეფექტიანად მუშაობს ხელისუფლება ამ მიმართულებით.[14]

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ შემუშავდა ფემიციდის გაშუქების საერთო სტანდარტისა და მისი განხორციელებისთვის საჭირო რეკომენდაციების შემცველი მემორანდუმი.[15] დოკუმენტზე ხელმომწერი მედია ორგანიზაციები და ჟურნალისტები შეთანხმდნენ ფემიციდის ეთიკურად გაშუქების სტანდარტებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილი, მედიას შეუძლია, დაეხმაროს ძალადობის მსხვერპლ ქალებს, იმ შემთხვევაში თუ საჯაროდ გაავრცელებს ინფორმაციას ქვეყანაში არსებული მსხვერპლთა მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული საინფორმაციო კამპანიების შესახებ ინფორმაცია საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე პროაქტიულად ქვეყნდება. საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე, სოციალური ქსელის ფეისბუქ გვერდსა და სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოების საიტებზე გამოქვეყნებულია 250-მდე პრეს-რელიზი.

ფემიციდის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობაში ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელებისა და ქალთა მიმართ

14 ეთიკურად გაშუქების სახელმძღვანელო მედიისთვის, ნაწილი 2, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, USAID, 2017-2018, 49. ხელმისაწვდომია: https://www.qartia.ge/media/1000907/2018/10/04/5e801eab8513724adbb571134ba35c4b.pdf. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

15 საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ფემიციდის გაშუქება- მემორანდუმი, 2023, 4. ხელმისაწვდომია: https://docs.google.com/document/d/1c4JTCPv3lp0PmakO8bQotPo-NV0mzPsn/edit. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

გენდერული ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და ფემიციდის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროკურატურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ათამდე სატელევიზიო გადაცემასა და ფემიციდის თემაზე მომზადებულ რეპორტაჟში. ინფორმაცია გავრცელდა ასევე სხვადასხვა რადიო სადგურის მეშვეობითაც.

კამპანიის ფარგლებში მომზადდა 10-მდე ვიდეო რგოლი, სადაც მონაწილეობა მიიღეს პროკურორებმა და საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა - მსახიობებმა, მხატვრებმა, სპორტსმენებმა, ჟურნალისტებმა, ექიმებმა. ვიდეოკლიპებში გახმოვანდა ფემიციდის წინააღმდეგ კამპანიის მთავარი სლოგანები, რომლებიც ერთი მხრივ, საზოგადოებას და მსხვერპლებს მოუწოდებს განაცხადონ ძალადობის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, მოძალადეებს აფრთხილებს, რომ ძალადობა დანაშაულია და სახელმწიფოს მიერ მკაცრად ისჯება. საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებისათვის, საქართველოს მასშტაბით, თბილისსა და რეგიონებში განთავსდა 40-მდე სარეკლამო ბანერი და ვიდეომონიტორი.

3. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის (GREVIO) შეფასება და რეკომენდაციები საქართველოში განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ

ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი (GREVIO) ადამიანის უფლებათა მონიტორინგის დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც მონიტორინგს უწევს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) იმპლემენტაციას. გრევიო შედგება 15 დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექსპერტისგან. 2022 წლის 22 ნოემბერს GREVIO-მ საქართველოს შესახებ საბაზისო შეფასების ანგარიში გამოაქვეყნა.[16]

16 GREVIO's (Baseline) Evaluation Report on legislative and other measures giving effect to the provisions of the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence (Istanbul Convention) GEORGIA, Council of Europe, Published on 22 November 2022, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://rm.coe.int/grevio-report-on-georgia-2022/1680a917aa 25-32, (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

პრევენციული მექანიზმის შეფასებისას GREVIO-მ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობამ დასაფასებელი ძალისხმევა გასწია ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, განსაკუთრებით სხვადასხვა კამპანიების წამოწყებით. ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა სახელმწიფოს ძალისხმევა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიმართულებით.

GREVIO კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ პროკურატურა კამპანიას შეუერთდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამთავრობო კამპანიას და ყოველწლიურად, ორგანიზება გაუწია 24 საინფორმაციო შეხვედრას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ. შეხვედრები გაიმართა სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან, საჯარო მოხელეებთან და ადგილობრივ თემთან. შეხვედრების მიზანი იყო ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების შესახებ ცნობიერების ამაღლება. გარდა ამისა, პროკურატურა ახორციელებს საინფორმაციო კამპანიებს საქართველოს თითოეულ რეგიონში დანაშაულების პრევენციის მიზნით. მაგალითად, 2018 წელს ჩატარდა 706 შეხვედრა, საიდანაც 241 შეეხებოდა ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობას. 2019 წელს კი ორგანიზება გაუწია 64 საინფორმაციო შეხვედრას.[17]

მიუხედავად, არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმისა, GREVIO საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, გააძლიეროს ძალისხმევა სტამბოლის კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ყველა ფორმის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების ჩასატარებლად, რაც გულისხმობს ქალებისა და გოგოების ყველა ჯგუფისთვის, განსაკუთრებით, ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებსა და შშმ ქალებზე მორგებული ინფორმაციისა და ინიციატივების შემუშავებას.

საქართველომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ფორმის ძალადობის გამომწვევი

17 GREVIO-ს (საბაზისო) შეფასების ანგარიში იმ საკანონმდებლო და სხვა ზომების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) დებულებების ამოქმედებას, საქართველო, 22.11.2022, 30.

მიზეზების, გამოვლინებებისა და შედეგების შესახებ სპეციალისტების მომზადებასა და მათი ცნობიერების ასამაღლებლად.

სპეციალისტების პროფესიულ მომზადებასთან დაკავშირებით, GREVIO-მ დადებითად შეაფასა საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, მათ შორის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ტრენინგ მოდულები, რომლებიც შემუშავებულია პროკურატურის, პოლიციის აკადემიისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ. თუმცა, GREVIO-ს შეფასებით, კვლავ რჩება დამატებითი სივრცე ყველა შესაბამისი პროფესიონალის შესაძლებლობების კონსოლიდაციისთვის და გაფართოებისთვის, რათა მათ უზრუნველყონ ეფექტიანი და ქალთა მიმართ ძალადობის თითოეულ შემთხვევაზე მორგებული რეაგირება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროპის საბჭოს HELP-ის სასწავლო კურსები ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, რომლებიც საქართველოს პროკურატურაში აქტიურად ხორციელდება. 2018 წლიდან საქართველოში ოჯახში ძალადობის საქმეებზე მხოლოდ სპეციალიზებული პროკურორები და გამომძიებლები მუშაობენ. პროკურორები გადიან სპეციალურ სწავლებას, რომელიც მოიცავს დაზარალებულებთან, მოწმეებთან და მოძალადეებთან მუშაობის ფსიქო ემოციურ ასპექტებს, ასევე ოჯახში ძალადობის შესახებ არსებულ შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩოს.

GREVIO ასევე აღნიშნავს, რომ პროკურატურაში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა გაიარეს სპეციალიზაციის კურსი ოჯახში ძალადობის შესახებ. სასწავლო პროგრამები შეეხებოდა ისეთ თემებს, როგორიცაა: ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ასპექტისა და ტენდენციის ანალიზი, მტკიცებულების მოპოვება და შეფასება, საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა, გენდერის ნიშნით დისკრიმინაცია, დაზარალებულის გამოკითხვა და მასთან კომუნიკაცია, ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან, მოწმეებსა და მოძალადეებთან მუშაობის ფსიქო ემოციური ასპექტები.[18]

18 GREVIO-ს (საბაზისო) შეფასების ანგარიში იმ საკანონმდებლო და სხვა ზომების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) დებულებების ამოქმედებას, საქართველო, 22.11.2022, 34.

GREVIO საქართველოს ხელისუფლებას მტკიცედ მოუწოდებს, უზრუნველყოს სისტემატური და სავალდებულო საწყისი მომზადება და პროფესიული გადამზადება სტამბოლის კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და გამოვლენის, ქალებისა და კაცების თანასწორობის, მსხვერპლთა საჭიროებებისა და უფლებების, უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციის შესახებ სპეციალისტთა ყველა ჯგუფისთვის, განსაკუთრებით, სამართალდამცავი ორგანოების, ჯანდაცვის სექტორის თანამშრომლებისა და სოციალური მუშაკებისთვის.

4. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის შედეგები

ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზანი საზოგადოებაში ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრების ხელშეწყობა და პრევენციის მექანიზმების გაუმჯობესებაა. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით საქართველოში ორჯერ ჩატარდა ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა. პირველი კვლევა ჩატარდა 2017 წელს, ხოლო მეორე კვლევა 2022 წელს.

კვლევამ შეისწავლა, თუ როგორია ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმის გავრცელება, რამდენად ფლობენ ქალები ინფორმაციას ძალადობის მსხვერპლებისთვის არსებული სერვისების შესახებ და სარგებლობენ თუ არა ამ სერვისებით, როგორია საზოგადოების დამოკიდებულება ქალთა მიმართ ძალადობასთან, მის მიზეზებთან, შედეგებსა და აღკვეთის გზებთან დაკავშირებით.

საზოგადოებაში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტების მიმღებლობის მაჩვენებელთან მიმართებით ხელშესახები პროგრესი დაფიქსირდა. კერძოდ, 2017 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ქალების 22% და კაცების 31% გარკვეულ შემთხვევებში ამართლებდა ქალის ცემას. 2022 წლის კვლევის შედეგებით კი ქალების მხოლოდ 1.8 %, ხოლო კაცების 3.8% ამართლებს მეუღლის მხრიდან

ქალთა მიმართ ძალადობას,[19] რაც ბოლო 5 წლის მანძილზე ჩატარებული პრევენციული ღონისძიებების, საინფორმაციო კამპანიებისა და საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების შედეგია.

2022 წლის კვლევა ასევე მიუთითებს, რომ ქალებსა და კაცებში მაღალია პირად ურთიერთობებში ქალთა მიმართ ძალადობის მიმღებლობა, მათ აქვთ არასწორი შეხედულებები გენდერსა და ურთიერთობებზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ ძალიან ცოტა ქალსა და კაცს მიაჩნია, რომ არსებობს ცოლის ცემის გამამართლებელი მიზეზები, რაც განსხვავებულია 2017 წლის ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის შედეგებისგან. ეს შედეგი ასახავს ფართო სოციალურ-კულტურულ ცვლილებას ქორწინებაში მეუღლის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის მიმღებლობასთან დაკავშირებით.[20]

4.1 საქართველოს პროკურატურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები

ფემიციდის წინააღმდეგ საქართველოს პროკურატურის კამპანიის მნიშვნელოვანი მიმართულება, სოციოლოგიური და დამოკიდებულებების თაობაზე კვლევების განხორციელებაა. კამპანიის ფარგლებში, ანონიმური კითხვარის საფუძველზე, საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდა ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების კვლევა. გაანალიზდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე საზოგადოების მხრიდან სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის მზაობის საკითხი.

შეფასდა თუ რა ფაქტორებს მიიჩნევს მოსახლეობა აღნიშნული კატეგორიის დანაშაულების გამომწვევ მთავარ მიზეზად და რამდენად განიხილავს მსხვერპლის ქცევას ძალადობის განმაპირობებელ საფუძვლად. შეფასდა საზოგადოების ხედვა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულების პრევენციისათვის სახელმწიფოს მხრიდან განსახორციელებელი აქტივობების შესახებ.

19 ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა საქართველოში, 2022, 205, ხელმისაწვდომია: https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2023/12/kalta-mimart-dzaladobis-erovnuli-kvleva-sakartveloshi-2022 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

20 იქვე, 217.

ანონიმურ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 2 303 მოქალაქემ, ამათგან 1665 ქალია, ხოლო 638 კაცი. გამოკითხული მოსახლეობის 19%-მა აღნიშნა, რომ ყოფილა ოჯახში ძალადობის შემსწრე, ხოლო სამართალდამცავ უწყებებს დანაშაულის შესახებ შეატყობინა მხოლოდ 102-მა მოქალაქემ, რაც ოჯახში ძალადობის ფაქტის შემსწრეთა 23.5%-ს შეადგენს. გამოკითხული პირების 24%-მა აღნიშნა, რომ ყოფილა ქალთა მიმართ ძალადობის შემსწრე და განსხვავებით ოჯახში ძალადობისგან, ამ შემთხვევაში სამართალდამცავ უწყებებს დანაშაულის შესახებ შეატყობინა 243-მა მოქალაქემ, რაც ქალთა მიმართ ძალადობის შემსწრეთა 44%-ს შეადგენს.

მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოიკვეთა დანაშაულის სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინების ავტორების სქესის კატეგორიაში. ოჯახში ძალადობის ფაქტის სამართალდამცავი უწყებებისთვის შეტყობინების ავტორი მოქალაქეების 78% ქალია და 22% კაცი, ხოლო ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში - 72% ქალია და 28% კაცი.

მოსახლეობის დამოკიდებულებებისა და ინფორმირების კვლევის ნაწილში, ასევე მნიშვნელოვანია, გამოკითხულთა შეფასებით ვინ არის მოძალადე. კვლევაში მონაწილე მოქალაქეების 70.2%-ის აზრით, ოჯახურ დანაშაულს და ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას, უმეტეს შემთხვევაში, ქმარი ან ყოფილი ქმარი ჩადის, 1.5%-ის მოსაზრებით კი - ცოლი ან ყოფილი ცოლი. გამოკითხულთა 28.3%-ში მოსაზრებები დანაშაულის სავარაუდო ჩამდენის მიმართ მრავალგვარია, კერძოდ: ქმარი, ყოფილი ქმარი, ცოლი, ყოფილი ცოლი, შვილი, პაპა, ბებია, სხვა პირი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთო ჯამში, გამოკითხული მოქალაქეების 83% მიიჩნევს, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობას სჩადის ქმარი, რომელიც გამოკითხვის შედეგებით სოციალური კავშირების სხვადასხვა კომბინაციებშია იდენტიფიცირებული.

საინტერესო მიმართულებაა მოსახლეობის ტოლერანტობის დონის შეფასება ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიმართ. გამოკითხული პირების 51%-მა განმარტა, რომ მსხვერპლის ქცევა ძალადობის განმაპირობებელი საფუძველი არ შეიძლება იყოს, 42%-ის მოსაზრებით, მსხვერპლის ქცევამ შესაძლოა ნაწილობრივ გამოიწვიოს ძალადობა, ხოლო 7%-ის განმარტებით ძალადობის პროვოცირებას სწორედ მსხვერპლი ახდენს.

გამოკითხული მოსახლეობის მიერ, ძალადობის გამომწვევ მთავარ მიზეზებად, უმეტესად დასახელდა შემდეგი ფაქტორები: მოძალადის დამოკიდებულება ალკოჰოლსა და ნარკოტიკზე, მოძალადის ფსიქოლოგიური პრობლემები, ოჯახური პრობლემები და ეკონომიკური სიდუხჭირე.

სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაზე გამოკითხულთა 89%-მა თანხმობა განაცხადა და მზაობა გამოხატა ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის ფაქტის შესწრების შემთხვევაში, დანაშაულის სამართალდამცავი უწყებებისთვის შეტყობინებაზე. საინტერესო მიგნებაა, რომ სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის სურვილი, უმეტესად, ქალებში გამოიკვეთა (75%).

5. დასკვნა

ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა და ფემიციდი თანამედროვე საზოგადოების გამოწვევად იქცა. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად საჭიროა კომპლექსური მიდგომა, რათა შესაძლებელი გახდეს დანაშაულის თავიდან აცილება, შემცირება და დანაშაულზე ეფექტიანი რეაგირება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის გრძელვადიანი პრევენციის სამოქმედო გეგმის ეფექტიანობის გაზრდა, არსებული მექანიზმის კრიტიკულად შეფასება და ფემიციდის, როგორც გენდერული ძალადობის უკიდურესი გამოვლინების გამომწვევი მიზეზებისა და აღმოფხვრის მიზნით ახალი, საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული მექანიზმების დანერგვა.

ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის, ფემიციდის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზმა და აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებზე 10 წლიანმა დაკვირვებამ, კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი ასპექტების შესწავლამ, ცხადად გამოკვეთა, რომ მხოლოდ სახელმწიფოს ძალისხმევა საკმარისი არ არის, ძალადობის პრევენციაში ყველაზე დიდი როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას, მაღალი სამართლებრივი შეგნებითა და პასუხისმგებლობით მოქმედებას, ძალადობის პირველივე შემთხვევის შესახებ სამართალდამცავ ორგანოში გაცხადებას, დანაშაულზე ეფექტიან რეაგირებასა და

მსხვერპლზე ორიენტირებული გენდერულად სენსიტიური მართლმსაჯულების განხორციელებას ეთმობა.

საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები მიმართულია ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, განსაკუთრებით კი ფემიციდის შემთხვევების ეფექტიანი მართვისკენ.

ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის პრევენციის გრძელვადიანი მიზანი ფემიციდის, ზოგადად ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაა, ხოლო საბოლოო მიზანი ქალთა მიმართ გენდერული დანაშაულების მინიმუმამდე შემცირება და ძალადობის ფაქტების აღმოფხვრაა.

3

ქრისტინე მორგოშია

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსი პროკურორი, სამართლის მაგისტრი.

ქალთა მკვლელობის გენდერული ბუნება და კრიმინოლოგიური ასპექტები

1. შესავალი

გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობები, ქალთა მიმართ ძალადობის არსებული ფორმების უკიდურეს გამოვლინებას წარმოადგენს. მსგავსი მკვლელობები არ განეკუთვნება იზოლირებულად აღმოცენებულ ინციდენტებს, არამედ ქალთა მიმართ უწყვეტი ძალადობის საბოლოო შედეგია. განგრძობით ძალადობას დაქვემდებარებული ქალები განიცდიან გენდერულ დისკრიმინაციასა და მუქარას, მუდმივად იმყოფებიან სიკვდილით დასჯის შიშის ქვეშ და ე. წ. „სიკვდილმისჯილებს“ წარმოადგენენ.[1]

ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობებმა, ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება 2014 წელს მიიპყრო. საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით, 2014 წელს დაფიქსირდა 33 ქალის მკვლელობა,[2] რომელიც ბოლო წლებში, ქალთა მკვლელობების ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს და გარდამტეხი ეტაპი აღმოჩნდა ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფოს მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის მიმართულებით.

1 Manjoo R., Report of the Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences, A/HRC/20/16.

2 ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phphQafZN.pdf, 2 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებების და პროკურატურის მიერ გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ოჯახური და გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლთა მომართვიანობის, აღნიშნული დანაშაულების გამოვლენისა და მასზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი.

ბოლო წლებში, ოჯახურ დანაშაულსა და ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი ფაქტობრივად გაორმაგდა.

2023 წელს ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5286 პირის მიმართ. რაც შეეხება წლების მიხედვით დინამიკას: 2014 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო – 550, 2015 წელს – 1066, 2016 წელს – 1356, 2017 წელს – 1986, 2018 წელს – 3955, 2019 წელს – 4579, 2020 წელს - 4633, 2021 წელს - 5144 და 2022 წელს - 5325 პირის მიმართ.[3]

2023 წელს გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1169 პირის მიმართ, მათ შორის, გენდერისა და დისკრიმინაციის სხვა ნიშნების ერთობლიობით: სექსუალური ორიენტაცია, რელიგია, ეროვნული კუთვნილება, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა - სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ.[4] 2022-2023 წლების გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი - 2238 პირის მიმართ, 86,6%-ით აღემატება 2016-2021 წლების ჯამურ მონაცემს - 1199 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას.[5]

2023 წელს გენდერისა და დისკრიმინაციის სხვა ნიშნების (სექსუალური ორიენტაციის, რელიგიის, ეროვნების, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის) ერთობლიობით, დაზარალებულად ცნობილია 1177 პირი, მათგან 1164 ქალი, 1 ტრანსგენდერი ქალი და 12 კაცი.

3 ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpuP9BJo.pdf, 76,

4 იქვე, 82, (ბოლოს ნანახია: 07.10.2024).

5 ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpd6JJYl.pdf, 28, (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენა გამოიკვეთა:

2016 წელს - 3 ბრალდებულის მიმართ, 2017 წელს - 25 ბრალდებულის მიმართ, 2018 წელს - 111 ბრალდებულის მიმართ, 2019 წელს - 120 ბრალდებულის მიმართ, 2020 წელს - 208 ბრალდებულის მიმართ, 2021 წელს - 732 ბრალდებულის მიმართ, 2022 წელს - 1069 ბრალდებულის მიმართ.[6]

2023 წელს კი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

მიუხედავად გატარებული რეფორმებისა და მნიშვნელოვანი ღონისძიებებისგან მიღებული პოზიტიური შედეგებისა, რაც გამოიხატა სამართალდამცავი ორგანოებისთვის ყოველწლიურ მზარდ მომართვიანობაში, სამწუხაროდ, ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების - ფემიციდის შემთხვევების მკვეთრი შემცირება არ მომხდარა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე სტატიის მიზანს, ფემიციდის შემთხვევების პრევენციის მიმართულებით, ქალთა მკვლელობების გენდერული ბუნებისა და კრიმინოლოგიური ასპექტების ანალიზი წარმოადგენს.

2. ქალთა მკვლელობების გენდერული ბუნება

ქალის მიმართ ძალადობა ქმედებების ფართო სპექტრს მოიცავს, სიტყვიერი შევიწროებით და ემოციური ძალადობის სხვა ფორმებით დაწყებული, ყოველდღიური ფიზიკური ან სექსუალური ძალადობით დასრულებული. აღნიშნული ქმედებები, საბოლოოდ, ქალთა მკვლელობით, ანუ ფემიციდით სრულდება. ფემიციდის მსხვერპლი ქალების 70% სიკვდილამდე დაქვემდებარებული იყო მათი მკვლელი პარტნიორების მხრიდან ფიზიკურ ძალადობას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მსხვერპლის მიმართ ძალადობა არის ფემიციდის პირველი ინდიკატორი.[7]

6 ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpe0skz4.pdf, 86-87 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

7 კურტანიძე მ., აბრამიშვილი ნ., პატარაია ბ., ფემიციდი - დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება, თბილისი, 2016, 8.

ფემიციდი არის მკვლელობა, რომლის მსხვერპლი არის ქალი და რომელიც ხდება ქალის გენდერთან დაკავშირებული მიზეზით. ფემიციდი არის გენდერული დანაშაული, რომელიც სტრუქტურული უთანასწორობის, დაქვემდებარებულობისა და ქალთა მიმართ ძალადობის ზოგადი კონტექსტის ნაწილია.[8]

ტერმინი „ფემიციდი", გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, დაამკვიდრა დიანა რასელმა[9] 1970-იანი წლების ფემინისტური ბრძოლის დროს. რასელის განმარტებით, ფემიციდი არის ქალის სექსისტური მკვლელობის ყველა ფორმა, რომელიც „მოტივირებულია ქალზე უფლებების ქონის სურვილით ან მასთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, სიამოვნების მიღების ან სადისტური სურვილებით, ანდა ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით".[10]

1992 წლამდე ტერმინი ფემიციდი გამოიყენებოდა ჟურნალისტებისა და საზოგადოების სამეტყველო ლექსიკაში, ქალთა მკვლელობების აღსანიშნად. ამავე წელს, დიანა რასელმა და ჯილ რედფორდმა[11] შემოგვთავაზეს კონცეფციის ლეგალური და სოციალური კონტექსტი, წიგნში - „ფემიციდი: ქალთა მკვლელობის პოლიტიკა" - კერძოდ, კაცების მხრიდან ქალთა მკვლელობა, ქალად ყოფნის გამო. რასელმა და რედფორდმა კონცეფციის შემუშავებისას იხელმძღვანელეს გენდერული ხედვით, რაც გულისხმობდა კაცის მხრიდან ქალის მოკვდინების შემთხვევებში გენდერული მოტივების დანახვას და მოიცავდა ქალთა ცხოვრების, მათი სხეულებისა ანდა სექსუალობის კონტროლის მცდელობებს კაცების მხრიდან, ანდა ქალების დასჯას აღნიშნული მოთხოვნების დაუმორჩილებლობის

8 დეკანოსიძე თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2016, 5.

9 დიანა რასელი იყო მსოფლიოში ერთ-ერთი პიონერი და უპირველესი ექსპერტი სექსუალური ძალადობისა და ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ ძალადობის საკითხებში. 40 წლის განმავლობაში იგი სიღრმისეულად იკვლევდა აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებს. არის ავტორი, თანაავტორი, რედაქტორი ან/და თანარედაქტორი 17 წიგნის და მრავალი სტატიისა, რომელთაგან ბევრი ავტორიტეტულ წყაროს წარმოადგენს გაუპატიურების, ინცესტის, ფემიციდისა და მიზეზობრივი კავშირის დადგენაში პორნოგრაფიული მასალასა და სექსუალურ ძალადობას შორის; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.dianarussell.com/index.html (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

10 აბაშიძე ა., არგანაშვილი ა., გოჩიაშვილი ნ., ნაცვლიშვილი ა., დეკანოსიძე თ., გენდერი და სამართალი, საქართველოს კანონმდებლობის გენდერული ანალიზი, თბილისი, 2016, 71.

11 ფემინისტი და აქტივისტი, მკვლევარი, თანაავტორი წიგნისა: „ფემიციდი: ქალთა მკვლელობის პოლიტიკა"; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.dianarussell.com/f/femicde%28small%29.pdf , 200, (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

შემთხვევებში.[12] სიტყვა „ქალი“ (female) შეგნებულად იქნა გამოყენებული და მოიცავდა პატარა გოგონებსა და ზრდასრულ ქალებს. რაშიდა მანჯუმ, გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, დამატებით შეიმუშავა ფემიციდის შემდეგი განმარტება - „გენდერულად მოტივირებული ქალთა მკვლელობები“, რათა ხაზგასმით აღენიშნა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის მრავალი ფორმისგან განსხვავებული „ფემიციდის“ კონტექსტი. განმარტება არის ინკლუზიური და მოიცავს ფემიციდის გამოვლინების განუსაზღვრელ შემთხვევებს, რათა თვალსაჩინოდ წარმოაჩინოს ფენომენის მასშტაბი და გლობალური აქტუალობა მთელ მსოფლიოში. ფემიციდის ფორმები მნიშვნელოვნად იცვლება დროსა და გეოგრაფიული კოორდინატების გათვალისწინებით, თუმცა მჭიდროდ დაკავშირებულია დომინანტურ, სოციალურად აგებულ გენდერულ კონტექსტთან.[13]

შემდგომში, მარსელა ლაგარდმა[14] განავრცო ფემიციდის რასელისა და რედფორდისეული დეფინიცია და შეიმუშავა „ფემინიციდი“ (ესპ. Feminicidio), განსხვავებით „ფემიციდისგან“ (ესპ. Femicidio, რაც ლიტერატურული თარგმანი იქნებოდა). ლაგარდის პოზიციით, ფემიციდი შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც ქალების სიკვდილი მიზეზის დაკონკრეტების გარეშე, მაშინ, როდესაც ფემინიციდი უკეთესად ასახავს გენდერულ მოტივებსა და სოციალურ კონსტრუქციას სიკვდილის უკან, ისევე როგორც მის გარშემო არსებული დაუსჯელობის სინდრომს.[15]

ამრიგად, ლაგარდისთვის ფემინიციდი სახელმწიფო დანაშაულია. საუბრობს „კანონის უზენაესობის შესუსტებაზე, რომელიც ხელს უწყობს დაუსჯელობას“. კონცეფცია მიემართება ფაქტების სრულ კომპლექსს, რომელიც ახასიათებს გოგონებისა და ქალების მიმართ ჩადენილ

12 Committee of Experts of the Follow-up Mechanism to the Belém do Pará Convention (MESECVI), Organization of American States, Inter-American Commission of Women, Declaration on Femicide, 3.

13 Andrada F., Platzer M. and the ACUNS Vienna Femicide Team: Femicide, Targeting of women in conflict, A global issue that demands action, 2015, 130.

14 ლაგარდი მოიაზრება, რომ იყო პირველი ადამიანი, ვინც ლათინური ამერიკის აუდიტორიას გააცნო "ფემიციდის" კონცეფცია. იგი იყო მექსიკელი აკადემიკოსი, ლექტორი, ფემინისტი აქტივისტი, მკვლევარი, ანთროპოლოგი და პოლიტიკოსი; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://en.wikipedia.org/wiki/Marcela_Lagarde (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

15 Committee of Experts of the Follow-up Mechanism to the Belém do Pará Convention (MESECVI), Organization of American States, Inter-American Comission of Women, Declaration on Femicide, 3.

დანაშაულებს და მათ გაუჩინარებას იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფოს რეაგირება მხოლოდ უმოქმედობაში, ინერციაში, დუმილსა და წარუმატებლობაში გამოიხატა აღნიშნული დანაშაულების პრევენციისა და აღმოფხვრის მიმართულებით.[16] საერთაშორისო სფეროში, ორივე ტერმინი „ფემიციდი“ და „ფემინიციდი“ გამოიყენება თანაბარმნიშვნელოვნად, ერთი და იგივე პრობლემის სახელდების მიზნებისთვის.[17]

ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში, ასეთი მკვლელობები აღწერილია, როგორც „ვნების დანაშაული.“ სამხრეთ აზიაში ტერმინი ფემიციდი აერთიანებს რეგიონში არსებულ კულტურულ და რელიგიურ პრაქტიკებს, როგორებიცაა ჩვილი გოგონების მკვლელობა, მოზარდი გოგონების სიკვდილიანობა და მზითვებთან დაკავშირებული მკვლელობები. ახლო აღმოსავლეთში ე.წ. „ღირსების სახელით“ ჩადენილი მკვლელობები იშვიათად არის მოაზრებული ფემიციდის შემთხვევებად, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ხაზგასმით საუბრობს ასეთი ქმედების ფემიციდურ ბუნებაზე და დაუსჯელობის სინდრომზე, რომელიც თან ახლავს მსგავს დანაშაულებს.

კრიტიკული შედარებისთვის, მნიშვნელოვანია ფემიციდის განმარტება დასავლეთში, როგორც „ვნების დანაშაული“ და გამომდინარეობს ინდივიდუალური ძალადობრივი ქცევიდან. ხოლო აღმოსავლეთში დაკავშირებულია კულტურული და რელიგიური პრაქტიკებისა და რწმენის შედეგად წარმოქმნილ „ღირსების სახელით ჩადენილ დანაშაულთან“. ეს დიქოტომია ავლენს კონსტრუქციის გამარტივებულ, დისკრიმინაციულ და ხშირად სტერეოტიპულ ხასიათს. აღნიშნულით მოცულია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და გენდერული ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება, რომელსაც ყველა ქალი აწყდება მთელ მსოფლიოში.[18]

ქალის მიმართ დისკრიმინაციას საერთაშორისო დონეზე ყურადღება განსაკუთრებით 1979 წელს დაეთმო, როდესაც გაეროს წევრმა ქვეყნებმა მიღეს კონვენცია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა

16 ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი ლათინურ ამერიკაში, Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide), ISBN 978-9962-5559-0-2, 13.

17 Committee of Experts of the Follow-up Mechanism to the Belém do Pará Convention (MESECVI), Organization of American States, Inter-American Comission onf Women, Declaration on Femicide, 4.

18 Manjoo R., Report of the Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences, A/HRC/20/16, 6.

ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი, თანასწორი ღირსებითა და უფლებებით და რომ თითოეული ადამიანი სარგებლობს მასში აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით ყოველგვარი განსხვავების გარეშე, მათ შორის, განურჩევლად სქესისა. ასევე, შეშფოთება გამოთქვეს, რომ ქალთა მიმართ მზარდი დისკრიმინაცია კვლავაც არსებობს.

კონვენციის თანახმად, „ქალთა მიმართ დისკრიმინაცია“ ნიშნავს სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, ჩამოშორებას ან შეზღუდვას, რომელიც მიმართულია ან რომლის მიზანია ქალის მიერ, მისი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, კაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების, სარგებლობის ან გამოყენების შესაძლებლობის შესუსტება ან სრული უარყოფა.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW) აცხადებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა წარმოადგენს გენდერული დისკრიმინაციის ფორმას და არის „ერთ-ერთი ფუნდამენტური სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზი, რის გამოც ქალებს დაქვემდებარებული პოზიცია უკავიათ კაცებთან შედარებით, ასევე მყარდება მათი სტერეოტიპული როლები“[19] და „...ძალადობა მრავალ ფორმას იღებს, მაგალითად როგორიცაა ქმედებები ან უმოქმედობები, რომლებიც იწვევს ან მიზნად ისახავს გამოიწვიოს სიკვდილი“.[20] ასევე, კომიტეტი ქალების გენდერული ნიშნით მკვლელობებსა და მკვლელობის მცდელობებს მიიჩნევს „ფემიციდად“ ან „ფემინიციდად“[21] და მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდებს, კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელებისკენ, რათა ოჯახის წევრი ქალების მკვლელობა არ იქნეს გამართლებული ე.წ. „ღირსების დაცვის სახელით.“[22]

19 Committee on the Elimination of all Forms of Discrimination Against Women (CEDAW), General Recommendation N35, §10.

20 იქვე, §. 14.

21 Committee on the Elimination of all Forms of Discrimination Against Women (CEDAW), General Recommendation N35, §34.

22 Committee on the Elimination of all Forms of Discrimination Against Women (CEDAW, General Recommendation No .19, §.24 (r, ii).

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის“ თანახმად, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები აღიარებენ, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ისტორიულად ქალებსა და მამაკაცებს შორის ძალთა უთანასწორობის გამოვლენა, რამაც მიგვიყვანა მამაკაცების მხრიდან ქალების მიმართ დისკრიმინაციამდე და მათზე დომინირებამდე და ხელი შეუშალა ქალების სრული თანასწორუფლებიანობის განხორციელებას. აღიარებენ ქალთა მიმართ ძალადობის, როგორც გენდერული ნიშნით განხორციელებული ძალადობის სტრუქტურულ ბუნებას.

„ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით“ გულისხმობს ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია, ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე. „გენდერული“ გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს.

კონვენციის საფუძველზე, ხელშემკვრელმა მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება ე.წ. „ღირსების საკითხს“ და მავნე პრაქტიკების აღმოფხვრას დაუთმეს, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის აღკვეთის მიმართულებით. კონვენციის თანახმად, მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ნებისმიერი აქტის ჩადენასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის პროცესის დროს კულტურა, ადათ-წესები, რელიგია, ტრადიციები ან ეგრეთ წოდებული „ღირსების საკითხი“ არ ჩაითვალოს ასეთი აქტების გასამართლებელ მიზეზად. აქ იგულისხმება, კერძოდ, ისეთი განცხადებები, რომ მსხვერპლმა დაარღვია შესაბამისი ქცევის კულტურული, რელიგიური, სოციალური ან ტრადიციული ნორმები ან ადათ-წესები.

საერთაშორისო დონეზე, გაეროს ფარგლებში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართულ შეთანხმებებს/დოკუმენტებს შორის მნიშვნელოვანია, ასევე, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია. იგი ქალთა მიმართ ძალადობას განმარტავს,

როგორც გენდერზე დაფუძნებულ ნებისმიერ ძალადობრივ ქმედებას, რომლის შედეგიც არის ან იქნება ქალისთვის მიყენებული ფიზიკური, სქესობრივი ან ფსიქოლოგიური ზიანი ან ტანჯვა, მათ შორის, ამგვარი ქმედებების მუქარა, იძულება ან თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში.[23]

2013 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოთქვა ღრმა საერთაშორისო შეშფოთება ქალებისა და გოგონების გენდერული ნიშნით მკვლელობის შესახებ და ძალადობის უკიდურესი ფორმის საწინააღმდეგო ზომების გასატარებლად, ამავე წლის 18 დეკემბერს შეიმუშავა N68/191 რეზოლუცია. საერთაშორისო დოკუმენტი აღიარებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ძალადობის აღნიშნული ფორმის აღმოსაფხვრელად გაწეულ ძალისხმევას, მათ შორის, ქვეყნებში, სადაც ფემიციდისა და ფემინიციდის დეფინიცია გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობებით.[24]

ფემიციდის ყველაზე მისაღებ განმარტებას იძლევა ლათინურ-ამერიკული სამოდელო ოქმი, რომლის მიხედვითაც, ფემიციდი არის ქალის მკვლელობა, რომელიც გამოწვეულია ქალის სქესით და მკვლელობის მოტივი ან მიზეზი გენდერული ხასიათი ან ქალის დისკრიმინაციაა.[25]

უფრო კონკრეტულად, სამოდელო ოქმის მიზნებისათვის, ფემიციდი განმარტებულია შემდეგნაირად: ქალის მკვლელობა იმის გამო, რომ იგი ქალია, მიუხედავად იმისა, დანაშაული ჩადენილია ოჯახში, პარტნიორულ ურთიერთობაში თუ ნებისმიერ სხვა პიროვნებათშორის ურთიერთობაში ან საზოგადოების ნებისმიერი წევრის მიერ. ასევე, განურჩევლად იმისა, აღნიშნული ქმედება ისჯება, თუ ყურადღება არ ექცევა სახელმწიფოს მხრიდან.[26]

23 კურტანიძე მ., აბრამიშვილი ნ., პატარაია ბ., ფემიციდი - დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება, 2016, 17.

24 UN Women, UNODC, CEGS, UNODC-INEGI CENTER OF EXELLENCE, Statistical framework for measuring the gender-related killing of women and girls (also referred to as “femicide/feminicide”), 2022, 1.

25 მესხი მ., „ფემიციდი - საკანონმდებლო რეგულირების გამოცდილება და გამოწვევები“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2017, 17.

26 ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი ლათინურ ამერიკაში, Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide), ISBN 978-9962-5559-0-2, 14.

ქალის მკვლელობის ფაქტი, ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ჩადენილია ფემიციდი. ფემიციდი, ქალის სხვა ნიშნით და მიზეზებით ჩადენილი მკვლელობებისგან, ან მამაკაცის მკვლელობისგან შემდეგი ნიშნებით განსხვავდება: მკვლელობა ხდება საზოგადოებაში ქალის დაქვემდებარებული როლის და სოციალურ-კულტურული ნორმების ზეგავლენის შედეგად, რომლებიც აღიარებენ მამაკაცის უპირატესობას, ხოლო ქალის სიცოცხლე ნაკლებ პატივისცემას იმსახურებს. კულტურული ელემენტები უბიძგებს დამნაშავეს, დაიჯეროს, რომ მას აქვს უფლება, გადაწყვეტილება მიიღოს ქალის ქცევის, სხეულისა თუ სიცოცხლის თაობაზე და თუ ეს უკანასკნელი არ დაემორჩილება, დასაჯოს კიდეც. ფემიციდი ინარჩუნებს და განამტკიცებს დაქვემდებარებულობისა და ჩაგვრის სოციალურ და კულტურულ ნორმებს, რაც, ხშირ შემთხვევაში, საშუალებას აძლევს დამნაშავეს, შეაფასოს მკვლელობა, როგორც მისი „მამაკაცური ღირსების“ საქმე.[27]

ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის მთავარი ამოცანაა. წევრი ქვეყნები მიზნად ისახავენ, შექმნან მსოფლიო, სადაც ქალები და გოგონები ისარგებლებენ სრული გენდერული თანასწორობით და მოიხსნება მათი გაძლიერების შემაფერხებელი ყველა სამართლებრივი, სოციალური თუ ეკონომიკური ბარიერი.[28] 2030 წლის დღის წესრიგში აღნიშნულია, რომ „ადამიანური პოტენციალის სრულფასოვანი მიღწევა და მდგრადი განვითარება შეუძლებელია, თუ კაცობრიობის ნახევარი გააგრძელებს ადამიანის სრული უფლებებისა და შესაძლებლობების უარყოფას“.[29]

3. ფემიციდის ფორმები და კატეგორიები

ფემიციდის დეფინიცია და ფორმები განსხვავდება ქვეყნებისა და კონტინენტების მიხედვით. შესაბამისად, განსხვავებულია ფემიციდის კვლევის მეთოდებიც. ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების,

27 დეკანოსიძე თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2016, 10-11

28 United Nations, “Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development”, §8 (A/RES/70/1).

29 იქვე, §10.

როგორც ფემიციდის პირველადი განმარტება პოლიტიკური კონტექსტის მატარებელი იყო და მიზნად ქალთა მიმართ ძალადობის წამახალისებელი სოციალური მოდელის შეცვლას ისახავდა. აღნიშნულისგან განსხვავებით, გასული ორმოცდაათი წლის მონაცემებით, შემუშავდა ფემიციდის კვლევის სხვადასხვა მიდგომები:

- ფემინისტური მიდგომა უპირისპირდება პატრიარქატის ბატონობას და შეისწავლის ქალების მკვლელობის ფენომენს;
- სოციოლოგიური მიდგომა ფოკუსირებულია ქალთა მკვლელობის სპეციფიკური მახასიათებლების გამოკვლევაზე, რომლებიც თავის მხრივ, დანაშაულს ფენომენად აქცევს;
- კრიმინოლოგიური მიდგომა ფემიციდს „მკვლელობების“ დამოუკიდებელ კატეგორიად და კვლევის განსაკუთრებულ მიმართულებად განიხილავს;
- ადამიანის უფლებათა მიდგომა ფემიციდს მოკვდინების მიღმა განიხილავს და ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურეს ფორმად აღიარებს;

დეკოლონიური მიდგომა ფემიციდს კოლონიური ბატონობის კონტექსტში იკვლევს, მათ შორის სწავლობს ე.წ. „ღირსების სახელით“ ჩადენილ დანაშაულებს.[30]

ფემიციდის შესახებ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ქალთა მკვლელობის ინდიკატორები უკიდურესად განსხვავდება კაცების მკვლელობის შემთხვევებისგან და დაკავშირებულია ოჯახში ძალადობასთან, სისტემატურ ეჭვიანობასა და მესაკუთრულ დამოკიდებულებასთან, სამზითვო დავებთან, „ვნების“ ან „ღირსების“ საკითხებთან.[31]

გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე, განასხვავებს ფემიციდის ორ კატეგორიას: აქტიურ (პირდაპირ) და პასიურ (არაპირდაპირ) ფემიციდს. აქტიური (პირდაპირი) ფემიციდი გულისხმობს ქალის მკვლელობას ოჯახში ძალადობის შედეგად; ღირსების

30 European Institute for Gender Equality, Gender-based violence, Defining and identifying femicide: a literature review, EIGE, Vilnius, 2021, 8.

31 Ending violence against women From words to action, Study of the Secretary-General, United Nations Publication, 2006, 72; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.un.org/womenwatch/daw/public/VAW_Study/VAWstudyE.pdf.

სახელით ჩადენილ ქალის მკვლელობას; შეიარაღებული კონფლიქტისას განხორციელებულ ქალის მკვლელობას; გენდერულ იდენტობასთან და სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებულ მკვლელობას; ასევე, ეთნიკურ კუთვნილებასა და წარმოშობის ადგილთან დაკავშირებულ ქალთა მკვლელობებს.[32] ფემიციდის პირდაპირი ფორმებიდან, საქართველოს რეალობისთვის ნაკლებად რელევანტური, თუმცა ინდოეთში, პაკისტანში, ბანგლადეშში და ირანში ქალთა მკვლელობის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა მზითვებთან დაკავშირებით ჩადენილი მკვლელობებია. ამგვარი პრაქტიკის ყველაზე გავრცელებული გამოვლინება პატარძლის დაწვაა, ხოლო ინციდენტები ხშირად უბედურ შემთხვევებთან ასოცირდება. ასევე, პრაქტიკა ითვალისწინებს პატარძლის მკვლელობას, თვითმკვლელობამდე მიყვანას ან წამებას ქმრის ან ქმრის ოჯახის წევრების მიერ, მისგან მზითვის დიდი ოდენობის გამოძალვის მიზნით.[33]

არაპირდაპირი კატეგორია მოიცავს: ქალთა გარდაცვალებას უსაფრთხოების ნორმების დაუცველად ან ფარულად ჩატარებული აბორტების შედეგად; დედათა სიკვდილიანობას; მავნე პრაქტიკით გამოწვეულ სიკვდილს; ადამიანებით და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან, ორგანიზებულ დანაშაულთან და შეიარაღებული დაჯგუფების საქმიანობასთან დაკავშირებულ ქალთა მკვლელობებს; ქალთა და გოგონათა გარდაცვალებას მათ მიმართ უგულებელყოფით, არასათანადო მოპყრობითა და შიმშილის განცდით, საჯარო მოხელეების მოქმედებებისა და უმოქმედობების შედეგად.[34]

ლათინურ-ამერიკული სახელმძღვანელო ოქმი განასხვავებს ფემიციდის შემდეგ კატეგორიებს:

ინტიმური ფემიციდი - ქალის მკვლელობა ჩადენილი კაცის მიერ, რომელთანაც მას ჰქონდა ურთიერთობა ან ინტიმური კავშირი: ქმარი, ყოფილი ქმარი, ინტიმური პარტნიორი, შეყვარებული, ყოფილი შეყვარებული, პირი, რომლისგანაც მას ჰყავს შვილი;

32 Manjoo R., Report of the Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences, A/HRC/20/16, 5.

33 იქვე, 14-15.

34 იქვე, 5.

არა ინტიმური ფემიციდი - ქალის მკვლელობა მისთვის უცნობი კაცის, ან პირის მიერ, რომელთანაც ქალს არ ჰქონია ურთიერთობა;

ბავშვთა ფემიციდი - 14 წლამდე გოგონათა მკვლელობა კაცის მიერ, რომელსაც, როგორც ზრდასრულს აქვს გარკვეული როლი ბავშვის ცხოვრებაში და დაკავშირებულია პასუხისმგებლობასთან, ნდობასთან ანდა ბავშვზე ძალაუფლებასთან;

ოჯახური ფემიციდი - ქალის მკვლელობა, რომელიც დაკავშირებულია ოჯახურ ურთიერთობასთან, დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის;

ასოციაციური ფემიციდი - ქალის მკვლელობა ისეთ გარემოებაში, როდესაც კაცს განზრახული ჰქონდა სხვა ქალის მკვლელობა და განზრახვის სისრულეში მოყვანისას სხვა ქალი(ც) მოკლა;

სისტემატური სექსუალური ფემიციდი - ქალის მკვლელობა, რომელიც იყო მოტაცებული ან/და გაუპატიურებული. გამოიყოფა ორი შემთხვევა - არაორგანიზებული და ორგანიზებული. სტიგმასთან და პროსტიტუციასთან დაკავშირებული ფემიციდი - პროსტიტუციაში ანდა რაიმე სხვა სტიგმატიზებულ საქმიანობაში ჩართული ქალების მკვლელობა კაცის ან კაცთა ჯგუფის მიერ; ტრეფიკინგთან, მიგრანტების უკანონო გადაყვანასთან დაკავშირებული ფემიციდი; ტრანსფობიური, ლესბოფობიური და რასისტული ფემიციდი; ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრებასთან დაკავშირებული ფემიციდი;

ტრანსფობიური ფემიციდი - ტრანსგენდერი ან ტრანსსექსუალი ქალის მკვლელობა, რაც მოტივირებულია მოძალადის შეუწყნარებლობით დაზარალებულის გენდერული იდენტობის მიმართ;

ლესბოფობიური ფემიციდი - ლესბოსელი ქალის მკვლელობა, რაც მოტივირებულია მოძალადის შეუწყნარებლობით დაზარალებულის სექსუალური ორიენტაციის მიმართ და სხვ.[35]

35 ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი ლათინურ ამერიკაში, Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide), ISBN 978-9962-5559-0-2, 15-16.

4. ფემიციდი ეროვნულ კანონმდებლობაში

საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობას აქვს გენდერული ბუნება. ქალთა და კაცთა თანასწორუფლებიანობის მიღწევა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ქართულმა სახელმწიფომ ჯერ კიდევ 2010 წელს დაისახა მიზნად, „გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის“ მიღებით. კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, კანონი „ადგენს ქალისა და მამაკაცის კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფისა და რეალიზაციის ძირითად მიმართულებებსა და გარანტიებს, განსაზღვრავს მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებს და პირობებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ასევე, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფო ორგანოთა უფლებებსა და მოვალეობებს, ადგენს გენდერული თანასწორობის დარღვევისათვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს.“[36]

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი ერთადერთი ნორმატიული აქტია, რომელიც ქართულ სამართლებრივ სივრცეში გვთავაზობს „გენდერის“ დეფინიციას. კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გენდერი გულისხმობს სქესთა შორის ურთიერთობის სოციალურ ასპექტს, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე. ამავე კანონის თანახმად, გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით, დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფილია ოჯახსა და საზოგადოებაში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს

36 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „გენდერული თანასწორობის შესახებ“, 2009, 3; ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/83688. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისთვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ინსტიტუციური და საკანონმდებლო მოწესრიგებიდან, აღსანიშნავია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2018 წელს განხორციელებული ცვლილებები. სახელმწიფომ აღიარა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომლის დასაძლევად ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმების არსებობაა აუცილებელი.[37] აღნიშნული მიზნით, 2018 წლის 30 ნოემბერს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გენდერის ნიშანი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განისაზღვრა შემდეგი მუხლებისთვის: მუხლი 109. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში; მუხლი 115. თვითმკვლელობამდე მიყვანა; მუხლი 117. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება; მუხლი 118. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება.

ამასთან, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობა, როგორც სასჯელის დამამძიმებელი გარემოება, დისკრიმინაციის სხვა ნიშნებთან ერთად, გათვალისწინებულია კოდექსის 53¹ მუხლის პირველ ნაწილში. კერძოდ: „დანაშაულის ჩადენა .. გენდერის, .. ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის“.

მიუხედავად ქალთა მიმართ ძალადობის გენდერული ბუნების აღიარებისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ფემიციდის დეფინიციას დღემდე არ ითვალისწინებს.

37 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2018, 1; ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/186474. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

5. ფემიციდის კრიმინოლოგიური ასპექტები

2016 წელს, ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი, დუბრავკა სიმონოვიჩი ხუთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში. ვიზიტის დასასრულს, სპეციალურმა მომხსენებელმა საქართველოს მოუწოდა დაენერგა მეთვალყურეობა „ქალთა მკვლელობისა“ თუ „გენდერული ნიშნით მკვლელობის“ შემთხვევებზე, რომლის მეშვეობით გაეროს წევრი სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო, ყოველწლიურად 25 ნოემბერს, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს, გამოაქვეყნებდნენ წლის განმავლობაში მომხდარი ქალთა მკვლელობისა თუ გენდერული ნიშნით მკვლელობის რაოდენობას.[38]

გაეროს სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციის შესრულების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა 2016 წელს გამოთქვა მზაობა, შეექმნა ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმი. მექანიზმის ფარგლებში შემუშავდა სპეციალური მეთოდოლოგია, რომლის მეშვეობითაც სახალხო დამცველი აფასებს ამ სფეროში არსებულ ტენდენციებს.[39]

კვლევის მიზნებისათვის, საქართველოში არსებული კონტექსტიდან გამომდინარე და ლათინო-ამერიკულ სახელმძღვანელო ოქმზე დაყრდნობით, სახალხო დამცველი იყენებს ფემიციდის შემდეგ განმარტებას: ფემიციდი არის გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, ანუ ქალის მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან, ან ქალის დაქვემდებარებულ როლთან, რაც გამოიხატება ქალზე უფლებების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით, მისი ქცევის კონტროლით, ან მის გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზით, ასევე, ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა ზემოაღნიშნული მიზეზებით.[40]

38 ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის თაობაზე, 4; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.ohchr.org/en/statements/2016/02/special-rapporteur-violence-against-women-finalizes-country-visit-georgia. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

39 ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/geo/monitoringis-mekanizmis-shesakheb. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

40 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „2022 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი“, 2024, 6; ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2024081913080970623.pdf. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

საქართველოს სახალხო დამცველის ფემიციდის მონიტორინგის გამოცდილება და მეთოდოლოგია გაიზიარა საქართველოს პროკურატურამაც, რომელმაც სიღრმისეულად შეისწავლა 2014-2022 წლების ფემიციდის შემთხვევები. 2022 წლის 29 ნოემბერს, ფემიციდის დანაშაულების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტების თემაზე, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში კონფერენცია გაიმართა. მონაწილეებმა იმსჯელეს ფემიციდის სისხლის სამართლის საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირების შემთხვევებსა და სხვა მნიშვნელოვან კრიმინოლოგიურ ასპექტებზე.[41]

საქართველოს პროკურატურის მონაცემებით, 2014-2022 წლებში აღირიცხა 195 ქალის მკვლელობა, 136 ქალის მკვლელობის მცდელობა, 58 ქალის თვითმკვლელობამდე და 9 ქალის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა, ხოლო 13 ქალის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. ტენდენციის სახით აღსანიშნავია, რომ ქალთა მკვლელობებში ოჯახური დანაშაულის წილი ტოლფასია არაოჯახურ კონტექსტში განხორციელებული მკვლელობებისა (50%); ხოლო ქალთა მკვლელობის მცდელობის შემთხვევებში ოჯახური დანაშაულის წილი აღემატება არაოჯახური დანაშაულის წილს და განხორციელებულია დანაშაულთა 60%-ში. უმეტესად, ოჯახური დანაშაულის კონტექსტშია ჩადენილი ქალთა თვითმკვლელობის ცდამდე (83%) და თვითმკვლელობამდე მიყვანის (67%), ასევე ქალთა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების შემთხვევებიც (85%), რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.[42]

ფემიციდის კვლევის მიზნებისთვის, საქართველოს პროკურატურა დაეყრდნო ლათინო-ამერიკულ სახელმძღვანელო ოქმს და შეიმუშავა ფემიციდის შემდეგი დეფინიცია: „ფემიციდი არის გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან, ან ქალის დაქვემდებარებულ როლთან, რაც გამოიხატება

41 საქართველოს პროკურატურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, 90; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpe0skz4.pdf. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

42 ფემიციდის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, 2014-2022, 2-8; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phphQafZN.pdf. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით, მისი ქცევის კონტროლით".[43] ასევე, მნიშვნელოვანია ფემიციდის ინდიკატორები, რამდენადაც ქალის მკვლელობის ფაქტი ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ჩადენილია ფემიციდი.[44] ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმზე დაყრდნობით, უნდა არსებობდეს გარკვეული ნიშნები, რომ მკვლელობა ჩადენილია გენდერულ კონტექსტში და კავშირშია დისკრიმინაციასთან. აღნიშნული ინდიკატორები აღმოცენებულია „ძალადობისა და დისკრიმინაციის კულტურაში" და მყარად არის დამკვიდრებული ქალების არასრულფასოვნებისა და დაქვემდებარების კონცეფციებში. ისინი არ არის ძალადობის ცალკეული, შემთხვევითი ან ეპიზოდური გამოვლინებები, არამედ წარმოადგენს სტრუქტურულ მდგომარეობას და სოციალურ და კულტურულ ფენომენს, რომლებსაც ღრმად აქვს ფესვები გადგმული ადათებსა და ადამიანთა აზროვნებაში. ფემიციდისა და ფემინიციდის კონცეფცია განსხვავდება მკვლელობისაგან და წარმოადგენს ძალადობის უკიდურეს გამოხატულებას, რაც თავის მხრივ გამოწვეულია ქალთა დაქვემდებარებული და მარგინალიზებული პოზიციიდან.[45]

საქართველოს პროკურატურის ზემოაღნიშნული ანალიზის თანახმად, ფემიციდის მოტივის ნიშნები შემდეგია:

- მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული ან სექსისტური დამოკიდებულება;
- მესაკუთრული დამოკიდებულება/ ქცევის კონტროლი;
- ე.წ. „ღირსების დაცვა";
- სტერეოტიპული გენდერული როლების მორჩილების მოთხოვნა.[46]

43 იქვე, 10.

44 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „2022 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი", 2024, 6; ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2024081913080970623.pdf. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

45 ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი ლათინურ ამერიკაში, Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide), ISBN 978-9962-5559-0-2, 14.

46 ფემიციდის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, 2014-2022, 10; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phphQafZN.pdf. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

ზემოაღნიშნული ინდიკატორები სხვადასხვა კომბინაციით ვლინდება ცალკეულ შემთხვევაში, რაც დასტურდება განხილული საქმეების ანალიზით, კერძოდ:

მორჩილების მოთხოვნა, ქცევის კონტროლი, მუდმივი დამცირება - გენდერის აღნიშნული ინდიკატორი გამოვლინდა ფემიციდის შემთხვევების 42%-ში, რაც გულისხმობს, რომ ყოველ მეორე შემთხვევაში ფემიციდი განპირობებული იყო მოძალადის მხრიდან მსხვერპლი ქალის მორჩილების მოთხოვნით, ქცევის კონტროლით და სისტემატური სიტყვიერი შეურაცხყოფით. ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმზე დაყრდნობით, ფემიციდს წინ უძღვის ძალადობის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, ფსიქოლოგიური ძალადობა: ნებისმიერი ქცევა ან განზრახ უმოქმედობა, რომელიც იწვევს ემოციურ ზიანს ან ქალის თვითშეფასების დაქვეითებას მუქარით, დამცირებით, შევიწროებით, მორჩილების ან დამორჩილების, სიტყვიერი იძულების, შეურაცხყოფის, იზოლაციის ან მისი პირადი თავისუფლების შეზღუდვით. ფსიქოლოგიური ძალადობა მოიცავს ბრალდებას, თვალთვალს, იზოლაციას, კონტროლს, მანიპულაციას, მორჩილების, დამორჩილებისა და მსახურების მოთხოვნას, რაც თავის მხრივ ზიანს აყენებს ან ძირს უთხრის ქალის თვითშეფასებას.[47]

ე.წ. „ღირსების დაცვა“, პირადი ცხოვრების კონტროლი - გამოვლინდა საქართველოში ბოლო წლებში აღრიცხული ქალთა გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობების 29%-ში. ღირსების აღდგენის სახელით ქალის მოკვლის ტრადიცია ჯერ კიდევ ძველი რომიდან იღებს სათავეს, სადაც ოჯახის წევრი კაცები კლავდნენ ქალებს, მათ მიერ ქორწინების გარეშე სექსუალური კავშირებისთვის, ქორწინების გარეშე ბავშვების გაჩენისთვის, ღალატისათვის. ებრაულ სამყაროსა და შუა საუკუნეების ევროპაში, ღირსების აღდგენის სახელით მოღალატე ცოლებს და მათ პარტნიორებს უსწორდებოდნენ. დღევანდელ მსოფლიოში მსგავსი ტრადიცია ძირითადად აღმოსავლურ კულტურაში, სამხრეთ აფრიკასა და ზოგიერთ მკაცრად პატრიარქალურ ქვეყნებში გვხვდება, მათ შორის

47 ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი ლათინურ ამერიკაში, Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide), ISBN 978-9962-5559-0-2, 48.

საქართველოშიც.[48] ღირსება მკვლელობის გამართლებაა, უფრო კონკრეტულად კი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO, 2012) თანახმად, ღირსების სახელით მკვლელობა ხორციელდება როგორც ნათესავების, ისე მსხვერპლთან მჭიდროდ დაკავშირებული პირების მხრიდან შურისძიების და ღირსების აღდგენის საფუძვლით, ოჯახისთვის ქალის მიერ მიყენებული შეურაცხყოფის გამო, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ქალის სქესობრივ ან სავარაუდო სქესობრივ კავშირთან, როგორც ქალისათვის მიუღებელ ქცევასთან, რაც თავის თავში მოიცავს მრუშობას, ქორწინების გარეშე სექსუალურ ურთიერთობას ანდა ორსულობას.[49]

განქორწინების სურვილი, შერიგებაზე და დაქორწინებაზე უარი გამოვლინდა ფემიციდის 18% შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ინტიმური ფემიციდების ერთ-ერთი ყველაზე ხშირი გამოვლინება სწორედ მსხვერპლის დაშორება ან განქორწინების სურვილია მოძალადესთან. რიგ შემთხვევებში, მოძალადე ეთანხმება კიდეც განცალკევების იდეას იმის მოლოდინით, რომ ქალი მცირე დროის შემდეგ კვლავ დაუბრუნდება მას, თუმცა როგორც კი ხვდება, რომ ქალს მასთან დაბრუნების სურვილი არ გააჩნია, დამნაშავე ჩადის ფემიციდს. აღნიშნული ინდიკატორი ლათინო-ამერიკული სახელმძღვანელო ოქმის მიხედვით მიჩნეულია ინტიმური ფემიციდის ერთ-ერთ გამოხატულებად.[50]

ქცევის კონტროლი, სისტემატური ეჭვიანობა, მეგობრების და ნათესავების ნახვის აკრძალვა, შემოსავლების კონტროლი - სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზის შედეგად, აღნიშნული სოციალური, ეკონომიკური და პატრიმონიული კონტროლი წინ უძღოდა ფემიციდის 11% შემთხვევას. ეკონომიკური ძალადობა, როგორც კონტროლის ფორმა, ვლინდება მანიპულაციის სხვა ფორმებთან ერთად, გამოიხატება ქალის შემოსავლების შეზღუდვაში, კაცის ინტერესების შესაბამისად შემოსავლების გამოყენებასა და ინვესტირებაში, ასევე საბაზისო მოთხოვნების,

48 მესხი მ., „ფემიციდი - საკანონმდებლო რეგულირების გამოცდილება და გამოწვევები“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2017, 18.

49 Gender-based violence, Femicide: a classification system, EIGE, Vilnius, 2021, 19.

50 ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი ლათინურ ამერიკაში, Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide), ISBN 978-9962-5559-0-2, 74.

საკვების და ტანსაცმლის უარყოფაში.[51] ფემიციდის ერთ-ერთ წინაპირობას ქალის მიმართ გამოხატული სოციალური ძალადობა წარმოადგენს, რაც ვლინდება პარტნიორული ურთიერთობების მიღმა სოციალური წრის შეზღუდვასა და ხელის შეშლაში, მოძალადის მხრიდან თანხლების მოთხოვნასა და ძალის გამოყენებით დასწრებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში კი საჯაროდ მსხვერპლის დადანაშაულებაში, რომ ცუდად ექცევა მოძალადეს.[52]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მითითებულ ინდიკატორებზე დაყრდნობით, საქართველოში გამოვლინდა ფემიციდის შემდეგი ფორმები:

ოჯახური ფემიციდი: ქალის მკვლელობა, რაც დაკავშირებულია ოჯახურ ურთიერთობასთან დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის;

ინტიმური ფემიციდი: ქალის მკვლელობა ჩადენილი კაცის მიერ, რომელთანაც მას ჰქონდა ურთიერთობა ან ინტიმური კავშირი: პარტნიორი, შეყვარებული, ყოფილი შეყვარებული, პირი, რომლისგანაც ჰყავს შვილი;

არა ინტიმური ფემიციდი: ქალის მკვლელობა მისთვის უცნობი კაცის მიერ, ან პირის მიერ, რომელთანაც ქალს არ ჰქონია ურთიერთობა;

ტრანსფობიური ფემიციდი: ტრანსგენდერი ან ტრანსსექსუალი ქალის მკვლელობა, რაც მოტივირებულია მოძალადის შეუწყნარებლობით დაზარალებულის გენდერული იდენტობის მიმართ;

ასოციაციური ფემიციდი: ქალის მკვლელობა, ისეთ გარემოებაში, როდესაც კაცს განზრახული ჰქონდა სხვა ქალის მკვლელობა და განზრახვის სისრულეში მოყვანისას მოკლა სხვა ქალი(ც).

ოჯახური ფემიციდი განხორციელდა 55 ქალის მიმართ, არა ოჯახური ფემიციდი 10 ქალის მიმართ, ხოლო 1 ქალი დაექვემდებარა როგორც ოჯახის წევრის მხრიდან მკვლელობას, ისე არა ოჯახურ ფემიციდს; ინტიმური ფემიციდი გამოვლინდა 49 მსხვერპლის მიმართ, რომელიც განხორციელდა ქმრის (41 ქალი), არა ოჯახური ინტიმური პარტნიორისა (6 ქალი)

51 იქვე, 48.

52 იქვე, 161.

და ოჯახური პარტნიორის (2 ქალი) მხრიდან; არა ინტიმურ ფემიციდს ადგილი ჰქონდა 20 მსხვერპლის მიმართ, მათ შორის 7 ქალის მიმართ ფემიციდი განხორციელდა შვილის მხრიდან, 5 ქალი მოკლულ იქნა ნაცნობის მხრიდან, 5 ქალი - ოჯახის სხვა წევრის მხრიდან, ხოლო 3 შემთხვევაში ფემიციდი განხორციელდა მშობლის მხრიდან; საინტერესოა, ასევე ტრანსფობიური და ასოციაციური ფემიციდის შემთხვევების მიმოხილვაც. საქართველოში აღირიცხა 3 ქალის ტრანსფობიური ფემიციდი და 2 ქალის ტრანსფობიური და ასოციაციური ფემიციდის შემთხვევა.

გაეროს ქალთა და გოგონათა გენდერული ნიშნით მკვლელობების (ფემიციდი/ ფემინიციდი) სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტის[53] თანახმად, გამოიკვეთა ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების უნიკალური ტენდენცია. კერძოდ, როდესაც კაცთა მკვლელობების აბსოლუტური უმრავლესობა ხდება ქუჩაში, კერძო სფეროს მიღმა, ქალებისთვის და გოგონებისთვის ყველაზე საშიში ადგილი სახლია.[54] 2021 წელს მკვლელობის მსხვერპლი ქალების დაახლოებით 56% (45000 ქალი მსოფლიოს მასშტაბით),[55] ხოლო 2022 წელს - 55% მოკლეს ინტიმურმა პარტნიორებმა ან ოჯახის სხვა წევრებმა, რაც ნათლად მიუთითებს, რომ ქალებისა და გოგონებისთვის ყველაზე საშიში ადგილი მათი სახლია.[56] აღნიშნული ნიშნავს, რომ ყოველ საათში საშუალოდ ხუთზე მეტი ქალი და გოგონაა მოკლული მათსავე ოჯახში,[57] ხოლო ყოველდღიურად საშუალოდ 133-ზე მეტ ქალსა და გოგონას კლავენ მათივე ოჯახის წევრები.[58]

53 დოკუმენტი, თავის მხრივ, შეესაბამება დანაშაულის საერთაშორისო კლასიფიკაციას სტატისტიკის მიზნებისთვის (ICCS).

54 Gender-related killings of women and girls (femicide/feminicide), UNODC, UN Women, 2022, 8, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.unwomen.org/sites/default/files/2023-11/gender-related-killings-of-women-and-girls-femicide-feminicide-global-estimates-2022-en.pdf. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

55 Gender-related killings of women and girls (femicide/feminicide), UNODC, UN Women, 2021, 28; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.unodc.org/documents/data-and-analysis/briefs/Femicide_brief_Nov2022.pdf. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

56 Gender-related killings of women and girls (femicide/feminicide), UNODC, UN Women, 2022, 17; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.unwomen.org/sites/default/files/2023-11/gender-related-killings-of-women-and-girls-femicide-feminicide-global-estimates-2022-en.pdf. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

57 Gender-related killings of women and girls (femicide/feminicide), UNODC, UN Women, 2021, 5; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.unodc.org/documents/data-and-analysis/briefs/Femicide_brief_Nov2022.pdf. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

58 Gender-related killings of women and girls (femicide/feminicide), UNODC, UN Women, 2022, 3; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.unwomen.org/sites/default/files/2023-11/gender-related-killings-of-women-and-girls-femicide-feminicide-global-estimates-2022-en.pdf. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

აღნიშნული ტენდენცია განსხვავებული არც საქართველოს შემთხვევაშია, სადაც გენდერული ნიშნით ქალთა მკვლელობების 68% მათსავე ან მოძალადის სახლშია განხორციელებული, სადაც მოკლული ქალი ანდა გოგონა ცხოვრობდა, ხოლო დანაშაულის ჩადენის იარაღს 63%-ში დანა, 13%-ში კი ცეცხლსასროლი იარაღი წარმოადგენს.[59] მნიშვნელოვანი კრიმინოლოგიური ასპექტია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, რამდენადაც ფემიციდი ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურეს და ბრუტალურ ფორმას წარმოადგენს. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ფემიციდის 84% შემთხვევაში, ქალი ანდა გოგონა დაექვემდებარა ოჯახის წევრის მხრიდან ჩადენილ მკვლელობას, ხოლო 26%-ში დანაშაული ჩადენილი იყო განსაკუთრებული სისასტიკით, მათ შორის არასრულწლოვანის თანდასწრებით.[60]

ბოლო წლებში, კვლევების მზარდმა რაოდენობამ გამოკვეთა ფემიციდის სხვადასხვა დინამიკა და კონკრეტული ინსტიტუციური, სამართლებრივი, სოციალური და კულტურული გამოწვევები, რომლებიც უნდა გადაიჭრას, მათსავე აღმოსაფხვრელად. აღნიშნული კვლევები სცდება ფემიციდის რიცხვებს და იძლევა ინფორმაციას კონტექსტისა და ნიუანსების შესახებ, ასევე ღირებულ რეკომენდაციებსა და სახელმძღვანელოებს საკანონმდებლო და პოლიტიკის ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე, რომლებიც აუცილებელია პრევენციის გასაუმჯობესებლად.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად განსხვავებული სოციალური და ინსტიტუციური კონტექსტისა, ანგარიშები თანმიმდევრულად ადასტურებს, რომ ქალები ძირითადად ინტიმური პარტნიორების მკვლელობების მსხვერპლნი არიან. ჰეტეროსექსუალურ ფემიციდებს შორის წამყვანი ინტიმური პარტნიორის მხრიდან ჩადენილი ფემიციდია და ფემიციდამდე მიმავალი გზა ძალადობის წინა ისტორიაზე გადის.[61] შესაბამისად, გენდერული ნიშნით ქალთა მკვლელობის იდენტიფიცირებისთვის, ყურადღება უნდა გამახვილდეს მოძალადის მხრიდან იმავე მსხვერპლის

59 ფემიციდის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, 2014-2022, 28, 30; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phphQafZN.pdf. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

60 იქვე, 19, 38.

61 Šimonović D., Report of the Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences, A/76/132, 17.

მიმართ ფიზიკური, სექსუალური ანდა ფსიქოლოგიური ძალადობის წინა ისტორიაზე.[62] ქალის მკვლელობისა თუ მკვლელობის მცდელობის ფემიციდად ან ფემიციდის მცდელობად შესაფასებლად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ის, ჰქონდა თუ არა ადგილი აღნიშნულ ფაქტამდე დამნაშავის მხრიდან მსხვერპლის მიმართ გენდერულ დისკრიმინაციასა თუ ძალადობას. გარდა ამისა, ძალადობის წინა ისტორიის შესწავლა აუცილებელია დანაშაულის მოტივის გამოსაკვლევად და ადეკვატური სასჯელის შესაფარდებლად.[63] საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში ჩადენილი ფემიციდის 66 შემთხვევიდან, მოძალადეების 62%-ს მოკლული ქალის მეუღლე, ხოლო 12%-ს ინტიმური პარტნიორი წარმოადგენდა. ამასთან, ბრალდებულს სექსუალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა იმავე დაზარალებულის მიმართ განხორციელებული ჰქონდა 12 შემთხვევაში, რაც საერთო რაოდენობის 18%-ს შეადგენს.[64] ძალადობის წინარე ისტორიის შესწავლა სისხლის სამართლის საქმეებში, დადებითი ტენდენციის სახით შეფასებულია ფემიციდის მონიტორინგის ეროვნული მექანიზმის, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ.[65]

როგორც არაერთხელ აღინიშნა, ფემიციდის აუცილებელ მახასიათებელს, რომელიც მას ქალის მარტივი მკვლელობისგან განასხვავებს, წარმოადგენს მსხვერპლის მოკვდინება გენდერული ნიშნით.[66] შესაბამისად, მკვლელობის ფემიციდად კლასიფიცირებისთვის, მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი

62 Statistical framework for measuring the gender-related killing of women and girls (also referred to as "femicide/feminicide"), UNODC, UN Women, CEGS, UNODC-INEGI Centre of Excellence, 2022, 20.

63 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში, 2020, 25-26; ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2022070609293527273.pdf , (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

64 ფემიციდის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, 2014-2022, 40, 42; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phphQafZN.pdf, (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

65 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში, 2020, 5, 47; ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2022070609293527273.pdf; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში, 2022, 19; ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2024081913080970623.pdf; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020, 202; ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf, (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

66 Inter-American Model Law on the Prevention, Punishment and Eradication of the Gender-Related Killing of Women and Girls (Femicide/Feminicide), OAS, MESECVI, UN WOMEN, 2018, 19.

უწყების, პროკურატურის მხრიდან გენდერის ნიშნის იდენტიფიცირება ბრალდების შესახებ დადგენილებაში და სასამართლოს მიერ პასუხისმგებლობის აღნიშნული დამამძიმებელი გარემოების გაზიარება განაჩენში. დადებითი ტენდენციის სახით აღსანიშნავია, რომ ფემიციდის დანაშაულებში გენდერის ნიშნის გამოკვეთის გაზრდილი მაჩვენებელი შენარჩუნებულია, ხოლო ფემიციდში მსჯავრდებული პირების 65%-ში მოსამართლემ გაიზიარა გენდერის ნიშანი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.[67]

6. დასკვნა

ფემიციდი ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის უკიდურეს ფორმას წარმოადგენს და საერთაშორისო დონის გამოწვევაა. მეტიც, ფემიციდი პანდემიის მასშტაბის ტრაგედიაა: გენდერული ნიშნით ყოველწლიურად მსოფლიოში ათიათასობით ქალი და გოგონა იღუპება.[68] გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების ფორმების კონტინენტებსა და ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად, უმთავრესი და ნიშანდობლივია, რომ ქალებისთვის ოჯახი და სახლი, კვლავ ყველაზე დაუცველი ადგილია.

მიუხედავად საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ დონეზე გატარებული რეფორმებისა, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს კვლავ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა ცნობიერების ამაღლების კამპანიებში, რათა მოსახლეობას მიეწოდოს სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაცია სახელმწიფოს მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის, კანონით გათვალისწინებული სანქციების, ქალთა უფლებებისა და მსხვერპლთა დამცავი მექანიზმების შესახებ.

67 ფემიციდის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, 2014-2022, 44; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phphQafZN.pdf; (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

68 Tidball-Binz M., Report of the Special Rapporteur on extrajudicial, summary or arbitrary executions, A/78/254.

ფემიციდის საკანონმდებლო განმარტების არარსებობა იურიდიულ სფეროებში განსხვავებული ინტერპრეტაციების საფუძველს ქმნის, თუმცა დადებითი ტენდენციის სახით აღსანიშნავია, რომ გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების მონიტორინგის მიზნებისთვის, სახელმწიფო უწყებები ეყრდნობიან ფემიციდის ყველაზე მისაღებ, ლათინურ-ამერიკული სახელმძღვანელო ოქმის განმარტებას.

ფემიციდის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნებისთვის, აუცილებელია სახელმწიფო უწყებების კოორდინირებული მუშაობა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ასევე თანამშრომლობის გაღრმავება სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებთან. გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების პრევენციისა და ქალების მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მართლმსაჯულების ჯაჭვში შემავალი უწყებების წარმომადგენლების გაძლიერება, პროფესიულ საქმიანობაში გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების გამოყენებისა და გენდერული დისკრიმინაციის იდენტიფიცირების მიმართულებით.

4

თამარ ზაქუტაშვილი

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსი პროკურორი, სამართლის მაგისტრი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის გამოყენების ტენდენცია შეუწყნარებლობით მოტივირებულ ოჯახურ დანაშაულებში

1. შესავალი

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი განამტკიცებს თანასწორობის უფლებას. სწორედ აღნიშნულ ფუნდამენტურ პრინციპზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტები შეიცავენ დისკრიმინაციის აკრძალვის დებულებებს და უზრუნველყოფენ ყველა ადამიანის უფლებრივ თანასწორობას. დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს შექმნა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს იდეას წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს ევალება, მათ შორის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელებისათვის დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა და პრაქტიკაში ეფექტიანი დანერგვა. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა ადამიანის უფლებების რეალიზაციასთან მოდის შეუსაბამობაში.

2. საერთაშორისო და ეროვნული ანტიდისკრიმინაციული რეგულაციების მოკლე მიმოხილვა

დისკრიმინაციის აკრძალვას ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ მოპყრობას კონვენციაში ჩამოთვლილი სხვა უფლებებით სარგებლობისას. მუხლის შესაბამისად, *„კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი*

დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად." კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმით კი დადგენილია დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვის პირობა, რომლის თანახმად, კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტითა და „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით" აღიარებულია თანასწორობის პრინციპი და განსაზღვრულია სახელმწიფოების ვალდებულება ყველა პირი უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტებით აღიარებული უფლებებით, ყოველგვარი განსხვავების გარეშე. აღსანიშნავია, რომ საქართველო ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენციების ხელშემკვრელ მხარეს წარმოადგენს, რომლებიც აძლიერებს სახელმწიფოებში ცალკეული უმცირესობების უფლებებს და ხელმომწერი სახელმწიფოების იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფს ერთიანი სტანდარტების დამკვიდრებას. მაგალითად, კონვენციები - „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ", „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" და სხვა დოკუმენტები აღიარებს თანასწორობის უზრუნველყოფის პრინციპებს და, ამავდროულად, განსაზღვრული მექანიზმების ფარგლებში ახორციელებს სახელმწიფოებში კონვენციით გარანტირებული უფლებების რეალიზაციის მონიტორინგს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი განამტკიცებს თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს, ადგენს სამართლის წინაშე თანასწორობის უფლებას და კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან

სხვა ნიშნის მიხედვით. ამასთან, დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმები ასახულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონშიც, რომელიც 2014 წლის 7 მაისს შევიდა ძალაში. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლამდე საქართველოში არ არსებობდა იმგვარი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, რომელიც დაადასტურებდა სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციასთან ბრძოლის მზაობას, დაადგენდა თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას და განსაზღვრავდა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელ ღონისძიებებს. აღნიშნულმა კანონმა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებით თანასწორად სარგებლობის ვალდებულება განამტკიცა.

დისკრიმინაციული გავლენების აღმოსაფხვრელად, საქართველომ უკანასკნელი წლების განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება განახორციელა. ამასთან, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს სხვადასხვა საშუალებებით: ინსტიტუციური გაძლიერებით, კოორდინირებული საქმიანობით, პროფესიონალთა გადამზადებით, სტატისტიკური მონაცემების წარმოების პროცესის გაუმჯობესებით და ა.შ. განხორციელებულმა რეფორმებმა გაზარდა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა, თუმცა უთანასწორო დამოკიდებულებები სოციალური ცხოვრების სხვადასხვა მიმართულებით ქვეყნისათვის მაინც გამოწვევად რჩება. უთანასწორო მოპყრობას ვხვდებით სხვადასხვა სოციალურ გარემოში, მათ შორის, ოჯახში. ქართულ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებებისა და გენდერული უთანასწორობის გავლენით, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები ძირითადად ჩადენილია ოჯახურ ურთიერთობებში და ოჯახური დანაშაულის უმრავლესობა დაკავშირებულია გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ძალადობასთან. თუმცა, ოჯახის წევრებს შორის ძალადობრივი დანაშაულები ასევე მოტივირებულია დისკრიმინაციის ისეთი ნიშნებით, როგორებიცაა: რელიგია, ეროვნება, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა და ა.შ.

შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, ერთი მხრივ, უნდა ემსახურებოდეს დანაშაულის პრევენციას, ხოლო მეორე მხრივ, იმგვარ შეზღუდვებს, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიანობის აღდგენას და დამნაშავის რესოციალიზაციას. შეიძლება ითქვას, რომ დღეს მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა მსგავსი კატეგორიის დანაშაულებზე ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. სტატიის ფარგლებში განხილული იქნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 531 მუხლის პირველი და მესამე ნაწილების გამოყენების პრაქტიკული ასპექტები, გამოვლენილი ხარვეზები და მათი აღმოფხვრის შესაძლებლობები.

3. შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში

საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არ განსაზღვრავს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ცნებას. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სამი სახით არის წარმოდგენილი:

1. დანაშაულები, რომელთა ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობა, როგორც დანაშაულის მოტივი. აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებს მიეკუთვნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133², 142-ე, 142¹, 142², 155-ე, 156-ე, 166-ე და 239¹ მუხლებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები;
2. დანაშაულები, რომელთა ქმედების მაკვალიფიცირებელი ელემენტია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობა, როგორც დანაშაულის მოტივი. აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებს მიეკუთვნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტებით,

118-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით, 144¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით, 144³ მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით და 258-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისას პირი მოქმედებდა ამავე კოდექსის 53¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.

შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში არ არსებობს აღნიშნული დანაშაულის ერთიანი დეფინიცია. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის განმარტებით,[1] შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაული არის *„ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი, მათ შორის, ადამიანისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, სადაც მსხვერპლი, ობიექტი ან სამიზნე შერჩეულია მისი რეალური ან ნავარაუდევი კავშირით, მიკუთვნებით, მხარდაჭერით, აფილირებით ან წევრობით კონკრეტული ჯგუფის მიმართ“.*

იმისათვის, რომ ქმედება შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულად იქნას მიჩნეული, უნდა აკმაყოფილებდეს ორ კრიტერიუმს: *ა) ქმედება უნდა წარმოადგენდეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს და ბ) აღნიშნული ქმედება მოტივირებული უნდა იყოს დაცული მახასიათებლის მიმართ მიკერძოებით.* ამასთან, ბრალდებულის ქმედების შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულად კვალიფიკაციისთვის აუცილებელი არ არის, რომ დამნაშავეს სძულდეს საკუთარი მსხვერპლი ამ უკანასკნელის დაცული მახასიათებლის გამო. შეუწყნარებლობის მოტივი შეიძლება განისაზღვროს, როგორც წინასწარ ჩამოყალიბებული უარყოფითი მოსაზრებები, სტერეოტიპული განწყობები ან შეუწყნარებლობა, რომელიც პირდაპირ მიმართულია ისეთი

1 ODIHR, What is hate crime; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://hatecrime.osce.org/ (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

მახასიათებლის წინააღმდეგ, როგორებიცაა: რასა, ეროვნული კუთვნილება, ენა, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია, გენდერი და სხვ. შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები სხვა დანაშაულების მსგავსად, შეიძლება ჩადენილი იყოს ერთზე მეტი მოტივით. ზოგიერთ შემთხვევაში, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები ჩადენილია არასწორი აღქმის საფუძველზე ან იმის გამო, რომ მსხვერპლი ან ქონება ასოცირდება ან უკავშირდება დაცულ მახასიათებლებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტის შესაბამისად, სახელმწიფომ ყველა გონივრული ზომა უნდა მიიღოს იმის დასადგენად, მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოტივირებულია თუ არა შეუწყნარებლობით. შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთისთვის კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოძიების საწყის ეტაპზევე სწორად იქნას იდენტიფიცირებული დისკრიმინაციული მოტივის *ინდიკატორები. მოტივის ინდიკატორებია, ობიექტური ფაქტები და გარემოებები, რომლებიც ცალკე აღებული ან ერთობლიობაში ამტკიცებს, რომ თავდამსხმელის ქმედებები მთლიანად ან ნაწილობრივ მოტივირებული იყო შეუწყნარებლობის რაიმე ფორმით.*[2] ინდიკატორები დაკავშირებულია მსხვერპლთან, ბრალდებულთან ან/და დანაშაულის ჩადენის გარემოებებთან.

რელევანტური საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შედეგად, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვების შემდგომ, პროკურორმა ბრალდების შესახებ დადგენილებაში უნდა ასახოს დანაშაულის რეალური მოტივი და სწორად გამიჯნოს ის ოჯახური დანაშაულების კონტექსტში „საყოფაცხოვრებო საკითხზე წარმოშობილი“ სხვა მოტივებისგან. ამასთან, მნიშვნელოვანია სასამართლომ კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში, განაჩენში იმსჯელოს დისკრიმინაციულ მოტივზე, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებაზე და გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლით განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის წესი.

2 მოტივის ინდიკატორების გამოყენება - პრაქტიკული სახელმძღვანელო პოლიციელთათვის, 4.

4. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

2012 წლის 27 მარტის ცვლილებებით, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწ-ყნარებლობის მოტივი, როგორც სასჯელის დანიშვნისას პასუხისმგებ-ლობის დამამძიმებელი გარემოება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილით განისაზღვრა. კანონპროექტის მიღება განაპირობა რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომი-სიის გადაწყვეტილებამ,[3] რომლის თანახმად, საქართველოს მიეცა რეკო-მენდაცია სისხლის სამართლის კანონმდებლობას რასისტული შეუწყნა-რებლობის მოტივი გაეთვალისწინებინა, როგორც დანაშაულის ზოგადი დამამძიმებელი გარემოება ყველა იმ დანაშაულისთვის, რომლის ჩადენაც ამ მოტივით არის შესაძლებელი.[4] ნორმის აღნიშნულ რედაქციაში გაიწერა დისკრიმინაციის ნიშნების ღია ჩამონათვალი: რასა, კანის ფერი, ენა, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, ასაკი, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება, შეზღუდული შესაძლებლობა, მოქა-ლაქეობა, ეროვნება, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილება, წარმოშობა, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშანი.

2017 წლის 4 მაისის ცვლილების შედეგად, „ქალთა მიმართ ძალა-დობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და სარატი-ფიკაციო პროცედურის წარმატებით წარმართვის მიზნით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილი ამოღებულ იქნა, ხოლო კოდექსს დაემატა 53¹ მუხლი, რომლის პირველი ნაწილით დის-კრიმინაციის ნიშნების ზემოაღნიშნულმა ჩამონათვალმა სახეცვლილება

3 ევროპის კომისია, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N7, §21.

4 საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის განმარტებითი ბარათი, 2017; ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/33504 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

განიცადა და დისკრიმინაციის ნიშნებს დაემატა - გენდერის ნიშანი.[5] ამ მუხლის მე-2 ნაწილით კი, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვანის მიმართ ან/და მისი თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, განისაზღვრა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, პრაქტიკამ ცხადყო, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლი ვერ პასუხობდა კონვენციით გათვალისწინებულ მიზნებს, რომელიც მართალია, დისკრიმინაციული ნიშნით დანაშაულის ჩადენას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განიხილავდა, თუმცა არ აწესებდა სასამართლოს მიერ დასანიშნი სასჯელის ზღვრულ ოდენობას. ამგვარი რეგულაცია ვერ პასუხობდა კანონმდებლის მიზანს შედარებით მკაცრად დასჯილიყვნენ დისკრიმინაციული ნიშნით, მათ შორის, ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრის მიმართ დანაშაულის ჩამდენი პირები, ვინაიდან ნორმა მინიმუმთან უკიდურესად მიახლოებული სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობასაც იძლეოდა.[6] შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, აღნიშნულ მუხლში ამავე კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის მსგავსი ჩანაწერის ასახვა.

2018 წლის 30 ნოემბრის ცვლილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლს დაემატა მე-3 და მე-4 ნაწილები და განისაზღვრა სასჯელის დანიშვნის სავალდებულო წესი, რომლის თანახმად, შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულზე ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე ერთი წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ

5 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის განმარტებითი ბარათი, 2017; ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/142314 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

6 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის განმარტებითი ბარათი, 2018; ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/186474 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

ვადას. აღნიშნული იმპერატიული დანაწესიდან გამონაკლისი გათვალისწინებულ იქნა ამ მუხლის მე-4 ნაწილით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლი არის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლის სახელმძღვანელო მუხლი და შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსში ამ ეტაპზე არ არსებობს მუხლი, რომელიც განმარტავს დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულს და განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ამ დანაშაულისათვის. საგამოძიებო და საპროცესო დოკუმენტებში ვერ ხდება 53¹ მუხლზე მითითება, ისევე როგორც ეს შესაძლებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ მუხლით.[7]

ამრიგად, მნიშვნელოვანია კოდექსში გაჩნდეს შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის განმსაზღვრელი მუხლი, რომელიც ერთი მხრივ, გაითვალისწინებს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის დეფინიციას, ხოლო მეორე მხრივ, დაადგენს ქმედების კვალიფიკაციისას კოდექსის კერძო ნაწილის მუხლთან ერთად ამ მუხლზე მითითების ვალდებულებას.

5. შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის სტატისტიკა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა

სტატისტიკურ მონაცემებში გამოსახული რეალობა გვაძლევს შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ სახელმწიფოს მკაცრი, კოორდინირებული და ეფექტიანი პოლიტიკის დანახვის შესაძლებლობას. პრევენციული და რეპრესიული პოლიტიკის მიმართულებით კვლავ არსებული გამოწვევების მიუხედავად, ინსტიტუციური პროცესების გაუმჯობესების, პროკურორთა სპეციალიზაციისა და პროფესიონალთა

7 მუხლი 11¹ . პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის - ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133¹, 133², 137-ე–141-ე, 143-ე, 144-ე–144³, 149-ე–151¹, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე–255¹, 381¹ და 381² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით.

გადამზადების, მულტისექტორული მუშაობის შედეგად, დადებითად უნდა შეფასდეს შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულზე მზარდი სტატისტიკური მონაცემები, რომელიც მიუთითებს ამ კატეგორიის დანაშაულების გამოვლენის მიმართულებით ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებასა და სამართალწარმოების პროცესის ეფექტიანობაზე.

დადებითად უნდა შეფასდეს სტატისტიკური მონაცემების წარმოების პროცესის გაუმჯობესებაც. 2020 წლამდე საქართველოს არ გააჩნდა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სტატისტიკის წარმოების ერთიანი მეთოდოლოგია, ხოლო 2020 წლის 23 სექტემბერს, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურას, უზენაეს სასამართლოსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ,[8] რომლის საფუძველზეც, ყოველი წლის პირველ მარტს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე წინა საანგარიშო წლის მონაცემები ქვეყნდება. 2023 წლის 5 ოქტომბერს ხელი მოეწერა განახლებულ მემორანდუმს და ხელმომწერ მხარეებს შეუერთდა საქართველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახური. ამ ეტაპზე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია 2020 წლის ოქტომბერი-დეკემბრის,[9] 2021[10], 2022[11] და 2023[12] წლების სტატისტიკური მონაცემების ანგარიშები.

8 თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ; ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/57913/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98----GEO-.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

9 დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში; ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/36779/diskriminaciis-nishnit_2020_IV.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

10 დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში; ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/43558/diskriminaciis-niSniT_2021.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

11 დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში; ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/51737/diskriminacia_2022.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

12 დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში; ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/60697/diskriminacia_2023.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

გამოქვეყნებული ანგარიშები შესაძლებლობას გვაძლევს გავაანალიზოთ სამი უწყების მიერ დამუშავებული კონკრეტული წლის სტატისტიკური მონაცემები დისკრიმინაციის ნიშნების, დანაშაულის კვალიფიკაციის, ტერიტორიული განფენილობის, ბრალდებულისა და დაზარალებულის ასაკის, სქესის, ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის სოციალური კავშირისა და სამართალწარმოების ეტაპების მიხედვით.

სტატისტიკური მონაცემების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ წლიდან წლამდე იზრდება შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე გამოძიების დაწყების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მაჩვენებლები.

2016-2023 წლის მონაცემებით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3899 პირის მიმართ. ბოლო წლებში, შენარჩუნებულია შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მზარდი ტენდენცია.

სისხლისსამართლებრივი დევნა შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე



2023 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა - შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე ბრალდება 1218 პირს წარედგინა. აღნიშნული მაჩვენებლით, სტატისტიკური მონაცემი 3.9%-ით გაიზარდა 2022 წელთან შედარებით, რომელიც თავის მხრივ 40.5%-ით აღემატებოდა 2021 წლის მონაცემს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ყველაზე ხშირად სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება გენდერის, გენდერული იდენტობის და სექსუალური ორიენტაციის ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე. ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი უკავშირდება ოჯახურ დანაშაულებს. აღნიშნული ტენდენცია აიხსნება გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაღალი და ამავდროულად მზარდი მაჩვენებლით, თუმცა, ასევე ვხვდებით დისკრიმინაციის ისეთი ნიშნებით შეუწყნარებლობით მოტივირებულ ოჯახურ დანაშაულებს, როგორებიცაა: ეროვნება, ასაკი, რელიგია, შეზღუდული შესაძლებლობა და სხვა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული და პროკურატურის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ანალიზები[13] შესაძლებლობას გვაძლევს შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებში დავინახოთ ოჯახური დანაშაულების წილობრივი მაჩვენებელი.

2021 წლის მონაცემების მიხედვით,[14] სისხლისსამართლებრივი დევნა სულ 834 პირის მიმართ დაიწყო, მათგან 732 პირის მიმართ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით. აღნიშნული 732 სისხლისსამართლებრივი დევნიდან 622 პირის მიმართ დევნა დაიწყო ოჯახურ

13 შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/Crimes-motivated-by-intolerance; ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა და ოჯახში ძალადობა ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/Gender-based-violence-against-women-and-domestic-violence (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

14 შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ანალიზი, 2021; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/php8LBjd1.pdf; გენდერული დისკრიმინაციის მოტივი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში, 2021; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpPqVHDO.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

დანაშაულზე, ხოლო 110 პირის მიმართ არაოჯახურ დანაშაულზე. ოჯახური დანაშაულებიდან 5 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია ინტერსექციური ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით, კერძოდ, გენდერისა და რელიგიის ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით 1 პირის მიმართ, გენდერისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნებით 2 პირის მიმართ და ასევე 2 პირის მიმართ გენდერისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნებით. რაც შეეხება დისკრიმინაციის სხვა ნიშნებს, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ოჯახურ დანაშაულზე 3 პირის მიმართ.

2022 წლის მონაცემების მიხედვით,[15] სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სულ 1172 პირის მიმართ, მათგან 1069 პირის მიმართ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით. აღნიშნული 1069 სისხლისსამართლებრივი დევნიდან 912 პირის მიმართ დევნა დაიწყო ოჯახურ დანაშაულზე, ხოლო 157 პირის მიმართ არაოჯახურ დანაშაულზე. ოჯახური დანაშაულებიდან 4 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია ინტერსექციური ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით. კერძოდ, გენდერისა და რასის ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით 2 პირის მიმართ, გენდერისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნებით 1 პირის მიმართ, ხოლო გენდერისა და სოციალური კუთვნილების ნიშნებით 1 პირის მიმართ. რაც შეეხება, დისკრიმინაციის სხვა ნიშნებს, ასაკის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ოჯახურ დანაშაულზე 6 პირის მიმართ.

15 შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ანალიზი, 2022; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phptHTWhW.pdf; გენდერული დისკრიმინაციის მოტივი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში, 2022; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpPOXaSe.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

2023 წლის მონაცემების მიხედვით,[16] სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სულ 1218 პირის მიმართ, მათგან 1169 პირის მიმართ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით. აღნიშნული 1169 სისხლისსამართლებრივი დევნიდან 950 პირის მიმართ დევნა დაიწყო ოჯახურ დანაშაულზე, ხოლო 219 პირის მიმართ არაოჯახურ დანაშაულზე. ოჯახური დანაშაულებიდან 2 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია ინტერსექციური ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით. კერძოდ, გენდერისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნებით 1 პირის მიმართ, ხოლო, გენდერისა და რელიგიის ნიშნებით 1 პირის მიმართ. რაც შეეხება, დისკრიმინაციის სხვა ნიშნებს, სქესის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ, ასაკის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ოჯახურ დანაშაულზე 3 პირის მიმართ, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ოჯახურ დანაშაულზე 2 პირის მიმართ, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ოჯახურ დანაშაულზე 6 პირის მიმართ. ამასთან, სხვა ინტერსექციური ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია - სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნებით 1 პირის მიმართ, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობისა და წარმოშობის ნიშნებით 1 პირის მიმართ.

გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, შეუწყნარებლობით მოტივირებული ოჯახური დანაშაულები ძირითადად ჩადენილია მეუღლეებს, შვილებსა და მშობლებს შორის, რაც წლების მიხედვით ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2021 წლის მონაცემების თანახმად, ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის სოციალური კავშირის მიხედვით 561 შემთხვევაში ბრალდებული იყო დაზარალებულის მეუღლე, 39 შემთხვევაში - მშობელი, 15 შემთხვევაში - შვილი, ხოლო 51 შემთხვევაში - ოჯახის სხვა წევრი. 2022 წლის მონაცემებით, 780 შემთხვევაში ბრალდებული იყო

16 შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ანალიზი, 2023; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpfkV7AW.pdf; გენდერული დისკრიმინაციის მოტივი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში, 2023; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpd6JJYI.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

დაზარალებულის მეუღლე, 62 შემთხვევაში - მშობელი, 32 შემთხვევაში - შვილი, ხოლო 79 შემთხვევაში - ოჯახის სხვა წევრი. 2023 წლის მონაცემებით, 847 შემთხვევაში ბრალდებული იყო დაზარალებულის მეუღლე, 47 შემთხვევაში - მშობელი, 14 შემთხვევაში - შვილი, ხოლო 69 შემთხვევაში - ოჯახის სხვა წევრი.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შემდგომ, მნიშვნელოვანია განვიხილოთ სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები. 2021 წლის მონაცემების ანალიზის შესაბამისად, აღნიშნულ წელს სასამართლომ განიხილა შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის 463 სისხლის სამართლის საქმე 482 პირის მიმართ. მათგან, 321 პირის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 63 პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი. რაც შეეხება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების გამოყენების საკითხს, გამოყენებულია 198 პირის მიმართ, მათგან 144 პირი მსჯავრდებულია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ოჯახურ დანაშაულზე.

2022 წლის მონაცემების მიხედვით, სასამართლომ განიხილა შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის 805 სისხლის სამართლის საქმე, 866 პირის მიმართ. მათგან, 585 პირის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 96 პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი. რაც შეეხება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების გამოყენების საკითხს, გამოყენებულია 435 პირის მიმართ. აღნიშნული 435 პირიდან 333 პირი მსჯავრდებულია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ოჯახურ დანაშაულზე.

2023 წლის მონაცემების ანალიზის შესაბამისად, აღნიშნულ წელს სასამართლომ განიხილა შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის 1061 სისხლის სამართლის საქმე 1099 პირის მიმართ. მათგან, 756 პირის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 139

პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი. რაც შეეხება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების, გამოყენების საკითხს, გამოყენებულია 437 პირის მიმართ, მათგან 361 პირი მსჯავრდებულია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ოჯახურ დანაშაულზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სპეციალური და გენერალური პრევენციისათვის სასჯელი უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ ზემოქმედება მოახდინოს არა მხოლოდ მსჯავრდებულზე, არამედ საზოგადოების სხვა წევრებზეც, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე სასჯელის სწორად განსაზღვრა უმნიშვნელოვანესია, რათა ერთი მხრივ, საზოგადოებისთვის ხილული გახდეს სახელმწიფოს მკაცრი პოლიტიკა ამ კატეგორიის დანაშაულების მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, დაზარალებულებმა იგრძნონ სახელმწიფოს მხარდაჭერა და ხელახალი ვიქტიმიზაციისგან დაცვის გარანტია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, რომლითაც განსაზღვრულია სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები, სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს უნდა გაითვალისწინოს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მათ შორის, დანაშაულის მოტივი. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ დანაშაული ჩადენილია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ამავე კოდექსის 53¹ მუხლის შესაბამისად, მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს აღნიშნული გარემოება ყველა სახის სასჯელთან მიმართებით, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას კი, იხელმძღვანელოს ამავე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული წესით.

არსებული კარგი პრაქტიკის შესაბამისად, სასამართლო განაჩენში ასახულია მსჯელობა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივზე, სასჯელის დასაბუთების ნაწილში მოტივი განხილულია

როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისის არარსებობის შემთხვევაში, სასჯელი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად არის დანიშნული.

მაგალითისთვის, განვიხილოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი.[17] აღნიშნული განაჩენით, ბრალდებული გ.შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი), 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, 11¹, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი) და 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულების ჩადენაში.

წარდგენილი ბრალდების თანახმად, ბრალდებული *გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, კაცის უპირატესი როლის წარმოჩინებითა* და *მესაკუთრული დამოკიდებულებით, იმ მოტივით, რომ თითქოსდა დაზარალებულს არ ჰქონდა თავისი გადაწყვეტილებით მეგობრების შერჩევისა* და *სამსახურებრივი საქმიანობის თავისუფლად წარმართვის უფლება, სისტემატურად, ყოველდღიურად აყენებდა მეუღლეს სიტყვიერ შეურაცხყოფას, უწოდებდა მახინჯს და ამცირებდა.* საქმის არსებითი განხილვისას, ბრალდების მხარის მტკიცებულებები არ გამოკვლეულა, ვინაიდან ისინი დაცვის მხარემ არ მიიჩნია სადავოდ და დაეთანხმა მათში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს, შესაბამისად, მტკიცებულებებს მიენიჭა პრეიუდიციული მნიშვნელობა. სასამართლომ მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი მტკიცებულებების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, დადგენილად მიიჩნია ბრალდებულის მიერ ოჯახური დანაშაულების გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენა და მიუთითა: *„მოცემულ შემთხვევაში გამოკვეთილია გენდერის ნიშნით დისკრიმინაცია, რადგან სახეზე გვაქვს ქალის უფლებრივი შეზღუდვა სწორედ იმ მიზნით, რომ შესუსტდეს და გამოირიცხოს მისი უფლებრივი თანასწორობა მამაკაცის მიმართ, ასევე, არ მიეცეს ქალს თავისი უფლებებით თავისუფალი სარგებლობისა და განხორციელების შესაძლებლობა. ასეთ დროს, ქალს*

17 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 26 იანვრის განაჩენი, საქმე N1/6294-22.

წართმეული აქვს უფლება, თავად მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რაც მის პირად ცხოვრებას ეხება. ქალთა მიმართ ძალადობა გენდერის ნიშნით გულისხმობს ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალზე". ამასთან, სასამართლომ განაჩენში იმსჯელა, რომ დანაშაულის ჩადენა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის თანახმად წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას და სასჯელი დანიშნა აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი - ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენით,[18] ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით, 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და 11¹ 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულების ჩადენაში. წარდგენილი ბრალდების თანახმად, ბრალდებულმა *გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, მესაკუთრული დამოკიდებულების გამო, იძალადა მეუღლის მიმართ, ამასთან, მას დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, რაც დაზარალებულმა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.* სასამართლომ განაჩენში განმარტა გენდერის არსი და მიუთითა, რომ *გენდერი წარმოადგენს სქესის სოციალურ განზომილებას, რომელიც ასახავს კაცად და ქალად ყოფნის თავისებურებებს ამა თუ იმ საზოგადოებაში*, ასევე გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია განმარტა, როგორც *სქესის ნიშნით ნებისმიერი განსხვავება, გამიჯვნა ან/და შეზღუდვა, რაც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან სრული უარყოფით*. მიუთითა, რომ ბრალდების მხარემ სასამართლოს წარუდგინა საკმარისი და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, რითაც დადასტურდა ბრალდებულის ქმედებებში გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი და ის ფაქტი, რომ ბრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა ქალის მიმართ მესაკუთრული

18 ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 დეკემბრის განაჩენი, საქმე N1-1296/22.

დამოკიდებულის გამო. ამასთან, მოსამართლემ სასჯელის გამოყენების დასაბუთების ნაწილში გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი განიხილა როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება და სასჯელი დანიშნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

თუმცა, კარგი პრაქტიკის საპირისპიროდ, განაჩენებში გარკვეული ხარვეზებიც ვლინდება. მაგალითად, რიგ შემთხვევებში, სასამართლო იზიარებს დანაშაულის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენის ფაქტს, თუმცა სასჯელის დასაბუთების ნაწილში მოტივი არ არის განხილული როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება და სასჯელი დანიშნულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული წესის დაუცველად.

მაგალითად, სამტრედიის რაიონული სასამართლოს განაჩენით,[19] ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილითა და 11¹ 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულების ჩადენაში. წარდგენილი ბრალდების თანახმად, ბრალდებულმა *გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით იძალადა მეუღლის მიმართ, ამასთან, გაუგზავნა ხმოვანი შეტყობინებები და დაემუქრა, რომ დანით გამოჭრიდა ყელს, რის შედეგადაც დაზარალებულს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.* განაჩენში მითითებულია, რომ სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა ბრალდებულის მიერ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ოჯახის წევრის მიმართ ძალადობა და მუქარა. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე მსჯელობისას მიუთითა, რომ ბრალდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნდა. ამასთან, სასჯელის დანიშვნისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის წესი არ გაითვალისწინა.

19 სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 10 თებერვლის განაჩენი, საქმე N1/192-22.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი - მცხეთის რაიონული სასამართლოს განაჩენით,[20] ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ ასაკის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით (სამი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. წარდგენილი ბრალდების თანახმად, ბრალდებულმა *მეუღლის ხანდაზმულ მშობელს, ასაკის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით მუშტი დაარტყა სახის არეში. ამასთან, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას და ხშირად ეუბნებოდა, რომ სურდა მალე მომკვდარიყო.* სისხლის სამართლის საქმეზე, დაცვის მხარემ უდავოდ მიიჩნია ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და უარი განაცხადა მათ გამოკვლევაზე, ხოლო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა ასაკის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ოჯახის წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე მსჯელობისას მიუთითა, რომ ბრალდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნდა. ამასთან, სასჯელის დანიშვნისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის წესი არ გაითვალისწინა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსამართლეები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის პირველ და მესამე ნაწილებს ძირითადად იყენებენ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის კონკრეტული მოტივი. მოსამართლეთა მხრიდან, საკუთარი ინიციატივით აღნიშნული მუხლის გამოყენების შემთხვევები შედარებით მცირეა. ერთ-ერთ მაგალითს ქვემოთ განვიხილავთ.

გორის რაიონული სასამართლოს განაჩენით,[21] ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. წარდგენილი ბრალდების თანახმად, *ურთიერთშელაპარაკებისას, ბრალდებულმა მეუღლეს ყელში მოუჭირა ხელი, რის შედეგადაც*

20 მცხეთის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 4 ოქტომბრის განაჩენი, საქმე N1/302-22.

21 გორის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 14 იანვრის განაჩენი, საქმე N1/628-19.

დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. განაჩენში მოსამართლემ იმსჯელა დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობაზე და მიუთითა, რომ *„ბრალდებულს დანაშაულის ჩადენისას ამოძრავებდა ეჭვიანობის ნიადაგზე წარმოშობილი შურისძიების მოტივი. მისი დანაშაულის მიზანს, სწორედ, დაზარალებულის მიმართ ძალადობის ჩადენა და ამ გზით მისი, როგორც ქალის დამორჩილება წარმოადგენდა, რაც მან ძალადობრივი ქმედებით სისრულეში მოიყვანა“*. მიუხედავად იმისა, რომ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ბრალდების დადგენილებაში არ იყო მითითებული, მოსამართლემ დანაშაულის დისკრიმინაციული მოტივი განიხილა როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება და სასჯელი დანიშნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

დასკვნა

ამრიგად, შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე სისხლის სამართალწარმოებისას გამოვლენილი ხარვეზები აისახება მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე და საჭიროებს აღმოფხვრას. გამოძიების საწყისი ეტაპიდანვე, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს დისკრიმინაციის ნიშნების ინდიკატორების გამოკვეთას და ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობით, შესაბამისი შეუწყნარებლობის მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებას. მნიშვნელოვანია, დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი სწორად განისაზღვროს და აისახოს როგორც ბრალდების დადგენილებაში, ასევე სხვა საპროცესო დოკუმენტებში. ამასთან, სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისას, საქმის განხილვის ყველა რელევანტურ სტადიაზე ყურადღება უნდა გამახვილდეს დანაშაულის დისკრიმინაციულ მოტივზე და საბოლოოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის შესაბამისად, სასამართლოს წინაშე პროკურორმა მოითხოვოს ბრალდებულის მიმართ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების გამოყენება, რათა გაუმჯობესდეს სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილ განაჩენებში შეუწყნარებლობის მოტივის გაზიარებისა და აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სასჯელის დამამძიმებელი გარემოების გამოყენების ტენდენცია.

5

მირიან მეგრელიშვილი

საქართველოს გენერალური პროკურატურის პროფესიული განვითარების ცენტრის უფროსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ადევნების კვალიფიკაცია ქართულ სისხლის სამართალში

1. შესავალი

2017 წლის 4 მაისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში დანაშაულის ახალი შემადგენლობა გაჩნდა - ადევნება. აღნიშნული ნოვაციის შემოტანას იურიდიული საზოგადოება ერთგვაროვნად არ შეხვედრია. ერთი მხრივ, სახეზე იყო დადებითი შეფასებები, რაც გამოწვეული იყო ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის საქმეში ქართული კანონმდებლობის სრულყოფის და ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის გზაზე წინგადადგმული ნაბიჯით. მეორე მხრივ, არსებობდა გარკვეული სკეპსისი, ხომ არ იყო ხსენებული გადაწყვეტილება ზედმეტად რეპრესიული და ხომ არ გამოიწვევდა აღნიშნული მუხლის შემოღება მანამდე, გარკვეულწილად, სოციალურად ადეკვატურად აღქმული ქმედებების დასჯადობას.

საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებიდან 7 წლის თავზე უკვე შესაძლებელია ითქვას თუ რამდენად გამართლებული აღმოჩნდა აღნიშნული ნოვაცია. მართალია, ამ მასშტაბის ცვლილების შესაფასებლად 7 წელი დიდი დრო არ არის, რადგან 7 წელიწადში არათუ ყველა პრობლემური საკითხის გადაწყვეტა, არამედ თავად ყველა პრობლემური საკითხიც კი არ წამოწეულა წინა პლანზე. თუმცა, დაგროვილი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის, ასევე, სამართლებრივ ლიტერატურაში მიმოხილული მოსაზრებების გაანალიზების საფუძველზე მაინც შესაძლებელია გაკეთდეს საყურადღებო დასკვნები: - რამდენად მიიღო ქართული სისხლის სამართლის სისტემამ და პრაქტიკამ ახალი დანაშაულის

შემადგენლობა, რამდენად ნათელია როგორც ადრესატისათვის ასევე, სამართალშემფარდებლისათვის კანონმდებლის სულისკვეთება და ნორმის მიზანი, რამდენად სწორად ვითარდება პრაქტიკა და ხომ არ არის საჭირო ამ მიმართულებით გარკვეული ცვლილებების შეტანა.

ქართულ სისხლის სამართალში ადევნების შემოსვლა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციას უკავშირდება. საქართველო არც პირველი და არც ერთადერთი ქვეყანა არ ყოფილა, რომელმაც ადევნების კრიმინალიზაციის გადაწყვეტილება მიიღო. ნორმის განმარტებისას მისი მიღების კონტექსტი უმნიშვნელოვანესია, თუმცა ნორმა არსებობას აგრძელებს მისგან დამოუკიდებლადაც. ამგვარად, ნორმის შემოღების წინაპირობებთან და მიზნებთან ერთად მნიშვნელოვანია სრულყოფილად გაანალიზდეს სისხლის სამართლის კოდექსის 151[1] მუხლის შემადგენლობა და როგორ ახდენს მის სუბსუმციას ქართული საპროკურორო და სასამართლო პრაქტიკა.

2. ადევნება, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ფორმა და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის გავლენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151[1] მუხლზე

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (შემდგომში - სტამბოლის კონვენცია) მიღებას ხანგრძლივი წინაპირობები უძღოდა. 1990-იანი წლებიდან არაერთი რეზოლუცია და რეკომენდაცია იქნა მიღებული, რომლებიც ადგენდნენ გენდერული ძალადობის ყველაზე მძიმე და გავრცელებული ფორმების პრევენციისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სავალდებულო სტანდარტებს. აღნიშნულის მიუხედავად, ქალთა მიმართ ძალადობის რეალური მასშტაბების გამოაშკარავების პარალელურად, საჭირო გახდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ყოვლისმომცველი სტანდარტების დაწესება. 2008-2010 წლებში მიმდინარეობდა მუშაობა კონვენციის ტექსტის პროექტზე, რომელიც მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული იქნა 2011

წელს, იმავე წელს გაიხსნა ხელმოწერებისათვის, ხოლო ძალაში შევიდა 2014 წელს.[1] საქართველოს მიერ კონვენციის რატიფიცირება 2017 წელს მოხდა.[2]

სტამბოლის კონვენცია მსხვერპლთა დაცვის, პრევენციისა და სხვა პროცესუალურ საკითხებთან ერთად, მატერიალურ-სამართლებრივ ნაწილსაც შეიცავს, რომელიც ხელშემკვრელ მხარეებს ქალთა მიმართ ძალადობის ცალკეული გამოვლინებების კრიმინალიზაციას ავალდებულებს. მათ შორის, სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით, *„მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს მეორე პირის მიმართ მრავალჯერადი მუქარის შემცველი ქცევით გამოხატული წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც მასში საფრთხის შიშს იწვევს“.*

სტამბოლის კონვენციაში ადევნება ქალთა მიმართ ძალადობის კონტექსტშია მოხსენიებული და ანალოგიური განმარტებაა გაკეთებული ევროპის საბჭოს სხვა არაერთ პუბლიკაციაშიც. „კონვენცია ნათლად განმარტავს, რომ ადევნება არის ქალის მიმართ ძალადობის ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მონაცემები ამასთან მიმართებით არაერთგვაროვანია, კარგად არის ცნობილი, რომ ადევნების მსხვერპლი ძირითადად ქალია, დამნაშავე კი - კაცი. ხშირად ქალებზე ადევნება ხდება მას შემდეგ, რაც ისინი ურთიერთობას ასრულებენ კაცთან. ამ ტიპის ძალადობა ცალსახად გენდერზეა დაფუძნებული, რადგან უკავშირდება დომინანტობისა და კონტროლის სურვილს. არცთუ იშვიათად ქალებზე ადევნება ხდება იმ კაცების მხრიდანაც, რომლებთანაც მათ არასდროს ჰქონიათ ურთიერთობა, მაგრამ, როგორც წესი, მოძალადე არ არის უცხო პირი, მას ქალი საიდანღაც იცნობს“.[3]

ადევნება, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ფორმა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაშიც გვხვდება.

1 https://www.coe.int/en/web/istanbul-convention/historical-background (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

2 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

3 https://rm.coe.int/stalking-istanbul-convention-web-a5/1680925867 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ვოლოდინა რუსეთის წინააღმდეგ“, სადაც განმცხადებელი მიუთითებდა რომ იგი წლების განმავლობაში იყო ყოფილი პარტნიორის მხრიდან ოჯახში ძალადობის, მათ შორის, ციფრული (კიბერ) ადევნების მსხვერპლი. იმის გამო, რომ სახელმწიფომ არ მიიღო სათანადო ზომები მსხვერპლის დასაცავად, სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამებისა და არაადამიანური მოპყრობისაგან დაცვა) პროცესუალური ნაწილის დარღვევა.[4] სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს: (1) შექმნას და პრაქტიკაში გამოიყენოს შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს კერძო პირების მიერ არასათანადო მოპყრობისაგან დაცვას; (2) მიიღოს სათანადო ზომები, რათა თავიდან აიცილოს არასათანადო მოპყრობის რეალური საფრთხე, რის შესახებაც ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა იციან ან უნდა სცოდნოდათ; (3) განახორციელოს ეფექტური გამოძიება, როდესაც არასათანადო მოპყრობის შესახებ არსებობს საჩივარი.[5]

მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლის კონვენცია ადევნებას ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლინებად მიიჩნევს, ბუნებრივია, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ადევნება მსგავსი ფორმულირებით ვერ მოხვდებოდა. სისხლის სამართლის კოდექსი თანაბრად იცავს როგორც ქალის ასევე კაცის სამართლებრივ სიკეთეს.[6] მეორე მხრივ, საინტერესოა, რამდენად შეიძლება ის ფაქტორი, რომ ადევნება სტამბოლის კონვენციის მიხედვით, უპირატესად ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ფორმაა, გამოყენებული იქნას ნორმის განმარტებისა თუ სამართალშეფარდების პრობლემური საკითხების გადაწყვეტის დროს, ასევე სასჯელის დანიშვნის ნაწილში.

4 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე VOLODINA v. RUSSIA (Application no. 41261/17).

5 კვაჭაძე მ., ჯუღელი ნ., ღვინჯილია ე., სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლის (ადევნება) სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2019, 23.

6 გამონაკლისი შემადგენლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში, რომლის დაზარალებულიც შესაძლებელია მხოლოდ ქალი იყოს, არის სსკ-ს 133[2] მუხლი, რომელიც დასჯადობას ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრებისთვის ითვალისწინებს და აღნიშნული მუხლიც საქართველოს სსკ-ში სწორედ სტამბოლის კონვენციის 38-ე მუხლის ზეგავლენით შეიქმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომზე მუშაობის პროცესში შესწავლილი საქართველოს სსკ-ს 151[1] მუხლით გამოტანილი 20 განაჩენიდან 18-ში დანაშაულის ამსრულებელი კაცია, ხოლო მსხვერპლი ქალი, მოსამართლეები განაჩენთა მხოლოდ მცირე ნაწილში მსჯელობენ ადევნებაზე, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის გამოხატულებაზე, სტამბოლის კონვენციაზე და გენდერული ძალადობის მზარდი მასშტაბების გათვალისწინებით სახელმწიფოს მხრიდან მასზე ეფექტიანი რეაგირების საჭიროებაზე. გამონაკლის შემთხვევებში მსგავსი მსჯელობა გვხვდება სასჯელის დასაბუთების ნაწილში. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 26 ივნისის განაჩენის მიხედვით, *„ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულების მხრივ ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევები და ქალთა მიმართ ძალადობა ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ გამოწვევად რჩება. ქალთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლველად მიღებული კანონების შესრულებას აბრკოლებს საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულება და ღრმად ფესვგადგმული პატრიარქალური მიდგომები და გენდერული სტერეოტიპები, რაც გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას განაპირობებს. პრაქტიკის ანალიზით ირკვევა, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალები სახელმწიფოს დახმარებას არ სთხოვენ მანამ, სანამ მდგომარეობა უკიდურესად არ გართულდება და სამართალდამცავების ჩარევა მათთვის სიცოცხლის გადარჩენისა და ჯანმრთელობის დაზიანებისაგან დაცვის ერთადერთი გზა არ აღმოჩნდება. ამ კონდიციამდე მისვლას კი ხშირად ხელს უწყობს ნათესავებისა და ოჯახის წევრების გარემო, რომლებიც ზეწოლას ახდენენ მსხვერპლის თავისუფალ ნებაზე. ხშირად მსხვერპლის თავისუფალი ნება პარალიზებულია მრავალი ფაქტორით, კერძოდ სიყვარულით განპირობებული მიმტევებლობის, ნათესავების ზეწოლის, საზოგადოების რეაგირებისა თუ მოძალადის შიშის, შვილების ან საცხოვრებლის დაკარგვის საფრთხის გამო, ვერ ახერხებენ საკუთარი პოზიციის ბოლომდე დაფიქსირებას, რასაც მოგვიანებით ნანობენ და შედეგებსაც საკუთარ ჯანმრთელობაზე იღებენ. მსხვერპლის და მისი შვილების უსაფრთხოებას ექმნება განმეორებითი და შესაძლოა, ინტენსივობით უფრო მაღალი ხარისხის საფრთხე. სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ადეკვატური რეაგირების*

განხორციელების პასუხისმგებლობა გონივრულობის ფარგლებში ეკისრება სახელმწიფოს“.[7] მოცემული მსჯელობის საფუძველზე, მოსამართლემ ადევნებაში მსჯავრდებული პირის მიმართ სასჯელის სახით რეალური თავისუფლების აღკვეთა გამოიყენა.

ადევნების ფაქტზე გამოტანილ კიდევ ერთ გამამტყუნებელ განაჩენში მოსამართლე მსჯელობს, რომ „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მიხედვით, *„მოძალადე უნდა ისჯებოდეს ეფექტური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი ზეგავლენის მქონე სანქციების საშუალებით, ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის სერიოზულობის გათვალისწინებით“.8*

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სსკ-ს 151[1] მუხლი იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ იგი მთავარ აქცენტს ქალის მიმართ ძალადობაზე არ აკეთებს. სსკ-ს 151[1] მუხლით დასჯადია, როგორც ქალის მიმართ, ასევე კაცის მიმართ ადევნება. ეს გადაწყვეტაც, თავის მხრივ, თანხვედრაშია სტამბოლის კონვენციის სულისკვეთებასთან. ამის ერთ-ერთი არგუმენტი ის გახლავთ, რომ კონვენციის ტექსტი გენდერულად ნეიტრალურ ენაზეა ფორმულირებული, მათ შორის, მსხვერპლის მიმართ გამოყენებულია ორივე სქესის ნაცვალსახელები, რაც ნიშნავს, რომ ადევნება შეიძლება ემუქრებოდეს, როგორც ქალის, ასევე კაცის უსაფრთხოებას.[9] აქედან გამომდინარე, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში შესაძლოა შეგვხვდეს ადევნება როგორც ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ფორმით, ასევე მის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში უკვე მოიძებნება გამამტყუნებელი განაჩენები, სადაც ვხვდებით ქალის მსჯავრდებას ქალის მიმართ ადევნებისათვის, ასევე ქალის მსჯავრდებას კაცის მიმართ ადევნებისათვის.

მაგ. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ია ვ.-ს მსჯავრი დაედო ტარიელ წ.-ს მიმართ ჩადენილი ადევნებისათვის. სასამართლო

7 თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 26 ივნისის განაჩენი.

8 თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 ივნისის განაჩენი.

9 https://rm.coe.int/stalking-istanbul-convention-web-a5/1680925867 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

განაჩენით დადგინდა, რომ ია ვ. სისტემატურად ამყარებდა არასასურველ კომუნიკაციას ტარიელ წ.-სთან და აკითხავდა როგორც სამსახურში, ისე საცხოვრებელ მისამართზე, რის გამოც იგი იძულებული გახდა შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი, გადასულიყო სხვა ქალაქში, ასევე გამოეცვალა ტელეფონის ნომერი და გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ მისულიყო სახლში, რამაც მისი ფსიქოლოგიური ტანჯვა გამოიწვია.[10]

ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 დეკემბრის განაჩენით ადევნებისათვის დამნაშავედ იქნა ცნობილი თამთა ტ. რომელსაც ბრალად შეერაცხა, რომ იგი სისტემატურად ახორციელებდა მისი მეზობლების (როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის) მიმართ ჯანმრთელობის დაზიანებისა და ქონების განადგურების მუქარას, სიტყვიერ შეურაცხყოფას, არასასურველ კომუნიკაციას, რაც მათ ფსიქოლოგიურ ტანჯვას აყენებდა. დაზარალებულები მუდმივად იყვნენ შიშის ქვეშ და შეექმნათ ცხოვრების წესის შეცვლის საჭიროება და ზოგიერთ შემთხვევაში ცხოვრების წესი შეიცვალეს კიდეც.[11]

მიუხედავად მსგავსი პრაქტიკისა, იმ შემთხვევაში, როდესაც კაცის მხრიდან ხდება ადევნება ქალის მიმართ - სასამართლო უფრო მკაცრია, როგორც შეფასების, ასევე სასჯელის ნაწილში, რაც გამართლებულიცაა. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ადევნების შემადგენლობა ძირითადად (თუმცა არამხოლოდ) ქალთა დაცვის მექანიზმია, ეს მიდგომა სტამბოლის კონვენციიდან გამომდინარეობს. რომ არა სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება, შესაძლოა აღნიშნული მუხლი არც კი აღმოჩენილიყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, ან აღმოჩენილიყო შედარებით გვიან. არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ ადევნების მსხვერპლები ძირითადად ქალები არიან,[12] მათ შორის, საზოგადოების გარკვეული მოწყვლადი კატეგორიის ჯგუფებს აქვთ ვიქტიმიზაციის კიდევ უფრო მაღალი ალბათობა.[13]

10 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 მარტის განაჩენი.

11 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 დეკემბრის განაჩენი.

12 Cheyne N., Guggisberg M., Stalking: An Age Old Problem with New Expressions in the Digital Age, 2020, 1; https://www.academia.edu/36343027/STALKING_AN_AGE_OLD_PROBLEM_WITH_NEW_EXPRESSIONS_IN_THE_DIGITAL_AGE (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

13 Sheridan L.P., Blaauw E., Davies G.M., Stalking Knowns and Unknowns, Trauma, Violence and Abuse, Sage publications N2, 2003, 148.

სწორედ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ფესვგადგმული სტერეოტიპებიდან გამომდინარე, ერთი და იგივე ინტენსივობის ქმედება კაცის მხრიდან ქალის მიმართ ბევრად უფრო დამაზიანებელია, ვიდრე პირიქით. ამას მოწმობს ისიც, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ტრივიალური შემთხვევები ხშირად ქალთა მკვლელობაში - ფემიციდში გადაზრდილა.[14] აღნიშნულის გათვალისწინებით, ქმედების ინტენსივობის და საშიშროების, ასევე მსხვერპლზე მისი გავლენის შესაფასებლად, ასევე სასჯელის კონკრეტული სახის და ზომის დანიშვნის მიზანშეწონილობის გადასაწყვეტად, მოსამართლე უნდა ითვალისწინებდეს ადევნების, როგორც უპირატესად ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის გამოხატულების შინაარს, ისევე როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ზრდად მასშტაბებს და შორს მიმავალ მძიმე შედეგებს თანამედროვე საზოგადოებაში. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ადევნება არ შეიძლება განიმარტოს მხოლოდ ქალთა მიმართ ძალადობის კონტექსტში, ვინაიდან ეს იქნება კანონის განმარტება contra legem და უსამართლოდ მიგვიყვანს გარკვეული ქმედებების დაუსჯელობამდე.

3. ადევნების განმარტება და შემადგენლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

3.1. ადევნების ცნება და ფორმები

ადევნებას მოიხსენიებენ როგორც 90-იანი წლების დანაშაულს, მიუხედავად იმისა, რომ ადევნება, როგორც სოციალური ფენომენი საუკუნეებია არსებობს და მის ანარეკლს გასული საუკუნეების წერილობით წყაროებში, მათ შორის, ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც პოულობენ. ასევე, ადევნების მსგავსი ქმედების აკრძალვა ჩანს მეხუთე საუკუნის სამართლებრივი ძეგლის - იუსტინიანეს ინსტიტუციების ტექსტშიც.[15] ტერმინი სტალკინგი

14 კალიფორნიის შტატში 1990 წელს ადევნების კრიმინალიზაციის ერთ-ერთი საფუძველი სწორედ ყოფილი მეუღლეების მიერ ქალთა მკვლელობების გახშირებული ფაქტები გახდა; ჯიშკარიანი ბ., ადევნება, როგორც სისხლისსამართლებრივი შემადგენლობა, ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი, მესამე გამოცემა, 2018, 46.

15 Sheridan L.P., Blaauw E., Davies G.M., Stalking Knowns and Unknowns, Trauma, Violence and Abuse, Sage publications, N2, 2003, 149.

(Stalking), რომელიც ქართულად ადევნებად[16] ითარგმნა, ეტიმოლოგიურად მტაცებლის ან მონადირის მიერ მსხვერპლის ჩასაფრების მნიშვნელობით გამოიყენებოდა.[17]

ადევნების რამდენიმე განსხვავებული განმარტება არსებობს, როგორც კლინიკურ მეცნიერებებში, ასევე სამართალში, მაგრამ მათ შორის საერთო ის არის, რომ უმრავლესობა განმარტებებისა აქცენტს აკეთებს განზრახ, განმეორებად, შემაწუხებელ, შემავიწროებელ თვალთვალზე და სხვაგვარ ქცევაზე, რომელიც მსხვერპლში შიშის, შფოთვის, განგაშის შეგრძნებას იწვევს.[18] ზოგიერთ განმარტებაში მსხვერპლთან ერთად შემოდის გონიერი დამკვირვებლის ელემენტი და ადევნებად განიმარტება განმეორებადი შევიწროება ადამიანისა, რომელიც მსხვერპლში ან იმავე სიტუაციაში მყოფი გონიერი პირისათვის იწვევს შიშის შეგრძნებას.[19]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151[1] მუხლით ადევნება განიმარტება, როგორც *პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის.* კანონმდებელმა საგრძნობლად გააფართოვა სტამბოლის კონვენციით განსაზღვრული ცნება, რომელიც აქცენტს მუქარის შემცველ ქცევაზე და მსხვერპლში შიშის შეგრძნებაზე აკეთებს. სისხლის სამართლის კოდექსის არსებული რედაქციით, ადევნება შეიძლება გამოიხატოს ისეთ ალტერნატიულ ქმედებებში, როგორიცაა

16 ტერმინოლოგიური კუთხით ტერმინ სტალკინგის ქართულენოვანი თარგმანის ერთ-ერთ ალტერნატიულ ვარიანტად „გადაკიდება“ მოიაზრებოდა, რომელიც საბოლოო ჯამში მხარდაჭერილი არ იქნა.

17 Sheridan L., Davies G.M., Stalking: The elusive crime, Legal and Criminological Psychology (6), 2001, 138.

18 Seiler M., &238 StGb – Analyse und Auslegung des Nachstellungstatbestandes, Tübingen, 2010, 4.

19 Cheyne N., Guggisberg M., Stalking: An Age Old Problem with New Expressions in the Digital Age, 2020; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.academia.edu/36343027/STALKING_AN_AGE_OLD_PROBLEM_WITH_NEW_EXPRESSIONS_IN_THE_DIGITAL_AGE (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

უკანონო თვალთვალი, არასასურველი კომუნიკაცია სხვადასხვა საშუალებით და ასევე ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება.

საკითხავია, რამდენად შეესაბამება მსგავსი განსაზღვრება „სხვა ნებისმიერი ქმედება“ სისხლის სამართლის კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას და შესაბამისად კანონიერების პრინციპს, რამდენად ზუსტად შეუძლია ამოიკითხოს ნორმის ადრესატს - თუ რა ითვლება აკრძალულ ქმედებად და ხომ არ ტოვებს არსებული ფორმულირება სახელმწიფო უწყებების და სამართალშემფარდებლის მიერ ნორმის ზედმეტად რეპრესიულად გამოყენების რისკებს.

ადევნების დასჯადობის შემოღების საკითხი გერმანულ სამართლებრივ საზოგადოებაშიც დისკუსიის საგანი იყო. აქაც, დასჯადობის მომხრეთა მთავარი არგუმენტი იყო ერთი მხრივ ის, რომ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში არსებული მუხლები (შეურაცხყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, მუქარა) საკმარისად ვერ ფარავდა ადევნების შემადგენლობას. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი გარემოება იყო ახალი ნორმის პრევენციული ხასიათი. ამავდროულად კრიტიკა არსებობდა ნორმის განსაზღვრულობის კუთხით, ისეთი შეფასებითი ელემენტების არსებობის გამო როგორიცაა მაგ., „ცხოვრების წესის მნიშვნელოვანი ცვლილება“.[20] განსაზღვრულობის საკითხი გახდა დავის საგანი ბრიტანეთშიც, სადაც არაერთი ავტორი მიუთითებდა, რომ თუკი ადევნების საწინააღმდეგო კანონმდებლობა არასაკმარისად განსაზღვრულია, არის რისკი, რომ მოხდეს ყოველდღიური ნორმალური ქცევის კრიმინალიზება.[21]

პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ კანონმდებელმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც ქმედებების ამომწურავი ჩამონათვალი არ შემოგვთავაზა და აქცენტი, საზღვარგარეთის კანონმდებლობის მსგავსად, ამ ქმედებების განმეორებითობაზე და მსხვერპლის მიერ მათ აღქმაზე გააკეთა. სხვანაირად, ამდევნებელთა ქმედებების მრავალფეროვნების გათვალისწინებით გაჩნდებოდა ხარვეზი დასჯადობაში. როგორც იურიდიული ლიტერატურის, ასევე პრაქტიკის ანალიზიც მეტყველებს, რომ,

20 Kuhlen L., Stalking als Kriminalpolitisches Problem, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, N3, 2018, 91.

21 Sheridan L., Davies G.M., Stalking: The elusive crime, Legal and Criminological Psychology (6), 2001, 138.

ერთი მხრივ, ამდევნებელთა ქმედებებში მნიშვნელოვანი ელემენტები საერთოა, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ორიგინალურობასაც.

ადევნების ყველაზე ხშირ გამოხატულებად ითვლება არასასურველი სატელეფონო ზარები და ფიზიკურად გამოჩენა იმ ადგილებში სადაც მსხვერპლი ხშირად იმყოფება, თუმცა ასეთი ქცევა თავდაპირველად მსხვერპლის მიერ აღიქმება როგორც უბრალოდ უცნაური ან შეუსაბამო ქცევა.[22] სხვა ავტორების მიხედვით ადევნება შეიძლება გამოიხატებოდეს ფიზიკურ ადევნებაში, სატელეფონო ზარებში, ტექსტურ შეტყობინებებში, GPS მოწყობილობით თვალთვალში, წერილებში, შეურაცხმყოფელი ნივთების გადაცემაში. არ არის გამორიცხული საგნის დაზიანება, ძალადობრივი ქმედებები.[23] სტალკერმა ასევე შეიძლება დაიქირაოს სხვა ადამიანი მსხვერპლის შესახებ ინფორმაციის მისაღებად. უწყვეტობა დანაშაულებრივად აქცევს ქმედებებსაც, რომლებიც მანამდე დანაშაულებრივად არ ჩაითვლებოდა. სხვადასხვა იურისდიქციებში საერთო ის არის, რომ ადევნების განმსაზღვრელი ელემენტები მოძალადის ქცევების განმეორებადობა და ფსიქოლოგიური რეაქციებია, რასაც ის მსხვერპლში იწვევს".[24] ადევნების ამსრულებელს შეუძლია მსხვერპლის შევიწროება ცალსახად უკანონო ქმედებებით, როგორიცაა სახლში შეჭრა, ძალადობრივი ქმედების ჩადენა, თუმცა მრავალი დამნაშავე იყენებს ისეთ ქმედებებს რომელიც თითქოს რუტინული და უვნებელია. ამის მაგალითები შეიძლება იყოს მუდმივად დგომა მსხვერპლთან ახლოს საჯარო ადგილას, ან ხშირი მისვლა მსხვერპლის სახლთან.[25] ადევნებისათვის აუცილებელი მახასიათებელი არ არის ფიზიკური ძალადობა, თუმცა იმ შემთხვევებში, როდესაც ამდევნებელი ყოფილი მეუღლე ან ყოფილი პარტნიორი კაცია, ფიზიკური ძალადობის რისკებიც მაღალია.[26]

22 Meloy J.R., Stalking: An Old Behavior, A New crime, The Psychiatric Clinics of North America (1), 1999, 90.

23 შალიკაშვილი მ., თანდილაშვილი ხ., ბახტაძე უ., ვიქტიმოლოგია მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, მეორე გამოცემა, თბილისი, 2023, 203.

24 Cheyne N., Guggisberg M., Stalking: An Age Old Problem with New Expressions in the Digital Age, 2020; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.academia.edu/36343027/STALKING_AN_AGE_OLD_PROBLEM_WITH_NEW_EXPRESSIONS_IN_THE_DIGITAL_AGE (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

25 Sheridan L.P., Blaauw E., Davies G.M., Stalking Knowns and Unknowns, Trauma, Violence and Abuse, Sage publications N2, 2003, 148.

26 Boon J., Sheridan L. (eds.), Stalking and psychosexual obsession: Psychological perspectives for prevention, policing, and treatment, 2002, 106.

ზოგიერთი ავტორი გვთავაზობს ადევნების განვითარების ეტაპებსაც, რომელიც, როგორც წესი, იწყება მსხვერპლის შესახებ ინფორმაციის შეგროვებით, არასაშიში შეტყობინებებით, შემდგომ შემოდის ფიზიკური ადევნების ელემენტები, რომლებიც შეიძლება ტრანსფორმირდეს ვანდალიზმად, ფიზიკურ, სექსუალურ ძალადობად და უკიდურეს შემთხვევაში მკვლელობად ან მკვლელობის მცდელობად.[27]

მეცნიერებაში ცალკე მიმართულებად გამოყოფენ კიბერადევნებას, რომელიც შეიძლება იყოს ფიზიკური ადევნების გაგრძელება ან ცალკე მხოლოდ ციფრულ სივრცეში მიმდინარე ადევნება. კიბერადევნება არ საჭიროებს ფიზიკურ სიახლოვეს რაც უადვილებს მოძალადეს მსხვერპლთან წვდომას. კიბერადევნება შეიძლება მოიცავდეს საფოსტო „დაბომბვას“, მსხვერპლის კომპიუტერზე წვდომის მოპოვებას და დაინფიცირებას ვირუსით, სექსუალური შინაარსის კონტენტის გამოქვეყნებას მსხვერპლის სახელთან და საკონტაქტო ინფორმაციასთან ერთად, GPS-ით თვალთვალს, სოციალური მედიის პლატფორმებზე მსხვერპლის შეურაცხყოფას და ა. შ.[28]

3.2. ადევნებისგან დაცული სამართლებრივი სიკეთე

დანაშაულის ობიექტი ანუ დაცული სამართლებრივი სიკეთე როგორც კლასიკურ, ასევე ფინალურ სისტემაში, დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მუხლის ანალიზისას, ისევე როგორც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას, არსებითია იმის განსაზღვრა, თუ რომელი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად შეიქმნა კონკრეტული შემადგენლობა და რომელი დაცული ინტერესის ხელყოფა ან საფრთხეში ჩაგდება ხდება ამსრულებლის მიერ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისას.

27 Spence-Diehl E., Stalking - A Handbook for Victims, 1999, 3.

28 Cheyne N., Guggisberg M., Stalking: An Age Old Problem with New Expressions in the Digital Age, 2020; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.academia.edu/36343027/STALKING_AN_AGE_OLD_PROBLEM_WITH_NEW_EXPRESSIONS_IN_THE_DIGITAL_AGE (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

დანაშაულის ობიექტი არის სამართლებრივი სიკეთე ან პირის ინტერესი, რომლითაც იგი საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობს. დანაშაულის ობიექტად ითვლება ის სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც დანაშაულის შედეგად ადგება ზიანი, ხდება მისი ხელყოფა ან ექმნება საფრთხე.[29]

იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა მოვიაზროთ ადევნების, როგორც დანაშაულის ობიექტად, სამართლებრივ ლიტერატურასა და პრაქტიკაში განსხვავებული მოსაზრებებია განხილული.

ბაჩანა ჯიშკარიანი, გერმანულ დოქტრინაზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ ადევნების კრიმინალიზებით კანონი იცავს ადამიანის ცხოვრების ინდივიდუალურ სფეროს, მის თავისუფლებასა და გადაწყვეტილების მიღების თუ თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობას, რასაც ემატება შინაგანი სიმშვიდის დაცვის უფლება.[30] სხვა მოსაზრებით აღნიშნული დანაშაულის ხელყოფის ობიექტია ადამიანის ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე - მისი თავისუფლება, თავისუფალი ცხოვრების (ნორმალური სოციალური ურთიერთობების დამყარება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება შეუზღუდავად) და გადაადგილების უფლება, ფსიქიკური ჯანმრთელობა, ადამიანის უფლება იცხოვროს მშვიდ, უსაფრთხო, დაცულ გარემოში.[31] ნონა თოდუას მოსაზრებით, ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია პირის უფლება, დაცული იყოს სხვა პირთა მხრიდან არასასურველი მოპყრობისა კომუნიკაციისაგან, ასევე უფლება, იცხოვროს მშვიდ გარემოში.[32] კიდევ ერთი მოსაზრებით, ადევნების კრიმინალიზებით, სამართლებრივად დაცულია ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე, რაც გულისხმობს ადამიანის თავისუფლებას, დაცულობას, უსაფრთხოებას ფსიქოლოგიური ძალადობისაგან ყოველდღიურ ცხოვრებაში.[33]

29 ხუროშვილი გ., ნაჭყებია გ. (რედ), დვალიძე ი. (რედ), ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2007, 110.

30 ჯიშკარიანი ბ., ადევნება, როგორც სისხლისსამართლებრივი შემადგენლობა, ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი N3, 2018, 48.

31 ბესტავაშვილი დ., ადევნების შემადგენლობის სისხლისსამართლებრივი ასპექტები, ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხის საიუბილეო კრებული - 60, 2021, 192.

32 თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2023, 445.

33 მერებაშვილი ნ., ადევნების დასჯადობის ლეგიტიმაცია, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N3, 2018, 66.

მსგავსად განიმარტება დაცვის ობიექტი სასამართლო პრაქტიკაშიც. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის მიხედვით, საქართველოს სსკ-ს 151[1] მუხლით სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ფსიქიკური ხელშეუხებლობა, მისი სიმშვიდე და მყუდრო გარემოში ცხოვრების უფლება.[34]

ზემოხსენებული პოზიციების შეჯერების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადევნების ობიექტი არის ადამიანის ფსიქიკური უსაფრთხოების, მშვიდ გარემოში ცხოვრებისა და საქმიანობის თავისუფლების ინტერესი.

3.3. ადევნების შემადგენლობის შესაბამისი ქმედება და ქართული სასამართლო პრაქტიკა

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადევნება შეიძლება გამოიხატოს უკანონო თვალთვალში, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარებაში ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ასევე ნებისმიერ სხვა განზრახ ქმედებაში, რომელიც იწვევს საქართველოს სსკ-ს 151[1] მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ადევნების, როგორც ტრივიალური, ასევე შედარებით რთული შემთხვევები.

მაგ., გორის რაიონული სასამართლოს განაჩენის მიხედვით, დ. თ.-ს მსჯავრი დაედო ადევნებისათვის მასზედ, რომ იგი ორი წლის განმავლობაში უკანონო თვალთვალს და არასასურველ კომუნიკაციას ახორციელებდა ა. რ.-ს საცხოვრებელ ადგილზე, ქუჩაში და უნივერსიტეტში. კერძოდ, მსჯავრდებული სისტემატურად უკავშირდებოდა მობილური ტელეფონით ა. რ.-ს, სთხოვდა შეხვედრას და მასთან საუბარს, რის გამოც მსხვერპლმა განიცადა ფსიქოლოგიური ტანჯვა და იძულებული გახდა მნიშვნელოვნად შეეცვალა ცხოვრების წესი - კერძოდ, შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი.[35] მსგავსი გარემოებები გვხვდება გორის რაიონული

34 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 22 ივნისის განაჩენი.

35 გორის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 19 ნოემბრის განაჩენი.

სასამართლოს სხვა განაჩენშიც, სადაც ასევე უკანონო თვალთვალის, მობილური ტელეფონით სისტემატური არასასურველი კომუნიკაციის და შეხვედრის თხოვნის შედეგად, მსხვერპლმა განიცადა ფსიქოლოგიური ტანჯვა და იძულებული გახდა შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი.[36]

ადევნების უფრო საშიშ ფორმებს ვხვდებით სხვა შემთხვევებში. მაგ., რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, მ. ი.-ს მსჯავრი დაედო ადევნებისათვის მასზედ, რომ იგი ა. წ.-სთან სისტემატურად ამყარებდა არასასურველ პირად და სატელეფონო კომუნიკაციას. კერძოდ, მას შემდეგ რაც ა. წ.-მ სასიყვარულო ურთიერთობაზე მ. ი.-ს უარი უთხრა, ეს უკანასკნელი ეჭვიანობის მოტივით ურეკავდა მსხვერპლს, სთხოვდა შეხვედრას, უგზავნიდა სატელეფონო შეტყობინებებს, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, აგინებდა, ეძახდა უწესო ქალს, ემუქრებოდა, რომ დაწვავდა, გაწირავდა, ხვდებოდა საცხოვრებელ სახლთან, უბრახუნებდა ბინის კარებზე, რაც იწვევდა მსხვერპლის ფსიქიკურ ტანჯვას. აღნიშნული ქმედებები ა.წ.-ს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებდა. შედეგად, ა. წ. იძულებული გახდა სამუშაო ადგილი სხვა ქალაქში მოეძიებინა, საღამოს საათებში თავი შეეკავებინა საცხოვრებელი სახლის დატოვებისა და პირადი ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვისაგან.[37] ვხვდებით სხვა განაჩენებსაც, სადაც ადევნება გამოიხატა ასევე სისტემატურ სიტყვიერ შეურაცხყოფასა და ძალადობის მუქარაში.[38]

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ამსრულებელთა ქმედებები - არასასურველი კომუნიკაცია, თვალთვალი, შეურაცხყოფა, მუქარა, ადევნების ალტერნატიულ ქმედებებად ითვლება და მათი კვალიფიკაცია უპრობლემოა, როგორც სასამართლო პრაქტიკის, ასევე სამართლებრივი ლიტერატურის მიხედვით. მიუხედავად ამისა, კვლავ დღის წესრიგშია შეკითხვა - რამდენად ღია და ფართოა ალტერნატიულ ქმედებებში დათქმა „სხვა განზრახ ქმედებაზე“ და მოგვცემს თუ არა ადევნების შემადგენლობას არაძალადობრივი, არადანაშაულებრივი, სოციალურად

36 გორის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 24 იანვრის განაჩენი.

37 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 2 მარტის განაჩენი.

38 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 6 თებერვლის განაჩენი.

ადეკვატური განზრახი ქმედებები, რომლებიც კონტექსტიდან გამომდინარე საქართველოს სსკ-ს 151[1] მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს იწვევს.

მაგ., ყოფილი ქმარი, რომელიც ნასამართლევია ცოლის მიმართ ფიზიკური ძალადობის არაერთი ეპიზოდის ჩადენისათვის, სასჯელის მოხდის შემდეგ ყოველდღიურად სტუმრობს საყიდლებისათვის იმ სავაჭრო ობიექტს, სადაც მისი ყოფილი მეუღლე და მსხვერპლი მუშაობს. სამუშაო ადგილზე მოძალადე მეუღლის ყოველი ხილვა მსხვერპლისათვის აუტანელია, ყოველ დანახვაზე მას ახსენდება განცდილი ძალადობრივი ქმედებები, რაც მასში შიშისა და ტანჯვის შეგრძნებას იწვევს. მაშინაც კი, როდესაც მოძალადე მის სამუშაო ადგილზე არ იმყოფება მსხვერპლს აქვს შიშის შეგრძნება, ვინაიდან მუდმივად ელოდება მის გამოჩენას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსხვერპლს ექმნება ცხოვრების წესის კერძოდ, სამუშაო ადგილის შეცვლის რეალური საჭიროება. ამავდროულად, მოძალადე განზრახ ირჩევს საყიდლებისათვის კონკრეტულ სავაჭრო დაწესებულებას და აცნობიერებს, რომ მისი დანახვა მსხვერპლში გარდაუვალად გამოიწვევს ძლიერ უარყოფით ემოციებს.

განსახილველ შემთხვევაში გვაქვს კონსტრუქცია: სხვა ქმედება + ფსიქიკური ტანჯვა + ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის რეალური საჭიროება. ყოველდღიურად ერთ სავაჭრო ობიექტში სიარული საყიდლებზე ცალკე აღებული არც დანაშაულებრივ და არც ამორალურ ქმედებას არ წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაცია უპრობლემოა, განსაკუთრებით ქალთა მიმართ ძალადობის კონტექსტის გათვალისწინებით. აღნიშნული ქმედების დასჯადობა გამართლებულია სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარეც.

რაც შეეხება სისტემატურობას, სისტემატურობის ცნება საკანონმდებლო დონეზე განმარტებული არაა. არ იქნება სწორი თუკი ქმედებებს სისტემატურად მივიჩნევთ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ტანჯვის ზღვარს მიაღწევს, ვინაიდან შესაძლებელია ტანჯვა დამნაშავის ერთჯერადმა ქმედებამაც გამოიწვიოს, თუმცა აღნიშნული შემთხვევა არ დაისჯება საქართველოს სსკ-ს 151[1] მუხლით. სისხლის სამართლის თეორიაში

სისტემატურად თვლიან ქმედებას, რომელიც ხორციელდება სამჯერ მაინც, დროის ხანმოკლე ინტერვალით.[39] ნორმის ფორმულირებიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ქმედების კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ცალკე აღებული ერთი ქმედება განხორციელდეს მინიმუმ სამჯერ დროის მცირე ინტერვალში, თუმცა ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით ინტენსივობის კრიტერიუმით უნდა შეფასდეს ქმედებები ერთობლიობაში და თუკი პირი მაგ., ერთ დღეს უთვალთვალებს მსხვერპლს, მეორე დღეს ფოტოს გადაუღებს, მესამე დღეს წერილს მისწერს, მეოთხე დღეს დაურეკავს და ა.შ, ეს მთლიანობაში მოგვცემს ერთიან სურათს და სახეზე გვექნება სისტემატურობა, რის გამოც, სათანადო შედეგის არსებობის შემთხვევაში დაკვალიფიცირდება ერთჯერადად საქართველოს სსკ-ს 151[1] მუხლით.[40]

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ ადევნების კვალიფიკაციისას არ არის აუცილებელი ქმედებები ცალკე აღებული წარმოადგენდეს დანაშაულებრივს, ამორალურს ან სოციალურად მიუღებელს. ქმედების ადევნებად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია, რომ ეს ქმედებები იყოს სისტემატური და მათი ინტენსივობა აღწევდეს სსკ-ს 151[1] მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს.

3.4. ადევნების შედეგი

ადევნება შედეგიან დანაშაულს წარმოადგენს და სუბსუმციის დროს მნიშვნელოვანია დადგინდეს რა შედეგი გამოიწვია დანაშაულის შემადგენლობაში აღწერილმა ქმედებამ. ადევნების შედეგი შესაძლოა მრავალგვარი იყოს. ადევნების გავლენა მსხვერპლზე ძირითადად ფსიქო-სოციალურია, თუმცა ფსიქოლოგიური და სოციალური შედეგების გარდა, მას შეიძლება ეკონომიკური ზემოქმედებაც ჰქონდეს. მსხვერპლთა ნაწილმა განიცადა ზიანი სამუშაო საათების შემცირების, სწავლის შეწყვეტის, უსაფრთხოებაზე დანახარჯის გაზრდის (კარის საკეტის შეცვლა, სიგნალიზაციის დაყენება, ახალი ტელეფონის ნომრების აღება, მანქანით ან ტაქსით სიარული სამსახურში,). ფსიქოლოგიური პარანოია, დაბნეულობა, შიში

39 თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2023, 218.

40 ჯიშკარიანი ბ., ადევნება, როგორც სისხლისსამართლებრივი შემადგენლობა, ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი N3, 2018, 49.

ნერვიულობა, ბრაზი, აგრესია, დეპრესია, ძილის ქრონიკული დარღვევა, დაღლილობა სისუსტე, მადის დარღვევა, თავის ტკივილი, გულისრევის შეგრძნება.[41] აღნიშნულის მიუხედავად, ეკონომიკური შედეგები დანაშაულის შემადგენლობის მიღმაა და კანონი მნიშვნელოვნად ადევნების ფსიქო-სოციალურ შედეგებს მიიჩნევს.

როგორც ლიტერატურაშია აღიარებული, ადევნება წარმოადგენს დანაშაულს ალტერნატიული შედეგებით.[42] ქმედება ადევნებად ჩაითვლება თუ იგი სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის. შიშის და ფსიქიკური ტანჯვის განცდა სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებში დიდი ხანია არსებობს. მათ შორის, ტანჯვის ელემენტი განმარტებულია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც, სადაც ნათქვამია, რომ *„ფსიქიკური ტანჯვა ადამიანის შინაგანი განცდაა, რომელიც სტრესულ მდგომარეობას უკავშირდება. ფსიქიკური ტანჯვა არ შეიძლება იყოს ერთჯერად, დროის მცირე მონაკვეთში განცდილი დისკომფორტი, იგი არის დროის ხანგრძლივ პერიოდში მიმდინარე პროცესი, რაც შეიძლება გამოიხატოს გამუდმებული ფიქრით, შიშით, მღელვარებით, უძილობით და ა.შ“.*[43] თუმცა ადევნების მუხლში კანონმდებელმა შემოგვთავაზა შედეგის მეტი კონკრეტიზაცია, რომელიც ცალკე შესაფასებელია, რა იგულისხმება ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლაში ან ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებაში.[44]

41 Sheridan L.P., Blaauw E., Davies G.M., Stalking Knowns and Unknowns, Trauma, Violence and Abuse, Sage publications N2, 2003, 153.

42 თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2023, 445.

43 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 17 მარტის განაჩენი, საქმე N2კ-725ა პ.-19.

44 ვხვდებით მოსაზრებასაც, რომლის მიხედვითაც არ არის გამართლებული ადევნების შემადგენლობაში ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის ან ამ უკანასკნელის რეალური საჭიროების შემოტანა და ადევნება დასჯადად უნდა ჩაითვალოს მაშინაც, როდესაც მან ფსიქიკური ტანჯვა ან შიში გამოიწვია, ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის საჭიროების გარეშე; იხ. მითაიშვილი მ., ადევნების კრიმინალიზაცია და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები, ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია, 2020, 203.

ლიტერატურაში ცხოვრების წესის მნიშვნელოვან შეცვლად განიმარტა შემთხვევა, როდესაც პირი სახლიდან ვეღარ გამოდიოდა მესამე პირების თანხლების გარეშე, შეიცვალა საცხოვრებელი, სამუშაო ადგილი, მუშაობდა ჩაბნელებულ ფანჯრებში. ამის საპირისპიროდ, შემთხვევა, როდესაც პირი იძულებული გახდა ავტომოპასუხე დაეყენებინა ტელეფონზე, არ შეფასდა როგორც ცხოვრების წესის მნიშვნელოვანი შეცვლის საჭიროებად. ასევე სისხლის წნევის მომატება და ძილის დარღვევები არ შეფასდა მნიშვნელოვან დარღვევად.[45]

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში ცხოვრების წესის შეცვლად ჩაითვალა ტელეფონის ნომრის შეცვლა, საცხოვრებელი ქალაქის შეცვლა[46], სამუშაო ადგილის შეცვლა[47], ცხოვრების სტილის შეცვლა[48] (არ არის დაკონკრეტებული). ასევე განაჩენების მიხედვით ცხოვრების წესის შეცვლად ჩაითვალა, როდესაც ადევნების მსხვერპლი ადევნების გამო ვეღარ ტოვებს საცხოვრებელ სახლს საღამოს საათებში ან ტოვებს მხოლოდ სხვა სანდო პირის თანხლებით, ვეღარ წარმართავს პირად ცხოვრებას დამოუკიდებლად[49], აჩერებს მანქანას სახლიდან მოშორებით, რათა დამნაშავემ არ შეიტყოს რომ იგი სახლშია, ვეღარ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას სრულყოფილად, ასევე სამსახურში მიდის დროზე ადრე ან გვიან რათა თავიდან აირიდოს ამდევნებელთან შეხვედრა.[50]

მიუხედავად იმისა, რომ კანონი დასჯადობას თითქმის მთლიანად აყრდნობს მსხვერპლის აღქმას და მის განცდებს, გარკვეულწილად, მაინც საჭირო ხდება ობიექტური დამკვირვებლის კრიტერიუმის შემოტანა. როდესაც უნდა დადგინდეს მსხვერპლის მიერ შიშის განცდა, ისევე როგორც საქართველოს სსკ-ს 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური კრიტერიუმით.[51] ერთი მხრივ, უნდა დადგინდეს, განიცადა თუ არა

45 Kuhlen L., Stalking als Kriminalpolitisches Problem, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, N3, 2018, 93.

46 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 მარტის განაჩენი.

47 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 22 ივნისის განაჩენი.

48 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 16 ივნისის განაჩენი.

49 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 2 მარტის განაჩენი.

50 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 6 თებერვლის განაჩენი.

51 თოდუა ნ, ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2023, 441.

მსხვერპლმა შიში, მეორე მხრივ რამდენად შიშის მომგვრელია ქმედება ობიექტურად. პანიკური რეაქცია ნებისმიერ უბრალო კომუნიკაციაზე არ გამოიწვევს 151[1] მუხლის გამოყენებას და არც თაყვანისმცემლის მიერ 2-3 ზარის განხორციელებით მსხვერპლის პანიკაში ჩავარდნის გამო იქნება გამართლებული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა,[52] თუმცა, ობიექტური კრიტერიუმით შეფასებისას, ყოველმხრივ უნდა იქნას გათვალისწინებული როგორც მსხვერპლის, ასევე ამსრულებლის პიროვნება, მათი წინარე ურთიერთობა და სხვა გარემოებები. თუნდაც ობიექტური დამკვირვებლისათვის შიშის და ტანჯვის მომგვრელს არ წარმოადგენდეს ყოველ დილით სახლის წინ სხვა ადამიანის მიერ ავტომანქანით მიცემული ხმოვანი სიგნალი, სავსებით შესაძლებელია იგივე ქმედება ყოფილი მეუღლის მიერ, წარსულში ამ უკანასკნელის მხრიდან მძიმე ძალადობის მსხვერპლი ქალისათვის, შიშის მომგვრელიც იყოს და ფსიქიკური ტანჯვის განმაცდევინებელიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, შედეგის დასადგენად უპირატესობა მსხვერპლის აღქმას მიენიჭება, თუმცა ადეკვატურობის ფარგლებში და კონტექსტის ყოველმხრივი გათვალისწინებით.

4. დანაშაულთა ერთობლიობა და ნორმათა კონკურენცია ადევნებისას

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადევნების მუხლით გათვალისწინებული ალტერნატიული ქმედებებიდან, ნაწილი შესაძლოა ცალკე აღებულიც დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენდეს, თუმცა დამნაშავის არსენალში არაძალადობრივი ქმედებების ფართო დიაპაზონიცაა, რომლებიც მათი შინაარსის და ინტენსივობის გათვალისწინებით იწვევენ მძიმე შედეგს. ასეთ შემთხვევაში, როდესაც ადევნების დროს ქმედება მოიცავს სხვა დანაშაულის ნიშანსაც, დღის წესრიგში დგება საკითხი, ქმედება დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, თუ სახეზე შეიძლება გვქონდეს ადევნების მიერ სხვა კვალიფიკაციების შთანთქმა.

52 ჯიჭარიანი ბ. ადევნება, როგორც სისხლისსამართლებრივი შემადგენლობა, ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი N3, 2018, 47.

სამართლებრივ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ადევნებასთან ერთად მუქარის შემთხვევაში, ცალკე კვალიფიკაცია საჭირო არ არის. პირველ რიგში იმიტომ, რომ მუქარის ელემენტებს საქართველოს სსკ-ს 151[1] მუხლი ისედაც შეიცავს და ამავე დროს, ადევნების სანქცია უფრო მკაცრია ვიდრე მუქარისა, ამიტომ მისი კვალიფიკაცია ცალკე საჭირო არ იქნება.[53]

ანალოგიურად, ადევნებამ შეიძლება შთანთქას იძულებაც. მეტიც, ადევნება ზოგიერთი პოზიციით იძულების სპეციალურ შემთხვევად მოიაზრება.[54]

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევა, როდესაც სასამართლომ ადევნებისა და ოჯახში ძალადობის (სისტემატური ფსიქიკური ძალადობა) ერთობლიობისას მიიჩნია, რომ ადევნებამ სრულად მოიცვა ოჯახში ძალადობის შემადგენლობა და გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა მხოლოდ ადევნებისათვის.

ზესტაფონის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 16 მარტის განაჩენის მიხედვით, ლ. ა.-ს ბრალი ედებოდა ადევნების, მუქარისა და ოჯახში ძალადობის ჩადენის გამო. წარდგენილი ბრალდების შინაარსი, თითოეული მუხლისათვის გამოიხატა შემდეგში:

2013 წლიდან, 2015 წლის ივნისამდე პერიოდში, ლ. ა. ქორწინებაში იმყოფებოდა ბ. ლ.-სთან. 2018 წლის 27 ოქტომბრიდან, 2019 წლის 12 დეკემბრამდე პერიოდში, ბ. ლ.-მ, ლ. ა.-სთან დაიწყო სისტემატური სატელეფონო კავშირები, ამ უკანასკნელის სურვილის საწინააღმდეგოდ ქუჩაში დახვედრა, სამსახურში მიკითხვა, მასთან ერთად ქ. ქუთაისიდან თერჯოლის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა, რა დროსაც ბ. ლ. სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა. აღნიშნულით ლ. ა.-ს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. (ბრალდება საქართველოს სსკ-ს 11[1] 151-ე მუხლით (მუქარა)).

53 ჯიშკარიანი ბ., ადევნება, როგორც სისხლისსამართლებრივი შემადგენლობა, ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი N3, 2018, 48.

54 იქვე, 45.

2013 წლიდან 2015 წლის ივნისამდე პერიოდში, ლ. ა. ქორწინებაში იმყოფებოდა ბ. ლ.-სთან. 2018 წლის 27 ოქტომბრიდან, 2019 წლის 12 დეკემბრამდე პერიოდში, ბ. ლ.-მ ლ. ა.-სთან დაიწყო სისტემატური სატელეფონო კავშირები, ამ უკანასკნელის სურვილის საწინააღმდეგოდ ქუჩაში დახვედრა, სამსახურში მიკითხვა, ასთან ერთად ქ. ქუთაისიდან თერჯოლის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა, რასაც თან სდევდა ბ. ლ.-ს მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა და სიცოცხლის მოსპობის მუქარა. აღნიშნული იწვევდა ლ. ა.-ს ფსიქიკურ ტანჯვას და ძალადობის გამოყენების საფუძვლიან შიშს, რის გამოც ლ. ა.-ს შეექმნა ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის საჭიროება. (ბრალდება საქართველოს სსკ-ს 11[1] 151[1] მუხლით (ადევნება)).

2013 წლიდან 2015 წლის ივნისამდე პერიოდში ლ. ა. ქორწინებაში იმყოფებოდა ბ. ლ.-სთან. 2018 წლის 27 ოქტომბრიდან 2019 წლის 12 დეკემბრამდე პერიოდში ბ. ლ.-მ, მ. ა.-სთან დაიწყო სისტემატური სატელეფონო კავშირები, ამ უკანასკნელის სურვილის საწინააღმდეგოდ ქუჩაში დახვედრა, სამსახურში მიკითხვა, მასთან ერთად ქ. ქუთაისიდან თერჯოლის რაიონის ქვედა სიმონეთამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა, რასაც თან სდევდა ბ. ლ.-ს მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც იწვევდა ლ. ა.-ს ფსიქიკურ ტანჯვას. (ბრალდება საქართველოს სსკ-ს 126[1] მუხლით (ოჯახში ძალადობა)).

სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამოიტანა ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი, კერძოდ ლ. ა. დამნაშავედ ცნო მუქარისა და ადევნების ჩადენაში, ხოლო რაც შეეხება ოჯახში ძალადობის ეპიზოდს, სასამართლომ ლ. ა.-ს მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

სასამართლომ განაჩენის სამოტივაციო ნაწილში განმარტა, რომ *მოცემულ შემთხვევაში ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ბ. ლ.-ს მიერ ლ. ა.-ს მიმართ სისტემატური შეურაცხყოფის განხორციელება ხდებოდა 2018 წლის 27 ოქტომბრიდან 2019 წლის 12 დეკემბრამდე პერიოდში, მაშინ, როდესაც, ამავე პერიოდში, ბ. ლ-ს მხრიდან ხდებოდა ლ. ა.-ს მიმართ ადევნება. როგორც უკვე აღინიშნა, ადევნება, რომელიც გამოიხატება არასასურველი კომუნიკაციის დამყარებაში და სისტემატურად ხორციელდება თავის თავში მოიცავს პირის მიმართ ლანძღვას, გინებას,*

მუქარას და შანტაჟს. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც დადგენილია, რომ ბ. ლ.-ს მიერ, დაზარალებულ ლ. ა.-ს მიმართ განხორციელებული სისტემატური შეურაცხყოფა წარმოადგენს დანაშაულის - ადევნების შემადგენლობას, სასამართლოს მიაჩნია, რომ ბ. ლ.-ს ზედმეტად აქვს წარდგენილი საქართველოს სსკ-ს 126¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ბრალდება, რის გამოც იგი ამ მუხლით წარდგენილ ბრალდებაში უნდა გამართლდეს და ცნობილი უნდა იქნეს უდანაშაულოდ.[55]

როგორც განაჩენიდან ციტირებული ბრალდების აღწერილობიდან ჩანს, სამივე ბრალდებასთან მიმართებით პრაქტიკულად ერთი და იგივე ქმედებებია აღწერილი, კერძოდ, არასასურველი სატელეფონო კომუნიკაცია, დახვედრა ქუჩაში, სამსახურში და საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ასევე სიტყვიერი შეურაცხყოფა და სიცოცხლის მოსპობის მუქარა. აღნიშნულ ქმედებებს შედეგად მოჰყვა მუქარის განხორციელების შიში, ფსიქიკური ტანჯვა და ცხოვრების წესის შეცვლის საჭიროება.

სავსებით დასაბუთებული და გამართლებულია მოსამართლის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობა დაუსაბუთებელია და ერთი კვალიფიკაცია მთლიანად მოიცავს მეორეს, თუმცა განსახილველია ორი საკითხი:

1. რატომ მიიჩნია მოსამართლემ, რომ ადევნება შთანთქავს ოჯახში ძალადობას და არა პირიქით, ოჯახში ძალადობა ადევნებას.
2. რა გარემოებებზე დაყრდნობით არ გამოიყენა კონსუმციის წესი მოსამართლემ მუქარასთან მიმართებით.

აღნიშნულ საკითხებზე დასაბუთება განაჩენში არ გვხვდება.

როდესაც ოჯახის წევრის (მათ შორის ყოფილი მეუღლის) წინააღმდეგ ამსრულებელი სჩადის სისტემატურ სიტყვიერ შეურაცხყოფას და ეს მსხვერპლის ტანჯვას იწვევს, აღნიშნული ქმედება ერთდროულადაა მოცული, როგორც საქართველოს სსკ-ს 126¹ მუხლის (სისტემატური შეურაცხყოფა, რამაც გამოიწვია ტანჯვა), ასევე საქართველოს სსკ-ს 151¹ მუხლის შემადგენლობით (სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას).

55 ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 16 მარტის განაჩენი.

იმისათვის, რომ გადაწყდეს მსგავს შემთხვევებში რომელ შემადგენლობას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, პირველ რიგში უნდა შეფასდეს - ხომ არ არის კონკურენციაში მყოფ მუხლებს შორის ზოგადი და სპეციალური ნორმების ურთიერთმიმართება. თუ სახეზეა ზოგადი და სპეციალური ნორმების ურთიერთმიმართება, ნორმათა კონკურენციის ზოგადი წესის მიხედვით ქმედება დაკვალიფიცირდება სპეციალური მუხლით, რამდენადაც საქართველოს სსკ-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით. იმ შემთხვევაში, თუკი სახეზე არ გვაქვს კლასიკური ზოგადი და სპეციალური ნორმების კონკურენცია, მაშინ უნდა დადგინდეს კონკურენციაში მყოფი ნორმებიდან რომელი მუხლის შემადგენლობა უფრო მეტად სრულყოფილად და ამომწურავად ფარავს ჩადენილი ქმედების შინაარსს.[56]

ზოგადი ნორმა არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრულ წრეს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების მეტნაკლებად ზოგადი ფორმით აღწერით, სპეციალური ნორმა კი მის მიერ რეგულირებულ გარემოებებს უფრო აკონკრეტებს.[57] თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ადევნება ზოგადი განსაზღვრებიდან გამომდინარე, მოიცავს ქმედებათა უფრო ფართო წრეს (ნებისმიერი განზრახი ქმედება), მაშინ როდესაც საქართველოს სსკ-ს 126[1] მუხლი ფსიქიკური ძალადობის ნაწილში მხოლოდ სამგვარ ქმედებას აღწერს (შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება). მხოლოდ ამ ელემენტის გათვალისწინებით, ოჯახში ძალადობა გამოდის სპეციალური ნორმა, ადევნებასთან მიმართებით. გარდა ამისა, ოჯახში ძალადობა შესაძლებელია ჩადენილი იქნას მხოლოდ ოჯახის წევრის მიმართ, ხოლო ადევნება შესაძლოა ჩადენილი იქნას ნებისმიერი პირის მიმართ. ამ გარემოების გათვალისწინებითაც უფრო მეტად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოჯახში ძალადობა ადევნებასთან მიმართებით სპეციალური შემადგენლობაა და არა პირიქით.

56 მამულაშვილი გ., ნაჭყებია გ. (რედ), დვალიძე ი. (რედ), ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2007, 340.

57 იქვე, 340.

აღნიშნული მსჯელობის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას ის, რომ განსხვავებით ოჯახში ძალადობისაგან, რომლის კვალიფიკაციისათვის სისტემატური შეურაცხყოფის შედეგად ფსიქიკური ტანჯვის განცდა საკმარისია, ადევნების შემთხვევაში ფსიქიკურ ტანჯვასთან ერთად საჭიროა განცდილი ტანჯვა მსხვერპლს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებდეს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნიდეს (მიუხედავად იმისა, რომ რთული წარმოსადგენია არსებობდეს ტანჯვა, რომელიც მსხვერპლს ცხოვრების წესის მნიშვნელოვანი შეცვლის საჭიროებას არ უქმნის).

საკითხი ვერ გადაწყდება სანქციათა შედარების გზით, ვინაიდან როგორც ოჯახში ძალადობა, ასევე ადევნება თითქმის იდენტური სანქციით ისჯება - ადევნება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ას ოთხმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ, ხოლო ოჯახში ძალადობა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოცდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. ორივე შემადგენლობისათვის სასჯელის ზედა ზღვარი ორი წლით თავისუფლების აღკვეთაა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში საკითხი ადევნების სასარგებლოდაა გადაწყვეტილი. მსგავს სიტუაციაში, შემთხვევას, როდესაც შერიგებაზე უარის მიღების შემდეგ ყოფილი ქმარი გამუდმებით უთვალთვალებს ყოფილ ცოლს, ხვდება და დაჰყვება თან, სისტემატურად ურეკავს, ლანძღავს და ემუქრება შვილისადმი ანგარიშსწორებით, რის შედეგადაც დაზარალებული კარგავს ფსიქიკურ სიმშვიდეს და ეწყება ნერვული აშლილობა, პროფესორი ნონა თოდუა აკვალიფიცირებს საქართველოს სსკ-ს 151[1] მუხლით და არა 126[1] მუხლით.[58]

ოჯახში ძალადობა და ადევნება არ შეიძლება განვიხილოთ ზოგადი და სპეციალური ნორმების ურთიერთმიმართების კლასიკურ ფორმად,

58 თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2019, 367.

რამდენადაც ზოგადი და სპეციალური ნორმების ურთიერთმიმართების დროს ზოგადი ნორმა არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრულ წრეს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების მეტნაკლებად ზოგადი აღწერით, ხოლო სპეციალური კანონი მის მიერ რეგულირებულ გარემოებებს უფრო აკონკრეტებს. ამავდროულად, როგორც ზოგადი, ასევე სპეციალური კანონი მოწოდებულია მოაწესრიგოს ერთი და იგივე ურთიერთობები.[59]

ხომ არ გვაქვს შემთხვევა, როდესაც ერთი შემადგენლობით გათვალისწინებული დანაშაული მოიცავს მეორე შემადგენლობით გათვალისწინებულ დანაშაულს, როგორც ტიპიურ თანმხლებ მოვლენას, ან შემთხვევა, როდესაც, მართალია, ერთი შემადგენლობა მეორეს აუცილებლად არ მოიცავს, თუმცა ერთი შემადგენლობის განხორციელებისას ავტომატურად ხორციელდება მეორე ისე, რომ მისი უმართლობის და ბრალის შინაარსი უფრო მძიმე შემადგენლობის მიერაა შეთვისებული და ამოწურული?

როგორც განაჩენში ასახული ბრალდების დადგენილებიდანაც ჩანს, ადევნების ნაწილში ბრალდების ფორმულირება სრულად მოცულია ოჯახში ძალადობის ბრალდების ფორმულირებით. სისტემატური სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც ოჯახში ფსიქოლოგიური ძალადობის დამაფუძნებელ ელემენტს წარმოადგენს სრულად მოცულია ადევნების ფარგლებში აღწერილი სისტემატური ქმედებებით. აგრეთვე, შედეგი - ფსიქიკური ტანჯვა, მოცულია ადევნების შედეგით. ამავდროულად, განსხვავებით ოჯახში ძალადობისაგან, სახეზე გვაქვს ფსიქიკური ტანჯვის კონკრეტიზაცია - ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის რეალური საჭიროება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადევნებამ მთლიანად მოიცვა ოჯახში ძალადობის ყველა ელემენტი, რის გამოც მოხდა ადევნების მიერ ოჯახში ძალადობის კონსუმცია.

ასევე სამსჯელოა, შეიძლებოდა თუ არა განსახილველ შემთხვევაში იგივე წესი გამოგვეყენებინა მუქარის მიმართ.

59 მამულაშვილი გ., ნაჭყებია გ. (რედ), თოდუა ნ. (რედ), ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2019, 528.

თუკი ადევნების მუხლმა მოიცვა მსხვერპლის მიმართ განხორციელებული სიტყვიერი შეურაცხყოფა, როგორც სისტემატური „სხვა განზრახი ქმედება“, რატომ არ შეიძლება ადევნების მიერ მუქარის შთანთქმა მოხდეს ანალოგიური წესით. მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ როგორც განაჩენშივეა აღნიშნული *„ადევნება, რომელიც გამოიხატება არასასურველი კომუნიკაციის დამყარებაში და სისტემატურად ხორციელდება, თავის თავში მოიცავს პირის მიმართ ლანძღვას, გინებას, მუქარას და შანტაჟს“.*

მუქარასა და ადევნებას შორის განმასხვავებელი ნიშნები დეტალურადაა აღწერილი ლიტერატურაში.[60] განსახილველ შემთხვევაშიც, მუქარის შემადგენლობა პრაქტიკულად სრულად მოიცვა ადევნების შემადგენლობამ - მუქარა და მუქარის განხორციელების შიში. აღნიშნულიდან გამომდინარე გაუგებარია მოსამართლის მოტივაცია, რატომ არ გამოიყენა შთანთქმის იგივე წესი მუქარის მიმართ, რაც გამოყენებული იქნა ოჯახში ძალადობის შემთხვევაში. ერთადერთი არგუმენტი, რაც სავარაუდოდ მოსამართლეს შეეძლო გამოეყენებინა ადევნებისა და მუქარის ერთობლიობის სასარგებლოდ იქნებოდა მსჯელობა, თუკი მოსამართლე ადევნების შემადგენლობით მოცულ შედეგს - „ძალადობის გამოყენების საფუძვლიან შიშს“ განმარტავდა ვიწროდ და მასში არ მოიაზრებდა სიცოცხლის მოსპობის შიშს. ასეთ შემთხვევაში გასაგები იქნებოდა სიცოცხლის მოსპობის მუქარის ცალკე დაკვალიფიცირება, თუმცა ამ მსჯელობაზე დათანხმების შემთხვევაშიც მუქარის სხვა სახეები - ჯანმრთელობის დაზიანების და ქონების განადგურების მუქარა აუცილებლად შთაინთქმებოდა ადევნების მუხლით. იქიდან გამომდინარე, რომ „ძალადობის გამოყენების“ მსგავსად ვიწროდ განმარტება არ არის მისაღები და ძალადობის გამოყენების შიში მოკვლის შიშსაც მოიაზრებს, ნათელი ხდება, რომ ადევნებამ უნდა შთანთქას მუქარაც, როდესაც მუქარის შემცველი ქმედებაც და შედეგიც მთლიანად მოცულია ადევნების შემადგენლობით.

60 ბესტავაშვილი დ., ადევნების შემადგენლობის სისხლისსამართლებრივი ასპექტები, ქეთევან მჭედლიშვილი - ჰედრიხის საიუბილეო კრებული - 60, 2021, 198-202.

5. დასკვნა

მიუხედავად საერთაშორისო გამოცდილებისა, ადევნების შემადგენლობა ქართულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში კვლავ განსხვავებული ინტერპრეტაციების საგანია. მიუხედავად არცთუ მწირი სასამართლო პრაქტიკისა, ჯერ კიდევ მსჯელობის საგანია ისეთი გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაზე. ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში მიმდინარე დისკუსიები მნიშვნელოვნად ეხმარება ერთგვაროვანი და გამართული სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რომლის საბოლოო მიზანიც ადევნების დასჯადობის მკაფიო ფარგლების შექმნაა.

ტექნოლოგიური პროგრესი ადევნების ფაქტების არათუ შემცირებას, არამედ მნიშვნელოვნად გაზრდას მოასწავებს. მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სსკ-ს 151[1] მუხლი ქმედებათა ფართო სპექტრის დასჯადობას ითვალისწინებს, მით უფრო მაღალია ალბათობა, რომ გამოიკვეთოს ადევნების აქამდე ქართული პრაქტიკისათვის უცნობი ფორმები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო პრაქტიკა მზად დახვდეს გამოწვევებს, რომლებიც ამ მიმართულებით წარმოიშობა.

წარმოდგენილ ნაშრომში მიმოხილულ იქნა ადევნების კრიმინალიზაციის საფუძვლები, როგორ გაჩნდა ადევნება საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალში, რა წინაპირობები უძღოდა სტამბოლის კონვენციის შექმნას და რა გავლენას ახდენს კონვენციის კონტექსტი ქმედების დანაშაულებრივად და დასჯადად მიჩნევის კონტექსტში. ნაშრომში ასევე განხილულ იქნა ადევნების ობიექტური შემადგენლობის ნიშნები, განსაკუთრებით კი ნორმის შედარებით განუსაზღვრელი ნაწილი - „სხვა ქმედება“ და მასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული გამოწვევები - როგორ შეიძლება შეიზღუდოს ქმედებათა ჩამონათვალი, რათა ნორმის ადრესატმა სწორად შეძლოს სისხლისსამართლებრივად აკრძალული ქმედების იდენტიფიცირება.

აღნიშნული ჩამონათვალი მხოლოდ მცირე ნაწილია ადევნებასთან დაკავშირებული იმ საკითხებისა, რომელიც დეტალურ კვლევას საჭიროებს. იმის გათვალისწინებით, რომ ადევნება ჯერ კიდევ ნოვაციად მიიჩნევა სისხლის სამართლის კოდექსში, სასამართლო პრაქტიკის მომდევნო განვითარება კვლავ მრავალ წინააღმდეგობრივ საკითხს გამოავლენს ადევნების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. კვლევების გაგრძელება დაეხმარება სამართალშემფარდებელს მაქსიმალურად სწორად მოახდინოს ადევნების ფარგლებში დასჯადი ქმედებების იდენტიფიცირება და მისი სწორი სუბსუმცია, რათა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი იქნას ნებაყოფლობითი და უსაფრთხო სოციალური ურთიერთობები, ხოლო, მეორე მხრივ, თავიდან ავიცილოთ სისხლის სამართლის უმართებულო ჩარევა იქ, სადაც მისი, როგორც Ultima Ratio-ს მოქმედების საჭიროება არ იკვეთება.

6

გრიგოლი კაპანაძე
სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორი, სამართლის მაგისტრი.

სისხლის სამართლის პოლიტიკა ოჯახური დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეებზე, მტკიცებულებების მოპოვების, სასამართლოში გამოკვლევისა და გამამტყუნებელი განაჩენის დადგენასთან დაკავშირებული გამოწვევები

„არის წუთები, როდესაც დუმილი ღაღატს ნიშნავს“
მარტინ ლუთერ კინგი

1. შესავალი

ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც საქართველოს პროკურატურის, ასევე ზოგადად, სახელმწიფოს პრიორიტეტს წარმოადგენს. ოჯახურ ძალადობად მიიჩნევა, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ განხორციელებული ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა ან იძულება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, აღნიშნული დანაშაულის ამსრულებელი და დაზარალებული ერთმანეთის ოჯახის წევრები არიან.

საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ არეგულირებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ საფუძვლებს, ასევე მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. ქალთა

მიმართ და ოჯახში ძალადობა უმეტესად ლატენტური დანაშაულია, შესაბამისად, მისი გამოვლენა და მტკიცებულებების მოპოვება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი ქალები სტერეოტიპული გავლენისა და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, თავდაპირველად არ მიმართავენ სამართალდამცავ უწყებებს დახმარებისათვის. აღნიშნულის გარდა, ქალთა მიმართ ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, როგორც გამოძიების პროცესში, ასევე სისხლის სამართლის საქმის სასამართლო გამოძიების ეტაპზე არსებობს მთელი რიგი გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია დაზარალებულის პოზიციასთან და არსებით ზეგავლენას ახდენს მოსამართლის მიერ მტკიცებულებების შეფასებასა და შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებაზე.

2. საქართველოს პროკურატურის სტრატეგია და სისხლის სამართლის პოლიტიკა ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახურ დანაშაულზე

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიით, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს.[1]

საქართველოს პროკურატურა აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებზე მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას ატარებს. ამას ადასტურებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლები: კერძოდ, 2014 წელს ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია 550 პირის მიმართ, 2021 წელს - 5 144 პირის მიმართ, 2022 წელს - 5 325 პირის მიმართ, ხოლო 2023 წლის მაჩვენებლებით - 5 286 პირის მიმართ. რაც შეეხება, ოჯახურ დანაშაულზე აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის პოლიტიკას, 2023 წელს ოჯახურ დანაშაულზე პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელმა 91% შეადგინა. სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ 2018 წლიდან საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნა სტაბილურად მაღალია და 90%-დან 94%-მდე მერყეობს.[2] სტატისტიკური

1 ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/php6EGZ3a.pdf. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

2 საქართველოს პროკურატურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpuP9BJo.pdf. (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

მონაცემების ანალიზის შედეგად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ გაიზარდა არა უშუალოდ ოჯახური დანაშაულის ჩადენის რიცხვი, არამედ გაიზარდა საზოგადოების მხრიდან ნდობა სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, რამაც გაზარდა დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის (დანაშაულზე რეაგირების) დაწყების მაჩვენებელი.

საქართველოს პროკურატურამ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. მათ შორის, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, განისაზღვრა პროკურატურის გამომძიებელთა და პროკურორთა სპეციალიზაციის წესი სისხლის სამართლის კოდექსის 126¹(ოჯახში ძალადობა) და 11¹ (ოჯახური დანაშაული) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე. აღნიშნული ბრძანების თანახმად, პროკურატურის ორგანოებში ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების, საპროცესო ხელმძღვანელობისა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ეფექტიანად განსახორციელებლად, ოჯახური დანაშაულის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, ასევე, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციით და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე გამოძიებას, საპროცესო ხელმძღვანელობას და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას ახორციელებენ მხოლოდ ის პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები, რომლებმაც ოჯახური დანაშაულის თემაზე სპეციალური სასწავლო კურსი გაიარეს. აღნიშნული კურსი მოიცავს პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა გადამზადებას სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ ნაწილში. კერძოდ, სასწავლო პროგრამა ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ერთად, ძალადობის შედეგად დაზარალებულებთან სწორი კომუნიკაციის უნარებსა და ფსიქოლოგიურ ასპექტებს ფარავს.[3]

3 საქართველოს პროკურატურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, 2020, 36-40; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpnRd1qU.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

ასევე, აღსანიშნავია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტი. 2018 წელს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურმა შეიძინა დამატებითი ფუნქციები და ინსტიტუციურად კიდევ უფრო გაძლიერდა. ცვლილების შედეგად, კოორდინატორი სამართალწარმოების პროცესის მონაწილე გახდა და არაერთი მნიშვნელოვანი ფუნქციით აღიჭურვა.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის მიზანია მოწმისა და დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება, ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე მოწმისა და დაზარალებულის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, მოწმისა და დაზარალებულისთვის თავშესაფრის, ფსიქოლოგის, იურიდიული ან სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში მომსახურების მიმწოდებელ შესაბამის ორგანიზაციებში გადამისამართება/მათთან დაკავშირებაში დახმარება. კოორდინატორი პრიორიტეტულად ერთვება ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეებზე.[4]

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი ოჯახური დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეებზე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, მათ შორის, ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ახლო ნათესავს, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობამდე უწევს კონსულტაციას, რათა სასამართლოში ჩვენების მიცემამდე სრულყოფილად გაიაზროს მისი უფლება-მოვალეობები, როლი სამართალწარმოების პროცესში, საქმის განხილვის ეტაპზე ჩვენების მიცემის მნიშვნელობა, მართლმსაჯულების განხორციელების მიზანი, ძალადობის განმეორების მოსალოდნელი საფრთხე და შედეგები. კოორდინატორთან კონსულტაციის მიზანია დაზარალებულის მიმართ არ განხორციელდეს უკანონო

4 საქართველოს პროკურატურა, ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/family-violence (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

ზემოქმედება, დადგინდეს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის განმაპირობებელი ფაქტორი - შესაძლო მუქარა, იძულება, თხოვნა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, საცხოვრებლის საჭიროება და სხვა, რათა შეფასდეს დაზარალებულის მიმართ ფსიქოლოგიური, მორალური თუ სხვა სახის მხარდაჭერის საჭიროება და მიღებული იქნეს შესაბამისი ზომები.

2022 წელთან შედარებით, 2023 წელს გაზრდილია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებში. კერძოდ, 2023 წელს კოორდინატორები ჩართულნი იყვნენ 11[1] და 126[1] მუხლებით დაკვალიფიცირებულ 1825 სისხლის სამართლის საქმეში.[5]

3. ოჯახურ დანაშაულებზე მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებული გამოწვევები

2012 წლის 12 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სისხლის სამართლის კოდექსით განისაზღვრა პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისა და ოჯახში ძალადობისთვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ოჯახური დანაშაულის მიზნებისათვის ოჯახის წევრად ითვლებიან: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

5 საქართველოს გენერალური პროკურატურა, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, 2024, 6; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/php3eALp9.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლით დასჯად ქმედებად მიიჩნევა ოჯახში ძალადობა - ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. ძალადობა შედეგიანი დელიქტია, იმისათვის რომ ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია ძალადობრივმა ქმედებამ გამოიწვიოს ფიზიკური ტკივილი, ხოლო სისტემატურმა შეურაცხყოფამ, შანტაჟმა და დამცირებამ - ტანჯვა.

გარდა აღნიშნულისა, კანონმდებელი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს ასევე ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ განხორციელებული მუქარის, სექსუალური ძალადობის, იძულებისა და სხვა დანაშაულთა ჩადენის გამო.

„ოჯახში ძალადობის საკითხი, რომელსაც სხვადასხვა ფორმის მიღება შეუძლია, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობით დაწყებული და სიტყვიერი ძალადობით დამთავრებული... ზოგად პრობლემას წარმოადგენს, რომელიც ყველა წევრ-სახელმწიფოს ეხება და ეს პრობლემა ყოველთვის ზედაპირზეა, რადგან იგი ხშირად პირადი ურთიერთობების ფარგლებში, ან დახურულ სივრცეში ხდება და ოჯახში ძალადობის შედეგად არამხოლოდ ქალები ზარალდებიან“.[6]

ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებების მოპოვება გამოძიების დაწყების მომენტიდან ხორციელდება. დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნული დანაშაულის ჩადენის ადგილი ძირითადად არის დახურული სივრცე და დანაშაული მოწმეთა სიმრავლით არ გამოირჩევა. უზენაესი სასამართლოს განჩინებების თანახმად, „კერძო (დახურულ) სივრცეში მტკიცებულებათა მოპოვება

6 ECHR, Opuz v Turkey, no.33401/02, 09/07/2009.

განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს და ხშირად შეუძლებელიცაა“.[7] სწორედ ამიტომ, გამოძიების საწყის ეტაპზევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაზარალებულის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, სადაც იგი გადმოსცემს ინფორმაციას მის მიმართ განხორციელებული დანაშაულის შესახებ.

ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებების მოპოვების სირთულე განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებაში, რომელშიც სასამართლო ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განსაკუთრებულ მოწყვლადობას და იმ სირთულეებს, რაც უკავშირდება მტკიცებულებების შეგროვებას, როდესაც ძალადობას ადგილი აქვს კერძო გარემოში.[8] პრაქტიკის თანახმად, ოჯახური დანაშაულის დაზარალებულ ქალთა გამოკითხვის შემდგომ, როგორც წესი, ხორციელდება მოძალადის დაკავება. ბრალდებულის დაკავების შემდგომ დაზარალებულები ხშირად იცვლიან პოზიციას, საზოგადოების მხრიდან მოსალოდნელი გაკიცხვის, მოძალადეებზე ფინანსური დამოკიდებულების ან/და სხვა მიზეზთა გამო. აღნიშნულის შემდგომ, დაზარალებულები უარს აცხადებენ საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებაზე, ასევე არ იღებენ მონაწილეობას საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებში, რაც ხელს უშლის სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების მოპოვებას და საბოლოო ჯამში მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებას.

უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 14 ივლისის განაჩენით, შეიცვალა პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს განაჩენები, რომელიც ემყარებოდა მხოლოდ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც დაზარალებულმა თავდაპირველად მიაწოდა სამართალდამცავ ორგანოებს დანაშაულის შესახებ, თუმცა შემდგომ უარი განაცხადა მისივე არასრულწლოვანი შვილების გამოკითხვაზე, ასევე არ მიიღო მონაწილეობა ფსიქოლოგიურ ექსპერტიზაში და უარი განაცხადა სასამართლოში ჩვენების მიცემაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლომ სისხლის

7 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2022 წლის 6 ივნისის განჩინება, საქმე N269 აპ-22.

8 ECHR, Volodina v Russia, no.41261/17, §82, ECtHR, 09/07/2019.

სამართლის საქმეზე არსებული სხვა მტკიცებულებები მიიჩნია სარწმუნოდ, გააუქმა ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული გამამართლებელი განაჩენი და მსჯავრდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში.[9]

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი გახლავთ ორი გარემოება: პირველ შემთხვევაში არასრულწლოვანთა გამოკითხვის აუცილებლობა, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ოჯახური დანაშაული მიეკუთვნება ლატენტურ დანაშაულთა კატეგორიას და არ გამოირჩევა მოწმეთა სიმრავლით. ასეთ დროს დაზარალებულის არასრულწლოვანი შვილების გამოკითხვისას მიღებული ინფორმაცია შესაძლებელია სასამართლოში გამოყენებული ყოფილიყო როგორც პირდაპირი მტკიცებულება და გადამწყვეტიც კი გამხდარიყო გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად, თუმცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 52-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, „14 წლამდე ასაკის პირის გამოკითხვა/დაკითხვა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით“. ამ შემთხვევაში დაზარალებულის ნებართვის გარეშე შეუძლებელი იყო მისი შვილების მოწმის სახით გამოკითხვა. ანალოგიური მოცემულობა შეიქმნა მის მიმართ ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების კუთხით, რადგან დაზარალებულის სურვილის გარეშე აღნიშნული ექსპერტიზის ჩატარება და დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება ობიექტურად შეუძლებელია გამოძიების ეტაპზე.

შესაბამისად, გამოძიების ეტაპზე დაზარალებულის პოზიციას მოძალადის მიმართ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მათ ერთ სოციალურ გარემოში უწევთ თანაცხოვრება, ჰყავთ საერთო შვილები, ხშირად დაზარალებული საზოგადოების მხრიდან განიცდის მორალურ გაკიცხვას და სწორედ ეს გარემოებები უქმნის დაზარალებულს იმ წინაპირობას, რომ მოძალადის დაკავების და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდგომ აღარ სურს საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობა. დაზარალებულთა აღნიშნული პოზიცია ძალიან მაღალი სოციალური საშიშროებით ხასიათდება, რადგან შემდგომ ბრალდებულსა და დაზარალებულს კვლავ ერთ სოციალურ გარემოში უწევთ თანაცხოვრება, რაც თავის მხრივ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკს მეტად ზრდის.

9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2020 წლის 14 ივლისის განაჩენი, საქმე N97ა3-20.

4. დაზარალებულის პოზიციის მნიშვნელობა სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე

სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, დაზარალებულის პოზიციას, რიგ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან მის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაცია პირდაპირ მტკიცებულებას წარმოადგენს.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებობს მნიშვნელოვანი დანაწესი, რომელიც ათავისუფლებს დაზარალებულს ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მოწმეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს“. ასევე, ახლო ნათესავის დეფინიციას განმარტავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი, რომლის თანახმადაც ახლო ნათესავად ითვლებიან: მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის აღნიშნული დანაწესი დაზარალებულს უფლებას აძლევს არ მისცეს ჩვენება მოძალადის წინააღმდეგ, რაც თავის მხრივ აფერხებს სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შედეგიანი დელიქტია და ფიზიკურმა შეურაცხყოფამ უნდა გამოიწვიოს დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი, ხოლო სისტემატური შეურაცხყოფის შემთხვევაში დაზარალებულმა უნდა განიცადოს ტანჯვა. ანალოგიური მოცემულობა არის მუქარის შემთხვევაშიც, როდესაც მოძალადის მუქარამ უნდა გამოიწვიოს მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 30 ივნისის განაჩენით ბრალდებული უდანაშაულოდ იქნა ცნობილი მისივე მეუღლის მიმართ ოჯახური დანაშაულის ჩადენაში, რადგან დაზარალებულმა უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე, რომლითაც უნდა დადგენილიყო დანაშაულის

შემადგენლობა - დაზარალებულის მიერ ტკივილის განცდა.[10] აღნიშნული განაჩენი გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში მისი გაუქმებისა და ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის მოთხოვნით. თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი. სასამართლოს განმარტებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ დაზარალებულმა და მისმა არასრულწლოვანმა შვილებმა არ მისცეს ჩვენება ბრალდებულის წინააღმდეგ, არ შეიძლება გახდეს გამართლების საფუძველი. პირველი ინსტანციის სასამართლოს საპირისპიროდ, სააპელაციო სასამართლო უთითებს სისხლის სამართლის საქმეზე მოპოვებულ სხვა მტკიცებულებებზე: შეტყობინება დანაშაულის ჩადენის შესახებ, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. რაც შეეხება, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, ფიზიკური ტკივილის დადგენის ნაწილში, იგი უთითებს, რომ მართალია დაზარალებულს სასამართლო სხდომაზე ფიზიკური ტკივილის განცდის შესახებ არ უსაუბრია, თუმცა თავად დაზარალებულის სხეულზე არსებული დაზიანება, დაზარალებულის მდგომარეობა, რომელიც ასახულია საგამოძიებო ექსპერიმენტის ფოტოსურათებში და საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში, სააპელაციო სასამართლოს არწმუნებს, რომ ძალადობის შედეგად დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.[11]

როგორც აღნიშნული განაჩენებიდან ჩანს, სასამართლოს არაერთგვაროვანი შეფასებები აქვს ოჯახური დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეებზე არსებითი განხილვისას დაზარალებულის პოზიციის მნიშვნელობაზე, სურს თუ არა მისცეს ჩვენება მოძალადის წინააღმდეგ. ვფიქრობ, სისხლის სამართლის საქმის განხილვისას შემაჯამებელი გადაწყვეტილების საკითხი არ უნდა იყოს უპირობოდ დაკავშირებული დაზარალებულის გადაწყვეტილებაზე, რათა მოძალადე არ დარჩეს დაუსჯელი.

ანალოგიური არაერთგვაროვანი მოცემულობაა მუქარის შემთხვევაშიც, რადგან დაზარალებულის პოზიცია ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ასრულებს ბრალდებულის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობაში.

10 ახალციხის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 30 ივნისის განაჩენი, საქმე N1/018-21

11 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 27 ოქტომბრის განაჩენი 1/ბ-1288-21

ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, განხილული იქნეს აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობა და განისაზღვროს რა შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, მუქარის დეფინიცია არის „სიცოცხლის მოსპობის მუქარა ან ჯანმრთელობის დაზიანება ან/და ქონების დაზიანების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ“. აღნიშნული დანაშაული შედეგიანი დელიქტია, შესაბამისად ბრალდებულის მიერ განხორციელებულ მოქმედებას უნდა მოჰყვეს დაზარალებულის მხრიდან შესაბამისი ფსიქოლოგიური შედეგი: დაზარალებულს უნდა გაუჩნდეს მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2023 წლის 12 ივნისის განჩინებით, დაუშვებლად ცნო ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი გამართლებულის მიმართ და უცვლელად დატოვა გამამართლებელი განაჩენი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულზე. სასამართლო ამ შემთხვევაშიც უთითებს, რომ „ქმედებასთან ერთად მუქარის შემადგენლობის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი - საფუძვლიანი შიშის გაჩენა - მნიშვნელოვანწილად თავად დაზარალებულის ჩვენებას ეყრდნობა“.[12] დაზარალებულმა თავად უნდა მიუთითოს მუქარის შინაარსის აღქმის საკითხი და გაუჩნდა თუ არა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. მუქარის აღქმის შეფასებისას მთავარ დასაყრდენად სასამართლო დაზარალებულის ჩვენებას უთითებს.

შესაბამისად, დაზარალებულის პოზიცია გამოძიებისა და სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ეტაპებზე უმნიშვნელოვანესია. გამომდინარე აქედან, აუცილებელია თავიდან იქნეს არიდებული მასზე ზემოქმედების საფრთხე და გათვალისწინებული იქნეს მისი საჭიროებები, რამაც საბოლოო ჯამში ხელი უნდა შეუწყოს სისხლის სამართლის საქმეზე სამართლიანი შედეგის დადგომას.

12 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2023 წლის 12 ივნისის განჩინება, საქმე N358ა3-23.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ოჯახური დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებების შეფასების ნაწილში

ოჯახურ დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებზე ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილებების საფუძველზე დგინდება პრაქტიკა მტკიცებულებების შეფასების ნაწილში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილი გვაძლევს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დეფინიციას - სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით, რიგ შემთხვევებში უზენაეს სასამართლოს დროის სხვადასხვა პერიოდში, არ ჰქონდა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 31 ოქტომბრის განაჩენით, სასამართლომ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და განმარტა, რომ როდესაც საქმეში წარმოდგენილია პირდაპირი მოწმის - დაზარალებულის ჩვენება, საიდანაც ირკვევა, რომ მას მსჯავრდებულმა მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის ჩვენების საეჭვოდ მიჩნევის საფუძველი არ არსებობს, მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულების არსებობა არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენისთვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ

მტკიცებულებათა ერთობლიობა. რაც შეეხება, სხვა მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც არ არიან შემთხვევის თვითმხილველები და ამდენად, არის ირიბი ხასიათის, რადგან მათ მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენება ეფუძნება დაზარალებულის მიერ მათთვის მიწოდებულ ინფორმაციას, მათი ჩვენებები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ირიბს, რაც არ არის საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.[13]

ასევე, მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ივნისის განჩინება, რომლითაც განსახილველად არ იქნა დაშვებული ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი. უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ დაზარალებულმა ისარგებლა მისთვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებით და სასამართლო სხდომაზე არ მისცა ახლო ნათესავის - მეუღლის წინააღმდეგ ჩვენება. საქართველოს სსსკ-ს მე-3 მუხლის 24-ე ნაწილის თანახმად, დაზარალებულის მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს მოწმის ჩვენებას. გამომდინარე იქიდან, რომ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, მოწმეთა ირიბი ჩვენებები ვერ დადასტურდა სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ წარმოადგენს ირიბ ჩვენებებს, საქართველოს სსსკ-ს 76-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილების თანახმად, მხოლოდ მოწმეთა ირიბი ჩვენებები ვერ გახდება პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც ამ ირიბი ჩვენებების ინფორმაციის წყარო არის დაზარალებულის მიერ მათთვის მიწოდებული ინფორმაცია, ხოლო დაზარალებულმა მისი მეუღლის საწინააღმდეგოდ ამ ინფორმაციის სასამართლოსათვის მიწოდებაზე და ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა.[14]

13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2018 წლის 31 ოქტომბრის განაჩენი, საქმე N308აპ-18.

14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2018 წლის 26 ივნისის განჩინება, საქმე N73აპ-18.

ასევე მნიშვნელოვანია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 1-ლი ივნისის განჩინება, რომლითაც ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი და სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი უცვლელი დარჩა ოჯახურ დანაშაულში ბრალდებული პირის მიმართ. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლო განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საქმეს თან ერთვის ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, დაზარალებულს პირადი შემოწმებისას აღენიშნებოდა დაზიანებები და სისხლნაჟღენთები, რომლებიც განვითარებულია რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედების შედეგად და მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოშლის გარეშე, ის ფაქტი, რომ ეს დაზიანებები მას ბრალდებულმა მიაყენა, სასამართლოში გამოკვლეული რაიმე უტყუარი მტკიცებულებით არ დადასტურებულა. მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება კი ვერ გახდება პირის საქართველოს სსკ-ს 126[1] მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდების საფუძველი.[15]

მაშინ როდესაც, ოჯახურ დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებზე პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვება ობიექტურად ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია, აღნიშნული დანაშაული არ გამოირჩევა მოწმეთა სიმრავლით და დაზარალებულთა პოზიციამ შესაძლებელია ხელი შეუშალოს დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებას, ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებში მითითებული მტკიცებულებითი სტანდარტი ართულებს ამ კატეგორიის დანაშაულებზე ობიექტური გარემოებების დადგენასა და მოძალადის დასჯას.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების საპირისპირო განმარტებებს ვხვდებით 2018 წლის შემდგომ. მაგალითად, 2020 წლის 14 ივლისის განაჩენში სასამართლომ განმარტა, რომ მოწმის/დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარი უპირობოდ არ ნიშნავს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების შედეგების უგულებელყოფას და ავტომატურად არ აბათილებს ამ მოქმედებებით

15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2018 წლის 01 ივნისის განჩინება, საქმე N26ა3-18.

დადგენილ ფაქტებს, თუ გამოკვეთილი არ არის ისეთი მტკიცებულება, რომელიც ფაქტობრივად (შინაარსობრივად) წარმოადგენს მოწმის (დაზარალებულის) ჩვენების ან მიწოდებული ინფორმაციის შემოწმებას, რომელიც ასახულია გამოკითხვის ოქმში. ამდენად, როდესაც საქმეში წარმოდგენილია, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი პირდაპირი მტკიცებულება - დაზარალებულის მიერ გადაუდებელი დახმარების ცენტრ „112-ში“ განხორციელებული ზარის აუდიო ჩანაწერის სახით, რომელიც მტკიცების ხარისხის თვალსაზრისით, შესაძლებელია, უფრო მეტად წონადი და დამაჯერებელი სამხილიც იყოს, ვიდრე თავად მოწმის (დაზარალებულის) სასამართლო ჩვენება, ხოლო, მეორე მხრივ, დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებული აუდიო ჩანაწერის დათვალიერების ოქმი, რომელშიც ნებაყოფლობით მონაწილეობდა და ცალსახად დაადასტურა აუდიო ჩანაწერის შინაარსი და ავთენტურობა, ისინი დამოუკიდებელ და საკმარის მტკიცებულებებად შესაძლოა იქნას განხილული. საკასაციო პალატის განმარტებით, შესაძლოა, მოწმეთა ჩვენებების ნაწილი შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რაც მათთვის დაზარალებულისაგან გახდა ცნობილი, თუმცა ხშირად მათი მონათხრობი, ასევე, ეხება ისეთ ფაქტებსა და გარემოებებს, რაც მათ საკუთარი თვალით იხილეს. მაგალითად, რას განიცდიდა დაზარალებული მუქარის შემდეგ, რა მდგომარეობაში მიმართა მან პოლიციას და აშ. ზემოაღნიშნული ჩვენებები, ერთი მხრივ, ავსებს საქმეზე არსებულ სხვა პირდაპირ მტკიცებულებებს, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოადგენს მათ გაგრძელებას, რაც არათუ უმნიშვნელოა, არამედ ბრალად წარდგენილი ქმედების სამართლებრივი შეფასებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა და არაფრით შეიძლება შეფასდეს ირიბ ჩვენებებად.[16]

ასევე, მნიშვნელოვან განმარტებას ვხვდებით პირდაპირი მტკიცებულებების განსაზღვრის ნაწილში 2020 წლის 9 ივნისის განაჩენში, რომელშიც სასამართლო განმარტავს, რომ ძალადობის ფაქტების დასადასტურებლად ან უარსაყოფად ვერ გამოდგება იმ მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ემყარება დაზარალებულის მონათხრობს, რადგან

16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2020 წლის 14 ივლისის განაჩენი, საქმე N97ა3-20.

არის ირიბი, თუმცა ძალადობის შედეგად მსხვერპლის მძიმე ემოციურ მდგომარეობასთან მიმართებით - არის პირდაპირი მტკიცებულებები თუ პირადად ნახეს, რა მდგომარეობაში იყო დაზარალებული ძალადობის შედეგად, რომელთა უგულებელყოფაც შეუძლებელია, მხოლოდ იმ მოტივით, რომ დაზარალებულმა, რომელიც აშკარად დაშინებულია, არ მისცა ჩვენება სასამართლოს. თუ მოწმეები ადასტურებენ, რომ დაზარალებულზე ძალადობის შესახებ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაციის წყარო იყო თავად დაზარალებული, ამასთან, თანმიმდევრულად და ზუსტად აღწერენ ძალადობის შედეგად მის მძიმე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რაც შეესაბამება დაზარალებულის ხელით შედგენილ განცხადებას, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, შემაკავებელ ორდერს და ფაქტობრივად წარმოადგენენ იმ მტკიცებულებების გაგრძელებას, რომლებითაც უტყუარად არის დადგენილი ფიზიკური ძალადობის ფაქტი და წარმოადგენენ პირდაპირ მტკიცებულებებს, საქმეში გამორიცხავს იმის თეორიულ შესაძლებლობას, რომ გამამტყუნებელ განაჩენს შესაძლოა საფუძვლად დაედოს არაპირდაპირი მტკიცებულებ(ებ)ით გამყარებული ირიბი ჩვენებების ერთობლიობა. ამასთან, ის გარემოება, რომ ერთმანეთთან კავშირში არმყოფი მოწმეების ჩვენებები (მეზობლები, მეგობრები, გამომძიებელი), რომელთა სანდოობა სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით საეჭვო არ გამხდარა, ზედმიწევნით ემთხვევა ერთმანეთს იმასთან მიმართებით, თუ რა მდგომარეობაში იყო დაზარალებული და რას ჰყვებოდა იგი მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ, ცალსახად ზრდის მტკიცების ხარისხს და ამყარებს სასამართლოს რწმენას პირის დამნაშავეობის თაობაზე.[17]

დაზარალებულის ჩვენების არარსებობის პირობებშიც გამამტყუნებელი განაჩენისთვის საკმარის მტკიცებულებათა სტანდარტზე მსჯელობას ავითარებს უზენაესი სასამართლო 2020 წლის 28 ივლისის განაჩენში. აღნიშნული განაჩენით უზენაესმა სასამართლომ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი და ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

17 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2020 წლის 14 ივლისის განაჩენი, საქმე N97ა3-20.

რაც შეეხება მტკიცებულებით სტანდარტს, სასამართლომ განმარტა, რომ საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომლის მიხედვით, სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდება გამოიწვია თუ არა მეუღლის მიერ მიყენებულმა დაზიანებებმა დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოწმე, რომელსაც შეეძლო ნათელი მოეფინა ამ საკითხისთვის, არის თავად დაზარალებული, რომელმაც არ მისცა ჩვენება სასამართლოს. უზენაესმა სასამართლომ ფიზიკური ტკივილის დასადგენად გაიზიარა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, დაზარალებულს აღენიშნებოდა დაზიანებები სხეულზე და საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, ხოლო აღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანება ნორმალური ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ადამიანში უდავოდ გამოიწვევდა ტკივილს.[18]

უზენაესი სასამართლოს განსხვავებული პრაქტიკა მიმანიშნებელია, რომ მოსამართლეთა ნაწილი დროის გარკვეულ პერიოდში არაერთგვაროვნად აფასებდა ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს. თუმცა, ოჯახურ დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეების სპეციფიკის გათვალისწინებით, მტკიცებულებების შეფასება ცალსახად დადებითად უნდა ჩაითვალოს, რადგან სასამართლო ითვალისწინებს ოჯახურ დანაშაულთა სისხლის სამართლის გამოძიების და საქმის არსებითი განხილვის ინდივიდუალურ მახასიათებლებს.

6. დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახურ დანაშაულებზე სამართლებრივი რეაგირება ყოველდღიურად ხორციელდება, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა დღესაც გამოწვევად რჩება. აღნიშნული დანაშულის მსხვერპლი ხშირად ხდებიან ქალები და ასევე ბავშვები, რომელთაც ადგებათ გამოუსწორებელი ფიზიკური და მორალური ზიანი. ძალადობის

18 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2020 წლის 28 ივლისის განაჩენი, საქმე N118აპ-20.

წინააღმდეგ ბრძოლა არა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების, არამედ სრულიად საზოგადოების პასუხისმგებლობაა. სახელმწიფოს მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის კვალდაკვალ, მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რათა თითოეულმა მოქალაქემ გაითავისოს საკუთარი წილი პასუხისმგებლობა საერთო საქმეში და ხმა აიმაღლოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ.

7

გიორგი ცეცხლაძე
თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორი,
სამართლის მაგისტრი.

ბრალდების მტკიცების ტვირთის პრობლემა ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)

1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილია უდანაშაულობის პრეზუმფცია, რაც გულისხმობს, რომ ყოველი ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად, სასამართლოს მიერ მიღებული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე.[1] ამავდროულად, საყოველთაოდ ცნობილია დუმილის უფლების შესახებ, რაც გულისხმობს ბრალდებულის მიერ კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავებისა და დანაშაულის თვითაღიარებისგან დაცვის უფლებას (ე. წ. „მირანდას უფლებები“). აღნიშნულისგან განსხვავებით, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს ამოცანა განსხვავებულ შინაარსს ატარებს და აქტიურ მოქმედებებთანაა დაკავშირებული: გამოძიების წარმოება დანაშაულებრივ ფაქტზე, მტკიცებულებების მოპოვება, დამნაშავის გამოვლენა და ა. შ. აღნიშნული ქმედებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (სსსკ) გათვალისწინებული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე ხორციელდება.[2]

1 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950, მე-6 მუხლი, მე-2 პუნქტი. საქართველოს კონსტიტუცია , 1995, 3¹-ე მუხლი, მე-5 პუნქტი.

2 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009.

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება და ბრალდების მტკიცების ტვირთი მხოლოდ ბრალდების მხარეს აკისრია, რომელსაც საქართველოში პროკურატურა წარმოადგენს. ბრალდების მტკიცების ტვირთი გულისხმობს, ბრალდებული პირის მიმართ, ობიექტური და ავთენტური მამხილებელი მტკიცებულებების მოპოვებასა და ნეიტრალური მსაჯულისთვის მათ წარდგენას, რათა დადასტურდეს პირის მიერ დანაშაულის ჩადენა.

პირის ბრალდების საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის აუცილებელია ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.[3]

ბრალდების დამტკიცების ვალდებულება ბრალდების მხარეს აკისრია ყოველ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე, მათ შორის, ოჯახური დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის მიმართ. ამ დანაშაულის სპეციფიკის გათვალისწინებით, ბრალის დამტკიცება გარკვეულ თავისებურებებთან და განსხვავებულ ამოცანებთან არის დაკავშირებული, რომლებზეც მსჯელობა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნება მოცემული სტატიის ფარგლებში.

2. მტკიცების არსი ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 11¹ მუხლი იძლევა ოჯახური დანაშაულის ცნებას. ოჯახურ დანაშაულად მიიჩნევა, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულების ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის

3 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/548, 04.02.2015.

მიმართ. ამავდროულად, კანონმდებელმა არა მხოლოდ ის დანაშაულები განსაზღვრა, რომლებიც შესაძლებელია ოჯახურ დანაშაულად დაკვალიფიცირდეს, არამედ ზუსტად ჩამოთვალა, ვინ არიან ოჯახის წევრები სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისთვის. აღსანიშნავია, რომ ოჯახური დანაშაულების აბსოლუტური უმრავლესობა ძალადობრივი (როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური) ხასიათისაა, რომელთა შორის ხშირია ოჯახში ძალადობა (სსკ-ს 126¹ მუხლი), მუქარა ოჯახის წევრის მიმართ (სსკ-ს 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი), შემაკავებელი ორდერის მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა (სსკ-ს 381¹ მუხლის 1-ლი ნაწილი) და სხვა.[4]

მტკიცების ტვირთის პრობლემა ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე, სადაც ბრალდებულების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია ახლო ნათესავ(ებ)ის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენის გამო, დაკავშირებულია რამდენიმე მიზეზთან: 1. ოჯახური ძალადობისა და ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებულ დანაშაულთა უმრავლესობა ლატენტური ხასიათისაა და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ მსხვერპლისა და მოძალადის ხილვადობის არეალში ხორციელდება (მოწმეთა არ არსებობა); 2. ოჯახში ძალადობის მოწმეთა სიმრავლის შემთხვევაშიც კი, ხშირად, საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული მიდგომების გამო („ოჯახის საქმე სხვისი საქმე არ არის“) მოწმეები – მეზობლები, ნაცნობები არ თანამშრომლობენ გამოძიებასთან და სასამართლოში თავს იკავებენ ბრალდებულის მამხილებელი ინფორმაციის მიწოდებისგან; 3. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ახლო ნათესავები სარგებლობენ პრივილეგიით არ მისცენ ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მათ ახლო ნათესავს. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი გარემოება – ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, რამდენიმე სუბიექტური მიზეზით არის განპირობებული, რომლებიც მხოლოდ მსხვერპლს ეხება და ესენი შეიძლება იყოს: ოჯახში ძალადობით შეძენილი უმწეობა, „სტოკჰოლმის სინდრომი“, ოჯახის წევრების ან ახლობლების ზეწოლა, ეკონომიკური თავისუფლების არქონა და სხვა სუბიექტური მიზეზები.

4 საქართველოს პროკურატურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, 2; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpuP9BJo.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

აღნიშნულის საპირწონედ, სახელმწიფოს გააჩნია ოჯახში ძალადობის მსხვერპლის უფლებების ეფექტურად დაცვის პოზიტიური ვალდებულება. ოჯახური დანაშაულის მტკიცების ტვირთის შეფასება სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით კი საუკეთესო ინდიკატორია იმისა, რა ტიპის მტკიცებულებებს შეიძლება დაეყრდნოს მოსამართლე განაჩენის გამოტანისას, რომელი მტკიცებულება სარგებლობს სანდოობის მაღალი ხარისხით და გაზიარების მაღალი მაჩვენებლით. აღნიშნულის იდენტიფიცირება კი ხელს შეუწყობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ჯეროვან განხორციელებასა და მსხვერპლთა უფლებების დაცვას, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც საქართველოში ოჯახში ძალადობის, თუნდაც რეგისტრირებული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.[5]

ოჯახური დანაშაულების საქმეებზე, იმთავითვე მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს არა დაზარალებული ოჯახის წევრის (და ზოგადად ოჯახის წევრის) ჩვენებაზე, არამედ სხვა ისეთი მტკიცებულების მოძიებასა და სასამართლოში წარდგენაზე, რაც სასამართლო სხდომაზე უცვლელი სახით იქნება წარმოდგენილი და მკაფიოდ დაადგენს ამა თუ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც ოჯახურ დანაშაულს უკავშირდება.

3. ოჯახური დანაშაულის საქმეებზე არსებული ძირითადი მტკიცებულებები

3.1. მოწმის ჩვენება

მოწმის მიერ ჩვენების მიცემისას სასამართლო მას, სანდოობის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიფრთხილით აფასებს. მოსამართლეს მხედველობის მიღმა არ უნდა დარჩეს ოჯახური დანაშაულის სპეციფიკა – დაზარალებულის ქცევა სასამართლოში შესაძლებელია უკიდურესად განსხვავებული იყოს იმისგან, რაც მან გამოძიების დასაწყისში გამომძიებელთან გამოავლინა. გამოკითხვისას (გამოძიებაში) მოწმემ (დაზარალებულმა) შესაძლებელია სრულყოფილად დააფიქსიროს მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებები, ამხილოს ახლო ნათესავი,

5 საქართველოს პროკურატურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, 76; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpuP9BJo.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

საგამოძიებო ექსპერიმენტში გამომძიებელთან მიუთითოს ის ადგილები, სადაც განხორციელდა ძალადობა ან სხვა დანაშაულებრივი ქმედებები, გამომძიებელს უჩვენოს დანაშაულის საგანი და ამოაღებინოს იგი, სრულყოფილად აღადგინოს დანაშაულის ვითარება და სრულყოფილად ითანამშრომლოს გამოძიებასთან. აღნიშნულისგან რადიკალურად განსხვავებით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა სასამართლო განხილვებში, რომლებიც გარკვეული პერიოდის შემდეგ იმართება, შესაძლებელია ისარგებლოს პრივილეგიით, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს. აღნიშნული სრულებით არ არის გასაკვირი, რადგან ოჯახში ძალადობით გამოწვეული ერთგვარი უმწეობა მოწმეს შეიძლება აიძულებდეს, მოძალადის სასარგებლოდ მოიქცეს, ვინაიდან მასზეა მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული ან სულაც მოძალადის ნათესავები ახდენდნენ მასზე ზემოქმედებას.

მოწმის მიერ ჩვენებაზე უარის თქმას, საქართველოს უზენაესი სასამართლო ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კლასიკურ ქცევას უწოდებს და განმარტავს, რომ „[...] დაზარალებულის ქმედებები ნამდვილად ჰგავს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა კლასიკურ ქცევას, რომლებიც ძალადობის შემდგომ მუდმივ შიშსა და დაძაბულობაში განაგრძობენ ცხოვრებას და ფაქტად იღებს იმ გარემოებას, რომ დაზარალებული, რომელიც არის ძალადობის მსხვერპლი, უკიდურესად შეშინებულია და მოძალადისგან მომავალი საფრთხის განეიტრალებას (თვითგადარჩენას), მის მიმართ ლმობიერი პოზიციის დაკავებაში ხედავს, რამაც განაპირობა სწორედ მისი პირვანდელი მტკიცე ნების - ხელი შეეწყო მართლმსაჯულების განხორციელებისთვის - რადიკალურად შეცვლა და სასამართლოში ჩვენების მიცემაზე უარის თქმა.“[6] შესაბამისად, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე, მთავარი აქცენტი სხვა მოწმეების ჩვენებებზე უნდა დაისვას და დადგინდეს, რამდენად შესაძლებელია მათი ჩვენებით დანაშაულებრივი ფაქტის დადგენა.

6 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 14 ივლისის განაჩენი, საქმე №97ა3-20.

მოწმის ჩვენება შესაძლებელია იყოს პირდაპირი ან ირიბი. პირდაპირი ჩვენება სახეზეა მაშინ, როდესაც მოწმე უშუალოდ არის ამა თუ იმ ფაქტის თვითმხილველი და პირადად გადმოსცემს მას, ხოლო ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეფუძნება.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადგენად აუცილებელია შეფასდეს თითოეული მტკიცებულების, მათ შორის, მოწმის ჩვენების უტყუარობა, დამაჯერებლობა, რაც საქართველოს სსსკ-ს 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სავალდებულოა განაჩენის გამოტანის დროს. მტკიცებულებათა უტყუარობა უნდა შეფასდეს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: 1. თითოეული მტკიცებულება, მათ შორის, მოწმის ჩვენება შინაარსობრივად ხომ არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას; 2. თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებებს, თუ მათ შორის არის სხვადასხვა წინააღმდეგობა, რომელთა ხარისხის შეფასება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციაა; 3. რამდენად გულწრფელი და მიუკერძოებელია მოწმე; 4. როგორ პირობებში მოხდა მტკიცებულებების ფორმირება, მაგ: გარემო პირობები - ცუდი ხილვადობა (ნისლი), ხალხმრავალი ადგილი, მანძილი მოწმესა და შემთხვევის ადგილს შორის და სხვა. მტკიცებულებების ამ კრიტერიუმებით შეფასებისა და მათზე განაჩენში სათანადო მსჯელობის გარეშე მტკიცებულებათა უტყუარობის სიღრმისეული შეფასება ფაქტობრივად შეუძლებელია.[7]

ოჯახური დანაშაულები მოწმეთა სიმწირით გამოირჩევა. დაზარალებულის მიერ ჩვენებაზე უარის მიცემის პარალელურად, საქმეზე შეიძლება დაიკითხოს გამომძიებლები, პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად, მოწმის სტატუსით სარგებლობენ და ენიჭებათ მოწმის უფლებები და მოვალეობები.

7 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის განაჩენი, საქმე №397აპ-14.

ერთი შეხედვით, შესაძლებელია გამომძიებლის ჩვენება უმნიშვნელო იყოს საქმისთვის, რადგან იგი არ არის უშუალოდ იმ ფაქტის შემსწრე, რასაც დაზარალებული მას უცხადებს გამოკითხვის ოქმში; ამავდროულად გამოკითხვის ოქმი, რომელიც გამომძიებელმა შეადგინა მოწმესთან, შესაძლებელია სრულყოფილ სურათს იძლეოდეს დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, მაგრამ იმავე მოწმის მიერ ჩვენებაზე უარის თქმამ შესაძლოა გამოკითხვის ოქმი უბრალოდ ქაღალდად აქციოს, რადგან მოწმის ჩვენებას წარმოადგენს მის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ და არა გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებული ინფორმაცია.

ამდენად, გამომძიებლის ჩვენება ვერ ჩაანაცვლებს უშუალოდ იმ მოწმის ჩვენებას, რომელიც ამ გამომძიებელმა გამოკითხა. გამომძიებელი ვერ დაადასტურებს იმ ფაქტს, რაც მას მიუთითეს გამოძიების სტადიაზე გამოკითხვის ოქმის შედგენისას. გამომძიებელი, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე, როგორც წესი, არის ირიბი მოწმე (თუკი არ ხდება უშუალოდ დანაშაულზე წასწრება).

მაგრამ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ პოლიციის თანამშრომლის/გამომძიებლის ჩვენებას არა მთლიანობაში აღქმით (როგორც ირიბი ჩვენება), არამედ მისი ჩვენების ცალკეული ნაწილების ანალიზით, ოჯახური დანაშაულის საქმეზე დიფერენცირებულად მიანიჭა როგორც ირიბი ჩვენების, ისე პირდაპირი ჩვენების სტატუსი. ამავდროულად უზენაესმა სასამართლომ უარყო სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომელმაც პოლიციელი მოწმეების ჩვენებებს ირიბი ჩვენებების კატეგორია მიანიჭა.

უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლომ ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს ყველა მტკიცებულება და ერთმანეთისგან გამიჯნოს, **რომელი ჩვენება ან ჩვენების ნაწილი** წარმოადგენს ირიბს და შემდეგ გადაწყვიტოს, რამდენად შესაძლებელია ამ ჩვენებების გამოყენება გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. შესაძლებელია, მომხდარ ფაქტს პირდაპირი მტკიცებულება, მათ შორის, პირდაპირი

ჩვენებაც ასახავდეს, მაგრამ არა მთლიანად, არამედ მხოლოდ მის ერთ, თუმცა მნიშვნელოვან მონაკვეთს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება N626ა3-17 საქმეზე, პუნქტი 34). ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, როდესაც ბრალად წარდგენილი ქმედების შემადგენლობისათვის აუცილებელია დაზარალებულის მიერ განცდილი შიშის რეალურობის დადგენა (საქმე ეხება ოჯახში მუქარას), სწორედ პირდაპირი მტკიცებულებების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ პოლიციელი მოწმეების ჩვენებები, რომლებმაც შემთხვევიდან მალევე პირადად ნახეს, რა მდგომარეობაში იყო დაზარალებული და რას განმარტავდა იგი მომხდართან დაკავშირებით, კერძოდ: „[...] დაზარალებული იყო აღელვებული, ტიროდა და პოლიციის თანხლების გარეშე ეშინოდა სახლში დაბრუნება, [...]“.[8]

შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოწმეები, რომლებმაც დაზარალებული ნახეს ძალადობიდან მალევე, შესაძლებელია იმდენად წონადი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მფლობელნი აღმოჩნდნენ, რომ მათ მიერ მიცემული ჩვენება, სხვა მტკიცებულებასთან ერთობლიობით, საკმარისიც კი აღმოჩნდეს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის. ასეთი მოწმეები შეიძლება იყვნენ პოლიციის თანამშრომლები – გამომძიებელი, მართლწესრიგის ოფიცერი, პატრულ-ინსპექტორი, დეტექტივი, რომელთაც უშუალოდ შეხება ჰქონდათ დაზარალებულთან; ასევე დაზარალებულის ახლო მეგობრები, მეზობლები და სხვა პირები (მაგ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფი, რომელთაც შემხებლობა ჰქონდათ დაზარალებულთან ძალადობის ჩადენის შემდეგ).

არანაკლებ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის ან სოციალური მუშაკის ჩვენებები, რომლებიც უშუალოდ ესწრებიან არასრულწლოვანი მოწმეების გამოკითხვის პროცესს გამოძიებაში. ფსიქოლოგმა შესაძლებელია ისაუბროს არასრულწლოვანის ემოციურ ფონზე, რომელიც გამოკითხვის პროცესში უტყუარად გამოხატავდა მის მდგომარეობას.

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 14 ივლისის განაჩენი, საქმე №97ა3-20, §19-21.

მოწმის ზეპირი ჩვენების პროცესში კი, სასამართლო ყურადღებას უნდა ამახვილებდეს მოწმის ჩვენების შინაარსზე და არავერბალურ კომპონენტებზე, მათ შორის არსებულ ბუნებრივ შესაბამისობებზე, რომელიც შეიძლება მოწმის ჩვენების სანდოობის შემოწმების ერთგვარი უტყუარი ტესტიც აღმოჩნდეს.[9]

3.2. დოკუმენტური/წერილობითი მტკიცებულებები

3.2.1. ექსპერტიზის დასკვნები

ოჯახური დანაშაულის საქმეებზე, შესაძლებელია, მნიშვნელოვან მტკიცებულებად ჩაითვალოს ექსპერტიზის დასკვნები. ისეთი დანაშაულების დამტკიცებისთვის, როგორებიცაა ოჯახში ფიზიკური ძალადობა ანდა ოჯახში სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება სამედიცინო ან ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებს, სამედიცინო ბარათებსა და ჩანაწერებს.

სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნამ უნდა დაადგინოს დაზარალებულისთვის მიყენებული დაზიანების ხარისხი და ხანდაზმულობა, რაც ხშირად ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის არის მნიშვნელოვანი (მაგ. სსკ-ს 120-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის საჭიროა დადგინდეს, რომ დაზარალებულს მიადგა ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, მისი ხანმოკლე მოშლით). თუმცა, სამედიცინო ექსპერტიზა არა მხოლოდ დაზიანების ხარისხის დასადგენადაა აუცილებელი, არამედ დანაშაულებრივი ფაქტის დადგენისთვის წონადი წერილობითი მტკიცებულებაც შეიძლება აღმოჩნდეს. სამედიცინო ექსპერტიზას გამოძიების სტადიაზევე უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება. სამედიცინო შემოწმებისას, ექიმსა (ექსპერტსა) და შესამოწმებელ პირს შორის

9 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 2 ივნისის განაჩენი, საქმე №1/3259-21, 7 (დაზარალებულის ზეპირი ჩვენება პირდაპირ თავსებადი იყო არავერბალურ გამოხატულებასთან, კერძოდ, ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან; ასევე იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 თებერვლის №1/5529-22 განაჩენი, 6 (სასამართლომ პირდაპირ განმარტა, რომ „თვალშისაცემი იყო მსხვერპლის მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა, უკიდურესად ღელავდა ფაქტების გადმოცემის დროს, გამოხატავდა საფრთხიდან თავის დაღწევის მოტივაციას“; ამავე განაჩენში კი სასამართლომ დაადგინა, რომ „ემოცია, განცდები მის [მსხვერპლის] გულწრფელობას კიდევ მეტად უსვამდა ხაზს“).

კომუნიკაცია მოკლე კითხვარის მეშვეობით წარმოებს, რა დროსაც, ხშირად მსხვერპლი საუბრობს მისთვის მიყენებული დაზიანების მიზეზებზე, რასაც ექსპერტი დასკვნაში წერილობით აფიქსირებს. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ადგენს დაზიანების ხანდაზმულობის შესაბამისობას ქმედების ჩადენის თარიღთან და მსხვერპლის მიერ ექსპერტთან დაფიქსირებული ინფორმაცია ძალადობის შესახებ, ერთ-ერთ უტყუარ მტკიცებულებად შეიძლება იქნეს გამოყენებული დანაშაულის დასადგენად.

იგივე ითქმის დაზარალებულის მიერ სამედიცინო დაწესებულებაში თვითდინებით მიმართვის შემთხვევებზეც, როდესაც სამედიცინო დაწესებულებაში ადგილზე იხსნება სამედიცინო ისტორია, რომელიც სამედიცინო საკითხების გარდა, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს შეიძლება გადმოსცემდნენ. აღნიშნულ ისტორიებში, მსხვერპლსა და ექიმს შორის ჩამოყალიბებული ნდობის საფუძველზე განვითარებულ საუბრებში, დაზიანების შესახებ შეკრებილ ცნობებში – ანამნეზებში, ხშირად ვხვდებით დაზიანების წარმომავლობის მიზეზებს. იგივე შეიძლება ვიპოვოთ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფის მიერ პაციენტის გასინჯვის ბარათში, რომელიც მსხვერპლთან უშუალო კომუნიკაციის გზით იქმნება. დაზარალებულის სამედიცინო ისტორიაზე შესაძლებელია დაინიშნოს სამედიცინო ექსპერტიზაც.

სამედიცინო ექსპერტიზის გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც გაცილებით კომპლექსურია; ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შედგენა ხდება ვრცელი კითხვარისა და ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური კვლევის მეშვეობით და იგი ასახავს მსხვერპლის ფსიქო-ემოციურ თავისებურებებს. სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნამ უნდა დაადგინოს განიცადა თუ არა დაზარალებულმა მოძალადის ქმედებით ფსიქოლოგიური ტანჯვა. ოჯახური დანაშაულების საქმეებზე, რომლებიც უკავშირდება მსხვერპლის მიმართ სისტემატურ შეურაცხყოფასა და დამცირებას, მიზანშეწონილია მსხვერპლის მიმართ ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება, რომლის დასკვნამაც შესაძლებელია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სასამართლოში ბრალდების დასამტკიცებლად.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ზემოხსენებული ექსპერტიზა ჩატარდეს მსხვერპლის მიერ გამოძიებისთვის მიმართვიდან უმოკლეს ვადაში, რაც რამდენიმე პრაქტიკულ მიზანს ემსახურება: სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში, მსხვერპლის ვიზუალური დათვალიერების მეშვეობით სხეულზე დაზიანების კვალის აღმოჩენა და ხარისხის განსაზღვრა ექსპერტისთვის უფრო იოლია ძალადობის ჩადენიდან რამდენიმე დღეში (შემდგომში კვალი თანდათან იკარგება); ამასთან, ექსპერტიზის ჩატარება (მაგალითად ფსიქოლოგიური ექსპერტიზა) გარკვეულ პროცედურულ საკითხებს უკავშირდება; მისი ჩატარება ოჯახური დანაშაულის მსხვერპლთან გამოძიების ადრეულ ეტაპზე უფრო ხელსაყრელია, რადგან უფრო სრულყოფილი სურათის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა. ასევე, პროცესის გაჭიანურების შემთხვევაში, შესაძლოა, დაზარალებულმა უარი თქვას გამოძიებასთან თანამშრომლობაზე, რითაც პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება დაზარალებულის მიმართ.

სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მხოლოდ სასწრაფო დახმარების ჯგუფის მიერ მსხვერპლის სამედიცინო გასინჯვის ბარათზე დაყრდნობით იქნა მომზადებული, თბილისის საქალაქო სასამართლომ ირიბ მტკიცებულებათა კატეგორიას მიაკუთვნა და გამორიცხა რაიმე ფაქტობრივი გარემოების დადგენის შესაძლებლობა, მაშინ, როდესაც დაზარალებულმა სასამართლოს ჩვენება არ მისცა.[10] სამედიცინო ბარათში დაზარალებულს დაფიქსირებული ჰქონდა ყოფილი მეუღლის მიერ ხელის დარტყმის ფაქტი; ასახული იყო დაზიანებები, ასევე ის, რომ მსხვერპლი უჩიოდა ტკივილს. მოცემულ საქმეზე საქმის პირველი ინსტანციით განხილვისას, დაზარალებულის მიერ ჩვენებაზე უარის გაცხადების შემდეგ, სასამართლომ ბრალდების სხვა მტკიცებულებებს, მათ შორის, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას ირიბი მტკიცებულების კატეგორია მიანიჭა და ბრალდებული გაამართლა. ბრალდების მხარის მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენის შემდეგ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გამამართლებელი განაჩენი ნაწილობრივ შეცვალა და

10 თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 10 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/5140-22, 6.

ყოფილი მეუღლის მიმართ, ყოფილი მეუღლის მიერ განხორციელებულ ძალადობაში გამართლებული დამნაშავედ ცნო და სხვა მტკიცებულებებთან ერთად პირდაპირ დაეყრდნო სამედიცინო ჩანაწერებსა და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას.[11]

3.2.2. სხვა წერილობითი მტკიცებულებები

ოჯახური დანაშაულების დასადგენად შესაძლებელია, მნიშვნელოვანი იყოს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ამსახველი ისეთი წერილობითი მტკიცებულებები, როგორებიცაა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ოქმი, განსაკუთრებით მაშინ, თუ აღნიშნული მოქმედებები კონკრეტული ნივთის ამოღებით სრულდება (მაგალითად, მსხვერპლმა საცხოვრებელ სახლში მიუთითა იმ საგანზე, რომლითაც განხორციელდა ძალადობა – ესე იგი, მისი აქტიური ჩართულობით გამოძიებამ ამოიღო დანაშაულის საგანი).

სასამართლო განსაკუთრებული ყურადღებითა და ინტერესით ამოწმებს ზემოაღნიშნულ ოქმებს. სასამართლოს აქვს მოლოდინი, რომ საგამოძიებო მოქმედებების ამსახველი წერილობითი მტკიცებულებები მაქსიმალურად სრულყოფილად და ამომწურავად უნდა გადმოსცემდნენ ინფორმაციას (სრულყოფილად უნდა იყოს აღწერილი შემთხვევის ადგილი; ნივთების განლაგება, ადგილმდებარეობა; მათ შორის მსხვერპლის შენიშვნები და მითითებები). აღნიშნული საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას, შესაძლებელია გამოძიებამ გამოიყენოს ტექნიკური საშუალებები (ფოტო-ვიდეო გადაღება), რაც მეტ სიცხადეს მატებს ოქმის შინაარსს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შემაკავებელი ორდერი და ორდერის ოქმი. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, შინაგან საქმეთა სამინისტრო, მსხვერპლის დაცვისა და მოძალადისათვის გარკვეული ქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების

11 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 25 მაისის განაჩენი, საქმე №1ბ/748-23, 10

სახით გამოსცემს შემაკავებელ ორდერს 30 დღემდე ვადით. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შემაკავებელი ორდერი გათვალისწინებული არ არის, მაგრამ იგი შესაძლებელია გამოიცეს უშუალოდ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მსხვერპლის მოთხოვნითა და მისი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. შემაკავებელ ორდერს გააჩნია ვრცელი კითხვარი, რომელშიც მსხვერპლი გადმოსცემს ინფორმაციას მის მიმართ ოჯახში ჩადენილი დანაშაულის შესახებ. შემაკავებელი ორდერი, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე გამოიცა, თავისი არსით, დამოუკიდებელი ხასიათის წერილობითი მტკიცებულებაა და მსხვერპლის გამოკითხვის ოქმთან კავშირი არ აქვს. გამოძიებაში შედგენილ გამოკითხვის ოქმს, რომელიც დაზარალებულმა (გამოკითხულმა პირმა) არ დაადასტურა, ბრალდების მხარე ვერ გამოიყენებს ბრალის დასამტკიცებლად, მაგრამ სასამართლო შესაძლოა დაეყრდნოს შემაკავებელ ორდერსა და ორდერის ოქმს, როგორც დამოუკიდებელ და გამოკითხვის ოქმისგან განყენებულ მტკიცებულებას და გაიზიაროს მასში ასახული ინფორმაცია დანაშაულის დასადგენად.

მსგავსი მსჯელობა განავითარა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და აღნიშნა რომ „[...] საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოწმის (დაზარალებულის) მიერ ჩვენების მიცემაზე უარი აპრიორი არ ნიშნავს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების შედეგების უგულებელყოფას და ავტომატურად არ აბათილებს ამ მოქმედებებით დადგენილ ფაქტებს [...]“[12]. იმავე განაჩენში უზენაესმა სასამართლომ კრიტიკულად შეაფასა სააპელაციო სასამართლოსა და პირველი ინსტანციის სასამართლოების იმგვარი მიდგომა, რომ ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გამო, სასამართლოს, როგორც წესი, გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი. „საკასაციო პალატას მიაჩნია: სააპელაციო სასამართლოს მტკიცება, რომ დაზარალებულის ჩვენების გარდა, რომელმაც უარი განაცხადა დაკითხვაზე, სხვა რაიმე პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა გამართლებულის მიერ დაზარალებულის მიმართ ოჯახური მუქარის ფაქტს, ბრალდების

12 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 14 ივლისის განაჩენი, საქმე №97აპ-20, §12.

მხარეს სასამართლოში არ წარმოუდგენია, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და საქმის მასალების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შეფასებიდან არ გამომდინარეობს“[13]; „[...]დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებული აუდიოჩანაწერის დათვალიერების ოქმის, შემაკავებელი ორდერის, მასზე თანდართული ოქმისა და მოწმის ჩვენების (ირიბი) ერთობლივად შეფასების საფუძველზე სასამართლოს ცალსახად დადასტურებულად მიაჩნია, რომ გამართლებული დაემუქრა მეუღლეს“.[14] შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ, საქმეზე არსებული წერილობითი და სხვა სახის მტკიცებულებების ყოველმხრივი შეფასების საფუძველზე, გააუქმა გამამართლებელი განაჩენი და ოჯახის წევრის მიმართ მუქარის ფაქტზე გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა.

შემაკავებელი ორდერის, როგორც გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საკმარისი (სხვა მტკიცებულებებთან ერთად) მტკიცებულების, გამოყენების შესაძლებლობა პირველი ინსტანციის სასამართლოშიც დასაშვებად მიიჩნევა რიგ შემთხვევებში.[15] თბილისის საქალაქო სასამართლომ, ერთ-ერთ განაჩენში ყურადღება გაამახვილა ასევე ბრალდებულის დაკავების ოქმზეც (რომელიც, როგორც წესი, საპროცესო იძულების ღონისძიების ამსახველი დოკუმენტაციაა და ბრალდების მტკიცების ნაწილში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს). მოცემულ საქმეზე, ბრალდების მხარე ბრალდებულს ედავებოდა ოჯახის წევრის მიმართ შემაკავებელი ორდერის მოთხოვნების შეუსრულებლობის ჩადენას - ბრალდებულს აკრძალული ჰქონდა 30 დღის ვადით ყოფილ მეუღლესთან (საცხოვრებელ სახლთან, სამსახურთან) მიახლოება. ბრალდებული არ აღიარებდა დანაშაულს. მისი დაკავება მოხდა დაზარალებულის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში, რაც აისახა ბრალდებულის დაკავების ოქმშიც. დაზარალებულმა ჩვენება არ მისცა სასამართლოს. პოლიციელთა ჩვენებები, რომლებიც გადმოსცემდნენ ბრალდებულის დაკავების ვითარებას და კონკრეტულ ადგილს, სასამართლომ გაიზიარა და დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი.[16]

13 იქვე, §16.

14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 14 ივლისის განაჩენი, საქმე №97აპ-20, §12.

15 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/1321-22.

16 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/1321-22.

წერილობითი მტკიცებულებების კატეგორიას მიეკუთვნება, ასევე, მსხვერპლის მიერ სამართალდამცავ ორგანოში გაკეთებული შეტყობინება დანაშაულის შესახებ, რომელიც წერილობით ივსება და ერთვის საქმეს. ასევე მსხვერპლის მიერ დაწერილი განცხადება, რომელიც მან უშუალოდ წარუდგინა საგამოძიებო ორგანოს. მართალია, შეტყობინებაც და განცხადებაც ამომწურავი და სრულყოფილი ვერ იქნება, თუმცა დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისთვის ორივე მათგანი შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, რასაც სასამართლო ბოლო პერიოდში, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე რაციონალურად აფასებს.

3.2.3. მოწმის გამოკითხვის ოქმი, როგორც წერილობითი მტკიცებულება

უდავო წარმოების სისხლის სამართლის საქმეებზე, მოწმის გამოკითხვის ოქმი, ისევე როგორც სხვა მტკიცებულებები, ზეპირი და უშუალო გამოკვლევის გარეშე ფასდება. სასამართლო მხარეთა მიერ უდავოდ მიჩნეულ მტკიცებულებებს შინაარსობრივად აფასებს და მასში ასახული შინაარსი დადგენილ ფაქტად მიიჩნევა.[17]

სადავო მტკიცებულებები სასამართლოს წინაშე უშუალოდ და ზეპირად გამოიკვლევა. გამოკითხვის ოქმის შინაარსში ასახული გარემოებები, რომლებიც უშუალოდ გამოკითხულმა პირმა არ დაადასტურა, დადგენილად ვერ ჩაითვლება. სასამართლო კრიტიკულად აფასებს მოწმის მიერ სასამართლოში მიცემულ ზეპირ ჩვენებასა და ამავე მოწმის გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებულ შინაარსს შორის არსებულ წინააღმდეგობას. წინააღმდეგობრივ ჩვენებებს სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს თავად მოწმეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის დროსაც, რადგან მოწმე შესაძლებელია, დაისაჯოს ცრუ ჩვენებისა და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის საფუძველზე.

პირველ რიგში, უნდა დადგინდეს თუ რამდენად კრიტიკულია განსხვავება მოწმის გამოკითხვის ოქმსა და ამავე მოწმის მიერ სასამართლოში

17 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 220.

მიცემული ზეპირი ჩვენების შინაარსებს შორის. ზოგადად, თუ ჩვენებისა და გამოკითხვის ოქმს შორის არაარსებითი ხასიათის წინააღმდეგობაა, მაშინ სასამართლო მას არ აფასებს, როგორც წინააღმდეგობრივს, რადგან სხვაობა შესაძლებელია, სხვადასხვა ობიექტური მიზეზით აიხსნას. კერძოდ, დანაშაულის ჩადენიდან დაზარალებულის/მოწმის სასამართლოში დაკითხვამდე გასულია გარკვეული დრო და არ არის გამორიცხული, რომ მას ობიექტურად არ ახსოვდეს გარკვეული დეტალები, განურჩევლად იმისა მნიშვნელოვანია ეს დეტალები თუ არა. მსგავსი განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.[18]

მაგრამ, როდესაც სახეზეა აშკარა წინააღმდეგობა გამოკითხვის ოქმსა და მოწმის ზეპირ ჩვენებას შორის, სასამართლომ უნდა შეაფასოს და დაადგინოს, ჰქონდა თუ არა ადგილი დანაშაულს და რომელი მტკიცებულებებით დასტურდება იგი. ჩვენების შეცვლის შედეგად კი, შესაძლებელია, მოწმის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც კი დადგეს (თუკი დადასტურდა, რომ მოწმემ მართლმსაჯულების ხელის შეშლის მიზნით სასამართლოში მისცა ცრუ ჩვენება).

თბილისის საქალაქო სასამართლოში იხილებოდა ოჯახში ძალადობის საქმე, სადაც ბრალდების მხარემ წარმოადგინა 2 დაზარალებული მოწმე (ბრალდებულის ოჯახის წევრები); 1 მოწმე, რომელიც ფაქტს ესწრებოდა (ასევე ოჯახის წევრი) და 1 მოწმე, რომელიც იყო ძალადობის ფაქტის თვითმხილველი, თუმცა არ იყო ოჯახის წევრი (მეზობელი). ოთხივე მათგანი წარმოადგენდა პირდაპირ მოწმეს. ბრალდებული არ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს. შესაბამისად, საქმის განხილვა მიმდინარეობდა აქტიურ რეჟიმში და ხდებოდა მტკიცებულებების გამოკვლევა, მათ შორის მოწმეების სასამართლოში დაკითხვა. ზემოაღნიშნული ოთხი მოწმიდან, ოთხივემ უარყო გამოძიების ეტაპზე მიცემული ინფორმაცია (თავიანთ გამოკითხვის ოქმებში მიწოდებული ინფორმაცია) და სასამართლოს განუცხადა, რომ ბრალდებულის მხრიდან ძალადობასა და მუქარას საერთოდ არ ჰქონდა ადგილი. მოცემულ საქმეზე სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და სხვა მტკიცებულებებთან

18 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 2 სექტემბრის განაჩენი, საქმე №2კ-268აპ.-20, §26.

ერთად, იგი უშუალოდ დაეყრდნო ხსენებულ მოწმეთა გამოკითხვის ოქმებს, შეაფასა ისინი როგორც წერილობითი მტკიცებულებები და მათში ასახული ინფორმაცია მიიჩნია სარწმუნოდ, შესაბამისად ერთ-ერთ საფუძვლად დაუდო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.[19]

4. ნივთიერი მტკიცებულებები

ნივთიერი მტკიცებულება – საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს. ასეთია ნივთიერი მტკიცებულების პროცესუალური განმარტება.

ოჯახში ფიზიკური ძალადობის არცთუ იშვიათი შემთხვევები განხორციელებულია სხვადასხვა საგნის გამოყენებით. ხშირია ცივი იარაღით სხეულის დაზიანების შემთხვევები. დანაშაულის იარაღის და მასზე არსებული კვლების აღმოჩენამ შესაძლებელია, მნიშვნელოვნად გააადვილოს მტკიცების ტვირთი დამნაშავის დასადგენად, თუმცა, ეს იშვიათ შემთხვევებს მიეკუთვნება.

ოჯახური დანაშაულების შემთხვევაში, ფიზიკური ძალადობისას, იარაღად ხშირად საყოფაცხოვრებო ნივთების გამოყენება ხდება, რადგან დანაშაულის ადგილიც, უმეტესად, მსხვერპლის და მოძალადის საცხოვრებელი სახლია. დაზარალებულის ჩართულობით აღმოჩენილმა იარაღმა ან დანაშაულის საგანმა, შესაძლებელია გავლენა იქონიოს სასამართლოში საქმის მსვლელობაზე. დაზარალებულის სხეულზე აღმოჩენილ დაზიანებებსა და აღმოჩენილ საგანს შორის შესაბამისობის დადგენა, დანაშაულის სურათის მაქსიმალურად აღდგენის შესაძლებლობას

19 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 18 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/834-22; მოცემულ საქმეზე არა მხოლოდ ოჯახში ძალადობის და მუქარის ეპიზოდებზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, არამედ გამოიკვეთა 4 პირის (მოწმის) პასუხისმგებლობის საკითხი ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტზე პირადი მოტივით და მათ წარედგინათ ბრალდება ახალი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში საქართველოს სსკ-ს 370-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

იძლევა. ამიტომ, მნიშვნელოვანია დაზარალებულის მონაწილეობით შემთხვევის ადგილის დეტალური დათვალიერება, რათა აღმოჩენილი და ამოღებული იქნეს ნივთიერი მტკიცებულებები.

მსხვერპლის მითითებით ამოღებულ საგანს სხვა დატვირთვაც გააჩნია, რადგან ამ შემთხვევაში, წერილობითი მტკიცებულებები, რომლებშიც აღწერილია ნივთის აღმოჩენის გარემოებები, მეტი სანდოობით გამოირჩევა. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის ჩანაწერი იმის შესახებ, რომ დანაშაულის საგანი – სამზარეულოს ხის კოვზი, უშუალოდ მსხვერპლის მითითებით იქნა ამოღებული, (რაც გამომძიებელმა დაადასტურა სასამართლო პროცესზე დაკითხვისას) სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში სარწმუნოდ მიიჩნია და ნაწილობრივ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა (ოჯახში ძალადობის სამი დაზარალებულიდან, სასამართლო პროცესზე, არც ერთმა არ დაადასტურა ძალადობის ფაქტები).[20]

5. სხვა მტკიცებულებები

ძალადობას ზოგჯერ ჰყავს შემსწრე პირები: მეზობლები ან უცხო პირები, მათი გამოკითხვა კი საგამოძიებო ორგანოსთვის აუცილებელია ნეიტრალური მტკიცებულების მოსაპოვებლად. თუმცა, ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული მიდგომების გამო, გარეშე პირთა მხრიდან ძალადობრივ ქმედებაში აქტიური ჩარევის მიუხედავად (გაშველება, მსხვერპლის დაცვა და ადგილიდან განრიდება და სხვა), მათი გამოძიების სტადიაზე გამოკითხვა, ხოლო შემდგომ სასამართლოში დაკითხვა, გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება. ეს პრობლემა გამომდინარეობს აღქმიდან, რომ „ოჯახის საქმე, სხვისი საქმე არ არის“, რაც ჯანსაღ სამოქალაქო საზოგადოებაში გამართლებული არ არის. აღნიშნულის საპირწონედ, როდესაც მოქალაქე გარკვეული დანაშაულის თვითმხილველი ხდება, სამართლებრივ სახელმწიფოში კანონმდებლობა მას ჩვენების მიცემას ავალდებულებს, ხოლო უარის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აკისრებს (საქართველოს სსკ-ს

20 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 7 ივლისის განაჩენი, საქმე № 1/1512-22.

371-ე მუხლი). სამოქალაქო საზოგადოებაში „არსებობს აგრეთვე სხვებისთვის სარგებლობის მომტანი ბევრი პოზიტიური ქმედება, რომლის შესრულებაც ადამიანს შეიძლება სამართლიანად აიძულონ: ასეთია სასამართლოს სხდომაზე ჩვენების მიცემა; კუთვნილი წილის შეტანა საზოგადოებრივ უსაფრთხოებაში, რომელიც აუცილებელია იმ საზოგადოების ინტერესებისთვის, რომლის მფარველობითაც ის სარგებლობს; ადამიანს სამართლიანად შეიძლება საზოგადოების წინაშე პასუხი ვაგებინოთ ისეთი რამის არ გაკეთებისთვის, რის გაკეთებაც აშკარად არის მისი მოვალეობა. ადამიანმა სხვებს არა მხოლოდ თავისი ქმედებებით შეიძლება მოუტანს ბოროტება, არამედ თავისი უმოქმედობითაც; და ორივე შემთხვევაში სამართლიანია, მას პასუხი ვაგებინოთ მათთვის მიყენებული ზიანისათვის.“[21]

თუმცა, გამოძიება არ უნდა იყოს დამოკიდებული ოჯახური დანაშაულის შესაძლო თვითმხილველის არსებობაზე. გარდა ზემოთ მიმოხილული შესაძლო მტკიცებულებებისა, სხვა სახის მტკიცებულებაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლს უკავშირდება. ძალადობის პირველ წუთებში, მსხვერპლისგან მომდინარე ქცევა მიმართულია თვითგადარჩენისკენ და თავდაცვისკენ. შემთხვევათა დიდ ნაწილში, მსხვერპლი შეტყობინებას ახორციელებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში „112“, სადაც ხორციელდება საუბრის აუდიო ჩაწერა. მხარეს შეუძლია გამოითხოვოს აუდიოჩანაწერი, დაურთოს სისხლის სამართლის საქმეს და გამოიკვლიოს სასამართლო პროცესზე, როგორც მტკიცებულება.

112-ში განხორციელებული ჩანაწერი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი შესაძლოა ასახავდეს დაზარალებულის ემოციას – შეშფოთებას, შიშს ან სასოწარკვეთას. ჩანაწერი უნდა ეკუთვნოდეს იდენტიფიცირებად პირს – მსხვერპლს და უნდა იძლეოდეს ფაქტობრივი გარემოებების აღდგენის შესაძლებლობას. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთი ოჯახური დანაშაულის საქმეზე განმარტა: „სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ში განხორციელებული სატელეფონო ზარის შინაარსის ამსახველი აუდიოჩანაწერის გაზიარებასთან დაკავშირებით [სასამართლო] აღნიშნავს, რომ იმ პირობებში,

21 მილი ჯ. ს., თავისუფლების შესახებ, 1859, 19.

როდესაც დაზარალებულს არ დაუდასტურებია აუდიოჩანაწერში გადმოცემული ინფორმაცია და სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მათ შორის არც დაზარალებულის ჩვენებით) არ დასტურდება, რომ „ინიციატორის“ სახელით მოსაუბრე პირის ხმა ნამდვილად ეკუთვნის დაზარალებულს, შეუძლებელია, მოცემული ჩანაწერი საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს.“[22]

ზემოაღნიშნული საქმისგან განსხვავებით, ერთ-ერთი ოჯახური დანაშაულის საქმეზე, ბათუმის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებმა, მოძალადის მიერ მეუღლის მიმართ ოჯახში მუქარის ფაქტზე მხოლოდ იმიტომ დაადგინეს გამამართლებელი განაჩენი, რომ მსხვერპლმა ქალმა მეუღლის წინააღმდეგ ჩვენება არ მისცა სასამართლოს. საქართველოს უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა ქვედა ინსტანციების სასამართლოებს და საქმეზე მოპოვებული ყველა მტკიცებულების ერთობლივი, რაციონალური ანალიზის საფუძველზე დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი, რომლის დასასაბუთებლად, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, დაეყრდნო მსხვერპლის მიერ განხორციელებულ შეტყობინებასა და აუდიოჩანაწერის დათვალიერების ოქმს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილია, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი პირდაპირი მტკიცებულება - დაზარალებულის მიერ გადაუდებელი დახმარების ცენტრ „112-ში“ განხორციელებული ზარის აუდიოჩანაწერის სახით, რომელიც მტკიცების ხარისხის თვალსაზრისით, შესაძლებელია, უფრო მეტად წონადი და დამაჯერებელი სამხილიც იყოს, ვიდრე თავად მოწმის (დაზარალებულის) სასამართლო ჩვენება, ხოლო, მეორე მხრივ, დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებული აუდიოჩანაწერის დათვალიერების ოქმი, რომელშიც ნებაყოფლობით მონაწილეობდა დაზარალებული, რომელმაც ცალსახად დაადასტურა აუდიოჩანაწერის შინაარსი და ავთენტურობა და განმარტა, რომ „112-ში“ ზარის ინიციატორი ქალის ხმა, რომელიც მეუღლის მუქარის გამო არის შეშინებული და სამართალდამცავებისაგან ითხოვს შველას, ეკუთვნის მას.“[23]

22 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 24 თებერვლის №908ა3-22 განჩინება.

23 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 14 ივლისის №97ა3-20 განაჩენი, პუნქტი 12.

ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უზენაესი სასამართლოს მიდგომა 112-ის ჩანაწერზე მინიმუმ მოითხოვს დაზარალებულის მონაწილეობით ამ ჩანაწერის დათვალიერებას და მის მიერ შინაარსის ავთენტურობის დადასტურებას. უკეთეს შემთხვევაში კი, აუდიოჩანაწერზე უნდა ჩატარდეს ფონოსკოპიური ექსპერტიზა.

უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიუხედავად, თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთი ოჯახური დანაშაულის საქმეზე დაადგინა სრულად გამამართლებელი განაჩენი (ფიზიკური ძალადობის ორ ეპიზოდში და მუქარის ერთ ეპიზოდში). სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას დაზარალებულმა ქალმა მეუღლის წინააღმდეგ არ მისცა ჩვენება, თუმცა ბრალდების მხარემ სასამართლოს წარუდგინა და გამოიკვლია სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები, დათვალიერების ოქმები, შემაკავებელი ორდერი, დაკითხა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმი, გამოიკვლია „112-ის“ ოპერატიული მართვის ცენტრიდან გამოთხოვილი აუდიოჩანაწერი, სადაც მსხვერპლი ამომწურავად და სრულყოფილად საუბრობს მის მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ. სასამართლომ განმარტა, რომ საქმეზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ ირიბი მტკიცებულებები, ასევე აღნიშნა, რომ „112-დან გამოთხოვილი აუდიოჩანაწერი შინაარსობრივად გამომდინარეობს დაზარალებულის ჩვენებიდან“; „[...] შინაარსში არ არის მოცემული რა სახის ძალადობას ჰქონდა ადგილი, ძალადობის შედეგად ადგილი ჰქონდა თუ არა ტკივილის განცდას [...]“.[24] თუმცა, განაჩენში არ არის დასაბუთებული, თუ რატომ აბრკოლებს დაზარალებულის ხმის ჩანაწერის მტკიცებულებად მიჩნევას ის ფაქტი, რომ მტკიცებულება შინაარსობრივად დაზარალებულისგან მომდინარეობს. ასევე, აუდიოჩანაწერში პირდაპირ ისმინებოდა, რომ მსხვერპლი ამხელდა მეუღლეს და გადმოსცემდა, რომ ამ ძალადობის შედეგად მას ხელი სტკიოდა, ამ ფონზე კი გაუგებარია სასამართლოს განმარტება იმის შესახებ, რომ თითქოს ვერ დგინდებოდა ძალადობის შედეგად ტკივილის განცდა.

24 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 10 თებერვლის №1/5140-22 განაჩენი.

აღნიშნული დასკვნა მტკიცებულების სრულყოფილი და რაციონალური ანალიზის შედეგი ვერ გახდებოდა.[25]

შესაბამისად, სასამართლოებმა შესაძლებელია თვისობრივად ერთი და იმავე მტკიცებულების მიმართ განსხვავებული მიდგომა აირჩიონ, რაც ვერ იქნება გამართლებული ოჯახური დანაშაულის საქმეებზე. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მხრიდან ისედაც მოსალოდნელი ქცევა და ჩვენების მიცემაზე უარი, სასამართლო განხილვის შედეგებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას არ უნდა იძლეოდეს, თუმცა ეს ტენდენცია შეინიშნება სასამართლო პრაქტიკაში. აღნიშნული პრაქტიკა დამაზიანებელია სამართლებრივი სახელმწიფოსთვის და ოჯახური დანაშაულის ჩამდენთა პასუხისმგებლობისგან უსამართლო დაცვის გარანტიებს ქმნის.

6. დასკვნა

როგორც სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, ხშირ შემთხვევაში, ოჯახში ძალადობის დაზარალებულის კლასიკურ ქცევას წარმოადგენს სასამართლო პროცესებზე ბრალდებულის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემისგან თავის შეკავება, უფრო იშვიათ შემთხვევაში – გამოძიების სტადიაზე მიცემული ინფორმაციის შეცვლაც კი, რაც შეიძლება მრავალი ფაქტორით იყოს განპირობებული. მოცემული ქცევა მოსალოდნელია ოჯახური დანაშაულის თითქმის ყველა შემთხვევაში, ამიტომ ამ დანაშაულთა გამოძიება განსაკუთრებული ყურადღებით უნდა წარიმართოს და ბრალდებამ მთავარი აქცენტი გააკეთოს დაზარალებულის მიმართ, იმავდროულად მოძიებული უნდა იქნეს სხვა ნეიტრალური მტკიცებულებები.

ამავდროულად, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების ჭრილში უმნიშვნელოვანესია მსხვერპლის უფლებების ეფექტური დაცვა, მაშინაც კი, როდესაც თავად მას გადაწყვეტილი აქვს გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარი ან სასამართლოს წინაშე ძალადობის უარყოფა ბრალდებულის სასარგებლოდ. „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს

25 მოცემულ საქმეზე ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი და სრულად გამამართლებელი განაჩენი ნაწილობრივ შეიცვალა და სწორედ იმ ძალადობის ეპიზოდში, რომელზედაც მტკიცებულებად წარდგენილი იყო 112-დან გამოთხოვილი მსხვერპლის აუდიოჩანაწერი, მოძალადე დამნაშავედ იქნა ცნობილი; იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 25 მაისის განაჩენი, საქმე №1/ბ/748-23.

კონვენცია, რომელსაც საქართველო 2017 წელს შეუერთდა, პირდაპირ ავალდებულებს მხარეს (სახელმწიფოებს), რომ დანაშაულის გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ იყოს მთლიანად დამოკიდებული მსხვერპლის მიერ შეტანილ განცხადებაზე ან საჩივარზე, ხოლო სასამართლო პროცესი გაგრძელდეს მაშინაც კი, თუ მსხვერპლი გამოიტანს განცხადებას ან საჩივარს. მსგავს მოქმედებას უნდა გაუტოლდეს მსხვერპლის მიერ ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან თავის შეკავების პრივილეგიით სარგებლობა. ბრალდებულების გარდა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ნებით თუ უნებლიეთ მნიშვნელოვან კვალს ტოვებს ძალადობასთან დაკავშირებით, როგორებიცაა სხვა პირთან მისი შემთხვევის გაზიარება, სამედიცინო დაწესებულებისთვის მიმართვა და სხვა. გარდა ამისა, გამოძიებამ უნდა იზრუნოს მსხვერპლის მაქსიმალურ ჩართვაზე მრავალ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებში, რადგან მხოლოდ მის ჩვენებაზე არ იყოს დამოკიდებული სასამართლო განხილვები და შედეგები. ძალადობის მსხვერპლები მაქსიმალურ ჩართულობას და გამოძიებასთან თანამშრომლობას სამართალდამცავი ორგანოს მიმართვის მომენტიდან ავლენენ, რაც შესაძლებელია თანდათან ნელდებოდეს, სასამართლო სტადიამდე კი რადიკალურად შეიცვალოს დამოკიდებულებები, ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან მყისიერი რეაგირება და ეფექტური გამოძიების ჩატარება მნიშვნელოვნად ამცირებს მოძალადის გამართლების რისკებს.

აღნიშნული კატეგორიის საქმეთა წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, უფრო მეტი ძალისხმევით მოიპოვოს და შეკრიბოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს წარდგენილ ბრალდებას, რათა, ერთი მხრივ, წარდგენილი ბრალდების დასაბუთებულობა არ იყოს დამოკიდებული პროცესის მონაწილეების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლით მათთვის მინიჭებული უფლებით სარგებლობაზე და, მეორე მხრივ, არ გამოიწვიოს დაზარალებულთა მეორეული ვიქტიმიზაცია და უნდობლობა არსებული სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანობისადმი, არ იწვევდეს დაუსჯელობის განცდას.[26]

26 A. v. Croatia, ECtHR, no. 55164/08, § 67, 14/10/2010; Ž.B. v. Croatia, ECtHR, no. 47666/13, § 50, 11/07/2017; Volodina v. Russia, ECtHR, no. 41261/17, 09/07/2019, §78.

თავის მხრივ, სასამართლო პრაქტიკა უნდა იყოს ერთგვაროვანი, არ უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ მსხვერპლის ზეპირ ჩვენებას, არამედ სიღრმისეულად შეფასდეს სხვა დამაჯერებელი მტკიცებულებები და გადაწყდეს, შესაძლებელია თუ არა მათ საფუძველზე დანაშაულებრივი ფაქტების უტყუარად დადგენა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა.

8

რუსუდან ლაბაძე
ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორი, სამართლის მაგისტრი.

ლაშა გამყრელიძე
თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორი, სამართლის მაგისტრი.

სექსუალური შევიწროების სამართლებრივი რეგულირება

1. შესავალი

სექსუალური შევიწროება საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ყოველდღიური პრობლემაა. ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს (FRA) მიერ ევროკავშირში ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულ ქალთა 14% სექსუალური შევიწროების შიშით სახლიდან გასვლაზე თავს იკავებდა.[1] საქართველოში კი არაპარტნიორი პირების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა სწორედ სექსუალური შევიწროებაა.[2] მას ისეთი მძიმე შედეგის გამოწვევაც კი შეუძლია, როგორიც სუიციდია.[3] ამდენად, სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე სამყაროში ქალთა გაძლიერებისა და მათი მასობრივი დასაქმების ფონზე კიდევ უფრო დიდ აქტუალობას იძენს, განსაკუთრებით შრომით ურთიერთობებში. წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება სწორედ სექსუალური შევიწროების ცნებისა და არსის მიმოხილვას, მისი მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ანალიზს, სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლის შიდაორგანიზაციული მექანიზმების მიმოხილვას, ამ პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის გზების ძიებას.

---

1 ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო, ძალადობა ქალების მიმართ: ევროკავშირის მასშტაბით ჩატარებული კვლევა. ძირითადი შედეგები, 2014, 139; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/fra-2014-vaw-survey-main-results-apr14_en.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

2 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, 2017, 109; ხელმისაწვდომია: https://gender.geostat.ge/gender/img/publicationspdf/National%20VAW%20Study%20Report%20Geo.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

3 პროფესიულ კავშირთა საერთაშორისო გაერთიანება, სამსახურში სექსუალური შევიწროვების აღმოფხვრა, 2008, 5; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.ituc-csi.org/IMG/pdf/Harcelement_ENG_12pgs_BR.pdf (ბოლოს ნანახია: 07.10.24.02.2024).

ქვემოთ განხილული საკითხები აქტუალურია, ვინაიდან, სამართლებრივი საზოგადოების მიერ, აღნიშნულ თემაზე ხმამაღალი საუბრის საკმარისად ხანგრძლივი დროის მიუხედავად, კვლევების თანახმად, სექსუალური შევიწროება კვლავ დიდ პრობლემად რჩება.

ნაშრომში შევეცდებით, მოკლედ, თუმცა ყოვლისმომცველად გადმოვცეთ, თუ რა არის სექსუალური შევიწროება, რამდენად უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია შრომით ურთიერთობებზე და რა სამართლებრივი მექანიზმები არსებობს მის წინააღმდეგ საბრძოლველად.

2. სექსუალური შევიწროების ცნება და ფორმები

ყველაზე ფართოდ გავრცელებული **განმარტების** თანახმად, სექსუალური შევიწროება გულისხმობს სექსუალური ხასიათის ნებისმიერ არასასურველ სიტყვიერ, არასიტყვიერ ან ფიზიკურ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, სექსუალური შევიწროება განიხილება როგორც გენდერის ნიშნით **დისკრიმინაციის** ერთ-ერთი სახე, რაც ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა, ხოლო მისი საპირისპირო ცნებაა გენდერული თანასწორობა, რაც ემყარება საზოგადოების მხრიდან კაცებსა და ქალებს შორის მსგავსებების, განსხვავებებისა და მათი როლების თანაბარ შეფასებას.[4]

სექსუალური შევიწროება შეიძლება ბევრი სხვადასხვა გზით გამოვლინდეს, რომელთა კლასიფიცირებაც მოსახერხებელია **სამ კატეგორიად**. ესენია ფიზიკური, ვერბალური და არავერბალური ფორმები.

ფიზიკური სექსუალური შევიწროება პირდაპირ გულისხმობს ფიზიკური შეხებით ადამიანის შევიწროებას. ეს პირველ რიგში მისი პირადი სივრცის დარღვევაა და ამ ქმედების სექსუალურ შევიწროებად

4 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია, ზოგადი რეკომენდაცია N28.

იდენტიფიცირებისათვის სულაც არ არის აუცილებელი შეხება მოხდეს მაინცდამაინც ინტიმურ ადგილებში. მხარზე ხელის მოხვევაც სექსუალური შევიწროებაა, თუ ის არასასურველია მსხვერპლისთვის.

ვერბალური სექსუალური შევიწროება ნიშნავს გარკვეული კომენტარების გაკეთებას ადამიანის გარეგნობის, ჩაცმის სტილის, ცხოვრების წესისა თუ სექსუალური ორიენტაციის თაობაზე. კომენტარი შესაძლოა იყოს შეურაცხმყოფელიც და არა მაინცდამაინც კომპლიმენტი თუ უბრალო შეფასება. სატელეფონო ზარები, ზედმეტსახელების შერქმევა და კრიტიკა, მსხვერპლის შეურაცხყოფა ან დამცირება სხვა ადამიანების თანდასწრებით, გაუმართლებელი შეკითხვები პირადი ცხოვრების ან ადამიანის გარეგნობის შესახებ და შეუფერებელი მიწვევა პაემანზე.

სექსუალური შევიწროების **არავერბალური** გამოხატულებაა, მაგალითად, სექსუალური შინაარსის ჟესტიკულაცია, სტვენა, თუნდაც პორნოგრაფიული მასალის ჩვენება. ასევე, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით არასასურველი ინტენსიური კომუნიკაცია სექსუალური შინაარსის თემაზე და ა.შ.

ყველა ზემოთ აღნიშნული ფორმის გათვალისწინებით, სექსუალური შევიწროებაა, **მაგალითად**, დასტვენა ან დასიგნალება, სექსუალური ხასიათის ფრაზების დაძახება, სახელის ან/და საკონტაქტო ინფორმაციის დაჟინებით მოთხოვნა მას შემდეგ, რაც ადამიანმა გარკვევით თქვა უარი, ან იგნორირება გაუწია ამ მოთხოვნას, სექსისტური კომენტარები, შემფასებლური კომენტარები, ჰომოფობიური ან ტრანსფობიური კომენტარები, ვულგარული ჟესტები, გენიტალების ჩვენება ან მასტურბაცია საჯარო სივრცეში, არასასურველი შეხება ან ხახუნი.[5]

ნებისმიერი პირი (ძირითადად ქალები, თუმცა არა მხოლოდ) შესაძლოა სექსუალური შევიწროების მსხვერპლი გახდეს **ქუჩაში**, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მაღაზიაში, სამედიცინო დაწესებულებაში, კვების ობიექტში, კულტურულ ღონისძიებაზე თუ ნებისმიერ სხვა საჯარო

5 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, სექსუალური შევიწროების საწინააღმდეგო ქმედებათა ჩამონათვალი, 2015, 1; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.ilo.org/sites/default/files/wcmsp5/groups/public/@asia/@ro-bangkok/@ilo-suva/documents/policy/wcms_407364.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

ადგილას. თუმცა, ყველა დროის საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი კვლევების თანახმად, სექსუალური შევიწროება განსაკუთრებით გავრცელებული და აქტუალური პრობლემაა **სამუშაო ადგილებზე**.

საჯარო ადგილებში სექსუალურ შევიწროებას ხშირად „ქუჩაში/ქუჩის შევიწროებადაც" მოიხსენიებენ. ანთროპოლოგი მიქაელა დი ლეონარდო, 1981 წელს „სექსუალური შევიწროების პოლიტიკურ ეკონომიაში", საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროებას აღწერს, როგორც ქმედებას, რომელსაც ადგილი აქვს „მაშინ, როდესაც ერთი ან მეტი უცხო კაცი უახლოვდება ერთ ან მეტს ქალს (...) იმ სივრცეში, რომელიც ამ ქალის სამუშაო ადგილს არ წარმოადგენს. მზერის, სიტყვების ან ჟესტების საშუალებით, კაცი ამტკიცებს თავის უფლებას, მიიქციოს ქალის ყურადღება, მას სექსუალურ ობიექტად განიხილავს და ქალს ინტერაქციას აიძულებს".[6]

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება გულისხმობს ადამიანთან არასასურველი, ნებისმიერი, სახის ინტერაქციას, რომელიც გამოწვეულია მისი გენდერული იდენტობით (ან ნაგულისხმევი გენდერული იდენტობით), სექსუალური ორიენტაციით ან გენდერული თვითგამოხატვით და მიზნად ისახავს ან იწვევს მსხვერპლის გაბრაზებას, შეწუხებას, შეშინებას, დამცირებას ან/და იწვევს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი, ძალადობრივი ან/და მტრული გარემოს შექმნას.[7]

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება შეიძლება განხორციელდეს როგორც უცნობი, ისე ნაცნობი პირების მხრიდან. მეტიც, მოძალადეთა ნაწილი საჯარო სივრცეს გარკვეულწილად ფარად იყენებს, რათა მსხვერპლმა იფიქროს, რომ სახალხოდ განხორციელებული ქმედება არა სექსუალური ხასიათის, არამედ უბრალოდ მეგობრული შინაარსის ჟესტია.

6 კავშირი „საფარი", სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში: საკანონმდებლო პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2017, 6-7; ხელმისაწვდომია: https://sapari.ge/wp-content/uploads/2017/02/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

7 Unsafe and Harassed in Public Spaces; A national street harassment report, 2014, 11; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.stopstreetharassment.org/wp-content/uploads/2012/08/2014-National-SSH-Street-Harassment-Report.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

რაც შეეხება, **სამუშაო ადგილებზე** სექსუალური შევიწროების ფართო გავრცელებას, აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ თანდათან ქალთა დასაქმების მაჩვენებელი იმატებს. ეს ერთი შეხედვით დადებითად მეტყველებს ქალთა სამართლებრივ მდგომარეობაზე, თუმცა სახლიდან სამუშაოდ გამოსული ქალები უკვე სხვა პრობლემებს აწყდებიან. მათ შორის, სექსუალური შევიწროების სახით. აქვე უნდა ითქვას, რომ სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროება არ გულისხმობს პირდაპირი გაგებით სამუშაო სივრცეში მომხდარ ფაქტებს. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს სამსახურთან დაკავშირებული ნებისმიერი აქტივობა, მაგალითად ექსკურსია.[8]

ქალთა და კაცთა მიმართ დასაქმების ბაზარზე არსებული მდგომარეობა გენდერული თანასწორობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ანარეკლია. გენდერული უთანასწორობა ყველა საზოგადოებაში სწორედ შრომით ბაზარზე იჩენს ხოლმე თავს. საზოგადოებაში გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები და დამოკიდებულებები გავლენას ახდენს ქალთა და კაცთა პოზიციებზე ყოველდღიურ ცხოვრებასა და დასაქმების ბაზარზე. მაგალითისათვის, რაც საზოგადოებაში მიჩნეულია მიზანშეწონილ და სასურველ აღზრდად გოგოებისა და ბიჭებისათვის, მოგვიანებით გენდერულად დიფერენცირებულ სამუშაო ადგილებზე აისახება.[9]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სექსუალური შევიწროება აკრძალულია ყველა სფეროში და დისკრიმინაციის ფორმად განისაზღვრება. შრომით ბაზარზე სექსუალურ შევიწროებას ასევე კრძალავს საქართველოს „შრომის კოდექსი“ და კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“.

ზოგადად, სექსუალური შევიწროების მსხვერპლი შეიძლება ნებისმიერი დასაქმებული გახდეს და იგი სულაც არ არის სავალდებულოდ

8 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, სექსუალური შევიწროების საწინააღმდეგო ქმედებათა ჩამონათვალი, 2015, 2; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.ilo.org/sites/default/files/wcmsp5/groups/public/@asia/@ro-bangkok/@ilo-suva/documents/policy/wcms_407364.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

9 Center for Social Sciences, Report Paper of the Study GENDER DISCRIMINATION IN GEORGIAN LABOUR MARKET, Tbilisi, 2014, 9; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/Labour_discrimination_ENG.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

დაკავშირებული სქესთან. თუმცა, არაოფიციალური მონაცემებით, სექსუალური შევიწროების მიმართ ყველაზე მოწყვლადი სწორედ ქალები არიან.[10] განსაკუთრებით კი მათი ის ნაწილი, ვინც დაუოჯახებელია, ვინაიდან ქართული მასკულინური საზოგადოების წარმომადგენელი კაცები, მით უფრო მსხვერპლზე ასაკით უფროსები, ხშირად თვლიან, რომ მათ აქვთ ქალების საზოგადოებრივი ცხოვრების კონტროლის უფლება. ამას გარდა, სექსუალური შევიწროების მსხვერპლი გამორჩეულად ხშირად ხდებიან ისეთ დარგებში დასაქმებული ქალები, სადაც, ძირითადად, კაცები დომინირებენ, ვინაიდან მათ აღიქვამენ ქალებად, რომლებიც ქალის ტრადიციულ როლს არ შეესაბამებიან.[11] აღნიშნული ყველაზე ნათელი მაგალითია იმისა, რომ სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის, ამ შემთხვევაში კი კონკრეტულად გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

სამუშაო ადგილას სექსუალური შევიწროება თავისი ბუნებით **ორ სახედ** იყოფა - Quid pro quo სექსუალური შევიწროება და მტრული გარემოს შექმნით სექსუალური შევიწროება.

Quid pro quo (მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ) - სახეზე გვაქვს, როდესაც ერთი მხარე უბიძგებს მეორეს, დათანხმდეს მასთან პირად ურთიერთობას, სამსახურში აყვანის, დაწინაურების ან ანაზღაურების მომატების სანაცვლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გულისხმობს უარს დასაქმებაზე, ანაზღაურების შემცირებას/უცვლელად დატოვებას და სამსახურიდან გათავისუფლებასაც კი.

მტრული სამუშაო გარემოს შექმნით სექსუალური შევიწროება კი არის, როდესაც პირი არაგონივრული ფორმით ერევა მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობაში, ინტენსიურად აყენებს მას დამაშინებელ მდგომარეობაში და უხეში ან უხამსი კომენტარებით უქმნის არაკომფორტულ სამუშაო გარემოს.[12]

10 პროფესიულ კავშირთა საერთაშორისო გაერთიანება, სამსახურში სექსუალური შევიწყოვების აღმოფხვრა, 2008, 3; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.ituc-csi.org/IMG/pdf/Harcelement_ENG_12pgs_BR.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

11 სახალხო დამცველის ელექტრონული კურსი სექსუალური შევიწროების შესახებ; ხელმისაწვდომია: http://sexualharassment.ombudsman.ge/ka/login (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

12 Beijing Zhongze Women's Legal Consultation and Service Center, Guide on Prevention of Sexual Harassment in the Workplace, 2010, 5; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.ilo.org/media/335371/download (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

3. სექსუალური შევიწროების სამართლებრივი რეგულირება

ზოგიერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი პირდაპირ და ღიად აწესრიგებს სექსუალური შევიწროების საკითხს, ზოგიერთი კი მას დისკრიმინაციის საერთო ქუდის ქვეშ მოიაზრებს.

1979 წლის გაეროს კონვენცია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW) - ქალთა უფლებების დაცვასა და ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე ორიენტირებული პირველი საერთაშორისო ინსტრუმენტი - პირდაპირ ადგენს სექსუალური შევიწროების საკმარისად ვრცელ განმარტებას და 2000 წლიდან დამატებითი ოქმის საფუძველზე ითვალისწინებს ხელმომწერი ქვეყნებიდან CEDAW კომიტეტში ინდივიდუალური საჩივრების გაგზავნის შესაძლებლობას, თუ ირღვევა კონვენციით მოცული უფლებები. ამ კონვენციისა და დამატებითი ოქმის ხელმომწერ ქვეყნებს შორისაა საქართველოც, რაც გულისხმობს ვალდებულებას, რომ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ კომიტეტში წარდგენილი უნდა იქნეს პერიოდული ანგარიში ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

2014 წლის ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ასევე პირდაპირ მოიცავს სექსუალური შევიწროების დეფინიციას და ავალდებულებს სახელმწიფოებს სისხლის სამართლის ან სხვა სამართლებრივი სანქციების დაწესებას ამგვარი ქმედებისათვის.

ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტია გენდერული თანასწორობის შესახებ დირექტივაში სექსუალურ შევიწროებას პირდაპირ მოიაზრებს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად, თუმცა, არ შეიცავს მის ვრცელ დეფინიციას. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სოციალური ქარტია არ საუბრობს კონკრეტულად სექსუალურ შევიწროებაზე, დოკუმენტის ხელმომწერ მხარეებს ავალდებულებს სამუშაოზე ყველა მუშაკთა ღირსების დაცვის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, ხელი შეუწყონ სამუშაო ადგილზე ან სამუშაო ადგილთან დაკავშირებით სექსუალური თავისუფლების ხელყოფის თავიდან აცილებას და მიიღონ ყველა სათანადო ზომა, ამგვარი ქმედებებისაგან მუშაკთა დასაცავად.

ყველა ზემოთ ხსენებულთან შედარებით, ბევრად უფრო ახალი სამართლებრივი დოკუმენტია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 2019 წლის კონვენცია ძალადობისა და შევიწროების შესახებ (No. 190), რომელიც იყენებს ტერმინს ძალადობა და შევიწროება და სექსუალურ შევიწროებასაც მოიაზრებს ამ ქუდის ქვეშ.

ყოველივე ეს ცხადყოფს, თუ როგორი მასშტაბური და აქტუალურია სექსუალური შევიწროების პრობლემა საერთაშორისო სამართლებრივ დონეზეც, რის გამოც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საერთაშორისო მიდგომის შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იმპლემენტაცია და სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული ბერკეტების არსებობა.

საქართველოში სექსუალური შევიწროება რეგულირდება რამდენიმე სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით, რომლებიც ამგვარ ქმედებაზე რეაგირების მანდატს გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით სხვადასხვა სუბიექტს ანიჭებს. ეს გახლავთ ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. სექსუალურ შევიწროებას ეხება, ასევე საქართველოს შრომის კოდექსიც, თუმცა ამ კანონით გათვალისწინებულ რეგულაციაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ. სექსუალური შევიწროების ცნება, ასევე მოცემულია საქართველოს კანონში „გენდერული თანასწორობის შესახებ“, თუმცა ეს კანონი შევიწროების ფაქტზე რეაგირების რაიმე კონკრეტულ პროცედურას არ ითვალისწინებს.

თუ სექსუალური შევიწროება ხდება კერძო სივრცეში, ამ შემთხვევაში მსხვერპლს შეუძლია მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს ან/და საერთო სასამართლოებს, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მხოლოდ საზოგადოებრივ ადგილებში სექსუალური შევიწროების შემთხვევებს არეგულირებს.

სუბიექტი, ვის წინააღმდეგაც შესაძლოა პირმა მიმართოს სახალხო დამცველს თუ სასამართლოს, შესაძლებელია იყოს ფიზიკური პირი - როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი/საჯარო მოხელე, ასევე, კერძო

პირი. ასევე იურიდიული პირიც - სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი - იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ორგანიზაციის წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირისთვის ცნობილი იყო სექსუალური შევიწროების ფაქტი, თუმცა, თავიდან არ აიცილა ანდა რეაგირება არ მოახდინა.

სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის განხილვისას სასამართლოები და საქართველოს სახალხო დამცველი იყენებენ მტკიცების ტვირთის სტანდარტს, რომლის თანახმად, პირმა სასამართლოს/საქართველოს სახალხო დამცველს თავად უნდა წარუდგინოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების ჩადენის ვარაუდის საფუძველს იძლევა. მხოლოდ ამის შემდეგ ეკისრება მოპასუხეს იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

4. საქართველოს სახალხო დამცველის მანდატი

სახალხო დამცველის მანდატი ამ მიმართულებით გაწერილია, ერთი მხრივ, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონში, ხოლო მეორე მხრივ, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში, რომელიც 2014 წელს იქნა მიღებული.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლისა და „სახალხო დამცველის შესახებ“ კანონის მე-141 მუხლის თანახმად, სახალხო დამცველი განიხილავს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებას და საჩივარს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს. თუმცა, „სახალხო დამცველის შესახებ“ კანონის მე-12 და მე-141 მუხლის თანახმად, მას აქვს უფლება დამოუკიდებლად - საკუთარი ინიციატივითაც შეამოწმოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობა და მათი დარღვევის ფაქტები.

სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტის შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი, სხვა რელევანტურ ღონისძიებებთან ერთად, ახორციელებს შემდეგ ქმედებებს:

- პირადად ხვდება სავარაუდო მსხვერპლს და სექსუალური შევიწროების ჩამდენს;
- ინფორმაციას წერილობით გამოითხოვს სავარაუდო მსხვერპლისგან და სექსუალური შევიწროების ჩამდენისგან;
- პირადად ხვდება საქმესთან დაკავშირებულ მესამე პირებს;
- საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, ამოწმებს მხარეების მიერ წარმოდგენილი ვიდეო ან აუდიო ჩანაწერის ნამდვილობას.

სექსუალური შევიწროების ფაქტის შესწავლისას, სახალხო დამცველს უფლება აქვს ნებისმიერ საჯარო თუ კერძო სამართლის პირს ან ორგანიზაციას მოსთხოვოს, რომ არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში, წარუდგინოს ნებისმიერი ინფორმაცია - დოკუმენტი ან სხვა მასალა და ასევე, მიიღოს წერილობითი ახსნა-განმარტება, რომელიც მას საქმის შესწავლისთვის სჭირდება.

ზემოთაღნიშნულ პროცესში მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, საქართველოს სახალხო დამცველი იცავს მის კონფიდენციალურობას მესამე პირებისგან, ისევე როგორც თავად მესამე პირების კონფიდენციალურობას.

სახალხო დამცველი დროებით აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო დავას სასამართლო განიხილავს, მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება ან სისხლისსამართლებრივი დევნა. იმ შემთხვევაში კი, თუ უკვე არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე ან არ დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი, სახალხო დამცველი წყვეტს საქმის წარმოებას.

საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიმართვისთვის ხანდაზმულობის ვადა განსაზღვრული არ არის. პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ სექსუალური შევიწროების მსხვერპლია, შეუძლია მას მიმართოს ნებისმიერ დროს, იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის ძალაში შესვლის - 2014 წლის 7 მაისის შემდეგ ან სექსუალური შევიწროება დაიწყო უფრო ადრე, თუმცა, ამ თარიღის შემდეგაც გრძელდებოდა.

სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენის შემთხვევაში, სახალხო დამცველს შეუძლია მოპასუხეს მიმართოს რეკომენდაციით. ეს შეიძლება იყოს სექსუალური შევიწროების შეწყვეტა ან/და მომავალში მისი თავიდან აცილება. თუ რეკომენდაციის ადრესატი ორგანიზაციაა, სახალხო დამცველის პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ ძირითადად გაიცემა ორი სახის რეკომენდაცია - სექსუალური შევიწროების პრევენციის/რეაგირების შიდა რეგულირების დოკუმენტის შემუშავებისა ან მომავალში სექსუალური შევიწროების შემთხვევების ეფექტიანად შესწავლის შესახებ, რათა შემუშავებულმა დოკუმენტმა პრაქტიკულად იმუშაოს და არ დარჩეს ფორმალობად.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლის თანახმად ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებებს ან რეკომენდაციებს მიიღებს, ვალდებულია განიხილოს ისინი და საქართველოს სახალხო დამცველს 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს განხილვის შედეგები.

საჯარო პირის წინააღმდეგ სექსუალური შევიწროების დადგენის შემთხვევაში, თუ იურიდიულმა პირმა, სხვა ორგანიზაციულმა წარმონაქმნმა, პირთა გაერთიანებამ იურიდიული პირის შეუქმნელად ან მეწარმე სუბიექტმა (და არა ფიზიკურმა პირმა) რეკომენდაციას არ უპასუხა ან არ გაიზიარა იგი და ამავდროულად არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს, სახალხო დამცველს შეუძლია, როგორც დაინტერესებულმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება. ამ შემთხვევაში სახალხო დამცველს ასევე შეუძლია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3632 მუხლის საფუძველზე როგორც მოსარჩელემ, მიმართოს სასამართლოს სარჩელით.

5. საქართველოს საერთო სასამართლოებში განხილვის წესი

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

ამავდროულად, დისკრიმინაციასთან, მათ შორის კონკრეტულად, სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებულ საქმეზე სამართალწარმოების საკითხი დამოუკიდებლადაა მოწესრიგებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (73-ე კარი). კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3632 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა. სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის სავალდებულო წინაპირობა არ არის საქართველოს სახალხო დამცველის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ (სამსახურში სექსუალური შევიწროებისას თუნდაც შიდაუწყებრივ დონეზე) საქმის განხილვა.

განსხვავებით სახალხო დამცველისაგან, სასამართლოსთვის მიმართვისას დაწესებულია არც თუ ისე დიდი ხანდაზმულობის ვადა - 1 წელი მას შემდეგ, რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია.

თუ სასამართლო დაადგენს სექსუალური შევიწროების ფაქტს, შეუძლია გამოიყენოს ორი ღონისძიება. პირველი - ქმედების შეწყვეტის ან/და მისი შედეგების აღმოფხვრის ვალდებულების დაკისრება და მეორე - მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირება

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს 2019 წლის 3 მაისის კანონით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა 1661 მუხლი - სექსუალური შევიწროება, რომელიც მხოლოდ საჯარო სივრცეში ჩადენილი სექსუალური შევიწროების შემთხვევებს აწესრიგებს და მიიჩნევს მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად.

ამ მუხლის თანახმად, სექსუალური შევიწროება არის საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს. სექსუალური ხასიათის ქცევაში კი იგულისხმება: სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ნებისმიერი არასიტყვიერი სექსუალური ქცევა.

სექსუალური შევიწროების მარტივი შემადგენლობისთვის სახდელის სახით დაწესებულია ჯარიმა 300 ლარის ოდენობით, თუმცა სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმედების განმეორება, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის, ორსულის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ ან არასრულწლოვანის თანდასწრებით მისი ჩადენა და ასეთ პირთა მიმართ ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენა ჯარიმდება შესაბამისად 500 ლარის, 500-დან 800 ლარამდე და 800-დან 1000 ლარამდე ოდენობით, ბოლო შემთხვევაში კი, ასევე, ითვალისწინებს გამასწორებელ სამუშაოს ერთ თვემდე ვადით, ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 10 დღემდე ვადით.

ცხადია, საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროებაზე, ისევე, როგორც სხვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების უფლებამოსილებით აღჭურვილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

სექსუალური შევიწროების ფაქტის თაობაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, სექსუალური შევიწროების საქმეებს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო. ამავე კოდექსის 252-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სექსუალური შევიწროების, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის დასწრება სავალდებულოა. თუ ეს პირი თავს არიდებს შინაგან საქმეთა ორგანოს ან ადმინისტრაციული სასამართლოს (მოსამართლის) გამოძახებით გამოცხადებას, შინაგან საქმეთა ორგანომ იგი შეიძლება იძულებით მიიყვანოს. ამასთან, 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სექსუალური შევიწროების საქმეები 7 დღის ვადაში განიხილება.

7. სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი და მისი მნიშვნელობა

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, სექსუალური შევიწროების შემთხვევები ყველაზე მეტად გავრცელებულია დასაქმების ადგილზე. შრომით ურთიერთობებში სექსუალური შევიწროების მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, საქართველოს „შრომის კოდექსის“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი კრძალავს სექსუალურ შევიწროებას. ამასთან, საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილებით განსაზღვრულია საჯარო სამსახურში სექსუალური შევიწროების დაუშვებლობა. დადგენილების მე-15 მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია პატივისცემით მოეპყროს თანამშრომლებს, განურჩევლად მათი გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციისა. ასევე, საჯარო მოსამსახურე ინფორმირებული უნდა იყოს სექსუალური შევიწროების ფენომენისა და ამგვარი პრაქტიკის დაუშვებლობის შესახებ, როგორც სამუშაო ადგილას, ისე საჯარო სივრცეში. ინფორმირებული უნდა იყოს ამგვარი ფაქტების მხილების შიდაუწყებრივი და

ზოგადი პროცედურების შესახებ. საჯარო მოსამსახურე, განსაკუთრებით ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია მოახდინოს რეაგირება და მაღალი მგრძნობელობითა და კონფიდენციალურობის სრული დაცვით მოეპყროს სექსუალური შევიწროების ფაქტის აღმოფხვრისკენ მიმართულ ნებისმიერ განხილვას, კომუნიკაციასა თუ ქმედებას.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორგანიზაციის რეაგირება მსგავს შემთხვევებზე. ამ მიზნით, სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისათვის, აუცილებელია ცალკეულ ორგანიზაციებში არსებობდეს შიდა რეგულირების მექანიზმი, რომლით განსაზღვრული უფლებებით სარგებლობა პირს სახალხო დამცველისა თუ სასამართლოსათვის მიმართვისაგან დამოუკიდებლად შეეძლება.

დოკუმენტი, რომლითაც სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლის შიდაორგანიზაციული მექანიზმი იქნება დადგენილი, მორგებული უნდა იყოს ორგანიზაციის სტრუქტურას და ზუსტად გაიწეროს გასაჩივრების პროცედურა და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები. სუბიექტი, რომელსაც სექსუალური შევიწროების შემთხვევაში მსხვერპლმა უნდა მიმართოს, შესაძლოა იყოს ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე ან საამისოდ განსაზღვრული პირი. რაც შეეხება, სავარაუდო სექსუალური შევიწროების საჩივრის განხილვას, დოკუმენტით გაწერილი უნდა იყოს საჩივრის განმხილველი სუბიექტი - ინდივიდუალური პირი ან ერთგვარი სათათბირო ორგანო. ასეთ დროს, ცხადია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს კომისიის/საბჭოს არსებობას, რომელიც მინიმუმ სამი წევრისგან მაინც უნდა შედგებოდეს.

შიდაორგანიზაციული მექანიზმი შესაძლოა არეგულირებდეს როგორც თანამშრომლებს, ასევე თანამშრომლებსა და მესამე პირებს (ვისთან ურთიერთობაც დასაქმებულებს სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე უწევთ) შორის სექსუალური შევიწროების შემთხვევებს. ამავე დოკუმენტით ცალსახად და მკაფიოდ უნდა გაიწეროს სანქცია, რაც შეიძლება დაეკისროს შემავიწროებელს. პრევენციის მიზნებიდან გამომდინარე, უმჯობესია თუ სანქცია იქნება იმაზე მკაცრი, ვიდრე სხვა დისციპლინური გადაცდომებისთვის დაწესებული სახდელი.

მნიშვნელოვანია, რომ ასეთი დოკუმენტი შეესაბამებოდეს ორგანიზაციის ფორმას და პასუხობდეს იმ ინდივიდუალურ გამოწვევებს, რაც ამა თუ იმ ტიპის ორგანიზაციის საქმიანობას შეიძლება ახასიათებდეს.

მაგალითისათვის, შეგვიძლია განვიხილოთ საქართველოს პროკურატურის სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი:

2021 წელს საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, საქართველოს პროკურატურაში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი (შემდგომში - მექანიზმი) დამტკიცდა, რომელიც განსაზღვრავს სექსუალური შევიწროების პრევენციისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებსა და სექსუალური შევიწროების შემთხვევებში დისციპლინური წარმოების საკითხებს.

მექანიზმის მიზნებია: პროკურატურაში სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი გარემოს შექმნა; სექსუალური შევიწროების პრევენციის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების, მათ შორის, ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების განხორციელება; სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შემთხვევაში შესაბამისი ეფექტიანი რეაგირების განხორციელება; სექსუალური შევიწროების მსხვერპლის მხარდაჭერა; სექსუალური შევიწროების განმახორციელებელი პირის (შემდგომში - შემავიწროებლის) მიმართ მის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული და სამართლიანი პასუხისმგებლობის დაკისრება.

სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმის ეფექტიანად აღსრულების მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, საქართველოს პროკურატურაში შეიქმნა მხარდაჭერის ჯგუფი. მხარდაჭერის ჯგუფის წევრები შერჩეულნი არიან სექსუალური შევიწროების მიმართ მათი მგრძნობელობის, ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებისა და დისკრიმინაციის საკითხებთან დაკავშირებით მათი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

მხარდაჭერის ჯგუფის მოვალეობებია: ა) პროკურატურაში სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე წარდგენილი საჩივრების/განცხადებების მიღება და მათი სრული მოცულობით შესწავლა; ბ) სექსუალური შევიწროების პრევენციისათვის შესაბამისი ღონისძიებების

განხორციელება, მათ შორის, პროკურატურის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება; გ) სხვა ფუნქციების შესრულება, რაც სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული საქმის განხილვას, პრევენციასა და სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლებას უკავშირდება.

მექანიზმით გაწერილია სექსუალური შევიწროების ცნება, სახეები, ფორმები და ინდიკატორები, სექსუალური შევიწროების პრევენციისათვის განსახორციელებელი ღონისძიებები და სექსუალური შევიწროების შემთხვევებში დისციპლინური წარმოების საკითხები.

მექანიზმით დადგენილია მისი მოქმედების ფარგლები. მექანიზმის მოქმედება ვრცელდება პროკურატურის ნებისმიერ თანამშრომელზე. მექანიზმის მიზნებისთვის, პროკურატურის თანამშრომლად მიიჩნევა „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირი. კერძოდ, პროკურორი, პროკურატურის გამომძიებელი, პროკურატურის პროფესიული საჯარო მოხელე, პროკურატურის სტაჟიორი, პროკურატურაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. მექანიზმის მიზნებისათვის, შემავიწროებელი შეიძლება იყოს მხოლოდ პროკურატურის თანამშრომელი.

მექანიზმის მოქმედების ფარგლები საკმაოდ ფართოა და გულისხმობს, არა მხოლოდ პროკურატურის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივად დაკავშირებული სხვა პირის მიმართ განხორციელებულ სექსუალურ შევიწროებას, არამედ სხვა ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც შესაძლოა შეავიწროოს პროკურატურის თანამშრომელმა სამუშაო ურთიერთობის მიღმაც, ნებისმიერ დროსა და ადგილას.

პროკურატურის თანამშრომლის ან მესამე პირის მიერ, ვისთვისაც ცნობილი გახდება პროკურატურის თანამშრომლის მიერ სავარაუდო სექსუალური შევიწროების ჩადენის შესახებ, საჩივარი/განცხადება შესაძლოა წარდგენილ იქნეს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით მხარდაჭერის ჯგუფთან ან მის რომელიმე წევრთან. ინფორმაცია შესაძლებელია წარდგენილ იქნას ანონიმურადაც. ინფორმაციის წერილობით წარდგენა შესაძლებელია სპეციალურად შექმნილ ელექტრონულ ფოსტაზე. საჩივარს უნდა ერთოდეს შესაბამისი მტკიცებულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დადებითად უნდა შეფასდეს მექანიზმის მე-7 მუხლით გაწერილი კონსულტაციის შესაძლებლობა, რაც გულისხმობის საჩივრის წარდგენამდე მსხვერპლის უფლებამოსილებას, სექსუალური შევიწროების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და კონსულტაციის მიზნით მიმართოს მხარდაჭერის ჯგუფს ან მის რომელიმე წევრს და მხოლოდ ამის შემდეგ, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება საჩივრის წარდგენის შესახებ.

საჩივრის მიღების შემდეგ, მხარდაჭერის ჯგუფი ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად შეისწავლის სექსუალური შევიწროების ფაქტს და იღებს გადაწყვეტილებას სექსუალური შევიწროების არსებობის ან არარსებობის შესახებ. დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით. სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის თაობაზე წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით მხარდაჭერის ჯგუფი გადაწყვეტილებას იღებს მიმართვიდან 1 თვის ვადაში. მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, ვადა შესაძლებელია გახანგრძლივდეს გენერალური პროკურორის ან უფლებამოსილი მოადგილის გადაწყვეტილებით.

მსხვერპლს უფლება აქვს მხარდაჭერის ჯგუფის გადაწყვეტილება სექსუალური შევიწროების ფაქტის არარსებობის თაობაზე, გაასაჩივროს გენერალურ პროკურორთან. სექსუალური შევიწროების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შედგენილი ოქმი, საქმის მასალებთან ერთად წარედგინება გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციას. იმ შემთხვევაში თუ გენერალური ინსპექციის უფროსი საქმეს ხელახალი შესწავლის მიზნით არ დაუბრუნებს მხარდაჭერის ჯგუფს, გენერალური ინსპექცია ამზადებს წერილობით დასკვნას სექსუალური შევიწროების ჩამდენი პირისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ და წარუდგენს გენერალურ პროკურორს.

გენერალური პროკურორი, გენერალური ინსპექციის უფროსის მიერ წარდგენილ დასკვნას პროკურატურის თანამშრომლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების თაობაზე, განსახილველად გადასცემს საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედ სათათბირო ორგანოს – კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს, გარდა გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის, გენერალური

პროკურორის მოადგილის ან პროკურორთა კონფერენციის მიერ არჩეული საპროკურორო საბჭოს წევრებისა, რომელთა მიმართ გადაწყვეტილებას იღებს საპროკურორო საბჭო.

„საქართველოს პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის 76-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, პროკურატურის თანამშრომლის დისციპ-ლინური გადაცდომები იყოფა მსუბუქ, საშუალო და მძიმე გადაცდომად. სექსუალური შევიწროება მიიჩნევა პროკურატურის თანამშრომლისთვის შეუფერებელი საქციელის ჩადენად, რაც ფასდება მძიმე გადაცდომად. სექსუალური შევიწროების დადასტურების შემთხვევაში, შემავიწ-როებლის მიმართ შესაძლებელია სახდელის სახით გამოყენებულ იქნას საყვედური, უფრო დაბალ რანგზე გადაყვანა, თანამდებობრივი სარგოს 30%-მდე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით ან პროკურატუ-რიდან დათხოვნა. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახე დამოკიდე-ბულია სექსუალური შევიწროების სიმძიმეზე, ხარისხზე, რეციდივზე, მსხვერპლისათვის მიყენებულ ზიანსა და სხვა გარემოებებზე.

აღსანიშნავია, რომ მექანიზმით განსაზღვრული საჩივრის პროცე-დურის გამოყენებამდე, მისი გამოყენებისას ან გამოყენების შემდეგ, სექსუალური შევიწროების სავარაუდო მსხვერპლი არც ერთ ეტაპზე არ არის შეზღუდული სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ მიმართოს სასამართლოს ან/და საქართველოს სახალხო დამცველს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს პროკურატურის სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი ეყრდნობა სამართლიანობისა და მიუკერძოებ-ლობის, კონფიდენციალურობის, კეთილსინდისიერებისა და ვიქტიმი-ზაციის აკრძალვის პრინციპებს. მექანიზმში გაწერილია მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის კონკრეტული გარანტიები. მაგა-ლითად, სავარაუდო მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით, მხარდა-ჭერის ჯგუფის მიერ საკითხის შესწავლისას, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, გენერალური პროკურორი უფლებამოსილია ერთ-ერთ მხარეს შეუცვალოს თანამდებობა, სამუშაო ფუნქციები, სამუშაო სივრცე ან/და გამოიყენოს სხვა დროებითი ღონისძიება. ამასთან, დაცულია მსხვერ-პლის კონფიდენციალურობის ინტერესები. სექსუალური შევიწროების

სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით, საქმის წარმოებისას მინიმუმამდეა დაყვანილი საქმის წარმოების პროცესში ჩართულ პირთა წრე იმგვარად, რომ აღნიშნულმა ხელი არ შეუშალოს საქმის ყოველმხრივ, სრულყოფილ და ობიექტურ შესწავლას.

მექანიზმის მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა პროკურატურის ყველა თანამშრომლისათვის. ამრიგად, საქართველოს პროკურატურის სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი სრულად პასუხობს შიდაორგანიზაციული რეაგირებისათვის რეკომენდებულ ძირითად გამოწვევებს და ადასტურებს პროკურატურის მისწრაფებას შექმნას დისკრიმინაციის აღნიშნული ფორმისგან თავისუფალი სამუშაო გარემო.

8. გამოწვევები შრომით ბაზარზე სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლაში

დღეის მდგომარეობით, სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი საქართველოში შემუშავებული აქვს დაახლოებით თხუთმეტზე მეტ ორგანიზაციას. საქართველოს პროკურატურასთან ერთად, მათ შორის არიან სპეციალური საგამოძიებო სამსახური, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საზოგადოებრივი მაუწყებელი და სხვა. მიუხედავად ამისა, შრომით ბაზარზე სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლაში კვლავ ვაწყდებით გარკვეულ პრობლემებს.

სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შემუშავებასთან ერთად, შრომით ბაზარზე ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად, მნიშვნელოვანია, ორგანიზაციები ზრუნავდნენ სექსუალური შევიწროების ფაქტების ეფექტიანად გამოვლენასა და აღკვეთაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ამგვარი დოკუმენტის არსებობა მიიღებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და მისი მიზნები ვერ განხორციელდება. ამ მიმართულებით პოზიტიური სიახლეა საქართველოს შრომის კოდექსში 2020

წელს შესული ცვლილებები, რომლის ფარგლებშიც კოდექსში გაჩნდა ახალი თავი შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ. ამ კანონის მე-5 მუხლით აკრძალულია დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებსა და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, ხოლო მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სექსუალური შევიწროება განსაზღვრულია დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად. ამავე კოდექსის 78-ე მუხლმა კი პირდაპირ და მკაფიოდ დააწესა დამსაქმებლის პასუხისმგებლობა სექსუალური შევიწროების აკრძალვის პრინციპის დარღვევისათვის, რაც გამოიხატება ამავე კოდექსის 77-ე მუხლით დადგენილი წესით ჯარიმის დაკისრებაში, რომლის ოდენობაც ორმაგდება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებიდან ერთი კალენდარული წლის განმავლობაში განმეორებულ ფაქტზე. შევიწროებისას ან/და სექსუალური შევიწროებისას სამართალდამრღვევი დასაქმებულისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება დამსაქმებელს არ ათავისუფლებს შესაბამისი პასუხისმგებლობისგან. დამსაქმებელს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს, თუ მისთვის ცნობილი გახდა შევიწროების ან/და სექსუალური შევიწროების ფაქტი და მან ამ ფაქტის შესახებ არ შეატყობინა შრომის ინსპექციას ან/და არ მიიღო შესაბამისი ზომები აღნიშნული ქმედების აღსაკვეთად. შრომის ინსპექცია გახლავთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც საქართველოს შრომის კოდექსის 76-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირდაპირ აქვს შრომითი ნორმების დარღვევასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ამავე კანონის 77-ე, მე-80 მუხლებითა და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელების დაკისრების უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში სექსუალური შევიწროების ფაქტებზე რეაგირების საკითხის შრომის ინსპექციის მანდატისათვის მიკუთვნება წინ გადადგმული ნაბიჯია, უმჯობესი იქნებოდა შევიწროების ფაქტებზე უფრო მკაცრი სანქციების დაწესება. საქართველოს შრომის კოდექსის 77-ე მუხლის

ანალიზი აჩვენებს, რომ დამსაქმებლისათვის დაკისრებული ოდენობა არის მაქსიმუმ 400 (ოთხასი) ლარი ორგანიზაციის მიერ წინა წელს მიღებული შემოსავლის ყოველ 100 000 (ასი ათას) ლარზე, რაც მიგვაჩნია, რომ მცირეშემოსავლიანი ორგანიზაციების შემთხვევაში, არ არის სექსუალური შევიწროების მიერ გამოწვეული უარყოფითი შედეგების პროპორციული.

გარდა ამისა, კვლავ გამოწვევად რჩება სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შექმნა ორგანიზაციათა აბსოლუტურ უმრავლესობაში - არამხოლოდ საჯარო დაწესებულებებში, არამედ კერძო სამართლის იურიდიულ პირებშიც. ამავეს მეტყველებს სახალხო დამცველის პრაქტიკის ანალიზიც, რომლითაც მივდივართ დასკვნამდე, რომ სახალხო დამცველის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტების განხილვის შედეგად გაცემული რეკომენდაციები ძირითად შემთხვევაში სწორედ ასეთი დოკუმენტის შემუშავებას გულისხმობს. თუმცა, როგორც ერთხელ უკვე ვახსენეთ, მნიშვნელოვანია, რომ ასეთი დოკუმენტი შეესაბამებოდეს ორგანიზაციის ფორმას და იმ ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც ამა თუ იმ ტიპის დაწესებულების საქმიანობას ახასიათებს. ამისათვის საჭიროა ფართომასშტაბიანი კვლევების ჩატარება, ვინაიდან აქამდე არსებული კვლევები ძირითადად საჯარო დაწესებულებებზეა მორგებული, ხოლო კერძო დაწესებულებები ცხადია გამოირჩევა სპეციფიკის მრავალფეროვნებით.

9. დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არსებული გამოწვევებისა, თუნდაც ბოლო ათი წლის განმავლობაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების სიმრავლე, ხაზს უსვამს ქართული სამართლებრივი საზოგადოების ქმედით მცდელობას, ფეხი აუწყოს თანამედროვე გამოწვევებს სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლაში. მიღწევების გაუმჯობესებისათვის საჭიროა ინტენსიური მუშაობა - ახალი კვლევების ჩატარება, შიდაუწყებრივი მექანიზმების დანერგვის მაჩვენებლის ზრდა, ეფექტიანად გამოყენება და არსებული სანქციების გამკაცრება.

9

ანა კაპანაძე
თბილისის გლდანი ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი .

შორენა გვილავა
ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორი, სამართლის მაგისტრი.

გენდერული შეუწყნარებლობის მოტივის გამოვლენისა და დადგენის სირთულე გამოძიების ეტაპზე და სასამართლოში

1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად, საქართველო, როგორც სოციალური სახელმწიფო „იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.“ მიუხედავად აღნიშნულისა, ქართულ რეალობაში ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მიმართულებით, სოციალური თანაარსებობისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ვხვდებით, მათ შორის: ინტიმურ, ოჯახურ თუ პირადი ცხოვრების ასპექტებში. ამა თუ იმ საზოგადოებაში მყარად ფესვგადგმული გენდერულად მოტივირებული სტერეოტიპები და მცდარი წარმოდგენები ქალისა და კაცის როლის, მათი ფუნქციური დატვირთვისა და სოციუმში ადგილის შესახებ, ხშირად ვლინდება მათ მიმართ დისკრიმინაციულ ქმედებებში. გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, ყველაზე მძიმე შემთხვევაში, განაპირობებს ადამიანის კანონით დაცული სიკეთის იმდენად მძიმე ხელყოფას, რომ მისი აღკვეთისა და აღმოფხვრისათვის აქტიური და ქმედითი სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების ამოქმედება გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს.[1]

1 უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე №203-აპ.-22.

მას შემდეგ, რაც საქართველომ 2017 წელს მოახდინა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) რატიფიცირება, ეროვნული კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან ჰარმონიზაციის მიზნით, სახელმწიფომ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები შემოიღო. 2017 წლის ცვლილებების შედეგად, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 53[1] მუხლი, რომლითაც სასჯელის დამამძიმებელი გარემოებები დარეგულირდა.

აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამძიმებას, იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული ჩადენილია დისკრიმინაციის შემცველი კანონით განსაზღვრული რომელიმე, მათ შორის, გენდერის ნიშნით.[2] ნორმის განმარტებითი ბარათის თანახმად, კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევა, ქალთა მიმართ და ოჯახში გამოვლენილი ძალადობის ფაქტების აღკვეთა და პრევენცია, მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მისი უფლებრივი სივრცის გაფართოება და სახელმწიფოს მიერ სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციასთან დაკავშირებით გამოხატული ნების შესაბამისად, კონვენციით გათვალისწინებული საკითხების სათანადო საკანონმდებლო აქტებში იმპლემენტაცია.[3]

შეუწყნარებლობის მოტივზე დაფუძნებული დამამძიმებელი გარემოებების დამატება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლში, ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული მიდგომებიდან გამომდინარეობს, რაც სქესთან მყარად მიბმული სოციალური როლების ავტომატურ გადანაწილებას უკავშირდება. შეუწყნარებლობის მოტივი, იქნება ეს სქესის ნიშნით თუ გენდერის ნიშნით, ნებისმიერ ურთიერთობაში შეიძლება შეგვხვდეს და იგი არ უკავშირდება ურთიერთობის ინტენსივობასა და სიმყარეს. შეუწყნარებლობის მოტივი

2 ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), პოლიტიკის დოკუმენტი: დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში პროკურატურის წინაშე არსებული გამოწვევები, 2020, 18.

3 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონ პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ; ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/142314 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

დამყარებულია ადამიანის შეხედულებებსა და დამოკიდებულებაზე კონკრეტული სქესის წარმომადგენლის მიმართ, რომელმაც ნებისმიერი სახის ურთიერთობის დროს შეიძლება იჩინოს თავი, თუ პირს ზოგადად აქვს მსგავსი დამოკიდებულება.

გენდერული შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთა გამოძიების მიმდინარეობისას, მისი ბრალდების შესახებ დადგენილებაში ასახვა და, საბოლოოდ, სასამართლო განხილვისას დადასტურება, განსაკუთრებულ სირთულესთან არის დაკავშირებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გენდერის განმარტებას და მისი შეფასება საქართველოში არსებული სხვა საკანონმდებლო რეგულაციებსა და საერთაშორისო კანონმდებლობაზე დაყრდნობით ხდება.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლით დგინდება, რომ განსხვავებულად ხდება ერთ შემთხვევაში, გამოძიების ფარგლებში გენდერული შეუწყნარებლობის მოტივის დადგენა და მეორე შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მისი გაზიარება. პრობლემები, რომლებიც ოჯახური ძალადობისთვის დამახასიათებელ მტკიცების ტვირთს უკავშირდება, რაც, თავის მხრივ ხშირად მომდინარეობს მსხვერპლის უფლებიდან, ისარგებლოს სამართლებრივი პრივილეგიით და არ მისცეს ჩვენება ახლო ნათესავის წინააღმდეგ, ფაქტობრივად, ყველანაირ ბერკეტს აცლის ბრალდების მხარეს იმისთვის, რომ სასამართლოს წინაშე დაადასტუროს გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის არსებობა. გარდა ზემოაღნიშნულისა, თითოეული მოსამართლის მიერ ინდივიდუალურად და სხვადასხვაგვარად ფასდება გენდერული შეუწყნარებლობის საკითხი.

განსხვავებული მიდგომებისა და შეფასებების ფონზე, სასამართლოს მხრიდან გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის გაზიარების პროცენტული მაჩვენებელი არც ისე მაღალია. აღნიშნული შესაძლოა დაუკავშირდეს, როგორც განსხვავებულ მიდგომებს გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის საკითხის მიმართ (თუ რა შემთხვევაშია მოტივირებული ოჯახური დანაშაული გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობით), ასევე, სასამართლო განხილვის ეტაპზე შემცირებულ მტკიცებულებებს, მაგალითად, დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარს.

აღნიშნული სტატიის მიზანია, გამოკვეთოს და გამიჯნოს ის სირთულეები, რაც გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის დადგენას უკავშირდება. სტატიაში განხილული იქნება, ზოგადად გენდერის და გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის დეფინიცია, ის საკანონმდებლო და სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ამ ნიშნის განმარტებას არეგულირებს, რის შემდგომაც, განხილულ იქნება ერთ შემთხვევაში თუ რა სირთულეებს აწყდება შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა გენდერული მოტივის გამოკვეთისას და მეორე შემთხვევაში, სასამართლო განხილვის ეტაპზე, ბრალდების მხარდაჭერის პროცესში გამოვლენილი სირთულეები.

2. გენდერული დისკრიმინაციის ცნება ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით

დისკრიმინაციის აკრძალვა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულება, განსაზღვრულია სახელმწიფოს ძირითად დოკუმენტში, საქართველოს კონსტიტუციაში,[4] თანასწორობის უფლების სახით. აღნიშნული მუხლი უზრუნველყოფს ადამიანის თანასწორობას კანონის წინაშე, ამასთან, გააჩნია დისკრიმინაციის ნიშნების ღია ჩამონათვალი, კერძოდ, აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით. მოცემულ დანაწესში, მართალია, კონკრეტულად გენდერი, როგორც დისკრიმინაციის ნიშანი, მითითებული არ არის, თუმცა, დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალი არ არის ამოწურული „სხვა ნიშანი“ თავის თავში გენდერის ნიშანსაც მოიცავს, რადგანაც თანასწორობის უზრუნველყოფა, ცხადია, ვერ მოხდება, თუკი პიროვნება გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის ადრესატი გახდება. ამდენად, მოცემული პუნქტის დანაწესით, კონსტიტუციური

4 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11.

თვალსაზრისით, ყველა ადამიანი დაცულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისგან. გენდერული დისკრიმინაციისგან თავისუფალ გარემოში ცხოვრების უფლება შეიძლება განხილულ იქნეს, ასევე, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების[5] ჭრილში, ვინაიდან მოცემული უფლება გულისხმობს პირის სურვილისამებრ თვითგამოხატვის უფლებას, გენდერულად მადისკრიმინირებელი დამოკიდებულებით კი შესაძლოა ქალი ან კაცი შეიზღუდოს უფლების სრულყოფილ რეალიზებაში, რადგანაც მისთვის სასურველი თვითგამოხატვის შინაარსი შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ქალის ან/და კაცის მიმართ კონკრეტულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებს.

რაც შეეხება კონკრეტულ საკანონმდებლო რეგულირებას, ქართულ საკანონმდებლო სივრცეში 2014 წლის 2 მაისს მიღებულ იქნა კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომლის მიზნადაც მითითებულია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა მათთვის დამახასიათებელი ნებისმიერი ნიშნის მიუხედავად,[6] აღნიშნული ნორმაც ითვალისწინებს დისკრიმინაციის ნიშნების კონკრეტულ ჩამონათვალს ღია დაბოლოებით, „სხვა ნიშანი“ მოცემულ შემთხვევაშიც გათვალისწინებულია, რაც თავისთავად გენდერის ნიშანსაც მოიაზრებს. ამასთან, მოცემულ კანონში აღნიშნულია, რომ განსაკუთრებული და დროებითი ღონისძიებები, რომლებიც შემუშავებულია ფაქტობრივი თანასწორობის წასახალისებლად ან მისაღწევად, არ წარმოადგენს დისკრიმინაციას, განსაკუთრებით კი აღნიშნულია გენდერული თანასწორობის საკითხი. ამდენად, მოცემული კანონის მიზნებისთვის გენდერს, როგორც დისკრიმინაციის ნიშანს, არსებითი დანიშნულება გააჩნია.

სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ გენდერი, როგორც დისკრიმინაციის ნიშანი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მითითებულია 53[1] მუხლში, როგორც სასჯელის

5 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 12.

6 საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 1.

დამამძიმებელი გარემოება, ასევე წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის განმსაზღვრელ ელემენტს (მაგალითად: 142-ე მუხლი - ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) და წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის დამამძიმებელ გარემოებას (მაგალითად: 109-ე მუხლის „თ“ ქვ/პ - განზრახ მკვლელობა, ჩადენილი გენდერის ნიშნით, 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვ/პ - თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა, ჩადენილი გენდერის ნიშნით, 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „კ“ ქვ/პ - ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი გენდერის ნიშნით). ამდენად, ცალსახაა, რომ კანონმდებელმა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩამდენი პირი იმდენად საფრთხის შემცველად მიიჩნია, რომ მისთვის დააწესა ჩვეულებრივ შემთხვევაზე უფრო მკაცრი სასჯელი, ვინაიდან სასჯელის დამამძიმებელ და დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად გენდერული დისკრიმინაციის ნიშნის განსაზღვრა, მიემართება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ უფრო მკაცრი სანქციის გამოყენებას.

რაც შეეხება საერთაშორისო კანონმდებლობას, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“[7] გენდერული დისკრიმინაციის ამკრძალავ დანაწესს ითვალისწინებს, როგორც კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. კონვენცია დისკრიმინაციის ნიშანთა კონკრეტული ჩამონათვალის შემდეგ შეიცავს დისკრიმინაციის ნიშნის ღია დაბოლოებას - „სხვა ნიშნის განურჩევლად“, რაშიც თავსდება გენდერული შეუწყნარებლობის ნიშანიც.

მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“ (სტამბოლის კონვენცია), რომელშიც მოცემულია გენდერის ცნების განმარტებას, კერძოდ, კონვენციის თანახმად, „გენდერი“ გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობასა და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება

7 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 14.

ქალისა და კაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს.[8] კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობას მიიჩნევს, როგორც გენდერული ნიშნით განხორციელებული ძალადობის სტრუქტურულ ბუნებას და უთითებს, რომ აღნიშნული ძალადობა არის ერთ-ერთი მთავარი სოციალური მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ქალები იძულებულნი არიან, კაცებთან შედარებით დაქვემდებარებული პოზიცია დაიკავონ.

ამდენად, ქართულ სისხლის სამართალში გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია სახეზეა იმ შემთხვევაში, როცა ქალის ქცევა არ შეესაბამება საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებს ქალისა და კაცის როლის შესახებ, რის გამოც იგი დანაშაულებრივი ქმედების მსხვერპლი ხდება.

3. გენდერული დისკრიმინაციის ნიშნის გამოვლენის სირთულე გამოძიების ეტაპზე

გენდერული დისკრიმინაციის ნიშანი, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, ძირითადად იკვეთება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეებში მსხვერპლ ქალებთან მიმართებით, ამდენად, საგამოძიებო ორგანოს უშუალო შემხებლობა თავდაპირველ ეტაპზე აქვს ძალადობის მსხვერპლ ქალთან, რომელიც, თავის მხრივ, მომხდარის გამო მძიმე ემოციურ მდგომარეობაშია. ამავდროულად მსხვერპლი ქალი პირველწყაროს წარმოადგენს, რომლისგანაც საგამოძიებო ორგანომ უნდა მიიღოს სრული ინფორმაცია და დაადგინოს, სახეზეა თუ არა გენდერული შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება.

უშუალოდ ის ფაქტი, რომ გენდერული დისკრიმინაციის ნიშანი, როგორც დანაშაულის ჩადენის მოტივი, ქართულ სამართლებრივ პრაქტიკაში სიახლეს წარმოადგენს, საფუძველია იმისა, რომ იგი არის ერთგვარი გამოწვევა საგამოძიებო ორგანოსთვის და მსგავსი კატეგორიის დანაშაულის იდენტიფიცირებაც გარკვეულ სირთულესთან ასოცირდება. შესაძლოა იყოს შემთხვევები, როდესაც გამოკითხვის პროცესში სწორი

8 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 3.

აქცენტი არ კეთდება გენდერული დისკრიმინაციის ნიშანზე, მსხვერპლ ქალს არ ესმევა კონკრეტული შეკითხვები, რომლითაც დადგინდება მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის მოტივს წარმოადგენს თუ არა გენდერული შეუწყნარებლობის ნიშანი. კერძოდ, რამდენად ჰქონდა მაკონტროლებელი ქცევა დანაშაულის ჩამდენს მის მიმართ, ეხებოდა თუ არა აღნიშნული მის სოციალურ ცხოვრებას, აქტივობებს, სხვა ადამიანებთან კომუნიკაციას, თვითგამოხატვას, ჩაცმის სტილს, ყოველდღიური საქმიანობის განსაზღვრას და სხვა, რაც უკავშირდება პიროვნების სტერეოტიპულ შეხედულებას, რომელიც ქალსა და კაცს საზოგადოებაში თავიანთ სოციალურ ადგილს ანიჭებს, რასთან წინააღმდეგობის ფაქტიც მოძალადის მიერ დანაშაულის ჩადენის წინაპირობა ხდება. მსგავს შემთხვევაში, როცა მსხვერპლი ქალის მიმართ შეკითხვები ამომწურავად არ არის დასმული, მისი ხელახალი გამოკითხვის საჭიროება იქმნება, რაც მეტად ამძაფრებს მისი მეორეული ვიქტიმიზაციის პროცესს, მსხვერპლი ხელახლა განიცდის მომხდარი ფაქტის უარყოფით გავლენას, რაც არ უნდა იქნას დაშვებული.

ზემოაღნიშნულის პარალელურად საგამოძიებო ორგანოს მიერ მსგავსი დანაშაულის მსხვერპლთან ურთიერთობაც გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული, ვინაიდან საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებიც, ცხადია, იმ გარემოს ნაწილი არიან, რომელშიც გენდერული ნიშნით მადისკრიმინირებელი ქმედება ჩვეულებრივ ყოველდღიურობას წარმოადგენს და საზოგადოებაში არ ფასდება რაიმე სახის დისკრიმინაციად, ამდენად, გამომძიებლები შესაძლოა ნაკლებად მგრძნობიარეები იყვნენ მსგავსი დანაშაულის მიმართ. სწორედ აღნიშნულ პროცესში იკვეთება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვის აუცილებლობა, რის შესაძლებლობაც საგამოძიებო ორგანოს/პროკურატურას გააჩნია. მსგავსი დანაშაულის მსხვერპლი ქალის გამოძიებასთან სრულყოფილი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, მისი სანდოობის მოსაპოვებლად და გამოკითხვის პროცესის ნაკლებად სტრესულად წარმართვისთვის კოორდინატორის ჩართულობას დადებითი ეფექტი აქვს. ნაკლებად ტოლერანტულ გარემოში მოსალოდნელია, რომ მსხვერპლი ქალი სრულყოფილად არ გაიხსნას და არ ისაუბროს მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის საფუძველზე, რომელიც შესაძლოა რეალურად გენდერული ნიშნით იყოს ჩადენილი, რის არ გამოკვეთითაც ჩადენილი

ქმედების შესაფერისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თეორიული შანსიც კი იკარგება.

გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლ ქალს შესაძლოა არათუ საზოგადოების სხვა წევრები არ მიიჩნევდნენ მსხვერპლად, არამედ თავად დაზარალებულ ქალსაც, რომელიც ნორმად მიიჩნევს მის მიმართ მოძალადის მიერ ჩადენილ ქმედებას, არ მიაჩნდეს თავი მსხვერპლად და ვერ იაზრებოდეს, რომ გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი ძალადობის მსხვერპლია. ამის მიზეზია ის, რომ დაზარალებულის სოციალიზაციის პროცესი დაიწყო და მიმდინარეობდა იმ საზოგადოებაში, სადაც ქალს მისი კუთვნილი, კაცისგან განსხვავებული და განცალკევებული „ადგილი“ და ფუნქცია გააჩნდა, რომლის დარღვევაც საზოგადოების მხრიდან დადებითად არ ფასდებოდა. აღნიშნულთან მიმართებით საკმაოდ ეფექტიან წამოწყებას წარმოადგენს საქართველოს პროკურატურის კამპანია „არა ფემიციდს“, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ჯგუფთან - სხვადასხვა ასაკისა და სქესის პირებთან, მათ შორის, მსხვერპლ ქალებთან, 2022-2024 წლებში საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა მიერ გამართულ ტრენინგებს გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაულისა და ფემიციდის საკითხებთან დაკავშირებით, რამაც საზოგადოების ცნობიერების გარკვეულწილად ამაღლებას და სულ მცირე, ამ საკითხზე საზოგადოების დაფიქრებას შეუწყო ხელი.

გამოძიების ეტაპზე გენდერული დისკრიმინაციის ნიშნის გამოვლენის სირთულე ისიცაა, რომ ხშირად აღნიშნული დისკრიმინაცია ფარულად ხორციელდება, კერძოდ, უშუალოდ ცოლ-ქმარს, პარტნიორებს შორის, ამდენად, მსხვერპლი ქალის მოწოდებული ინფორმაციის გარდა, საქმეზე გენდერის ნიშნის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულების მოპოვება შეუძლებელი ხდება. ერთ-ერთ საქმეში გენდერული ნიშნით ჩადენილი ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი ქალი აღნიშნავს: „ის სხვებთან ურთიერთობაში კარგია, ყველას უყვარს, ყველასთან კარგი ურთიერთობა აქვს, მხოლოდ მე მექცევა ასე...“; ესე იგი, მოძალადის საზოგადოებაში არსებული რეპუტაცია იმდენად დადებითია, რომ შესაძლოა არათუ გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის დამადასტურებელი, არამედ რეალური სურათისგან აბსოლუტურად განსხვავებული ინფორმაცია გადმოსცენ სხვა პირებმა - მეზობლებმა, ნაცნობებმა, ნათესავებმა, რომლებსაც კარგი

ურთიერთობა აქვთ მოძალადესთან და მას იცნობენ, როგორც დადებით პიროვნებას; ასეთ შემთხვევებში კიდევ უფრო რთულდება სისხლის სამართლის საქმეში გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის გამოკვეთა.

საგამოძიებო პრაქტიკაში ყოველდღიურად იზრდება მსგავსი კატეგორიის საქმეებში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობის მაჩვენებელი, რაც მისასალმებელია, ვინაიდან ამარტივებს მსხვერპლი ქალის საგამოძიებო ორგანოსთან ურთიერთობასა თუ, ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მის ჩართულობას, ამასთან, ხელს უწყობს დაზარალებულის მხრიდან მეტ ღიაობასა და თანამშრომლობას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივთან მიმართებით არაერთი ტრენინგი ტარდება, რომელიც მიმართულია საგამოძიებო ორგანოსა თუ პროკურატურის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებისკენ, რაც, თავის მხრივ, ზრდის თანამშრომელთა ტოლერანტულობასა და სენსიტიურობას მსგავსი კატეგორიის მსხვერპლთან მიმართებით. რაც შეეხება საზოგადოების ფართო ფენებისათვის ჩატარებული ტრენინგების სიმრავლეს, აღნიშნული ემსახურება და ზრდის მათ ინფორმირებულობასა და შემწყნარებლობას მოცემული საკითხის მიმართ. აღნიშნული ტრენინგები და მათი რაოდენობის ზრდა, არსებითად განაპირობებს გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით პროფესიონალური საგამოძიებო პროცესის წარმოებასა და მისი ხელშეწყობისთვის საზოგადოების მეტ ჩართულობას.

4. სასამართლოს მიდგომები

ოჯახში ძალადობის, ასევე, ქალთა მიმართ ძალადობის სხვა ფორმების დანაშაულად მიჩნევა მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს საკითხი მართლმსაჯულების სისტემისათვის. იგი მომეტებულად საჭიროებს მყისიერ მოქმედებას, პოლიციისგან, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების სტანდარტების შესაბამისად.[9] ადამიანის უფლებათა

9 ილურიძე ა., პავლიაშვილი ი., ჯალაღანია ლ., კახიძე შ., გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, 2018, 63-64

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისათვის უზრუნველყოს აღიარებული უფლებებით სარგებლობა, რაიმე განსხვავების გარეშე. მათ შორის, უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო ზომების მიღება, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებით აღიარებული უფლებების განსახორციელებლად. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ საქმის გამოძიების ან სასჯელის დაკისრებისას დისკრიმინაციული მოტივის ყურადღების მიღმა დატოვება, შეიძლება წარმოადგენდეს არაპირდაპირ დისკრიმინაციას. საქმეში „Angelova and Iliev v. Bulgaria" სასამართლომ მიუთითა, რომ „სახელმწიფოს აქვს ზოგადი ვალდებულება, კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში, განახორციელოს ეფექტიანი გამოძიება სიცოცხლის უფლების დარღვევის საქმეებში, რომელიც უნდა წარიმართოს დისკრიმინაციის გარეშე, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-14 მუხლი."[10]

ბრალდების მხარე ხშირად პრობლემას აწყდება ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მიმართულებით. გამოიკვეთა მოსამართლეების არაერთგვაროვანი მიდგომა და პირდაპირ მტკიცებულებებზე მათი ზედმეტად ორიენტირებულობა.[11]

აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა აქვს პროკურატურას ბრალის წარდგენისას და სასამართლოს - შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას. ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ გენდერული შეუწყნარებლობის მოტივი სახეზეა, როდესაც ბრალდებული გენდერული ნიშნით ავიწროებს

10 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება, 6; ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

11 ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), პოლიტიკის დოკუმენტი: დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში პროკურატურის წინაშე არსებული გამოწვევები, 2020, 25.

დაზარალებულს და ამით მასზე გარკვეულწილად უფლებრივად უპირატეს მდგომარეობაში მყოფად მიიჩნევს თავს. თუ გენდერული მიდგომის სოციალური ასპექტის სიღრმეებში ჩავალთ, იგი გულისხმობს კონკრეტული პირის მენტალურ დამოკიდებულებას რომელიმე სქესის მიმართ, რომელსაც მიაკუთვნებს საზოგადოებაში აღიარებულ და დამკვიდრებულ სტერეოტიპულ მიდგომებს. კონკრეტული პირის მორალური მხარე გულისხმობს, მის შინაგან დამოკიდებულებებს, ინტელექტუალურ უნარ-ჩვევებსა და განათლებას, რომელიც ყველა პირს სხვადასხვაგვარი აქვს. მაშინ, როდესაც ურთიერთობა თავისი არსით ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს გენდერულ ჭრილში, რაც გამოიხატება კონკრეტული ქმედებების მოთხოვნაში, მორჩილებაში, რაც თავისთავად ურთიერთობის მუდმივ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, არაა აუცილებელი, რომ ყოველი ძალადობრივი აქტის განხორციელებისას მკვეთრად დისკრიმინაციული ფრაზის გაჟღერება მოხდეს, ან ძალადობრივი აქტის განხორციელების წინაპირობა აუცილებლად მორჩილებასთან დაკავშირებული მოთხოვნა იყოს.

განსხვავებული მიდგომა აქვს სასამართლოს. სასამართლო მოსაზრებით, იმისთვის, რომ ქმედება შეფასდეს დამატებით გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულად, მას წინ უნდა უძღოდეს რაიმე სახის ქცევითი, სიტყვიერი ან ურთიერთობითი ფორმა, რომელიც აუცილებლად იმ კონკრეტულ ძალადობრივ აქტს მიემართება. სხვა შემთხვევაში სასამართლო თვლის, რომ, მართალია, მხარეთა ურთიერთობა გენდერული დისკრიმინაციის ფონის მატარებელია, მაგრამ ძალადობრივ აქტს ავტომატურად არ მიემართება გენდერის ნიშანი. შესაბამისად, გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის მოტივი არც სასჯელის დანიშვნისას პოვებს ასახვას.

გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის მეთოდებსა და ფაქტებზე მსჯელობისას, უნდა დადგინდეს ამგვარი მოტივის უშუალო მიზეზობრივი კავშირი განსახილველი დანაშაულების ჩადენასთან. გენდერულ ჭრილში ფსიქოლოგიური ზემოქმედება შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით: ქალის მოქმედების და ნების თავისუფლების შეზღუდვით,

ქცევის მუდმივი კონტროლით, სტერეოტიპული შთაგონებებით და სხვა. ამასთან, ფსიქოლოგიურ ანდა ფიზიკურ ძალადობას თან უნდა ახლდეს მსჯავრდებულის ქცევის განმსაზღვრელი ცალსახა მოტივი - კაცის მიერ ქალის დამორჩილებისკენ მისწრაფება იმ წარმოდგენაზე დაყრდნობით, რომ ქალი რომელიმე საკითხში არ წარმოადგენს კაცთან უფლებრივად თანასწორს და ვალდებულია, საკუთარი ქცევა კაცის სურვილისამებრ წარმართოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაექვემდებარება ძალადობას. გენდერული შეუწყნარებლობა შესაძლებელია თან სდევდეს ქალსა და კაცს შორის ურთიერთობის ნებისმიერ ასპექტს, თუმცა მოცემულ შემთხვევაში - აღნიშნული მოტივის მაკვალიფიცირებელ ნიშნად შერაცხვა, დასაშვებია მხოლოდ ამ მოტივსა და ქმედებას შორის ურთიერთკავშირის დადგენისას. ამდენად, დანაშაული ჩადენილია გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით, თუ მტკიცებულებებით დასტურდება კაცის მიერ ქალისთვის უფლების შეზღუდვის, დადგენილ სტერეოტიპულ ჩარჩოებში მოქცევისა და კონტროლის ფაქტები და სწორედ ეს საბაბი არის წამყვანი ფაქტორი დანაშაულებრივი განზრახვის აღმოცენებისას.[12]

მოტივი წარმოადგენს მოთხოვნილებითა და ინტერესით განპირობებულ ქმედით ძალას, რომელიც ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიღების მიზეზი ხდება. მოტივის განსაზღვრა შესაძლებელია მაშინ, თუ დანაშაულის ჩადენამდე, ჩადენის პროცესში, ან ჩადენის შემდეგ დამნაშავის ნება გამომჟღავნდა საზოგადოებაში რაიმე ფორმით და ობიექტურად შეცნობადი გახდა სხვებისთვის. პირის დევნა იმ ნიშნით, რომ ის მიეკუთვნება რომელიმე კონკრეტულ სქესს, მოითხოვს აღნიშნული შინაარსის შემცველი ფრაზებისა და ქცევის ერთობლიობას, რომელშიც გამოკვეთილია პირის მიდგომები და მყარად ჩამოყალიბებული სტერეოტიპები ერთი სქესის უპირატესობასთან დაკავშირებით მეორე სქესის მიმართ.[13]

12 უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე №203-აპ.-22 (საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ დაზარალებული ზოგადად საუბრობდა მეუღლის ეჭვიანობასა და მეუღლის მიერ მისი ქცევის თავისუფლების კონტროლის მცდელობებზე, თუმცა განსახილველი ძალადობის თითოეულ ეპიზოდს თავად დაზარალებული უკავშირებდა არაგენდერულ ჩაგვრას, არამედ მსჯავრდებულის ნარკოდამოკიდებულებას და მისგან გამოწვეული ემოციური არამდგრადობის მდგომარეობას).

13 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/4081-21.

გენდერული დისკრიმინაციის მოტივის შეფასებისას, აუცილებლობას არ უნდა წარმოადგენდეს, რომ ბრალდებულმა პირდაპირ, უშუალოდ სიტყვებით გამოხატოს, რომ ის კაცია და ამიტომ უნდა ემორჩილებოდეს მისი მეუღლე. მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილია უფრო ფართო განმარტება და ბრალდებულის კომპლექსური ქმედებების ხასიათისა და იმ შედეგის მხედველობაში მიღება, რასაც მისი ქმედებები იწვევს. მოცემულ შემთხვევაში, ეს შედეგი არის დაზარალებულის, როგორც ქალისა და მეუღლის ემოციური დეგრადირება, ნების პარალიზება და ქმრისადმი მორჩილება. ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზი ადასტურებს ბრალდებულის მხრიდან გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენას და მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომაც გაითვალისწინოს აღნიშნული.

გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის დასადგენად არ არის სავალდებულო თანაცხოვრების პირველივე დღიდან შეუწყნარებლობის გამომჟღავნება. უთანასწორო ბუნების გარჩევადობა ხშირად არ/ვერ ხდება ან ოჯახური ურთიერთობებიდან ან აღნიშნული ქცევების მიმღებლობიდან გამომდინარე.[14] მკვეთრი პრობლემები ხვდება სასამართლოს მაშინ, როდესაც გენდერული შევიწროების ობიექტური ნიშნები კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა, თუმცა, სუბიექტურად, თავად მსხვერპლი მასზე განხორციელებულ შევიწროებას არა გენდერულად მოტივირებულად, არამედ უბრალოდ ოჯახური ურთიერთობისთვის დამახასიათებელ მოვლენად აღიქვამს. ასეთ შემთხვევაში ჩნდება შეკითხვა, გენდერული შეუწყნარებლობის მოტივი მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმით უნდა ფასდებოდეს, თუ მისთვის სუბიექტური კრიტერიუმის არსებობაც მნიშვნელოვანია.

გასათვალისწინებელია, რომ ოჯახური დანაშაულის წინაპირობა ხშირად კულტურული და სოციალური უთანასწორობის ფონია, რომლის ფარგლებშიც ხდება ინდივიდების მსხვერპლებად და მოძალადეებად ფორმირება. სისხლის სამართალი ქმედების სამართალს წარმოადგენს და მის ფარგლებში ხდება ბრალდებულის ქმედების შეფასება და მისი

14 უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე №1127ა3-22.

პიროვნებიდან გამომდინარე კანონიერი და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრა. სოციალური უთანასწორობის ფარგლებში აღზრდის ფონზე, მსხვერპლებს არ მოეთხოვებათ, გენდერულად სენსიტიური განწყობების გამომუშავება და იმის თეორიული და ფსიქოლოგიური ცოდნა, რამდენად დისკრიმინირებულად უნდა გრძნობდნენ თავს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტია ობიექტური კრიტერიუმები, რომლებიც გამოკვეთენ მოძალადესთან მიმართებით გენდერული შეუწყნარებლობის მოტივს. მსხვერპლის შეფასება, რომ მსგავსი ქცევა ყველა ოჯახისთვისაა დამახასიათებელი, არ უნდა იყოს შეუწყნარებლობის მოტივის არსებობის გამომრიცხველი გარემოება.

განსხვავებით გამოძიების ეტაპისგან, სასამართლო ეტაპის სირთულე გენდერული ნიშნის დადგენის ნაწილში ძირითადად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სამწუხაროდ, დაზარალებულები მათთვის მინიჭებული სამართლებრივი პრივილეგიით სარგებლობენ და უარს ამბობენ ჩვენების მიცემაზე ახლო ნათესავის წინააღმდეგ. ასეთ დროს, სასამართლოს ფაქტობრივად ხელიდან ეცლება ის ძირითადი და არსებითი მტკიცებულება, რასაც დაზარალებულის გამოკითხვის ოქმი ჰქვია. დაზარალებულის ჩვენების გარეშე კი, რთულია გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის გამოკვეთა. საგამოძიებო ექსპერიმენტი, ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და შემაკავებელი ორდერი ხშირად არ შეიცავს იმგვარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომ გენდერული ნიშნით ძალადობის გაზიარების ნაწილში, სასამართლოსათვის აუცილებელი სტანდარტი დააკმაყოფილოს. სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ საკანონმდებლო რეგულაციის არარსებობის პირობებში, ირიბი ჩვენებების გამოყენება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისთვის დაუშვებელია. სასამართლო ითვალისწინებს ოჯახური დანაშაულის სპეციფიკურ კონტექსტს, მისი ჩადენის თავისებურებებსა და მტკიცებულებათა მოპოვების გონივრული შესაძლებლობის ფარგლებს, თუმცა კვლავაც აღნიშნავს, რომ ირიბი ხასიათის ჩვენება, რომელიც არ არის სათანადოდ შემოწმებული და დადასტურებული სასამართლო განხილვისას თავად

ამ ინფორმაციის წყაროს მიერ, ვერ იქნება შეფასებული სარწმუნო და უტყუარ მტკიცებულებად, მით უფრო, ის ვერ გახდება საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის ერთადერთი და გადამწყვეტი საფუძველი.[15]

განსხვავებული მიდგომაა ეჭვიანობასთან მიმართებით. ბრალდების მხარის მიდგომით, იმ შემთხვევაში თუ ეჭვიანობა წარმოადგენს და ქმნის იმგვარი ხასიათის მოთხოვნებსა და კონტროლის მექანიზმებს, რაც გამომდინარეობს კაცის აღქმიდან, მიიჩნიოს თავი ქალზე უპირატესად მხოლოდ მისი სქესიდან გამომდინარე, სახეზეა გენდერული დისკრიმინაცია. ერთი-ერთ საქმეში სასამართლო პირდაპირ უთითებს, რომ დანაშაულის მოტივი იყო მსჯავრდებულის ეჭვიანობა და არა - დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი.[16]

გამომდინარე იქიდან, რომ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი პირდაპირ უკავშირდება ბრალდებულის პიროვნებას, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს მის ქცევებზე სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, თუნდაც მის ფრაზებზე, მის მსჯელობაზე, გაცემულ პასუხებზე. არის შემთხვევები, როდესაც, სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის მიერ პროცესის მიმდინარეობისას განხორციელებულ ქცევებს და აღნიშნულზე აფუძნებს დანაშაულის მოტივს. საინტერესოა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც იგი გენდერული შეუწყნარებლობის მოტივის გაზიარების ნაწილში განმარტავს და იშველიებს მსჯავრდებულის მიერ უშუალოდ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას გაჟღერებულ ფრაზებს - „კაცი ვარ და მეტი მოთმინება მმართებდა“. ამით სასამართლოს შეფასებით, მსჯავრდებული ხაზს უსვამს მის ზოგად შეხედულებას და დამოკიდებულებას ქალთა მიმართ. კერძოდ, ცალსახაა, რომ იგი გარკვეულ დიფერენცირებას ახდენს კაცებისა და ქალების როლებს შორის, რაც გახდა კიდევაც მისი ქმედების განმსაზღვრელი დანაშაულის გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით ჩადენის დროს.[17]

15 უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე №906აპ-22.

16 უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე №696აპ-22.

17 სააპელაციო სასამართლო განაჩენი, საქმე №1ბ/1642-22.

არსებობს განსხვავებული მიდგომები, რომელი საკითხი მიიჩნევა ყოფით პრობლემად და რა ფასდება გენდერული დისკრიმინაციის ნიშნებად. სასამართლომ გამორიცხა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით დანაშაულის ჩადენა, რადგან თავად დაზარალებულის განმარტებით ბრალდებულს ზოგადად აქვს პრობლემური ხასიათი, სრულიად უწყინარ სიტუაციაში შეუძლია შარი მოსდოს უბრალო რამეზეც კი, მაგალითად: რატომ არ აქვს საჭმელს პომიდორი, რატომ გაუფუჭდა ავტომობილი, ან სახლში მისულს არ შეხვდა სათანადო ყურადღებით, რის გამოც, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. მაშინ, როდესაც დაზარალებულის ჩვენებით დგინდება, რომ ინტენსიური ფსიქოლოგიური ძალადობის შედეგად, დაზარალებული იძულებული იყო ყველაფერი მისი სურვილის შესაბამისად გაეკეთებინა. მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დანაშაულის მოტივის შეფასების დროს ვიწროდ არ განიმარტოს გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობა. ქალზე არათანაზომიერი უარყოფითი ზემოქმედების განხორციელება ასევე გულისხმობს გენდერულ დისკრიმინაციას. ავტორიტარული დამოკიდებულებით და დაზარალებულის, როგორც ქალის, მუდმივი დამცირებით (ეძახდა მსუბუქი ყოფაქცევის ქალს; ახსენებდა მუდმივად, რომ „ქალად“ მან აქცია), აშკარაა, რომ მსჯავრდებულის ასეთი ქცევა კონკრეტული მოტივით გაბრაზების საფუძველზე წარმოშობილი კი არ ყოფილა, არამედ დაკავშირებულია მის მყარ აღქმასთან, რომ არის უპირატესი დაზარალებულთან შედარებით და თავს უფლებას აძლევს, ფაქტობრივად, ფსიქოლოგიური მონობის ქვეშ ჰყავდეს დაზარალებული, რომელიც იმდენად დათრგუნულია, რომ ავტომატურად ზედმიწევნით მსჯავრდებულის მოთხოვნისამებრ იქცევა.[18]

ერთ-ერთ საქმეში დაზარალებული თავის გამოკითხვის ოქმში (რომელიც მხარეთა მიერ უდავო მტკიცებულებად იქნა მიჩნეული) აღნიშნავს, რომ მისი მეუღლე ხშირად ეჩხუბება იმის გამო რომ, რადგან ქალია, მისი პირდაპირი მოვალეობაა ბავშვების გაზრდა და ღიზიანდება, როდესაც დახმარებას სთხოვს ბავშვების მოვლასთან დაკავშირებით.

18 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/4081-21.

ასევე ვერ იტანს, როდესაც ეპასუხება ან რაიმეს საყვედურობს. ამ დროს იგი უფრო აგრესიული ხდება, ეუბნება, რომ ქალს არ აქვს უფლება, მისცეს მას რაიმე სახის შენიშვნა ან მითითება, ვინაიდან ის არის ოჯახის კაცი და წყვეტს ყველაფერს, რა და როგორ გააკეთოს.[19] სასამართლომ კი მსგავსი ურთიერთობის ფონზე განხორციელებული ძალადობა შეაფასა, როგორც ყოფით საკითხებთან დაკავშირებული ძალადობა და ამორიცხა გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი. ამგვარი დამოკიდებულება, არ შეიძლება შეფასდეს ყოფით პრობლემად, რადგან აღნიშნული დაკავშირებულია მეუღლის მიმართ (მისი სქესიდან გამომდინარე) საოჯახო საქმეებით დაკავების მოთხოვნასთან.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ერთმანეთისგან ასევე უნდა გაიმიჯნოს, ძალადობის აქტის მოტივი გენდერული დისკრიმინაციის დამოკიდებულებითაა განპირობებული, თუ აღნიშნული ბრალდებულის ხასიათს წარმოადგენს. სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ ბრალდებული დაზარალებულს ძალადობრივად ეპყრობოდა არა იმიტომ, რომ დაზარალებული ქალია, არამედ მას მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდა ყველას მიმართ, მათ შორის, დაზარალებულის მშობლების, საკუთარი შვილების მიმართ. თვლიდა, რომ ყველა მას უნდა დამორჩილებოდა, რომ მხოლოდ თავად უნდა ჰქონოდა ძალაუფლება ყველაზე, განურჩევლად სქესისა.[20] რეალურად კი, მოძალადის მესაკუთრულ ხასიათში გენდერული დამოკიდებულების გამოვლინებაა სწორედ ის, რომ მიუხედავად მისი ხასიათისა, იგი არავისზე არ ძალადობდა ფიზიკურად, გარდა მეუღლისა.

საინტერესოა სასამართლოს მიდგომა შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის ნაწილში, კერძოდ, შესაძლებელია თუ არა, აღნიშნული დანაშაულის გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენა. შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა სასამართლო აქტების წინააღმდეგ

19 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 1 თებერვლის განაჩენი, საქმე №1ბ/1875-22.

20 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 27 იანვრის განაჩენი, საქმე №1/462-22.

მიმართულ დანაშაულს წარმოადგენს. ნორმით დაცულ ძირითად სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს მართლმსაჯულების დაცვის ინტერესი, ხოლო დამატებითი ობიექტია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, რომ დაცული იყოს მისი ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობა. სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ დანაშაულის - შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის - ხასიათიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ჩადენა გენდერული სტერეოტიპების გავლენით, კერძოდ, შეუძლებელია, რომ მოძალადე მსხვერპლს იმიტომ მიუახლოვდეს ან მასთან კომუნიკაცია იმიტომ დაამყაროს, რომ ის ქალია.[21] თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მართალია, შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევით, უპირატესად მართლმსაჯულების ინტერესები ზიანდება, თუმცა, აღნიშნულ დანაშაულს ჰყავს დაზარალებული ინდივიდიც, კერძოდ, ორდერში მსხვერპლად იდენტიფიცირებული პირი, ერთმნიშვნელოვნად იმის გამორიცხვა, რომ მსგავსი კატეგორიის დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენა შეუძლებელია, არ იქნება მართებული. დანაშაულის მოტივი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. რეალურად, აღნიშნული დანაშაული შესაძლებელია, შეიცავდეს ქალის უფლებრივი შეზღუდვის მოტივს, სწორედ იმ მიზნით, რომ იგი შესუსტდეს და გამოირიცხოს ქალის უფლებრივი თანასწორობა კაცის მიმართ.

საინტერესოა სასამართლოს მიდგომა, იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის შესაძლებელი სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლში მოქცეული, სასჯელის რომელიმე დამამძიმებელი გარემოებების დამოუკიდებლად გაზიარება, მაშინ როდესაც აღნიშნული ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული არ გახლავთ, თუმცა არსებითი განხილვის ეტაპზე გამოიკვეთა შეუწყნარებლობის მოტივის არსებობის ნიშნები.[22] სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლი უთითებს არა ქმედების შემადგენლობის დამაფუძნებელ გარემოებას,

21 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 31 მარტის №1/704-23.

22 თბილისის საქალაქო სასამართლო, 2018 წლის 28 სექტემბრის განაჩენი №1/276318.

არამედ სასჯელის დამძიმებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა გათვალისწინება სასამართლოს ბრალდებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამოუკიდებლადაც შეუძლია. სასამართლო უფლებამოსილია, რომ დამოუკიდებლად იმსჯელოს საქმეში არსებულ, მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს დადგენილ გარემოებებზე, რაც მას სჭირდება სასჯელის დანიშვნის კუთხით. აღნიშნული გადაწყვეტილება სრულ თანხვედრაშია სტამბოლის კონვენციასთან, რომლის 45-ე მუხლის მიხედვით, ხელშემკვრელმა სახელმწიფომ უნდა გაატაროს ყველა საკანონმდებლო თუ სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ კონვენციით დადგენილი დანაშაული ისჯებოდეს ეფექტური, პროპორციული და დამაფიქრებელი სანქციით. ამასთან, სასამართლო განხილვის სტადიაზე სახელმწიფოს მიერ დანაშაულის სერიოზულობის შეფასება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა.

5. დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გენდერის განმარტებას და მისი შეფასება ხდება საქართველოში არსებული სხვა საკანონმდებლო რეგულაციებითა და საერთაშორისო კანონმდებლობით, ეროვნულ საგამოძიებო, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო ორგანოებს გააჩნიათ საკმარისი საფუძველი, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დააიდენტიფიცირონ გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის არსებობა. კერძოდ, როგორც აღინიშნა, „გენდერული“ გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და კაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს. ქალთა მიმართ ძალადობას გააჩნია გენდერის ნიშნით განხორციელებული ძალადობის სტრუქტურული ბუნება და აღნიშნული ძალადობა არის ერთ-ერთი მთავარი სოციალური მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ქალები იძულებულნი არიან, კაცებთან შედარებით დაქვემდებარებული პოზიცია დაიკავონ.

მოცემულ სტატიაში გამოიკვეთა გამოძიებისა თუ სასამართლო ორგანოების მხრიდან მსხვერპლი ქალის მიმართ მეტად გულისხმიერი მიდგომის აუცილებლობა გენდერული დისკრიმინაციის ნაწილში. კერძოდ, მსხვერპლი ქალისთვის ნაკლები სტრესის მისაყენებლად, გამოძიების ეტაპზე ყურადღება უნდა გამახვილდეს პირველივე გამოკითხვისას გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის გამოკვეთის საკითხზე, რათა რამდენიმეჯერ გამოკითხვამ მსხვერპლი ქალის მეორეული ვიქტიმიზაცია არ გამოიწვიოს. ამ დროს მეტად იკვეთება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის როლი, რათა დაზარალებულს გამოძიების პროცესში კომუნიკაცია გაუმარტივდეს. აგრეთვე, გამოიკვეთა მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოში დასაქმებული იმ პირების მიმართ ტრენინგების ჩატარების საჭიროება/ჩატარებული ტრენინგების დადებითი ეფექტი, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ გენდერული შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლ ქალებთან გამოძიების დაწყების ეტაპიდან სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე. ამასთან, გამოიკვეთა გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საზოგადოებისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდების საჭიროება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს.

უპრიანია, სასამართლომ აქტიურად გამოიყენოს საქართველოს სსკ-ს 53[1] მუხლი და დაადგინოს გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, შესაბამისად, სასჯელი სწორედ აღნიშნული ნიშნის გათვალისწინებით განსაზღვროს. უფრო მეტიც, იგი უფლებამოსილია, რომ დამოუკიდებლად იმსჯელოს საქმეში არსებულ, მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს დადგენილ გარემოებებზე, რაც მას სჭირდება სასჯელის დანიშვნის კუთხით, მიუხედავად იმისა, რომ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი შესაძლოა ბრალდების დადგენილებაში არც იყოს მითითებული. ამ შემთხვევაში საუბარი არ არის ბრალდებულის ინტერესების საწინააღმდეგოდ მისი სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებაზე, ვინაიდან მოსამართლე იმავე კვალიფიკაციის ფარგლებში ნიშნავს სასჯელს. აღნიშნულის პარალელურად, ნებისმიერი დამამძიმებელი გარემოების

გათვალისწინებით სასჯელის დანიშვნა, მაგალითად, როდესაც ქმედება ჩადენილია იარაღის გამოყენებით, სასამართლოს მხრიდან უნდა შეფასდეს ბრალდებულის მდგომარეობის შეუსაბამო გაუარესებად, რაც არ არის მართებული. ამდენად, სასამართლომ სასჯელის დანიშვნის სხვა დამამძიმებელ გარემოებებთან ერთად, ყურადღება უნდა გაამახვილოს გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივზეც, როცა სასჯელის დანიშვნა ხდება იმავე მუხლისა და სასჯელის მაქსიმუმის ფარგლებში. აღნიშნული მიდგომა სრულ თანხვედრაშია სტამბოლის კონვენციასთან, რომლის 45-ე მუხლის მიხედვით, ხელშემკვრელმა სახელმწიფომ უნდა გაატაროს ყველა საკანონმდებლო თუ სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ კონვენციით დადგენილი დანაშაული ისჯებოდეს ეფექტური, პროპორციული და დამაფიქრებელი სანქციით. ამასთან, სასამართლო განხილვის სტადიაზე სახელმწიფოს მიერ დანაშაულის სერიოზულობის შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებით კომპონენტს წარმოადგენს.

10

მარიამ წულაია
თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორი, სამართლის მაგისტრი.

გიორგი მექვაბიძე
მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორი, სამართლის მაგისტრი.

სოციალური ბარიერები ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის პროცესში

„სამწუხაროდ, ადამიანებს არ ესმით და არ იციან ვინ არის მოძალადე. მის ქცევებს რომანტიკულად უყურებდნენ და სიყვარულით ხსნიან... როგორ შეიძლება უყვარდე, როცა ადამიანს შენი ნელი სიკვდილი უნდა... ახლა, მე რომ შევხედო მსხვერპლს, თვალებზე შევატყობ იმიტომ, რომ ყველაფერი ჩემს თავზე გავიარე...“

1. შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთა, ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. საზოგადოებაში დამკვიდრებული, გენდერული სტერეოტიპების გავლენის აღმოსაფხვრელად და ძალადობრივ ქცევასთან საბრძოლველად, უკანასკნელი წლების განმავლობაში სახელმწიფო მკაცრ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას ატარებს, რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების პროაქტიულ ჩართულობას დანაშაულის გამოვლენისა და ძალადობის ჩამდენი პირის დასჯის მიზნით, არამედ, ასეთივე პრიორიტეტულია სხვადასხვა ორგანიზაციებთან კოორდინირებული მუშაობის გზით, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების დასახვა.

ქალების მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის ხარისხი სახელმწიფოში მსხვერპლი ქალების ფუნდამენტური უფლებების დაცვის ეფექტურობის ინდიკატორია. სწორედ გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულებაზე დაბრკოლებების გარეშე წვდომა უზრუნველყოფს ქალთა გაძლიერებასა და დაცვას.

სტატია ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ქალთა წინაშე არსებული სოციალური ბარიერებია. თემის აქტუალობას განაპირობებს სამწუხარო რეალობა, რომ სამართლებრივი განვითარების მაღალ საფეხურზე მყოფი და დემოკრატიის დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნებშიც კი, ჯერ კიდევ მწვავედ დგას ქალების წინაშე არსებული, მართლმსაჯულების დამაბრკოლებელი სოციალური ბარიერების პრობლემა. თავის მხრივ, საკითხი აქტუალურია საქართველოშიც. საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებელი თანაარსებობის დაწყების შემდგომ, ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე გადადგმული ნაბიჯების შედეგად, წინა პლანზე წამოიწია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, რითაც ქალების უფლებების დასაცავად უფრო მოქნილი გახდა სამართლებრივი დაცვის მექანიზმები, მათ შორის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რაზეც უკანასკნელ წლებში, საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო ვალდებულებებთან ჰარმონიზაციის პროცესიც მეტყველებს. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური ბარიერები მნიშვნელოვან წინაღობას წარმოადგენს ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობისთვის.

2014 წელს, საქართველოს პროკურატურის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, თუ ოჯახურ დანაშაულებზე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 550-ს შეადგენდა, 2023 წელს ეს რიცხვი გაცილებით გაიზარდა და 5286-ს მიაღწია.[1] შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2023 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლებით ოჯახში ძალადობა მეოთხე ყველაზე გავრცელებულ დანაშაულს წარმოადგენს[2], რაც ცხადია, ერთი მხრივ, მიუთითებს მსხვერპლთათვის მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, თუმცა, მეორე მხრივ, ხაზს უსვამს ოჯახში ძალადობის პრობლემის მასშტაბურობას. ოჯახში ჩადენილი ძალადობის და მისი თანმდევი შედეგების გათვალისწინებით ქალები, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, როგორც წესი, აწყდებიან სხვადასხვა სახის დაბრკოლებას,

1 საქართველოს პროკურატურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, 2024, 76; ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpuP9BJo.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

2 იქვე, 2.

რაც დაკავშირებულია არა მხოლოდ საზოგადოებაში ღრმად ფესვგამ-დგარ სტერეოტიპებთან, არამედ მათთვის სამართლებრივი ინსტიტუტე-ბისადმი ნაკლებ ხელმისაწვდომობასთან.

ხშირად, ქალებს არ აქვთ საკმარისი ფინანსური რესურსი, ისარგებლონ იურიდიული მომსახურებით, არ აქვთ ინფორმაცია მათი, როგორც მსხვერ-პლის უფლებების შესახებ, განიცდიან სპეციფიკური ცოდნის ნაკლებობას და შესაბამისად, თავადაც უჭირთ მათ თავს არსებული პრობლემების იდენტიფიცირება. საბოლოოდ, გენდერული სტერეოტიპებიდან და კულტურული დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ქალებს ერთმევათ შესაძლებლობა, კაცებთან თანაბარ პირობებში იმოქმედონ და სრულყო-ფილად დაიცვან საკუთარი უფლებები.

ჩვენი მთავარი მიზანია, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, გამოვავლინოთ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ქალთა წინაშე არსებული, მთავარი და ყურადსაღები სოციალური ბარიერები და განვსაზღვროთ მათი აღმოფხვრის შესაძლო გზები, რათა გაიზარდოს ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებისადმი და მინიმუმამდე შემცირდეს სოციალური ბარიერები. სოციალური ბარიერების აღმოფ-ხვრა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც თანამედროვე სოციალურ სახელმწიფოში ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს სრული შესაძლებ-ლობა, იზრუნოს საკუთარ თავზე და დაიცვას საკუთარი უფლებები.

სოციალური ბარიერების უკეთესად გააზრებისთვის, სტატიის ავტო-რების, კერძოდ ოჯახური ძალადობის საქმეებზე სპეციალიზებული პროკურორების მიერ, შემუშავებულ იქნა კითხვარი, რაც მიზნად ისახავდა სოციუმში არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირებას, რომელთა არსებობაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მყოფი ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის მართლმსაჯულებისადმი დროულ და ეფექტურ წვდომას აფერხებდა. გარდა ამისა, ბენეფიციარებს მიეცათ შესაძლებ-ლობა თავად განესაზღვრათ საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილებაც მათ მეტად დაეხმარებოდათ საკუთარი უფლებების რეალიზებაში. 2023

წლის ივნისში, შემუშავებული კითხვარი დაეგზავნა საოლქო პროკურატურების ოჯახში ძალადობის თემატიკაზე მომუშავე დანაყოფებს. კვლევის ფარგლებში შეივსო და გაანალიზდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები 85 ბენეფიციარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს კვლევაში მონაწილე ძალადობის მსხვერპლი ქალების მიერ დაფიქსირებულ წერილობით პოზიციებს, რაც დაფუძნებულია სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობისას მათ გამოცდილებაზე. აღსანიშნავია, რომ სპეციალურად შემუშავებულ კითხვარში ქალებმა მონაწილეობა მიიღეს ანონიმურად, კითხვები ეხებოდა იმ პრობლემებს, რომელთა გამოც ძალადობის მსხვერპლი ქალები აწყდებიან სირთულეებს მართლმსაჯულების პროცესში.[3] კითხვარში დაფიქსირებულია ძალადობის მსხვერპლი ქალების დადებითი და უარყოფითი გამოცდილებები მართლმსაჯულების განხორციელების გზაზე მათი მონაწილეობისას, რაც მკითხველს დამატებით წარმოდგენას უქმნის ძალადობის მსხვერპლი ქალების საჭიროებებზე, მათი საცხოვრისის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულ ბენეფიციართა რაოდენობის სიმწირის მხედველობაში მიღებით, დამუშავებული ინფორმაცია შესაძლოა არ ასახავდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით ძალადობის მსხვერპლი ქალების პოზიციათა სრულ სურათს და რა თქმა უნდა, მათი საჭიროებების განზოგადებულად განსაზღვრა მეტად მასშტაბურ კვლევას მოითხოვს, თუმცა, კითხვარის შევსების პროცესში ქალების განმარტებები შეიცავს იმ საყურადღებო ინდიკატორებს, რაც მსხვერპლთა წინაშე არსებული ძირითადი სირთულეების იდენტიფიკატორია.

3 კითხვარი შედგება 14 შეკითხვისგან, რომელთა შინაარსიც შემუშავდა ძალადობის მსხვერპლი ქალების დამოკიდებულების გასარკვევად და იმის დასადგენად თუ რა სირთულეებს აწყდებიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ქალები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. კითხვარი შევსებულია 2023 წლის ივნისში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის თბილისში მცხოვრები ძალადობის მსხვერპლი ქალების მიერ; კითხვარი შევსებულია მხოლოდ ქალების მიერ.

2. მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის კონცეფცია და სოციალური ბარიერების არსი

მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა ინდივიდებს საშუალებას აძლევს, თავი დაიცვან მათი კუთვნილი უფლებების დარღვევისგან, მოითხოვონ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, შეასრულონ აღმასრულებელი ანგარიშვალდებული უფლებამოსილება და შეძლონ საკუთარი თავის დაცვა სისხლის სამართლის წარმოებაში. იგი კანონის უზენაესობის მნიშვნელოვანი ელემენტია[4] და ვრცელდება სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალზე. მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა ის უმთავრესი პროცესია, რომლის განმტკიცებისკენ იღვწის თანამედროვე, დემოკრატიული სამყარო. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქალებისათვის, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი უფლება დაირღვა და სურთ საკუთარი უფლების დასაცავად სამართლებრივი გზებით იბრძოლონ, გაიმარჯვონ და მოითხოვონ ზიანის სამართლიანი ანაზღაურება.

ზოგადად მართლმსაჯულების სისტემა ყველა ადამიანისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რასაც მკაცრად ადგენს როგორც შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებები და სამართლებრივი აქტები. სოციალური ბარიერები ქალებთან დაკავშირებული მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში უნივერსალური პრობლემაა, რომელიც დამახასიათებელია ნებისმიერი საზოგადოებისათვის, ეთნიკური, რელიგიური, ფინანსური თუ კულტურული მდგომარეობის განურჩევლად. მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სოციალური ბარიერების აბსოლუტური უმრავლესობა უკავშირდება ქალთა მიმართ განხორციელებულ ძალადობას, რომელიც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს არღვევს. აქ მოიაზრება ქმედებათა ფართო სპექტრი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან, მაგალითად ქალთა მიმართ ჩადენილი ოჯახური დანაშაული, ადევნება, მკვლელობა, ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება, იძულებით ქორწინება და ა. შ.

4 ევროპის საბჭო, Factsheet on guaranteeing equal access of women to justice, 2015.

3. სოციალური ბარიერების გავლენა ქალებისთვის მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობაზე

ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება საზოგადოებაში გაბატონებული გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრა. ცხადია, გენდერული სტერეოტიპების დამკვიდრებას ისტორიული ფესვები გააჩნია და სახეცვლილი ფორმით დღემდე არსებობს, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს, განსაკუთრებით ქალების ისეთ ჯგუფებზე, როგორიცაა დაბალი ეკონომიკური სტატუსის მქონე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მრავალშვილიანი ან/და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები. გენდერული სტერეოტიპები გულისხმობს ამა თუ იმ კულტურაში, საზოგადოებაში გაბატონებულ ქალისა და კაცის ქცევით მახასიათებლებს, ფართოდ გავრცელებულ და დამახინჯებულ შეხედულებებს ქალისა და კაცის უნარებზე, თვისებებსა და ქცევებზე. ხშირად გვსმენია ან გაუცნობიერებლად თავადვე ვქცეულვართ გენდერული სტერეოტიპების გავრცელების წყაროდ სხვადასხვა გამონათქვამებით, მაგალითად: „კაცები უფრო რაციონალურები არიან, ქალები კი ემოციურები“, „ქალი სუსტი სქესია, მამაკაცი კი ძლიერი“, „ქალის საქმე შვილების აღზრდაა, კაცის დანიშნულება კი ოჯახის დაცვა და ფინანსური უზრუნველყოფა“ და ა. შ. ასეთ შეხედულებებს, საბოლოოდ, ადამიანები მცდარ დასკვნამდე მიჰყავს, რომ კონკრეტული ქცევები მხოლოდ კაცის სქესთან ასოცირდება, გარკვეული ქცევები კი ქალთა სქესთან, სტერეოტიპები კი ხელს უწყობს სქესის ნიშნით, სოციალური როლების დიფერენციაციას და წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სოციალური ბარიერების წარმოქმნის მთავარ მიზეზს.

როგორც აღინიშნა, მართლმსაჯულების სრულყოფილად ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს სოციალური ბარიერები, რასაც ხელს უწყობს სწორედ საზოგადოებაში დამკვიდრებული გენდერული სტერეოტიპები, მათ შორის ჯერ კიდევ გაბატონებული შეხედულება, რომ რაც ცოლ-ქმარს შორის ხდება, ეს „ოჯახის საქმეა“ და უნდა გადაწყდეს არაფორმალურ გარემოში, ოჯახის წევრების ან მათთვის ავტორიტეტულ პირთა ჩართულობით.

სტატიის ავტორთა მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალების უმრავლესობას, ძალადობის პირველივე ფაქტის შესახებ არ განუცხადებია პოლიციის დაწესებულებაში.[5] ეს გარემოება კი, სწორედაც რომ ძალადობის მიმართ მსხვერპლი ქალების კონფორმისტულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს. თუმცა, საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის მნიშვნელოვანია, გავიაზროთ, თავად მსხვერპლი ქალები რას მიიჩნევენ მართლმსაჯულების გზით თავიანთი უფლებების დაცვის ხელშემშლელ ბერკეტებად, რაც დაგვეხმარება სოციალური ბარიერების იდენტიფიცირებაში.

აღსანიშნავია, რომ კითხვარში დაფიქსირებული მონაცემების თანახმად, ქალების უმრავლესობამ ოჯახის წევრისთვის ძალადობის პატიების გადაწყვეტილება, ძალადობის გაუცნობიერებლობითა და ოჯახის დანგრევის თავიდან აცილების სურვილით გაამართლა:

„ ...ვთვლიდი, რომ ძალადობის ერთი-ორი შემთხვევა ყველა ოჯახში ხდება...“.[6]

„ ...არ ჩავთვალე ძალადობად, ვერ აღვიქვი მძაფრად...“.[7]

„ ...არ მინდოდა ოჯახის დანგრევა, თან მეშინოდა. თავს ვისჯიდი, ვფიქრობდი ჩემი ბრალია და ვიმსახურებდი...“.[8]

„ ...ჩავთვალე, მოვითმენ და გადავლახავთ, გამოსწორდება მდგომარეობა, ოჯახის ამბის გარეთ გატანა არ მინდოდა...“.[9]

ამასთან, შეტყობინებაზე უარის თქმის არგუმენტად საზოგადოების მხრიდან გაკიცხვისა და მოძალადის მიმართ არსებული შიში დასახელდა:

„ ...მრავალშვილიანი დედა ვარ და განვლილი თანაცხოვრების შემდგომ დაშორება შეიძლება მე დამბრალებოდა...“.[10]

5 გამოკითხული 85 ქალიდან, 54-ის განმარტებით ძალადობის პირველივე შემთხვევის შესახებ არ განუცხადებია 112-ში, ხოლო 31-ის განმარტებით ძალადობის პირველივე ფაქტზე განაცხადა 112-ში.

6 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, ამბროლაური.

7 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, ოზურგეთი.

8 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, თბილისი.

9 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, ბათუმი.

10 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, მარნეული.

„ ...მეშინოდა, ამის შესახებ მას რომ გაეგო, მომკლავდა...“.[11]

დაკვირვების პროცესში ასევე გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მსხვერ-პლისთვის ხშირად სამართალდამცავი ორგანოსთვის დასახმარებლად მიმართვა სირცხვილად აღიქმება და „ოჯახის ღირსებას“ ლახავს:

,, ...გავიზარდე იმ შეხედულებით, რომ ოჯახის ამბავი უნდა დარჩეს ოჯახში, ქალი, რომელსაც სახლს გარეთ გამოაქვს ამბავი, არის სამარცხვინო...“.[12]

„ ...დღემდე ხალხისთვის ოჯახის დანგრევა უფრო დიდ ტრაგედიად ითვლება, ვიდრე ოჯახში ძალადობა...“.[13]

„ ...შეიძლებოდა ნათესავებს და მეზობლებს ეფიქრათ, რომ მე გავაზ-ვიადე და არ მოვითმინე ოჯახში არსებული მცირედი უსიამოვნება “.[14]

აღნიშნული გარემოებები ცხადად მეტყველებს, რომ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულება არის მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, თუ რატომ ამბობენ ქალები უარს მიმართონ სამართალ-დამცავ უწყებებს დახმარებისთვის. მათ ირგვლივ არსებული სოციუმის შეხედულებები მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მსხვერპლთა პოზიციებსა და გადაწყვეტილებებზე.[15] ამასთან, ძალადობის მსხვერპლ ქალებში ჯერ კიდევ არსებობს დაუცველობის განცდა, რაც უფრო მეტად ამწვავებს ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის პრობლემას. საგუ-ლისხმოა, რამდენად სწორად ხდება სტერეოტიპების არსისა და მათი გავლენის აღქმა თავად მსხვერპლთა მხრიდან. მართალია, კითხვარის თანახმად, ბენეფიციარები გარკვეულწილად თანხმდებიან, რომ სტერე-ოტიპები ძალადობის მიმართ მათ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას აყალიბებს, მაგრამ გამოკითხულთა უმრავლესობა მიუთითებს, რომ საზო-გადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები მათი თავშეკავების განმაპი-

11 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, თბილისი.

12 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, აბაშა.

13 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, ოზურგეთი.

14 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, გურჯაანი.

15 დასმულ კითხვაზე გარშემო მყოფებიდან იყო თუ არა ისეთი პირი, ვინც მათ გაჩუმება ურჩიათ, გამოკით-ხული 85 ბენეფიციარიდან, 49 მათგანი აფიქსირებს დადებით პასუხს, ხოლო 36 უარყოფით პასუხს.

რობებელი არ ყოფილა.[16] თუმცა, მას შემდეგ, რაც კითხვარის ერთ-ერთ პუნქტად პირდაპირ იქნა შეთავაზებული მოცემულობა, ხომ არ ყოფილა დანაშაულის გაცხადების დამაბრკოლებელი გარემოება საზოგადოებაში დამკვიდრებული მცდარი აზრი „ოჯახის დანგრევის“ დაუშვებლობის შესახებ, გამოკითხულთა უმეტესობა დაეთანხმა მოცემულობას.[17] შესაბამისად, შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ გამოკითხულ მსხვერპლ ქალთა არც ისე მცირე ნაწილს ნაკლებად აქვს გააზრებული სტერეოტიპების მნიშვნელობა, სრულყოფილად არ ფლობენ ინფორმაციას, თუ რა არის საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებები და რამდენად უარყოფით გავლენას ახდენენ ისინი დაზარალებულთა ცნობიერებაზე.

„ ...ვფიქრობდი რას იტყვის ხალხი, როგორ გაგრძელდება ჩემი ცხოვრება.“

საკუთარი ოჯახისგანაც მოდიოდა ზეწოლა - გავა წლები და შეეჩვევი ყველაფერს და ასე შემდეგ. ჩემი ქმრის მხრიდან თვალთვალი და მუქარები რომანტიკულადაც კი იყო აღქმული, ვითომ შეყვარებული კაცი იყო და ეს ყველაფერი რომანტიკაში გაჰყავდათ...“.[18]

„ ...მეზობლები მეუბნებოდნენ, რომ ძალადობა ყველა ოჯახში ხდებოდა, მეც უნდა მომეთმინა...“.[19]

აღსანიშნავია, რომ გამოკითხული მსხვერპლი ქალების უმეტესობა ეკონომიკურად დამოკიდებული არ ყოფილა მოძალადეზე,[20] თუმცა, მათი დიდი ნაწილი ოჯახის სხვა წევრების (მაგ.: შვილების) მატერიალური

16 გამოკითხული ბენეფიციარებიდან 24 მათგანი აფიქსირებს, რომ საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებს ნამდვილად ჰქონდა გავლენა მათი მხრიდან პოლიციისადმი მიმართვიანობაზე, ხოლო 61 მათგანი აფიქსირებს რომ გავლენა არ ჰქონია.

17 დასმულ კითხვაზე ხომ არ ყოფილა დანაშაულის განცხადების დამაბრკოლებელი გარემოება საზოგადოებაში დამკვიდრებული მცდარი აზრები „ოჯახის დანგრევის“ დაუშვებლობასთან დაკავშირებით, 52 მათგანი აფიქსირებს დადებით პასუხს, 33 - უარყოფითს.

18 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, თბილისი.

19 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, ოზურგეთი.

20 გამოკითხული ბენეფიციარებიდან 51 მათგანი აფიქსირებს, რომ ეკონომიკურად დამოკიდებული არ ყოფილა მოძალადეზე, ხოლო 34 აფიქსირებს დადებით პასუხს.

კეთილდღეობის შენარჩუნების მიზნით ითმენდა ძალადობას.[21] სისხლის სამართლის საქმეთა საპროცესო ხელმძღვანელობის ფარგლებში, ზოგადი დაკვირვებით და კითხვარის ანალიზით, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ მსხვერპლისთვის, რომელიც ფინანსურად სრულად დამოკიდებულია მოძალადეზე, განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს დანაშაულის ჩადენაში მისი მხილება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა დაახლოებით 25% უთითებს, რომ ძალადობის გაცხადების შემდგომ, მათი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა, 25%-ს მოძალადის მხილებამ დამატებითი ეკონომიკური სირთულე შეუქმნა, ხოლო 50%-ის შემთხვევაში - მდგომარეობა უცვლელი დარჩა. ნიშანდობლივია, რომ მსხვერპლი ქალების უმრავლესობისთვის მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის პირდაპირ ხარჯებს (სახელმწიფო ბაჟი, ადვოკატის და სხვა პროცედურული ხარჯები) არ შეუქმნია დაბრკოლება,[22] თუმცა, რეგიონებში მაინც დაფიქსირდა უშუალოდ პროცედურებთან დაკავშირებული მატერიალური სირთულეები, რაც ძირითადად ტრანსპორტირების ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

„ ...კი, ძალიან რთული იყო - თან უნდა იმუშაო, გზის ფულზეა ლაპარაკი, დროის ნაკლებობა, თან ბავშვის დამტოვებელი. აი ყველაფერი პრობლემაა. ყველაფერი პრობლემა იყო ჩემთვის. ახლა დარეგულირდა, მაგრამ თავიდან იყო ძალიან რთული და გამიჭირდა...“.[23]

„ ...სოფელში ვცხოვრობ და ტრანსპორტირება ხარჯებთანაა დაკავშირებული...“.[24]

,, ...ვცხოვრობ სოფელში, რის გამოც მიჭირს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოძრაობა, პროკურატურა შორსაა, ხოლო სასამართლო სხვა მუნიციპალიტეტშია. პოლიციის განყოფილება შედარებით ახლოსაა, მეზობელ სოფელში...“.[25]

21 გამოკითხული ბენეფიციარებიდან 40 მათგანი აფიქსირებს, რომ მატერიალური კეთილდღეობის შენარჩუნების მიზნით ითმენდა ძალადობას, 38 მათგანი აფიქსირებს უარყოფით პასუხს, ხოლო 7-მა პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა.

22 გამოკითხული ბენეფიციარებიდან 73 მათგანი აფიქსირებს უარყოფით პასუხს, ხოლო 12 მათგანი დადებითს.

23 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, თბილისი.

24 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, გურჯაანი.

25 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, მარნეული.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციაში, პროკურატურასა და სასამართლოში მისვლასთან დაკავშირებულ სირთულეებად ბენეფიციარებმა ძირითადად, არამატერიალური, მორალური მხარე დაასახელეს, რაც სტრესთან და შიშთან იყო დაკავშირებული, ერთეულ შემთხვევაში სტრესის გამძაფრება ხანგრძლივმა საგამოძიებო მოქმედებებმა გამოიწვია:

„ ...ფსიქოლოგიური სტრესი მქონდა. მორალურად იყო რთული, მეშინოდა მხოლოდ და მხოლოდ. სხვა არაფერი...“.[26]

„ ...არანაირი სირთულე, გარდა იმისა, რომ უსაფრთხოების განცდა არ მქონდა, მეშინოდა პოლიციიდან გამოსულს ვინმე არ დამხვედროდა გარეთ...“.[27]

„ ...მთელი ღამე პოლიციაში გავატარე, ისედაც განერვიულებული ვიყავი და ესეც დაემატა სტრესს...“.[28]

შევსებული კითხვარის შედეგების მიხედვით, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, ძალადობის მსხვერპლი ქალების მოსაზრებით, ძალადობის ფაქტის დამალვა და განუცხადებლობა ძალადობის მასშტაბის გაზრდას ან ფატალურ შედეგს გამოიწვევდა.[29]

„ ...დღეს 14 ივნისია და დანამდვილებით გეტყვით, პოლიციისთვის რომ არ მიმემართა, მე დღეს ცოცხალი აღარ ვიქნებოდი...“.[30]

„ ...ისევ ბოდიშები, პატიებები, ერთი კვირა, ორი კვირა და მერე ისევ იგივე განმეორდებოდა - სტრესი, ეკონომიკური და ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ზეწოლა და გაგრძელდებოდა, ალბათ, ჩემს სიკვდილამდე, სადამდეც გავუძლებდი. არასოდეს დასრულდებოდა, ახლა ზუსტად ვიცი...“.[31]

26 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, თბილისი.

27 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, მარნეული.

28 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, თბილისი.

29 გამოკითხული ბენეფიციარებიდან 80 მათგანი აფიქსირებს რომ ძალადობის ფაქტის განუცხადებლობის შემთხვევაში ძალადობა კვლავ გაგრძელდებოდა. 3 მათგანი აფიქსირებს რომ ძალადობა არ განმეორდებოდა, ხოლო 2 თავს იკავებს პასუხის გაცემაზე.

30 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, თბილისი.

31 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, თბილისი.

კითხვარის შევსების პროცესში, დადებით ტენდენციად დაფიქსირდა მხარდაჭერის გამოცხადება სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების, არასამთავრობო სექტორისა და სახალხო დამცველის აპარატის მხრიდან. საგულისხმოა, რომ ერთეულ შემთხვევებში დაფიქსირდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან გულგრილი დამოკიდებულებაც, რაც დაუყოვნებლივ აღმოფხვრას საჭიროებს. ამავდროულად, პოზიტიურ ფაქტორად უნდა შეფასდეს ოჯახის წევრთა ნაწილის მხრიდან მსხვერპლთათვის მხარდაჭერის გამოცხადება.

„ ...თანადგომა ოჯახის წევრების და მეგობრების მხრიდან თავიდანვე მქონდა, ასევე, სახალხო დამცველის აპარატის მხრიდან, კრიზისული ცენტრის მხრიდან და პროკურატურის თანამშრომლებისგან...“.[32]

„ ...უკვე ბოლოს რომ განვაცხადე, მივედი, მე არ მქონდა ბოლომდე ჩივილი დაგეგმილი. მინდოდა მხოლოდ შემაკავებელი. კონსულტაცია გამიწიეს კრიზისულ ცენტრში და ამ კონსულტაციების ძალიან კმაყოფილი ვარ. ამიხსნეს თუნდაც რა მოჰყვებოდა იმას, რომ არ მეჩივლა, ჩამომაყალიბეს. ოჯახი და მეგობრები ყოველთვის ცდილობდნენ არ ჩარეულიყვნენ. საჯარო მოხელეებისაც კმაყოფილი ვარ. ყველა პროფესიონალი შემხვდა, პატრული, გამომძიებელიც და პროკურორიც. მე ძალიან დასტრესილი ადამიანი ვარ, რეაბილიტაციას გავდივარ და ხელი შემიწყვეს ყველანაირად...“.[33]

„ ...ბიუროკრატია საკმაოდ დამღლელია და არაკომფორტული. გამომძიებელთან მქონდა პრეტენზიები, გულგრილად მიუდგა საკითხს, თუმცა სახალხო დამცველს მივმართე და მოვაგვარე ეს პრობლემები. შემდგომ პროკურატურის ოფისში მოვედი და ვფიქრობ, მას შემდეგ ყველაფერი სწორად და ობიექტურად წარიმართა...“’.[34]

მხედველობის მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ნეგატიური ფაქტორები, რომლის მიხედვითაც გამოკითხულთა უმრავლესობას, მიუხედავად ძალადობის თაობაზე ინფორმაციის ქონისა, ნათესავები და მეზობლები

32 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, მცხეთა.

33 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, თბილისი.

34 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, თბილისი.

გაჩუმებას ურჩევდნენ და მოძალადეს ამართლებდნენ.[35] განსაკუთრებული აქტიურობით მოძალადის ოჯახის წევრები გამოირჩეოდნენ:

„ ...დიახ, გაჩუმებას და გაჩერებას მთხოვდა დედამთილი. ბუნებრივია შვილია და ეცოდებოდა...“.[36]

„ ...ქმრის ნათესავები ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ არ მეჩივლა, რომ ასეთი რამეები ყველა ოჯახში ხდებოდა და ყოველთვის უნდა დავთანხმებოდი ქმარს...“.[37]

„ ...დიახ, იყვნენ ასეთები, მაგალითად მეზობლები, რომლებიც მეუბნებოდნენ გავჩუმებულიყავი, რადგან სოფელში ასეთი შეხედულებებია, რომ გათხოვილმა ქალმა ყველაფერი უნდა ითმინოს...“.[38]

ანონიმური კითხვარის დასასრულს, ბენეფიციარებს შესთავაზეს, რომ მათ თავად გამოევლინათ მსხვერპლთა საჭიროებები და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით დაესახელებინათ, რა მომსახურებას ისურვებდნენ თავისი უფლებების სრულყოფილად განსახორციელებლად. მსხვერპლი ქალების მიერ დაფიქსირდა საინტერესო და საყურადღებო პასუხები, მათ შორის ნაწილი დაკავშირებული იყო ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდის სურვილთან:

„...რთულია მათთვის ვისაც არ აქვს შემოსავალი, მათთვის რაიმე საშუალება უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს, რომ დაეხმაროს, თუნდაც საკონსულტაციო მომსახურება...“.[39]

„...კარგი იქნება ყველა მუნიციპალიტეტის ცენტრში იყოს იურიდიული დახმარების უფასო სამსახურები...“.[40]

ბენეფიციართა ნაწილმა საჭიროებები მოძალადის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდგომ, განმეორებითი ძალადობისგან დაცულ გარემოში ყოფნას დაუკავშირა, ამასთან გამოითქვა

35 გამოკითხულ ბენეფიციართა დაახლოებით 60 პროცენტი მიუთითებს, რომ მათი ნათესავები და მეზობლები მოძალადეს ამართლებდნენ და მსხვერპლს გაჩუმება ურჩიეს.

36 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, თბილისი.

37 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, ამბროლაური.

38 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, ზესტაფონი.

39 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, გურჯაანი.

40 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, მარნეული.

მოსაზრება, რომ პოლიციისთვის მიმართვამდე, სახელმწიფოს სცოდნოდა მოძალადის ძალადობრივი ქცევისადმი მიდრეკილებების შესახებ:

„...როცა ციხიდან განთავისუფლდება მაშინ მინდა თანადგომა, თქვენი იმედი მაქვს...“.[41]

„...ვისურვებდი, სახელმწიფოს კონტროლს მოძალადეებზე ციხის დატოვების შემდგომ, რათა დაზარალებულს არ გაეკარონ და ისევ არ იძალადონ...“.[42]

„...112-ში არ დამჭირვებოდა დარეკვა და პოლიციას ისედაც სცოდნოდა...“.[43]

კითხვარის შევსებისას მსხვერპლი ქალების მიერ გამოითქვა სავალდებულო, ბიუროკრატიულ პროცესებში ნაკლები ჩართულობის სურვილი:

„...საკმარისი უნდა იყოს გამომძიებელთან ჩვენების მიცემა და ამით იხელმძღვანელოს მოსამართლემ, რადგან რთულია დამნაშავის და მისი ახლობლების თანდასწრებით ჩვენების მიცემა...“.[44]

„...ჩემთვის გაუგებარია გამოძიებაში დაწერილ ჩვენებას რატომ არ იზიარებს მოსამართლე და რატომ მიწევს ხელმეორედ ყველაფრის გამეორება სასამართლოში...“.[45]

„...დარეკვა 112-ში კომფორტულია, თუმცა ოპერატორები იმდენ კითხვას სვამენ, ამის დრო ზოგჯერ არ აქვს მსხვერპლს. სჯობს ეგრევე ლოკაცია მოინიშნონ და რეაგირება მყისიერად მოხდეს...“.[46]

ასევე, გამოიკვეთა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საჭიროება:

„... მეტ-ნაკლებად ყველაფერი დარეგულირებულია და შეიძლება უფრო მეტადაც, ვიდრე ბევრ ევროპულ ქვეყანაში. ჩემი ქმრისნაირი, ფსიქიკური გადახრის მქონე, აი ასეთი ადამიანებისგან უნდა იყოს

41 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, ზუგდიდი.

42 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, რუსთავი.

43 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, თბილისი.

44 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, გურჯაანი.

45 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, მარნეული.

46 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, თბილისი.

გაფრთხილებული საზოგადოება. სამწუხაროდ, ადამიანებს არ ესმით და არ იციან ვინ არის მოძალადე. მის ქცევებს რომანტიკულად უყურებდნენ და სიყვარულით ხსნიან... როგორ შეიძლება უყვარდე, როცა ადამიანს შენი ნელი სიკვდილი უნდა... მე საკმაოდ ღია ადამიანი ვიყავი, გახსნილი და ყველასთან შემეძლო ურთიერთობა, მე თუ ასე გამიჭირდა, სხვას უარესი მოუვა ... ახლა, მე რომ შევხედო მსხვერპლს, თვალებზე შევატყობ იმიტომ, რომ ყველაფერი ჩემს თავზე გავიარე...“.[47]

ეს ის მცირედი ჩამონათვალია მოთხოვნებისა, რომლებიც ოთხმოცდა-ხუთი მსხვერპლი ქალის მიერ, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით იქნა განსაზღვრული. თუმცა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის ეფექტურად განსახორციელებლად, აუცილებელია, განისაზღვროს მოსახლეობის კონკრეტული სოციალური ჯგუფების საჭიროებები, ის, რაც პრობლემის გაჩენის საფუძველი შესაძლოა გახდეს, მაგალითად: სიღარიბე, საცხოვრებელი ადგილი, უთანასწორობის სტატისტიკური მაჩვენებელი, რელიგიური და ეთნიკური წარმომავლობა და სხვა.

4. მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის საკითხებზე არსებული საერთაშორისო ინსტრუმენტები

თანასწორობა საერთაშორისო კანონმდებლობის ფუძემდებლურ ღირებულებას წარმოადგენს. ადამიანის უფლებების ყველა ძირითადი ხელშეკრულება შეიცავს დისკრიმინაციის აკრძალვას სქესის ან გენდერის ნიშნით, როგორც დოკუმენტში წარმოდგენილი უფლებებით სარგებლობის მხრივ, ისე ცალკე მდგომი ნორმის სახით.

„პეკინის დეკლარაცია“ ის მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც მიღებულ იქნა ქალთა საქმეების IV მსოფლიო კონფერენციაზე, რომელიც 1995 წლის სექტემბერში პეკინში ჩატარდა. აღნიშნული დოკუმენტი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს, ავალდებულებს, ხელი შეუწყოს ქალთა უფლებების განხორციელებას, ქალთა გაძლიერებასა და მათი შესაძლებლობების გაზრდისათვის მოქმედების აუცილებლობას.

47 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარი, თბილისი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია“ (CEDAW), მისი დამატებითი ოქმები, რომელსაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ქალთა უფლების დაცვის სფეროში, ყურადღებას უთმობს ქალთა უფლებრივ მდგომარეობას და მიუთითებს, რომ კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფომ სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ დონეზე უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა ქალებმა კაცებთან თანაბარ პირობებში შეძლონ ძირითადი უფლებებით სარგებლობა.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში, მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის ცნება განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლებით, ასევე, ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის ქარტიის 51-ე მუხლით. აღნიშნული მუხლებით დადგენილია სამართლიანი სასამართლო განხილვისა და სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლებები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული კავშირის სასამართლოს განმარტებით, მათში მოიაზრება მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობაც. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს უფლებები, ასევე, მოცემულია საერთაშორისო ინსტრუმენტებში, ესენია: გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის[48] მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-14 მუხლი, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-8 და მე-10 მუხლები.[49] ამ უფლებათა საკვანძო ელემენტები მოიცავს დავის გადაწყვეტის ორგანოს მიმართ ეფექტური წვდომის უფლებას, უფლებას სამართლიან პროცესსა და გადაწყვეტილების დროულ გამოტანაზე, უფლებას ადეკვატურ ანაზღაურებაზე, აგრეთვე, მართლმსაჯულების განსახორციელებლად მისი ეფექტურობისა და ქმედითობის პრინციპთა ზოგადი მოქმედების შესახებ უფლებას.[50]

48 გაერთიანებული ერები, გენერალური ასამბლეა, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1996.

49 გაერთიანებული ერები, გენერალური ასამბლეა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948.

50 ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის სააგენტო, Access to justice in Europe: an overview of challenges and opportunities, 2011, 9.

ქალებისათვის მართლმსაჯულებისადმი თანასწორი ხელმისაწვდომობის გარანტია ერთ-ერთია იმ ექვსი პრიორიტეტული თემიდან, რომელსაც ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის სტრატეგია (2018-2023) ითვალისწინებს. გენდერული თანასწორობის სტანდარტები, რომელიც მართლმსაჯულებისადმი ქალების ხელმისაწვდომობას უკავშირდება, სხვადასხვა სტანდარტებშია წარმოდგენილი და გვხვდება ევროპის საბჭოს ოთხ ძირითად ხელშეკრულებაში:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და კონვენციის მე-12 ოქმი

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გენდერულად ნეიტრალური ინსტრუმენტია, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ქალთა უფლებებზეც, მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზეც, დაადგინა იურისდიქცია და ასევე, განსაზღვრა მართლმსაჯულებისადმი ქალების ხელმისაწვდომობის რამდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპი. კონვენციის მე-12 ოქმი ითვალისწინებს დისკრიმინაციის ზოგად აკრძალვას ნებისმიერი ნიშნით - მაგალითად, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონების, დაბადების ან სხვა ნიშნით, რითაც აფართოებს კონვენციის მე-14 მუხლის რეგულირების სფეროს.

2. ევროპის სოციალური ქარტია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საპირწონე ინსტრუმენტია ეკონომიკური და სოციალური უფლებების სფეროში

ქარტია, უზრუნველყოფს საცხოვრისის უფლებით, ჯანმრთელობის, განათლების, დასაქმების, სამართლებრივი და სოციალური დაცვისა და გადაადგილების უფლებებით სარგებლობას ნებისმიერი ნიშნით, მათ შორის, სქესის საფუძველზე, დისკრიმინაციის გარეშე. სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი (ECSR), ანგარიშგების სისტემისა და კოლექტიური საჩივრების პროცედურის მეშვეობით უწევს მონიტორინგს წევრი სახელმწიფოების მიერ ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესს.

3. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციას გააჩნია მოქმედების მრავალმხრივი სფერო, რომელიც მოიცავს სექსუალური, შრომითი ან სხვა ტიპის ექსპლუატაციის მიზნით ქალებით, კაცებითა და ბავშვებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციასა და მასთან ბრძოლას და, ასევე, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვასა და ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენთა სისხლისსამართლებრივ დევნას. კონვენცია ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვას, ასევე წევრ სახელმწიფოთა მოვალეობას, ხელი შეუწყონ გენდერულ თანასწორობას და გამოიყენონ გენდერული მეინსტრიმინგი კონვენციის განხორციელებისკენ მიმართული ზომების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში (მუხლი 3). მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმი აფასებს სახელმწიფოების მიერ კონვენციის დებულებების პრაქტიკაში განხორციელებას.

4. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) ფართომასშტაბიანი და კომპლექსური ხელშეკრულებაა ადამიანის უფლებების, გენდერული დისკრიმინაციისა და სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობის შესახებ. სტამბოლის კონვენცია ითვალისწინებს ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირების მინიმალურ სტანდარტებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისთვის. სტამბოლის კონვენციის მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც კონვენციის იმპლემენტაციის შეფასებას ისახავს მიზნად, შედგება ორი ინსტრუმენტისგან: დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ (GREVIO) და მხარეთა კომიტეტი.[51]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ოჯახში ძალადობის საქმეებში განვითარებული სტანდარტები ამჟამად ინტეგრირებულია სტამბოლის კონვენციაში და მათ იურიდიულად სავალდებულო ძალა გააჩნია. სტამბოლის კონვენცია შეიცავს არაერთ მნიშვნელოვან დებულებას, რომლის მიზანია გენდერის ნიშნით ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.

51 ჩონდრი შ., ქალების ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე: სახელმძღვანელო პრაქტიკოსი იურისტებისათვის, 2018, 9; ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/methodology-womens-access-to-justice-geo-pgg/16809c8285 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

5. დასკვნა

ჩამოთვლილი სოციალური ბარიერები გამოვლინდა თავად ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარების მიერ სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის შედეგად და წარმოადგენს მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ გარემოებებს.

არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი სახელმწიფოებს ავალდებულებს ისეთი სამართლებრივი მექანიზმების შექმნასა და გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების განხორციელებას, რომელიც ხელს შეუწყობს ქალებსა და კაცებს შორის რეალური თანასწორუფლებიანობის მიღწევას და გაზრდის ქალთა სამართლებრივი უფლებების რეალიზების შესაძლებლობას. ქალთა მიმართ ძალადობა ერთ-ერთი დამახინჯებული სოციალური მექანიზმია, რომლის საშუალებითაც ქალები იძულებულნი არიან კაცებთან შედარებით დაქვემდებარებული პოზიცია დაიკავონ. აღნიშნულს ხელს უწყობს გენდერულად „ბრმა“ მიდგომები, არაღიარება იმისა, რომ ხშირად ქალებსა და კაცებს გარკვეული როლები და პასუხისმგებლობები მიეწერებათ, როგორც კულტურულ, ასევე, სოციალურ თუ ეკონომიურ კონტექსტში, რაც ცხადია პრობლემას წარმოადგენს და აღმოფხვრას საჭიროებს.

იმისათვის, რომ ქალებისთვის მართლმსაჯულების პროცესი მეტად ხელმისაწვდომი გახდეს, საჭიროა უფრო მგრძნობიარე დამოკიდებულება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისა და საზოგადოების მხრიდან.

გამოკითხული ბენეფიციარების საჭიროებების გაანალიზების შედეგად, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია მოიძებნოს იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის გზები.

საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა - ძალადობის მსხვერპლი ქალების მიერ საკუთარი უფლებების რეალიზაციისთვის საჭიროა, ისინი სრულყოფილად და ამომწურავად ფლობდნენ ინფორმაციას მათი დაცვის ღონისძიებების შესახებ. ხშირად ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა არ იციან თუ რა სამართლებრივი მექანიზმები გააჩნიათ საკუთარი უფლებების დასაცავად. ასევე არ ფლობენ ინფორმაციას დანაშაულის შესახებ პოლიციისათვის შეტყობინების შემთხვევაში, როგორ

დაიცავს მათ სახელმწიფო, რა სოციალური, იურიდიული და საგანმანათლებლო პროგრამებით სარგებლობას შეძლებენ, ამიტომ, აუცილებელია მათი დროული ინფორმირება გამოძიების საწყის სტადიაზე მოხდეს, რათა ინფორმაციულმა ვაკუუმმა არ გამოიწვიოს მსხვერპლთა მხრიდან თანამშრომლობაზე უარის თქმა. მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია ქალებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს სისტემატურად და იმგვარად, რომ ქალებს რომლებიც შესაძლოა იყვნენ პოტენციური ძალადობის მსხვერპლები, გაუჩნდეთ სურვილი ძალადობის პირველივე ფაქტის შემდგომ მიმართონ სახელმწიფოს დახმარებისთვის და ბარიერი არ შეექმნათ ინფორმაციის სიმწირის გამო.

ინფორმაციის ნაკლებობამ, შესაძლოა, მსხვერპლთა გადამწყვეტ ნაბიჯზე უდიდესი გავლენა მოახდინოს. მნიშვნელოვანია, ძალადობის მსხვერპლმა იცოდეს, რა სახის მომსახურებას სთავაზობს სახელმწიფო. მაგალითად, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო“ უზრუნველყოფს დროებითი საცხოვრებლით მომსახურებას თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში, ასევე, დროებით სადღეღამისო საცხოვრისში მოთავსებას, რაც მოიცავს კვებით, ჰიგიენის და პირველადი მოხმარების სხვა საშუალებებით უზრუნველყოფას. სააგენტოს სერვისების ფარგლებში ძალადობის მსხვერპლები სარგებლობენ ფსიქო-სოციალური დახმარებით/რეაბილიტაციით და სამედიცინო მომსახურებით, ასევე სამართლებრივი დახმარებით.[52] ამასთან, სახელმწიფოში მოქმედებს სოციალური რეაბილიტაციის სხვადასხვა პროგრამები, რომლის მიზანიცაა, მათ შორის შშმ პირთა და ხანდაზმულთა, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.[53] ცხადია, აღნიშნული რესურსი არ არის შეუზღუდავი, თუმცა სერვისზე ინფორმაციის არქონამ, დამატებითი ბარიერი არ უნდა შექმნას.

ხშირად ვხვდებით საზოგადოებაში, მათ შორის, ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხრიდან მცდარ დამოკიდებულებას გენდერული როლის მნიშვნელობაზე. ისინი ფიქრობენ, რომ ქალებსა და კაცებს აქვთ კონკრეტული სოციალური როლები საზოგადოებაში, ხოლო როდესაც ძალადობა

52 სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://atipfund.gov.ge/res/docs/dzaladoba.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

53 საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის №634 დადგენილება.

ხდება გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, ისინი ხშირად საკუთარ თავსაც იდანაშაულებენ მოძალადის „პროვოცირებაში“. ამასთან, ისინი, რიგ შემთხვევაში, არ ფლობენ ინფორმაციას ძალადობის კონკრეტული ფორმების შესახებ, ძალადობად მხოლოდ ფიზიკურ შეურაცხყოფას მიიჩნევენ და არ აქვთ აღქმული, რომ სისტემატური სიტყვიერი შეურაცხყოფა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, საჭიროა, რომ სახელმწიფომ მსხვერპლთათვის მეტად ხელმისაწვდომი გახადოს დისკრიმინაციისგან თავისუფალი განათლება და ტრენინგები, ასევე ნებისმიერი ინფორმაცია, ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორი აქტიურად არიან ჩართულნი ცნობიერების ამაღლების კამპანიებში, მათ შორის პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების მიერ არაერთ სკოლის მოსწავლესთან, სტუდენტთან თუ სხვა მოქალაქესთან შეხვედრა სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა, მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ ეს არ არის საკმარისი. კითხვარების ანალიზით გამოიკვეთა, რომ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი ცოდნა იმის შესახებ, თუ რას გულისხმობს გენდერული სტერეოტიპები და რა უარყოფითი გავლენა აქვს მათ ქალების მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების პროცესზე. ამ კუთხით საჭიროა, დაწყებითი და სავალდებულო განათლების მიღების ეტაპზე, სკოლებში ადრეული ასაკიდანვე დაინერგოს საინფორმაციო აქტივობები და სამოქალაქო განათლების ფარგლებში, მეტად გააქტიურდეს შემეცნებითი პროცესები ქალის და კაცის თანასწორობის საკითხის შესწავლის კუთხით. ამგვარი ღონისძიებები ადრეული ასაკიდანვე შეუწყობს ხელს ჯანსაღი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასა და უფლებრივი თანასწორობის სწორად გააზრებას.

ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდა - როგორც ბენეფიციართა მიერ შევსებული კითხვარის შესწავლით გამოიკვეთა, ცალკეულ მაღალმთიან რეგიონებში დაფიქსირდა ძალადობის მსხვერპლთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სირთულეები, სამართალდამცავ ორგანომდე თუ სასამართლომდე. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა ადგილობრივი მუნიციპალური ხელშეწყობა, ტრანსპორტის გამოძებნა

და გადაადგილების სირთულის აღმოფხვრა, რათა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებმა სამართალწარმოების პროცესში არ იგრძნონ დისკომ-ფორტი და არ შესუსტდეს გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი. ასევე, რეგიონებში ხშირად იქმნება ადვოკატთა ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ მსხვერპლ ქალთა დასახმარებლად, თარჯიმანთა არასაკმარისი რაოდენობის პრობ-ლემა. ამ კუთხით, გამართლებულია ცალკეულ რეგიონებში სამართალ-დამცავი ორგანოსა და მუნიციპალიტეტების თანამშრომლობა და ადგი-ლობრივი თვითმმართველი ერთეულების აღჭურვა სპეციალისტებით.

ძალადობის განმეორების რისკების განსაზღვრა და სამიზნე ჯგუფების მონიტორინგი - ძალადობის განმეორების რისკ ჯგუფში მყოფი ქალები ყველაზე მეტად არიან ისინი, ვის მიმართაც წარსულში ძალადობის ფაქტს თუნდაც ერთხელ ჰქონდა ადგილი. ოჯახში ძალა-დობის პრევენციისა და ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებების განსაზღვრისთვის, მიზანშეწონილია, საინფორმაციო ბაზის შექმნა, სადაც აღრიცხული იქნება იმ პირთა წრე, რომლებიც ერთხელ მაინც დაექვემდე-ბარნენ ძალადობას ან/და უშუალოდ განახორციელეს ძალადობა ოჯახის წევრის მიმართ, სადაც უნდა მოვიაზროთ, როგორც შემაკავებელი/დამცავი ორდერით, ასევე, სამართალწარმოებისას, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით იდენტიფიცირებული პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ დაზარალებულის/მსხვერპლის და მსჯავრდებულის/ მოძალადის სტატუსი. მიზანშეწონილია, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ, მუდმივად (მათ შორის მოძალადის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ) ხდებოდეს ამ პირთა მონიტორინგი საცხოვრებელ მისამართზე, მსხვერპლებთან გასაუბრება საჭიროებებსა და პოტენციურ საფრთხეებზე. სასურველია კომუნიკაციის პროცესში ჩართული იყოს სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი, შეფასე-ბული იქნას ძალადობის განმეორების რისკები.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის (112-ის) ოპერატორთა და ძალადობის მსხვერპლის კომუნიკაციის გაუმჯო-ბესება - როგორც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ბენეფიციარების მიერ შევსებული კითხვარის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა, ხშირად

მათთვის დისკომფორტის შემქმნელია 112-ის ოპერატორთან კომუნიკაცია, ვინაიდან ფაქტის დაფიქსირების შემდეგ ოპერატორი უსვამს არაინფორმაციულ და დიდი რაოდენობით შეკითხვას, რის შემდეგაც მსხვერპლი გრძნობს დისკომფორტს კომუნიკაციის პროცესში. მიზანშეწონილია, დაიხვეწოს ძირითადი შეკითხვების ჩამონათვალი, რაც ძალადობის მსხვერპლ ქალს უნდა დაესვას ოპერატორის მხრიდან და მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადაში იქნას მიღებული მსხვერპლისგან პირველადი ინფორმაცია, სანამ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები მოახდენენ შემდგომ რეაგირებას შეტყობინებაზე. გამოიკვეთა, რომ საჭიროა მეტად მოქნილი გახდეს მსხვერპლთან პირველადი კომუნიკაცია ოპერატორთა მხრიდან, რათა შემდგომში 112-ში განხორციელებული ზარი არ იყოს ძალადობის მსხვერპლებისთვის დისკომფორტის შემცველი.

მსხვერპლის სასამართლოში დაკითხვის პროცესის გადახედვა - გამოკითხული ბენეფიციარების ნაწილის აზრით, მათთვის ფსიქოლოგიური წნეხის და დისკომფორტის შემქმნელია, როდესაც გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენება არ არის საკმარისი და თვეების გასვლის შემდგომ მათი დაკითხვა კვლავ საჭიროა სასამართლოში. ძალადობის ფაქტის კვლავ გახსენებით ისინი განიცდიან ფსიქოლოგიურ წნეხს. შესაბამისად, დასაფიქრებელია რამდენად არის შესაძლებელი დაიხვეწოს მსხვერპლის სასამართლოში დაკითხვის პროცედურა, იმგვარად, რომ ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლების ხელყოფა არ მოხდეს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლში ჩამოთვლილია ის საგამონაკლისო შემთხვევები, როდესაც მაგისტრატი მოსამართლის წინაშე, გამოძიების ეტაპზეა შესაძლებელი პირის დაკითხვა. შესაძლებელია, რომ საკანონმდებლო დონეზე გაფართოვდეს ამ საგამონაკლისო შემთხვევების ჩამონათვალი და დაემატოს ოჯახში ძალადობის კატეგორიის დანაშაულებზე ძალადობის მსხვერპლთა სასამართლოში დაკითხვის შესაძლებლობა, ბრალდებულისთვის სამართლიანი სასამართლოს უფლების შეუზღუდავად. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მხრიდან პირველადი ინფორმაციის მიღების შემდეგ მისი სასამართლოში დაუყოვნებლივი დაკითხვა პირველ რიგში, შეამცირებს მსხვერპლთა განგრძობად ფსიქოლოგიურ წნეხს და ასევე,

შემცირდება დაზარალებულებზე ზემოქმედების რისკები გარეშე პირების მხრიდან, რადგანაც მსხვერპლები, როგორც წესი, გამოძიების საწყის ეტაპზე მეტად მოტივირებულები არიან, ითანამშრომლონ საგამოძიებო ორგანოსთან.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აუცილებელია, სამართლებრივი დაცვის საშუალებები ხელმისაწვდომი და ეფექტიანი იყოს ძალადობის მსხვერპლთა ყველა სოციალური ჯგუფისთვის. დღეს, როდესაც ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო ტელევიზია და ინტერნეტია, მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ადამიანებისთვისაც არ უნდა იყოს რთული ტექნოლოგიური რესურსებისთვის ფეხის აწყობა. ყურადსაღებია, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალებები რეგიონებში მცხოვრები ქალების სოციალურ საჭიროებებთან განსაკუთრებულად უნდა იყოს ადაპტირებული. მათ არ უნდა ჰქონდეთ სამედიცინო პუნქტებში, სასამართლოში, სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადების სირთულე, რაც დამატებით ამძიმებს მსხვერპლის ისედაც რთულ მდგომარეობას. მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ძალადობის ყველა მსხვერპლისთვის, მისი მოქალაქეობის მიუხედავად. სახელმწიფომ განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა მიმართოს ისეთი დარგებისაკენ, როგორიცაა განათლება, ეკონომიკური განვითარება, მმართველობა და ა. შ. თუმცა, ვფიქრობთ, გადამწყვეტია, ძალადობის პრევენცია ადრეულ ასაკშივე დაიწყოს ცნობიერების ამაღლებისა და ახალგაზრდებში ჯანსაღი დამოკიდებულების პროპაგანდის გზით, რაც საბოლოოდ, უზრუნველყოფს გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრასა და მართლმსაჯულებისადმი ქალების ხელმისაწვდომების გაუმჯობესებას.

11

გვანცა ტაბატაძე
მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორი, სამართლის მაგისტრი.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციასთან

1. შესავალი

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია (შემდგომში სტამბოლის კონვენცია) უდიდესი მნიშვნელობის ინსტრუმენტია მრავალი თვალსაზრისით. იგი აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლების დარღვევასა და დისკრიმინაციის ფორმას წარმოადგენს. უფრო მეტიც, იგი მიზნად ისახავს ამგვარი ძალადობის გამომხატველ ქმედებათა მთელი წყების კრიმინალიზაციას.

სტამბოლის კონვენცია უშუალოდ მიუთითებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ყველა საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომების გატარების აუცილებლობის შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების დასჯა ეფექტური, თანაზომიერი და პრევენციული სანქციების გამოყენებით.

საქართველოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა. სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველომ აიღო სტამბოლის კონვენციის მოთხოვნების შესრულების ვალდებულება და დღემდე დიდი გზა განვლო ამ მიზნის მისაღწევად. ამ სტატიის მიზანსაც სწორედ ამ განვლილი გზის მიმოხილვა წარმოადგენს, იმის გამოკვეთა, თუ რა შესრულდა და რა კეთდება

საქართველოს კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, რა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ან უნდა გადაიდგას მომავალში, საქართველოს მხრიდან ამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტის მოთხოვნათა შესასრულებლად და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტების მინიმუმამდე შესამცირებლად. ამისთვის კი მიმოვიხილავთ იმ ქმედებებს, რომლებსაც სტამბოლის კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობად მიიჩნევს, ასევე ამ ქმედებების ცნებასა და დასჯადობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სტამბოლის კონვენციის მიღების მოკლე ისტორიული მიმოხილვა და მისი იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში

ევროპის საბჭომ აღიარა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ქალებსა და კაცებს შორის ისტორიულად არსებული ძალთა უთანასწორობის გამოვლინება, რამაც საბოლოოდ მიგვიყვანა კაცების მხრიდან ქალების მიმართ დისკრიმინაციამდე და მათზე დომინირებამდე და ამასთან, ხელი შეუშალა ქალების სრული თანასწორუფლებიანობის დამკვიდრებას. ქალები და გოგოები ხშირად განიცდიან ისეთი სერიოზული ფორმის ძალადობას, როგორიცაა ოჯახში ძალადობა, სექსუალური შევიწროება, გაუპატიურება, იძულებითი ქორწინება, ე. წ. „ღირსების“ სახელით ჩადენილი დანაშაულები და სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რაც წარმოადგენს ქალებისა და გოგოების (ადამიანის) უფლებათა სერიოზულ დარღვევასა და ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას ქალებსა და კაცებს შორის თანასწორუფლებიანობის მიღწევის საქმეში. ქალები და გოგოები იმყოფებიან მათ მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის ჩადენის უფრო მაღალი რისკის ქვეშ, ვიდრე კაცები.[1] გამომდინარე აქედან, ევროპის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიეღოთ ისეთი საერთაშორისო დოკუმენტი, რაც სახელმწიფოებს დაავალდებულებდა შემოეღოთ კონკრეტული ღონისძიებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

1 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, პრეამბულა.

ამ მიზნით, 2011 წლის 11 მაისს, ქალაქ სტამბოლში ევროპის საბჭოს მიერ ხელი მოეწერა კონვენციას „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“. დოკუმენტი ცნობილია, როგორც სტამბოლის კონვენცია. კონვენციის მთავარი მიზნებია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია, მსხვერპლის დაცვა და დანაშაულის ჩამდენთა დაუსჯელობის დასრულება. კონვენცია ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოს.

სტამბოლის კონვენცია წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას, რომელიც ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აკისრებს შემდეგ ვალდებულებებს: ძალადობის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა, დამნაშავეთა დასჯა და კომპლექსური პოლიტიკის დანერგვა. სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების თანამშრომლები (მათ შორის, პროკურორები) მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის დაცვის ხარისხს თავიანთ იურისდიქციაში. ისინი ხელს უწყობენ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ შეუწყნარებელი ბრძოლის შესახებ გზავნილის საზოგადოებამდე მიტანას და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მსხვერპლთა დაცვისა და დამნაშავეებზე პასუხისმგებლობის დაკისრების საქმეში.[2]

აღნიშნულ კონვენციას საქართველომ ხელი 2014 წლის 19 ივნისს მოაწერა, ხოლო მისი რატიფიცირება 2017 წლის 1 სექტემბერს მოხდა. დოკუმენტის რატიფიცირებამდე აუცილებელი გახდა საქართველოს კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ მიზნით, 2017 წლის 4 მაისს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 53¹ მუხლი, რომელიც კონვენციის შესაბამისი ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, ყველა შესაბამისი დანაშაულისთვის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს სხვადასხვა ნიშნით შეუწყნარებლობის, მათ შორის, სქესისა და გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივს.[3]

2 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში; ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/geo-istanbul-convention-and-explanatory-report-a4/16808d24c5 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

3 სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის განმარტებითი ბარათი, 2017; ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/142314 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

ასევე, კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულია, რომ დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვანის მიმართ ან მისი თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისთვის.

კონვენციის შესაბამისად, ამავე მუხლში შეტანილი ცვლილების შედეგად განისაზღვრა, რომ რომელიმე ზემოთ მითითებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისთვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.[4]

ამავე ცვლილებით, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა რამდენიმე ნორმა. მათ შორის ადევნება, იძულებითი სტერილიზაცია, ქალის გენიტალიების დასახიჩრება, რომელთა დეფინიციასაც საქართველოს კანონმდებლობა მანამდე არ იცნობდა. ასევე, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავში.

4 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53¹ .

3. სტამბოლის კონვენციით დაცული სამართლებრივი სიკეთეები და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებების შესაბამისობა კონვენციასთან

3.1 ოჯახში ძალადობა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა

სტამბოლის კონვენციის მესამე მუხლში მოცემული განმარტების თანახმად, „ოჯახში ძალადობა“ გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა.

თავის მხრივ, კონვენცია 33-ე მუხლით ავალდებულებს სახელმწიფოებს სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს ისეთი წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც ადამიანზე სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს იძულების ან მუქარის გამოყენებით.

ხოლო, კონვენციის 35-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად უნდა მიიჩნეოდეს მეორე პირის მიმართ განზრახ ფიზიკური ძალადობის ჩადენა. კონვენციას ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა განმარტებული არ აქვს, თუმცა მის დეფინიციად უნდა ჩავთვალოთ აღნიშნულ მუხლებში გადმოცემული განმარტება.

ფსიქოლოგიური ძალადობისთვის, კონვენციის თანახმად, საჭიროა, იძულების ან მუქარის გამოყენება, რაც მსხვერპლზე ძლიერ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ფსიქოლოგიური ძალადობის კრიმინალიზაციას სტამბოლის კონვენცია ავალდებულებს არა მხოლოდ ოჯახში ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობის დროს, არამედ ზოგადად, ფსიქოლოგიური ძალადობა დასჯადი უნდა იყოს, თუ ის ხდება იძულების ან მუქარის გამოყენებით. მუქარა და იძულება დასჯადია საქართველოს კანონმდებლობით, შესაბამისად, წინამდებარე სტატიაში აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა არ იქნება წარმოდგენილი.

საქართველოში ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია 2012 წლის 12 ივნისს მოხდა. მანამდე, ცალკე გამოყოფილად, ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დგებოდა და დამნაშავე მხოლოდ იმ ქმედებისთვის აგებდა პასუხს, რაც ჩადენილი ჰქონდა.

საინტერესოა, ოჯახში ძალადობისას რა ითვლება კონკრეტულად ფსიქოლოგიურ ძალადობად - ოჯახში ძალადობა არის ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა.[5]

ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.[6]

ფსიქოლოგიური ძალადობისთვის მნიშვნელოვანია ქმედების სისტემატურობა; იგი ოჯახურ ურთიერთობებში განხორციელებულ სხვადასხვა ძალადობრივ ქმედებათა ერთობლიობას მოიცავს და აქვს სისტემატური ხასიათი.[7]

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა კიდევ უფრო შორს წავიდა და დასჯადია ოჯახის წევრის მიერ სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება და არა მხოლოდ იძულება და მუქარა. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მუქარისა და იძულების დეფინიციები მანამდეც არსებობდა სისხლის სამართლის კოდექსში, ვიდრე სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება მოხდებოდა. ამ ნაწილში საქართველოს კანონმდებლობა არა მხოლოდ შესაბამისია სტამბოლის კონვენციასთან, არამედ სისხლის სამართლის კოდექსი უფრო მრავლისმომცველად შეიძლება ჩაითვალოს.

5 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 126[1].

6 სახალხო დამცველის აპარატი, სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისათვის, 2014, 6.

7 ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 167.

ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.[8] ამ კუთხით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სტამბოლის კონვენციასთან შესაბამისობის საკითხთან კითხვის ნიშნები არ არსებობს.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ თუ ვინ არის ოჯახში ძალადობის სუბიექტი სტამბოლის კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. კერძოდ, სტამბოლის კონვენციის მიხედვით, ოჯახში ძალადობა გულისხმობს აქტს, რომელიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა. თუმცა, კონვენციას კონკრეტულად არ აქვს განმარტებული, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ოჯახის წევრად, ვინ იგულისხმება შინაურ წრეში. ამ კუთხით, კონვენციამ სახელმწიფოებს ფართო გასაქანი მისცა, თავად განმარტონ ოჯახში ძალადობის აღმსრულებელ პირებად ვინ მოიაზრონ კანონით. თუმცა, ამჟამინდელი ან ყოფილი მეუღლეები და პარტნიორები, თუნდაც არ ცხოვრობდნენ ერთად, ცალსახად მოიაზრება ოჯახში ძალადობის სუბიექტად.

საქართველო შეეცადა მაქსიმალურად განესაზღვრა ვინ შეიძლებოდა მოიაზრებოდეს ოჯახის წევრად და საბოლოოდ კანონმდებლობის შესაბამისად, ოჯახის წევრად ჩაითვალა: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი,

8 სახალხო დამცველის აპარატი, სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისათვის, 2014, 6.

მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.[9]

სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შემდგომ, გაიზარდა სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახის წევრთა რიცხვი და მას, სხვა პირებთან ერთად, დაემატა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი (ამჟამინდელი ან ყოფილი), ასევე, მათი მშობლები. ეს გამოწვეულია იმით, რომ სტამბოლის კონვენციით პარტნიორის მხრიდან ჩადენილი დანაშაულიც უნდა ჩაითვალოს ოჯახში ძალადობად. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობით შესაძლოა პირი არ იყოს არც რეგისტრირებულ, არც არარეგისტრირებულ ქორწინებაში, მაგრამ ჰყავდეს პარტნიორი, რომლის მხრიდან განხორციელებული დანაშაულიც ვერ ჩაითვლება ოჯახში ჩადენილ დანაშაულად, რაც ვერ იქნება სტამბოლის კონვენციის შესაბამისი. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კონვენცია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ არ აქვს მნიშვნელობა ეს პირები ერთად ცხოვრობდნენ თუ არა.

ამრიგად, ამ მხრივ, კიდევ უფრო მეტად გასაფართოებელია იმ პირთა წრე, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაული ოჯახში ძალადობად უნდა შეფასდეს.

3.2 ადევნება

სტამბოლის კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნიონ მეორე პირის მიმართ ჩადენილი მრავალჯერადი და განზრახი დამაშინებელი ქცევა, რომელიც დაზარალებულში უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შიშს იწვევს.[10]

კონვენცია ნათლად განმარტავს, რომ ადევნება არის ქალის მიმართ ძალადობის ფორმა. კარგად არის ცნობილი, რომ ადევნების მსხვერპლი ძირითადად ქალია, ხოლო დამნაშავე კი - კაცი. ხშირად, ქალებზე ადევნება

9 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 11¹.

10 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპული საბჭოს კონვენცია, მუხლი 34.

ხდება მას შემდეგ, რაც ისინი ურთიერთობას ამთავრებენ კაცთან. ამ ტიპის ძალადობა ცალსახად გენდერზეა დაფუძნებული, თუ იგი უკავშირდება კაცის დომინანტობისა და კონტროლის სურვილს ქალზე.[11]

სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში[12] მკაფიოდ განსაზღვრავს ადევნების სისხლისსამართლებრივ შემადგენლობას, რაც გულისხმობს განზრახ, არაერთგზის მუქარას მეორე პირის მიმართ, რაც მასში იწვევს შიშის შეგრძნებას საკუთარ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ეს მოიცავს განზრახი ბუნების ნებისმიერ განმეორებად არასასურველ ქცევას მეორე პირის მიმართ, რომელიც მსხვერპლში შიშს იწვევს. ასეთი ქცევა შეიძლება გულისხმობდეს სხვა პირის მუდმივად ადევნებასა და თვალთვალს; პირთან კომუნიკაციას, როდესაც მას ამის სურვილი არა აქვს; ან პირისთვის იმის შეტყობინებას, რომ მას უთვალთვალებენ. ეს ასევე, შეიძლება მოიცავდეს პირის ფიზიკურ ადევნებას, სამუშაო ადგილზე დახვედრას, სპორტულ ან საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ვირტუალურ სამყაროში მიდევნებას. არასასურველ კომუნიკაციაში ჩართვა გულისხმობს დაზარალებულთან ნებისმიერი სახის აქტიური კონტაქტის ძიებას ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. გარდა ამისა, დამაშინებელ ქცევას შეიძლება ჰქონდეს მრავალფეროვანი გამოხატულება, მაგალითად, სხვა პირის ქონების მიმართ ვანდალიზმი, პირის პირად ნივთებზე წვდომის დასადასტურებლად მათზე მსუბუქი ნიშან-კვალის დატოვება, პირის ცხოველისთვის ზიანის მიყენება, გამოგონილი პირის სახელით მოქმედება ან ცრუ ინფორმაციის გავრცელება. ადევნება სახეზეა, თუ მუქარის შემცველი ქცევა განხორციელდა განზრახ და დაზარალებულის დაშინების მიზნით.

დებულება მიზნად ისახავს ისეთი ქცევის დანაშაულებრივი ბუნების განსაზღვრას, რომლის ცალკეული ელემენტები, დამოუკიდებლად, ყოველთვის არ არის სისხლის სამართლის დანაშაული. ეს მუხლი

11 კვაჭაძე მ., ჯუღელი ნ., ღვინჯილია ე., სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლი (ადევნების) სასამართლო პრაქტიკა, 2019, 9; ხელმისაწვდომია: https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/kvlevis_da_analizis_centri/kvlevebi/adevneba.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

12 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, 63; ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/geo-istanbul-convention-and-explanatory-report-a4/16808d24c5 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

მოიცავს ქცევას, რომელიც მიმართულია მსხვერპლის წინააღმდეგ. თუმცა, მხარეებს მისი გავრცელება შეუძლიათ დაზარალებულის სოციალურ გარემოში არსებული ნებისმიერი პირის, მათ შორის, ოჯახის წევრების, მეგობრებისა და კოლეგების წინააღმდეგ მიმართულ ქცევაზეც.[13]

კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2017 წლის 4 მაისს შევიდა შესაბამისი ცვლილება და კოდექსს დაემატა 151¹ მუხლი, რომლითაც მოხდა ადევნების კრიმინალიზაცია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მანამდე არ არსებობდა არც სისხლისსამართლებრივი და არც სხვა სახის სანქციები ამგვარი ქმედების დასასჯელად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151¹ მუხლის თანახმად, ადევნება არის პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის.

ჩვენი კანონმდებლობით, ადევნების განხორციელების ფორმები შემდეგია:

- უკანონო თვალთვალი, რომელიც შეიძლება გამოიხატოს დაზარალებულის გადაადგილებისას უკან გაყოლაში, როგორც ფეხით, ასევე ავტომანქანით, სახლთან თუ სამუშაო ადგილზე/ადგილთან დახვედრაში, მისი გადაადგილების ფარულად ან ღიად, დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ კონტროლში, მოქმედებების მუდმივ თვალთვალში, სხვადასხვა ადგილას მოულოდნელად დახვედრაში, მიმოსვლის კონტროლში და ასე შემდეგ.

13 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, 63; ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/geo-istanbul-convention-and-explanatory-report-a4/16808d24c5 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

- არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით - როგორც ვხედავთ, ჩვენი კანონმდებლობა ითვალისწინებს კომუნიკაციის თანამედროვე ხერხებით ადევნების შესაძლებლობას, რაც შეიძლება გამოიხატოს მუდმივ ზარებში, ტექსტურ შეტყობინებებში, სოციალური ქსელის მეშვეობით თუ ელექტრონული ფოსტით.
- სხვა ნებისმიერი განზრახი ქმედება - ნებისმიერი ქმედება, რომელიც არასასურველია დაზარალებულისთვის, მაგალითად, არასასურველი საჩუქრების ჩუქება, პრაქტიკაში იყო ასევე შემთხვევა, როდესაც ბრალდებული დაზარალებულს სისტემატურად ხვდებოდა სამსახურთან და მასთან ერთად მგზავრობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მისი ნების საწინააღმდეგოდ.[14]

ზემოაღნიშნული ქმედებების ადევნებად კვალიფიკაციისთვის, აუცილებელია, რომ მათ ჰქონდეთ სისტემატური ხასიათი. სისტემატურად კი უნდა ჩაითვალოს ქმედებების სამჯერ ან მეტჯერ ჩადენა. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ადევნება ეს არის ქრონიკული ქცევა, რომელიც გრძელდება თვეების ან წლების განმავლობაში, ხოლო ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ადევნების საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით წელიწადნახევარია.[15]

ქართული კანონმდებლობით, ადევნებას აქვს აუცილებელი შედეგი - დაზარალებულის ფსიქიკური ტანჯვა ან/და მისი ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიანი შიში, რამაც უნდა აიძულოს პირი, მნიშვნელოვნად შეცვალოს ცხოვრების წესი ან შეუქმნას ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის რეალური საჭიროება.

პრაქტიკულად, აღნიშნული შეიძლება გამოიხატოს შემდეგში: შეფერხება საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობის მიღებაში, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ტელეფონის ნომრის შეცვლა, ჩვეული მარშრუტის შეცვლა სამსახურში მისასვლელად, სოციალური ქსელით სარგებლობის შეზღუდვა, სახლიდან გარეთ გასვლის შეზღუდვა

14 მერებაშვილი ნ., ადევნების დასჯადობის ლეგიტიმაცია, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N3, 2018, 72; ხელმისაწვდომია: https://old.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sisxl-aqtual3.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

15 იქვე, 72.

მოძალადისთვის თავის არიდების მიზნით და სხვა მრავალი. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელი არ არის მსხვერპლმა შეცვალოს ცხოვრების წესი, საკმარისია მისი შეცვლის რეალური საჭიროების წინაშე ყოფნის ფაქტიც.[16]

როგორც ვხედავთ, ადევნების ქართული მოდელი შეესაბამება სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტამბოლის კონვენციის თანახმად, მოძალადის ქმედებები მსხვერპლში უნდა იწვევდეს შიშს. საქართველოს კანონმდებლობით, შიშთან და ფსიქოლოგიურ ტანჯვასთან ერთად, ადევნების დანაშაულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ცხოვრების წესის შეცვლა ან შეცვლის საჭიროება, რითაც მსხვერპლის მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ვამძიმებთ. შესაძლოა, მსხვერპლი იყოს ძლიერი სტრესის ქვეშ, ადევნება აღმოჩნდა მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობისთვის დამანგრეველი და ეს დასტურდებოდეს კიდეც სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, თუმცა თუ მას ცხოვრების წესი არ შეუცვლია ან ასეთის საჭიროება არ დამდგარა, მოძალადის ქმედება ვერ შეფასდება ადევნებად და მან შესაძლოა პასუხი აგოს მხოლოდ სხვა, ერთჯერადად განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობისთვის - მუქარა, იძულება. ხოლო, თუ მხოლოდ არასასურველ კომუნიკაციას ამყარებს, მისი ქმედება შესაძლოა პასუხგაუცემელიც კი დარჩეს. ასეთ შემთხვევაში, მსხვერპლი რჩება დაუცველი.

ამ მხრივ, საინტერესოა იმ ქვეყნების კანონმდებლობის მიმოხილვაც, რომლებმაც მოახდინეს სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება. მაგალითად, დანიამ ისარგებლა კონვენციის 78-ე მუხლის (დათქმები) მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შესაძლებლობით და დათქმის ფარგლებში უფლება დაიტოვა ადევნებაზე დააწესოს არა სისხლისსამართლებრივი სანქციები (მაგ.: დანიის კანონმდებლობის მიხედვით, მსხვერპლს შეუძლია მიმართოს პოლიციას შემაკავებელი ორდერის გამოსაცემად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კი, დამნაშავეს

16 იქვე, 74.

მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისრება, თუ ის დაარღვევს შემაკავებელი ორდერის პირობებს).[17]

გერმანის სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით,[18] თუ პირი უკანონოდ ახდენს ადევნებას სხვა პირზე: 1. მასთან ფიზიკური სიახლოვის დამყარების მიზნით; 2. ცდილობს მსხვერპლთან კონტაქტის დამყარებას ტელეკომუნიკაციის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით ან მესამე პირების მეშვეობით; 3. ბოროტად იყენებს მსხვერპლის პერსონალურ მონაცემებს საკუთარი თავისთვის ნივთების ან მომსახურების შესაკვეთად ან აიძულებს მესამე პირებს ეკონტაქტონ მას; 4. ემუქრება მსხვერპლს მისი ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლის მოსპობით, ჯანმრთელობის დაზიანებით ან თავისუფლების შეზღუდვით; 5. ახორციელებს მსგავსი სახის ქმედებებს, რის შედეგადაც სერიოზული ზიანი ადგება მსხვერპლის ცხოვრების წესს, ამგვარი ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით არაუმეტეს 3 წლის ვადით ან ჯარიმით.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 222-33-2-2 მუხლის მიხედვით,[19] სხვა პირის ფსიქოლოგიური შევიწროება ან განმეორებადი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ამ პირის პროფესიული შრომისუნარიანობის დაქვეითებას, რაც გავლენას ახდენს მის უფლებებსა და ღირსებაზე, ზიანს აყენებს მის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას ან ამ პირის პროფესიულ მომავალს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 1 წლამდე და ჯარიმით 15,000 ევროს ოდენობით, ხოლო დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას კი - 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთითა და ჯარიმით 30,000 ევროს ოდენობით.

17 Reservations and Declarations for Treaty No.210 - Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence (CETS No. 210); ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=declarations-by-treaty&numSte=210&codeNature=0 (ბოლოს ნანახია: 18.10.2024); დანიის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 265; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://legislationline.org/sites/default/files/documents/39/Denmark_Criminal_Code_am2005_en.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

18 გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 238; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html#p1986 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

19 საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 222-33-2-2; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://legislationline.org/sites/default/files/documents/50/France_CC_am012020_fr.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

ნიდერლანდების სისხლის სამართლის კოდექსის 285ბ მუხლის თანახმად,[20] არაკანონიერი, სისტემატური, განზრახი ქმედება, რომელიც არღვევს სხვისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას იმ მიზნით, რომ აიძულოს იგი შეასრულოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს მოქმედების შესრულებისგან ან აღძრავს მსხვერპლში შიშს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე ვადით ან მეოთხე კატეგორიის ჯარიმით.

ზემოაღნიშნული ქვეყნების მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ადევნებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ჩანაწერები არაერთგვაროვანია დანაშაულის შემადგენლობის დეფინიციასთან მიმართებით. როგორც ვხედავთ, საქართველოს კანონმდებლობა ამ მხრივ მიახლოებულია გერმანიის კანონმდებლობასთან და სახელმწიფო ბრალდებას უწევს დაადასტუროს, რომ მსხვერპლის ცხოვრების წესს მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი. ნიდერლანდების სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ადევნება საქართველოს კანონმდებლობაში ჰგავს იძულების დანაშაულს, იმ დამატებით, რომ იძულებას შედეგად მოჰყვება მსხვერპლის შიში. საფრანგეთის კანონმდებლობით კი შედეგი დაკავშირებულია მხოლოდ პროფესიულ შრომისუნარიანობასთან, მაშინ როდესაც მსხვერპლს სხვა მხრივაც შესაძლოა მიადგეს ზიანი. ამ მხრივ, როგორც ვხედავთ, სტამბოლის კონვენციასთან ყველაზე ახლოს გერმანიისა და საქართველოს კანონმდებლობებია, რაც შეიძლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯად ჩაითვალოს ჩვენი ქვეყნისთვის, მაშინ როდესაც სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებამდე ამგვარი ქმედება არანაირი ფორმით არ იყო სანქცირებული.

3.3 სექსუალური ძალადობა

სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლი მხარეებს სექსუალური ძალადობის კრიმინალიზაციას ავალდებულებს. კერძოდ, „მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს

20 ნიდერლანდების სამეფოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 285ბ; ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://legislationline.org/sites/default/files/documents/f3/Netherlands_CC_am2012_en.pdf (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

წინასწარგანზრახული ქცევის შემდეგი ფორმები: ა. სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით; ბ. ადამიანთან, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის სხვა აქტების განხორციელება; გ. სხვა ადამიანის იძულება, მისი თანხმობის გარეშე, მესამე პირთან განახორციელოს სექსუალური ხასიათის აქტები.“

„ა“ პუნქტში საუბარია სექსუალური ხასიათის ვაგინალურ, ანალურ ან ორალურ კავშირზე სხვა ადამიანთან, მისი თანხმობის გარეშე. შეღწევა შეიძლება განხორციელდეს სხეულის ნებისმიერი ნაწილით ან რაიმე საგნით და უნდა იყოს სექსუალური ხასიათის. ამ მოთხოვნით კონვენციის ავტორები ცდილობდნენ, ხაზი გაუსვან დებულების ფარგლებს და თავიდან აიცილონ მისი ინტერპრეტაციის პრობლემები. ტერმინი „სექსუალური ხასიათი“ აღწერს აქტს, რომელსაც აქვს სექსუალური კონოტაცია. ეს არ ვრცელდება სხვა სახის აქტებზე. „ბ“ პუნქტი მოიცავს სექსუალური ხასიათის ყველა ქმედებას რომელიმე პარტნიორის თანხმობის გარეშე, რომელიც არ მთავრდება შეღწევით და ბოლოს, „გ“ პუნქტი მოიცავს ისეთ სიტუაციებს, როდესაც დაზარალებულს თანხმობის გარეშე უწევს სექსუალური კავშირის დამყარება დამნაშავესა ან სხვა პირთან. ძალადობრივი ურთიერთობების შემთხვევაში, მსხვერპლი ხშირად იძულებულია, სქესობრივი აქტი დაამყაროს იმ პირთან, რომელსაც დამნაშავე აარჩევს. „გ“ პუნქტის მიზანია, მოიცვას ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე პირი თვითონ არ ახორციელებს სქესობრივ აქტს და მსხვერპლს აიძულებს ამგვარი კავშირის დამყარებას მესამე პირთან, იმ პირობით, რომ ეს საქციელი უკავშირდება განზრახ ქცევას, რომელიც კრიმინალიზებულია კონვენციის 36-ე მუხლის შესაბამისად.[21]

ამ დებულების იმპლემენტაციისას, კონვენციის მხარეები ვალდებული არიან მიიღონ სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს ნებაყოფლობითი თანხმობის არარსებობას იმ სექსუალური

21 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, 64; ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/geo-istanbul-convention-and-explanatory-report-a4/16808d24c5 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

აქტების შემთხვევაში, რომლებიც ჩამოთვლილია „ა“-„გ“ პუნქტებში. თუმცა, მხარეთა დისკრეციულ უფლებამოსილებაში რჩება კანონმდებლობის კონკრეტული ფორმულირება და ფაქტორები, რომლებიც მათი აზრით, გამორიცხავს ნებაყოფლობითი თანხმობის მიცემის შესაძლებლობას. მე-2 პუნქტი უბრალოდ აკონკრეტებს, რომ თანხმობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და თავისუფლად გამოხატავდეს პიროვნების სურვილს, არსებული გარემოებების გათვალისწინებით.[22]

სტამბოლის კონვენცია სექსუალურ ძალადობად აცხადებს ყველა ისეთ ქმედებას, რომელიც დაკავშირებულია ერთ-ერთი სუბიექტის მხრიდან თანხმობის არქონასთან და თანხმობაც უნდა იყოს ნებაყოფლობითი და თავისუფლად გამოხატავდეს პიროვნების სურვილს. ამ მხრივ მრავალფეროვანია იმ ქვეყნების კანონმდებლობა, რომლებიც შეუერთდნენ სტამბოლის კონვენციას. სტამბოლის კონვენციასთან შესაბამისობის ჭრილში სწორედ თანხმობის ელემენტია მნიშვნელოვანი. სხვა მხრივ, სწორედ სტამბოლის კონვენციის ზეგავლენით, სისხლის სამართლის კოდექსის სქესობრივი დანაშაულის წინააღმდეგ თავში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. კერძოდ, მანამდე გაუპატიურება განმარტებული იყო როგორს სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. ხოლო, ცვლილების შემდგომ უფრო დაკონკრეტდა თუ რას გულისხმობს სქესობრივი კავშირი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, გაუპატიურება არის პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით.

საქართველომ ამ მხრივ სტამბოლის კონვენციის ჰარმონიზაციასთან ერთად გაითვალისწინა სახელმწიფოთა საუკეთესო პრაქტიკა.[23]

22 იქვე.

23 სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის განმარტებითი ბარათი, 2017; ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/142314 (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გაუპატიურებისა (სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლი) და სხვა სახის სექსუალური ხასიათის დანაშაულები (სისხლის სამართლის კოდექსის 138-139-ე მუხლები) არ ითვალისწინებს მსხვერპლის თავისუფალი და ნებაყოფლობითი თანხმობის არარსებობას, როგორც დანაშაულების დეფინიციის შემადგენელ ნაწილს. თანხმობის არარსებობა უნდა შეფასდეს კონტექსტის მხედველობაში მიღებით, მათ შორის იმის საფუძველზე, არსებობდა თუ არა ნების დამთრგუნველი გარემოებები.[24]

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სექსუალური ძალადობა დაკავშირებულია ძირითადად ძალადობის ელემენტთან, მაშინ როდესაც სტამბოლის კონვენციის მიხედვით, საკმარისია მსხვერპლის მხრიდან თანხმობის არარსებობა და ძალადობის გამოყენება აუცილებელი არ არის. თუმცა, თანხმობის არარსებობა შესაძლოა დავაკავშიროთ პირის უმწეო მდგომარეობაში ყოფნასთან, როდესაც ნებელობის ელემენტი მსხვერპლის მდგომარეობიდან გამომდინარე არის დათრგუნული.

გაუპატიურების ერთ-ერთი ხერხი, ძალადობა, ქართული სისხლის სამართლის დოქტრინაში განიმარტება, როგორც დაზარალებულის სხეულზე ფიზიკური ზემოქმედება, რაც მსხვერპლის წინააღმდეგობის დათრგუნვის საშუალებაა.[25] ამიტომაც, დაზარალებულს აკისრებენ წინააღმდეგობის გაწევის ვალდებულებას. ძალადობის საილუსტრაციოდ კი ცემას, გათოკვას, ხელებისა და ფეხების გადაგრეხას უთითებენ.[26]

დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენება გაუპატიურების ერთ-ერთი ხერხია. უმწეო მდგომარეობაში იმყოფება ისეთი პირი, ვისაც

24 „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) ვალდებულებების კანონმდებლობაში ასახვის და მათი აღსრულების ეფექტიანობის შესახებ ანგარიში, 2022, 32.

25 გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, 11; ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეოთხე გამოცემა, 2011, 169.

26 გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, 11; ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეოთხე გამოცემა, 2011, 169; წერეთელი თ., დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, 1980, 93.

არ აქვს უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს დამნაშავეს (ღრმა მოხუცებული, ავადმყოფი, ფიზიკური ნაკლის მქონე პირი, ძლიერი მთვრალი და ა.შ.) ან არ აქვს უნარი შეიმეცნოს რა ხდება მის თავს.[27]

შესაძლოა, გარკვეულ გარემოებებში, დაზარალებულმა გამოხატოს „თანხმობა“ სქესობრივ კავშირზე, თუმცა იგი არ იყოს ვალიდური და რელევანტური. ზოგიერთ შემთხვევაში, დაზარალებულმა შიშის გამო შესაძლოა „ითანამშრომლოს“ მოძალადესთან, მაგრამ ეს თანამშრომლობა არ შეიძლება გაიგივდეს თანხმობასთან.[28] ასევე, დაზარალებულის უმწეობის გარკვეულ შემთხვევებში, მაგ., მცირეწლოვანი ბავშვის მიერ „თანხმობის“ გაცემის მიუხედავად, მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება მაინც გაუპატიურებად შეფასდება.[29]

მოცემულ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს -ჰქონდა თუ არა პირს „ნებაყოფლობითი და ნამდვილი თანხმობის“ გამოხატვის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, სრულად „დიახ“ მოდელის გაზიარება, შეფასების მიღმა დატოვებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მსხვერპლი იმყოფება ნების დამთრგუნველ გარემოებებში და მოკლებულია დამნაშავისთვის წინააღმდეგობის გაწევის ან/და „არას“ თქმის შესაძლებლობას ან დაზარალებულის მხრიდან გამოთქმული „თანხმობა“ (მის მიერ ნათქვამი „დიახ“) არ არის რელევანტური და რაიმე მნიშვნელობის მატარებელი.

თემატური მოკვლევის პროცესში მონაწილე სუბიექტები თანხმდებიან, რომ სქესობრივი დანაშაულის დეფინიციები არ არის შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან.[30]

მართალია, გაუპატიურებისთვის მნიშვნელოვანი ელემენტია ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენება, თუმცა ერთ-ერთი ალტერნატიული ხერხია უმწეო მდგომარეობის გამოყენება, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ მსხვერპლის თანხმობის არარსებობასთან არის

27 ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მეოთხე გამოცემა, 2011, 170-171.

28 Tuerkheimer D., Affirmative Consent, Ohio State Journal of Criminal Law: Volume 13:2, 2016, 460; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uTALne (ბოლოს ნანახია: 30.12.2024).

29 გეგელია თ., გაუპატიურების პარადიგმა: მოძალადე უცხო პირი vs. მებრძოლი მსხვერპლი, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო №18, 2021, 14.

30 „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) ვალდებულებების კანონმდებლობაში ასახვის და მათი აღსრულების ეფექტიანობის შესახებ ანგარიში, 2022, 35.

მიახლოებული, ვინაიდან, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ან ვერ გამოხატავს თანხმობას ან მისი თანხმობა ვერ იქნება ნამდვილი, რასაც იყენებს დამნაშავე სექსუალური ძალადობის დროს. ამ მსჯელობაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მართალია, საქართველოს კანონმდებლობაში სექსუალური ძალადობის დეფინიციაში უშუალოდ არ არის მოხსენიებული თანხმობის არარსებობა, როგორც ეს სტამბოლის კონვენციით არის სავალდებულო, თუმცა უმწეო მდგომარეობის გამოყენება ირიბად მაინც ეხება თანხმობის არარსებობას. აქედან გამომდინარე, ცალსახად იმის თქმა, რომ სტამბოლის კონვენციასთან არ არის შესაბამისობაში სექსუალური ძალადობის ქართული განმარტება არ იქნება სწორი.

სქესობრივი დანაშაულების სფეროში გერმანულ სისხლის სამართალს ბევრი რამ აქვს საერთო ქართულ სისხლის სამართალთან, თუნდაც საერთაშორისო გავლენების თვალსაზრისით, განსაკუთრებით სტამბოლის კონვენციის კონტექსტში, რომელმაც თანხმობის საკითხთან დაკავშირებით ცხარე დისკუსიები გამოიწვია.[31]

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში სქესობრივი დანაშაულების სფეროში, ბოლო და საკმაოდ მნიშვნელოვანი რეფორმა 2016 წელს განხორციელდა, რომლითაც თითქმის მთლიანად შეიცვალა გაუპატიურების შემადგენლობა. აღნიშნული რეფორმით მოხდა „არა ნიშნავს არას“ მოდელის იმპლემენტაცია გერმანულ კანონმდებლობაში. გაუპატიურების შემადგენლობის განხორციელებისთვის საკმარისია საქმეში ჩანდეს მსხვერპლის ნების საწინააღმდეგოდ ქმედების ჩადენა. ანუ, არ არის აუცილებელი იძულების, იძულების მუქარის ან უმწეობის გამოყენება, როგორც ეს ძველ შემადგენლობაში იყო მოცემული.[32]

ავსტრიამ, მონტენეგრომ და პორტუგალიამ, სტამბოლის კონვენციის შესაბამისად, მიიღეს ახალი კანონები არანებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის კრიმინალიზაციის მიზნით და უარყვეს სქესობრივი დანაშაულის ვიწრო დეფინიციები.[33]

31 გეგელია თ., კელენჯერიძე ი., ჯიშკარიანი ბ., სქესობრივი დანაშაულები, 2020,125.

32 იქვე.

33 „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) ვალდებულებების კანონმდებლობაში ასახვის და მათი აღსრულების ეფექტიანობის შესახებ ანგარიში, 2022, 33.

საფრანგეთის კანონმდებლობით, გაუპატიურება განიმარტება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც გულისხმობს პირის მიმართ ძალადობის, იძულების, მუქარის ან მოულოდნელობის ეფექტის გამოყენებით ჩადენილ სექსუალური ხასიათის შეღწევას ნებისმიერი ფორმით. გაუპატიურების სამართლებრივი დეფინიცია საფრანგეთში მოცემულია საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 222-23 – 222-26 მუხლებში.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, გაუპატიურება შემდეგნაირად განისაზღვრება:

„გაუპატიურება არის სექსუალური შეღწევის ნებისმიერი ქმედება, როგორიც არ უნდა იყოს მისი ხასიათი, ჩადენილი სხვა ადამიანის მიმართ ძალადობით, იძულებით, მუქარით ან მოულოდნელობის გამოყენებით.“

შესაბამისად, სტამბოლის კონვენციის ხელშემკვრელი ქვეყნები მართალია იღებენ ვალდებულებას, სტამბოლის კონვენციის შიდა სახელმწიფოებრივ კანონებში ასახვისას, თუმცა თანხმობის ელემენტთან დაკავშირებით ყველა ქვეყანაში სხვადასხვა მიდგომაა და ამ ნაწილში სახელმწიფოები სრულად არ იზიარებენ სტამბოლის კონვენციის დეფინიციას, შესაბამისად, არის არაერთგვაროვანი მოსაზრებები, მათ შორის საქართველოშიც. თანხმობის ელემენტის შემოღებისთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის პრაქტიკაც, გამოწვევები, რომლებსაც გადავაწყდებით გამოძიების ეტაპზე და სასამართლო განხილვის დროს, მტკიცებულებითი სტანდარტისა და ბრალდების მტკიცების კუთხით. თუმცა ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მაინც მნიშვნელოვანია, რომ სექსუალური ძალადობის საკანონმდებლო დეფინიცია გადაიხედოს მასში მნიშვნელოვანი ცვლილების მიზნით, რათა უფრო ეფექტურად მოხდეს სტამბოლის კონვენციასთან ჰარმონიზაცია.

3.4 იძულებითი ქორწინება

სტამბოლის კონვენციით კრიმინალიზებულია ზრდასრულის ან ბავშვისთვის ქორწინების იძულება. რის საპასუხოდაც, საქართველოს კანონმდებლობას დაემატა ახალი მუხლი. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1501 მუხლის თანახმად, დასჯადად გამოცხადდა ქორწინების იძულება.

უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე ცალკე ნორმად არ არსებობდა ქორწინების იძულება და იგი დასჯადი იყო ზოგადი ნორმის - იძულების, ფარგლებში. სტამბოლის კონვენციის მოთხოვნების შესრულების ვალდებულების აღებამ კი საჭირო გახადა, ქორწინების იძულების ცალკე ნორმად გამოტანა, ვინაიდან, იგი ცალსახად დაკავშირებულია ძირითადად ქალთა მიმართ ფსიქოლოგიურ ძალადობასთან.

3.5 იძულებითი სტერილიზაცია და ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება

იძულებითი ქორწინების მსგავსად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს, ასევე, დაემატა ახალი ნორმა და იძულებითი სტერილიზაცია დასჯადი გახდა 2017 წლის 4 მაისიდან.

კონვენციის 39-ე მუხლი აბორტის იძულებასთან ერთად, წევრი სახელმწიფოებისთვის ასევე ითვალისწინებს სტერილიზაციის იძულების კრიმინალიზაციის ვალდებულებასაც. სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებამდე, მსგავსი შინაარსის ნორმას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობდა. შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 133¹ მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იძულებითი სტერილიზაციისთვის, შესაბამის დამამძიმებელ გარემოებებთან ერთად. გარდა ამისა, კონვენციის 38-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, კოდექსს ასევე დაემატა ახალი 133² მუხლიც, რომელიც ითვალისწინებს ქალის გენიტალიების დასახიჩრების კრიმინალიზაციას. ამ სახის ქმედებათა სისხლის სამართლის წესით დასჯადად გამოცხადება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლინდა არაერთი მსგავსი შემთხვევა, ჩადენილი გოგოების მიმართ.[34]

34 სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის განმარტებითი ბარათი, 2017; ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/142314 (ბოლოს ნანახია: 24.02.2025).

3.6 იძულებითი აბორტი

ამის საპირისპიროდ, საქართველოს კანონმდებლობაში ასახვა არ პოვა იძულებითმა აბორტმა, რომელიც ასევე, დაკავშირებულია ქალთა მიმართ ძალადობასთან და საქართველოს პრაქტიკის გათვალისწინებით მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

კერძოდ, სტამბოლის კონვენციის 39-ე მუხლის თანახმად, მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველ-საყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს შემდეგი წინასწარგანზრახული ქცევები: ა. ქალისთვის აბორტის გაკეთება მისი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე; ბ. ისეთი ქირურ-გიული ოპერაციის ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ქალის ბუნებრივი რეპროდუქციული უნარის შეწყვეტას მისი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის ან ამ პროცედურის გააზრების გარეშე.

მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლით დასჯადია უკანონო აბორტი, თუმცა კოდექსში არაფერია ნათ-ქვამი იძულებით აბორტზე. პირის ქმედება, რომელიც აიძულებს ქალს აბორტის გაკეთებას, შეფასდება როგორც ზოგადად იძულება.

კონკრეტულად აბორტის იძულების არაერთი ისტორია არსებობს. ერთ-ერთი ასეთი მძიმე ისტორია შემდეგია:

„მე იძულებითი აბორტის მსხვერპლი ვარ. ჩემმა მაშინდელმა ეგრეთ წოდებულმა საქმრომ გამაკეთებინა მუქარით და იძულებით... 18 წლის ვიყავი და ვერაფერი გავაკეთე. შემეშინდა და მოახერხა მოკლედ ეს ყველა-ფერი... იმის შემდეგ 9 წელი გავიდა და არ გამსვლია ის ტკივილი. მინდა, რომ ასეთი რამ სხვამ აღარასდროს გამოცადოს..

კლინიკაში რომ მივედი, მახსოვს, მხოლოდ ის მკითხეს, სრულწლოვანი ვიყავი თუ არა.. მომცეს დღე მოსაფიქრებლად და თან გამაფრთხილეს, თუ 6 კვირას გადავცდებოდი, მერე გამოტუმბვას ვეღარ გააკეთებდნენ და უფრო რთული იქნებოდა.

ამიტომ, მეორე დღესვე მივედი. პარტნიორი არც ფულით დამ-ხმარებია და არც არანაირად. მხოლოდ ის მკითხა, გავიკეთე თუ არა და

ყოჩაღ, სწორად გაგიგია, რაც გითხარიო. 9 წლის განმავლობაში ყოველ წელს ჩნდებოდა ჩემს ცხოვრებაში ეს ადამიანი – ყველა დაეღუპა და სახლიც დაკარგა. ამ ამბავს დაუკავშირა მისი ეს უბედურებები და პატიებას მთხოვდა სულ, მაგრამ .. ნუ რაღა აზრი აქვს ახლა ...

ყოველდღე ვნანობ, რომ ვერ გავაჩინე ბავშვი. არიან ადამიანები, ვინც გააზრებულად იკეთებენ აბორტს და უნდათ, ეს მათი არჩევანია, მაგრამ როცა გაიძულებენ, აბორტი გაიკეთო, შენ კი ბავშვი გინდა, ეს ცალკე საშინელებაა...“[35]

ეს და სხვა მრავალი ისტორია დასტურია იმისა, რომ ასეთი ფაქტები ხშირია საქართველოში, რაც არ უნდა დარჩეს სამართლებრივი შეფასების მიღმა. ამ მხრივ, კი ცალსახაა, რომ საჭიროა საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილების შეტანა და აღნიშნული ქმედების კრიმინალიზაცია.

4. დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით ცალსახად ჩანს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ნორმების, სტამბოლის კონვენციის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით, გაწეული ძალისხმევა. „ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს ყოვლისმომცველ სამართლებრივ ინსტრუმენტს ძალადობის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულია პროგრესი, კვლავ არსებობს გამოწვევები კანონმდებლობის სრულად გამართვისა და აღსრულების კუთხით. უწყვეტი ძალისხმევა, მათ შორის ცნობიერების ამაღლება, შესაძლებლობების განვითარება და რესურსების განაწილება, აუცილებელია სტამბოლის კონვენციასთან შესაბამისობის გასაძლიერებლად და საქართველოში ძალადობით დაზარალებული ქალების ეფექტური დაცვისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. 2017 წლის 4 მაისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, სწორედ იმ მიზნით, რომ მომხდარიყო საქართველოს კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან დაახლოება, არაერთმა ნორმამ

35 ნეტგაზეთი, აბორტის იძულება – ისტორიები და დანაშაული სამართლებრივი მუხლის გარეშე, 4 მაისი, 2020; ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/448303/ (ბოლოს ნანახია: 24.02.2025).

განიცადა ცვლილება, დასჯადი გახდა რამდენიმე ახალი ქმედება, რაც მანამდე არ იყო კრიმინალიზებული, ხოლო შემდგომ, პრაქტიკისა და გამოწვევების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული ნორმები არაერთხელ გადაიხედა. მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ სრული ჰარმონიზაცია მაინც ვერ მოხერხდა და ამ კუთხით კვლავ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი სხვა ხელშემკვრელი ქვეყნების კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით, მათ შორის, გარკვეული ქმედებების დანაშაულად გამოცხადებისა და უკვე არსებულ კრიმინალიზებულ ქმედებებში მეტი სიზუსტის შეტანის კუთხით, მათ შორის, სექსუალური ძალადობის ნორმებში თანხმობის ელემენტის შემოტანის ნაწილში.

მოქმედი კანონმდებლობა (კერძოდ, გაუპატიურების არსებული დეფინიცია) არ არის სრულ შესაბამისობაში სტამბოლის კონვენციასთან. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება კი, ხელს შეუწყობს კანონმდებლობის კიდევ უფრო დაახლოებას სტამბოლის კონვენციასთან და უზრუნველყოფს ქალებისთვის მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდას.